ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4. 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1980

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца.

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
**Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19**
ტელეფონი 37-95-50 Телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.81; შეკვ. 3300; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 19.6; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.5; უე 17401; ტირაჟი 1200;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## წერილები

შ. თეთვაძე, **სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები** . . . . . . . . . . 5
გ. ღარიბჯანიანი, გ. ავეტისიანი, **ოქტომბერი და სომეხი ხალხის განთავისუფლება** 20
ზ. მენთეშაშვილი, **ბერბერული ელიტის როლი თანამედროვე მაროკოს პოლიტიკურ ცხოვრებაში** . . . . . . . . . . . . . . 30
ს. ჯაფარიძე, **საქართველოს მონაწილეობა 1882 წ. ქ. მოსკოვის სამრეწველო-სამხატვრო გამოფენაში** . . . . . . . . . . . . . 42
თ. ყაუხჩიშვილი, **კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით** 57

## ცნობები და შენიშვნები

ლ. მიქიაშვილი, **„ახალი ისტორიის“ თეიმურაზ ბაგრატიონისეული ხელნაწერი** . 78
მ დუმბაძე, **ვასალიტეტი X—XII საუკუნეების საქართველოში** . . . . . 84
ო. ცქიტიშვილი, **არაბეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (X—XI სს.)** . . . . . . . . . . . . . . 102
მ. ჩხარტიშვილი, **მეტაფრასი „წმ. ნინოს ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის შესახებ** . . . . . . . . . . . . . 114
შ. ამირანაშვილი, **ზოგიერთი შენიშვნა ნერედიცის ფრესკების მხატვრული წერის ხერხების წარმომავლობის შესახებ** . . . . . . . . 122
ლ. გვრიტიშვილი, **სოფელი ყორანთა** . . . . . . . . . 133

## პუბლიკაცია

დ. ჯანელიძე, **ერთი საბუთი აღმოსავლეთის საკითხის პრეისტორიისათვის** . 140

## დისკუსია და განხილვა

მ. ბერძნიშვილი, **ნიკორწმინდის „დაწერილის“ დათარიღების შესახებ** 152
ა. რობაქიძე, **ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის“ მნიშვნელობისათვის** 164
გ. მინდიაშვილი, **გორანამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის** 175

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ივ. სურგულაძე, **საქართველოს გაერთიანების ხანის ისტორია** . . . . . . 187
თ. მიქელაძე, ბ. გამყრელიძე, **ვ. შამილაძე, საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები** . . 202

## ქრონიკა და ინფორმაცია

გ. თოგოშვილი, **რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია დაღესტანში** 206
**აკადემიკოს გ. ჩიტაიას დაბადების 90 წლისთავი** . . . . 210
**პროფესორ გიორგი გოზალიშვილის დაბადების 80 წლისთავი** . . 211

## საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

შ. ხანთაძე, **აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია (დაბადების 80 წლისთავი)** 212
**ირინე ნოდია (ნეკროლოგი)** . . . . . . . . 221

ბ. პაიჭაძე, ჯ. ოდიშელი, **ნოდარ ნაკაშიძის ხსოვნას** 223

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ


Ш. ТЕТВАДЗЕ, **Ленинские принципы руководства государственными и общественными организациями** . . . . . . . . . . 5

Г. ГАРИБДЖАНЯН, Г. АВЕТИСЯН, **Октябрь и освобождение армянского народа** . . . . . . . . . . . . 20

З. МЕНТЕШАШВИЛИ, **Роль берберской элиты в политической жизни современного Марокко** . . . . . . . . . . . . 30

С. ДЖАПАРИДЗЕ, **Участие Грузии в промышленно-художественной выставке 1882 г. в г. Москве** . . . . . . . . . . 42

Т. КАУХЧИШВИЛИ, **Кавказские племена по античным источникам** . 57


## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ


Л. МИКИАШВИЛИ, **Рукопись «Новой Истории» из коллекции Теймураза Багратиони** . . . . . . . . . . . . . . 78

М. ДУМБАДЗЕ, **Вассалитет в Грузии X—XII вв.** . . . . . . . 84

О. ЦКИТИШВИЛИ, **Из истории арабо-грузинских культурных взаимоотношений (X—XI вв.)** . . . . . . . . . . . . . 102

М. ЧХАРТИШВИЛИ, **Метафрас о редакции «Жития св. Нино» сборника «Картлис цховреба»** . . . . . . . . . . . . . 114

Ш. АМИРАНАШВИЛИ, **Некоторые замечания о происхождении художественно-живописных приемов письма фресок Нередицы** . 122

Л. ГВРИТИШВИЛИ, **Село Коранта** . . . 133


## ПУБЛИКАЦИЯ


Д. ДЖАНЕЛИДЗЕ, **Один документ из предыстории восточного вопроса** 140


## ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ


М. БЕРДЗНИШВИЛИ, **Вокруг датировки «дацерили» никорцминдского настоятеля** . . . . . . . . . . . . . . 152

А. РОБАКИДЗЕ, **О содержании термина «этнографическая группа»** 164

Г. МИНДИАШВИЛИ, **К социальной природе холмов-поселений** 175


## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ


И. СУРГУЛАДЗЕ, **История Грузии времен объединения** . . . . . . 187

Т. МИКЕЛАДЗЕ, Б. ГАМКРЕЛИДЗЕ, **В. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы животноводства Грузии** . . 202


## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ


Г. ТОГОШВИЛИ, **Региональная научная конференция в Дагестане** 206

**90-летие со дня рождения академика Г. С. Читая** . . . . . 210

**80-летие со дня рождения профессора Г. Г. Гозалишвили** . . . 211


## ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ


Ш. ХАНТАДЗЕ, **Академик С. Н. Джанашиа (к 80-летию со дня рождения)** . 212

**И. М. Нодия (некролог)** . . . . . . . . . . . . . 221

Г. ПАЙЧАДЗЕ, Дж. ОДИШЕЛИ, **Памяти Н. Т. Накашидзе** . . . 223

# წერილები

შოთა თეთვაძე

## სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები

განვითარებული სოციალიზმის თანამედროვე პირობებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფუძემდებლური მითითებები მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობებზე, მის წინასაარჩევნო სიტყვებში ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქში, მოხსენებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1977 წ.) და ოქტომბრის (1977 წ.) პლენუმებზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიაზე, სიტყვებში პროფკავშირთა XVI ყრილობაზე, კომკავშირის XVII და XVIII ყრილობებზე, მის სხვა გამოსვლებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში. პარტიის ამ დოკუმენტებში მოცემული დებულებები და დასკვნები შემოქმედებითად ავითარებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ მითითებებს განვითარებული სოციალიზმის პირობებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემდგომი მუშაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და 1976 წლის 24 ივნისის დადგენილებას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ აღნიშნა, რომ „უნდა გაძლიერდეს საბჭოებისადმი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ქმედითობა, გაიზარდოს საბჭოებში მომუშავე კომუნისტების აქტივობა და პასუხისმგებლობა, განუხრელად ვითარდებოდეს მართლწესრიგი და სოციალისტური კანონიერება“[1].

სკკპ ემყარება იმას, რომ კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში პარტიის როლის ზრდა და მასობრივი ორგანიზაციების მნიშვნელობის ამაღლება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული პროცესია. საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოდიან პარტიის პოლიტიკის აქტიურ გამ-

---

[1] სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, თბ., 1976, გვ. 10.

ტარებლად, ეხმარებიან მას ფართოდ მიიზიდონ მშრომელები მართვაში, გადაწყვიტონ ადამიანთა აღზრდის, შრომისა და ყოფაცხოვრების, კულტურის განვითარების საკითხები. კომუნისტური პარტია წარმართავს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას. „საბჭოთა კომუნისტებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, — მიუთითებს ლ. ი. ბრეჟნევი, — კარგად ესმით, რომ ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის კონსტიტუციური განმტკიცება სრულიადაც არ ანიჭებს პარტიას რაიმე პრივილეგიას. პირიქით, ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მას, რადგან თავის წარმმართველ როლს პარტია ძალაუფლების მეოხებით კი არა, მასებში თავისი მაღალი პოლიტიკური ავტორიტეტისა და იდეური გავლენის მეშვეობით ახორციელებს“[2].

მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებზე პარტიული გავლენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ კომუნისტურ მშენებლობაში ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი ამოცანების გადაჭრაში მათი როლი და მნიშვნელობა.

პარტია სახალხო დეპუტატთა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებისადმი თავის ურთიერთობას აგებს ურთიერთნდობის, პატივისცემისა და თანამშრომლობის საფუძველზე, რაც განმტკიცებულია საზოგადოების სოციალისტური და კომუნისტური გარდაქმნისათვის ერთობლივი ბრძოლით. სკკპ სწორ პოლიტიკურ ორიენტაციას აძლევს მათ საქმიანობას, მათ ძალებს თავს უყრის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პერსპექტიული და მორიგი ამოცანების გადასაწყვეტად. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდია დარწმუნება, რაც გამორიცხავს ყოველგვარ ადმინისტრირებასა და მბრძანებლობას. პარტია ავითარებს მათ აქტივობასა და ინიციატივას, ამაღლებს ავტორიტეტს.

ეფექტიანი პარტიული ხელმძღვანელობის აუცილებელი პირობაა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა, რაც ფიქსირებულია სკკპ წესდებაში. „პარტიული ორგანიზაციები, — ნათქვამია წესდებაში, — არ ეწევიან საბჭოთა, პროფკავშირული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაგივრობას, აღკვეთენ პარტიულ და სხვა ორგანოების ფუნქციების აღრევას, არა — საჭირო პარალელიზმს მუშაობაში“. ეს ხაზი, როგორც წესი ერთობლივად ხორციელდება.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა სისტემატურად განიხილება პარტიულ ორგანოებში. შრომით კოლექტივში, რაიონში, ქალაქში, ოლქში, რესპუბლიკაში საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის მუშაობის პრაქტიკის ყოველმხრივი შესწავლა პარტიულ კომიტეტებს საშუალებას აძლევს წარმართონ მუშაობა აქტუალური საკითხების გადასაჭრელად, დაეხმარონ, სრულყონ მოღვაწეობის სტილი და მეთოდები.

პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მასობრივი ორგანიზაციების საქმიანობის სფეროს გაფართოება. თითოეულ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში, ამასთან გააჩნია სპეციფიკა, რომელ-

[2] ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, თბ., 1977, გვ. 20.

საც პარტიული ორგანიზაციები ყოველმხრივ ითვალისწინებენ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შედეგები უფრო ეფექტიანია, როცა გამორიცხულია დუბლირება და ამასთან ერთად ხორციელდება მათი მუშაობის კოორდინაცია.

სკკპ XXIV—XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის მეთოდები, უფრო მიზანდასახულად აღწევენ მათი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას, მასებში მათი გავლენის ამაღლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას.

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანოებია სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველია. განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია შემდგომ ამაღლებს საბჭოების ფორმირებისა და საქმიანობის დემოკრატიულ პრინციპებს, ითვალისწინებს მათი როლის შემდგომ გაძლიერებას საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში.

საბჭოები თავისი ბუნებით კარგად უთავსებენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საწყისებს. ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ ყოვლისმომცველ ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ხალხის მასების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო მართვაში, მეორე მხრივ, სახალხო დეპუტატთა საბჭოები აერთიანებენ რა საკანონმდებლო და აღმასრულებელ საქმიანობას ქმნიან სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან სისტემას ცენტრში და ადგილებზე. მისი თითოეული რგოლი წყვეტს თავისი მნიშვნელობით სხვადასხვა საკითხს, მაგრამ თითოეული საბჭო გამოხატავს რა მოსახლეობის ნება-სურვილს, რომელმაც იგი აირჩია იმავე დროს მონაწილეობს ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებაში.

უკანასკნელ წლებში პარტიის დირექტივების შესრულების მიზნით კავშირში და მოკავშირე რესპუბლიკებში მიიღეს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფართოებენ სასოფლო და სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების უფლებებსა და მატერიალურ შესაძლებლობებს, ხელს უწყობენ ამ ორგანოების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებას.

საბჭოების განვითარებისათვის, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიული საფუძვლების სრულყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დეპუტატთა ავტორიტეტისა და აქტივობის ამაღლებას. „სახალხო დეპუტატთა საბჭოები დღეს აერთიანებენ უდიდეს აქტივს, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, — მილიონობით დეპუტატს, აპარატის მუშაკს, მათი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის, ადამიანებისათვის მათი ზრუნვის მიხედვით მსჯელობს მშრომელი კაცი იმაზე, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოების ძალა მარტო მათი მასობრიობა როდია. იგი უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება იმით, თუ როგორ მუშაობს თითოეული, ხაზს ვუსვამ, თითოეული დეპუტატი, თითოეული თანამდებობის პირი“[3].

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები განაპირობებენ საბჭოების ცხოვრებაში უფრო მაღალ ეტაპს. ქვეყნისა და რესპუბლიკების ძირითადი კანონები მკაფიოდ გან-

[3] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, ჩვენი კურსია მშვიდობიანი აღმშენებლობა, თბ., 1980, გვ. 11.

საზღვრავენ საბჭოების საქმიანობის სისტემასა და პრინციპებს, მიუთითებენ, რომ ისინი უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს. ადგილობრივი საბჭოები წყვეტენ არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, არამედ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფენ მოცემულ ტერიტორიაზე კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ახორციელებენ ამ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ კანონმდებლობის დაცვის კონტროლს ,კოორდინაციას უწევენ და ამოწმებენ მათ საქმიანობას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა მიწათსარგებლობა, ბუნების დაცვა, მშენებლობა, შრომითი რესურსების გამოყენება, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, სოციალურ-კულტურული და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების დებულებათა რეალიზაცია, ქვეყნის ძირითადი კანონით გათვალისწინებული ახალი საკანონმდებლო აქტების მიღება ხელისუფლების ყველა ორგანოს მაღალ მოთხოვნებს უყენებს, აძლიერებს იმის აუცილებლობას, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მათი მუშაობის სტილი და მეთოდები, სახელმწიფო აპარატის თითოეულ რგოლში ავამაღლოთ პასუხისმგებლობა, ორგანიზებულობა, ინიციატივა და დისციპლინა.

პარტია აღწევს რა საბჭოებში ყველა საკონსტიტუციო დებულების განხორციელებას ზრუნავს იმისათვის, რომ მათ მთელი სისრულით გამოიყენონ თავიანთი უფლებები და შესაძლებლობები, დიდი მუშაობა განახორციელონ ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისათვის, კადრების განმტკიცებისათვის, საბჭოების საქმიანობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის და ამის საფუძველზე გააძლიერონ მათი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები საფუძვლიანად განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე. პარტიულმა ორგანოებმა განსაზღვრეს თითოეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საბჭოების მუშაობის დონის ამაღლებისათვის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მოქმედების პირობებში.

პარტიულ კომიტეტებში ადგილობრივი საბჭოების მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა სახელმწიფოებრივი მშენებლობის სფეროზე პარტიული გავლენის ეფექტიანი საშუალებაა, საბჭოების მიერ თავიანთი ფუნქციების უკეთ განხორციელებისათვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. უკანასკნელ წლებში ამ პრაქტიკამ სისტემატური და ქმედითი ხასიათი მიიღო.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის განხორციელება დაკავშირებულია აგრეთვე მათი კადრების შერჩევასა და აღზრდასთან. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია საბჭოთა დაწესებულებათა გამოცდილი, მომზადებული და ინიციატივიანი კადრებით განმტკიცებისათვის. პარტიული ორგანოები სულ უფრო დიდ გავლენას ახდენენ ალმასკომების, მათი სამმართველო-

ბისა და მეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეთა თვისებრივი შემადგენლობა. პარტიული ორგანოები ისწრაფვიან, რომ ყოველმხრივ აამაღლონ ხელმძღვანელ საბჭოთა მუშაკთა პასუხისმგებლობა, მიაღწიონ იმას, რომ ისინი მუშაობდნენ ინიციატივიანად, თავიანთი სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებისას გვიჩვენებდნენ მაგალითს, ნაკლოვანებებისადმი იჩენდნენ ნამდვილ პარტიულ შეურიგებლობას, განუხრელად ახორციელებდნენ პარტიულ გადაწყვეტილებებს.

საბჭოების მუშაობაზე პარტიული გავლენის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა დეპუტატებად არჩეული პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა აქტივობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება. რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები აღწევენ, რომ კომუნისტ-დეპუტატებმა ხალხის რჩეულთა შორის მაგალითი გვიჩვენონ. პარტიული კომიტეტები სისტემატურად განიხილავენ კომუნისტ-დეპუტატთა ანგარიშებსა და ინფორმაციებს, ამაღლებენ საბჭოებში შექმნილი პარტიული ჯგუფების მუშაობის დონეს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები თანამიმდევრულად ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები უფრო ღრმად წვდებიან საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას, ზრუნავენ მათი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის. პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ხშირად იხილავენ საბჭოთა ორგანოებისა და დაწესებულებათა საქმიანობის საკითხებს. ამ საკითხების განხილვა კარგ შედეგებს იძლევა. პარტიული კომიტეტები უფრო სისტემატურად აანალიზებენ შესაბამისი ძირეული ორგანოების ხელმძღვანელობის პრაქტიკას საბჭოთა ორგანიზაციებისადმი. სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის საკითხებს სისტემატურად იხილავენ პარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ქიათურის, ცხინვალის, საქალაქო; აბაშის, ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გუდაუთის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ვანის, მახარაძის ხულოს, შუახევის რაიონული და სხვა პარტიული კომიტეტები.

ადგილობრივ საბჭოებში არჩეულ კომუნისტთა აქტივობის განვითარებისათვის მუდმივ პარტიულ მზრუნველობას იჩენენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, დედაქალაქის რაიონული კომიტეტები. ისინი ყურადღებით სწავლობენ კომუნისტთა მოღვაწეობას საბჭოების ალმასკომებსა და მათ აპარატში, მუდმივმოქმედ კომისიებში, პარტიულ ჯგუფებში.

პარტიული კომიტეტები აწყობენ პარტორგანიზაციის მდივანთა და დეპუტატთა მუშაობის გამოცდილების სემინარებს, რეგულარულად იწვევენ კომუნისტ-დეპუტატთა კრებებს, მათ ინფორმაციას აწვდიან იდეურ-პოლიტიკური, საწარმოო და კულტურული ცხოვრების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენებისა და მორიგი ამოცანების შესახებ.

რესპუბლიკის პარტიული ორგანოები და ორგანიზაციები თვალყურს ადევნებენ იმას, რომ საბჭოებში არჩეული კომუნისტები ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისას იყვნენ მაგალითის მაჩვენებლები. ბევრგან წარმა-

ტებით ხორციელდება სადეპუტატო სტატუსის მოთხოვნა, რომ დეპუტატები ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშით წარდგნენ მშრომელთა კრებებზე. დეპუტატისა და ამომრჩევლების ასეთ შეხვედრებში ირკვევა, თუ როგორ ემსახურება იგი ხალხს, როგორ ასრულებს მათ განაწესს, ვინც იგი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოში წარგზავნა. ინიციატივიანად მუშაობენ თბილისის ლენინის, ქუთაისის, რუსთავის, გურჯაანის, ზუგდიდის, ქობულეთის, საგარეჯოს, თელავის, ცხაკაიას, თერჯოლის, ფოთის, სოხუმისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ადგილებზე, უშუალოდ შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილებში მართავენ გამსვლელ სხდომებს, ხელმძღვანელი მუშაკები იღებენ მშრომელებს, ამოწმებენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობას, ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს, აგვარებენ გადაუჭრელ საკითხებს. მაგალითად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელები ხშირად ხვდებიან მშრომელებს, ოპერატიულად წყვეტენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მშრომელებისათვის არის სასარგებლო. ასეთი შეხვედრები მოეწყო გლდანის, ფონიჭალის, ვარკეთილის მასივებში, დიღმისა და საბურთალოს მიკრორაიონებში. თბილისის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის“, „ელმავალმშენებლის“, „ისნისა“ და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელებთან ხშირად მიდიან საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემავალი ცალკეული სამსახურების მუშაკები, დარგების ხელმძღვანელები. ისინი შრომით კოლექტივებში სწავლობენ განცხადებებს, თხოვნებს, საჩივრებს, წინადადებებს და იქვე, შეძლებისდაგვარად გვარდება ეს თუ ის საკითხი.

დეპუტატთა აქტივობის ამაღლების ქმედითი ფორმაა მუდმივმოქმედი კომისიები. მათ თავიანთ შემადგენლობაში ყავთ რა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები კვალიფიციურად არჩევენ მეურნეობისა და კულტურის ყველა საკითხს, გამოდიან საბჭოების წინაშე მდგომი მომწიფებული საკითხების განხილვის ინიციატორებად, ამოწმებენ კანონების შესრულებას.

უკანასკნელ წლებში პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერით ფართოდ გავრცელდა დეპუტატთა ჯგუფებისა და მიკრორაიონების საბჭოების შექმნა. დეპუტატთა ჯგუფები მონაწილეობენ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში, ამოწმებენ მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციას, გამოდიან საყურადღებო საწარმოო წამოწყებათა ინიციატორებად. ასეთი ჯგუფების შექმნა სახალხო დეპუტატებს ეხმარება უკეთ მოაწყონ თავიანთი მუშაობის კოორდინაცია იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ერთობლივ ღონისძიებებს მოითხოვენ.

მიკრორაიონების საბჭოების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გააძლიერონ მოსახლეობასთან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კავშირი, დაუახლოვონ მათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აამაღლონ მასების აქტივობა, გააძლიერონ მათი ზემოქმედება მიკრორაიონის ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაზე, აგრეთვე გაუადვილონ მოქალაქეებს ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გადაწყვეტა.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის დიდი მხიშ-

ვნელობა აქვს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის საკითხების პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და სხდომებზე, სემინარებსა და აქტივის თათბირებზე, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე განხილვას.

პრაქტიკაში დამკვიდრდა და თავისი დანიშნულება გაამართლა ცალკეულ საკითხებზე პარტიული და საბჭოთა ორგანოების ერთობლივმა დადგენილებებმა, რომლებიც ერთდროულად პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის კომპეტენციაში შედის. ასეთი გადაწყვეტილებები გვეხმარება პარტიული და საბჭოთა აპარატის მთელი ძალები წარვმართოთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ამაღლებაში დიდი სარგებლობა მოაქვს, აგრეთვე პარტიულ კრებებზე, მშრომელთა წინადადებებთან, საჩივრებთან და განცხადებებთან, მიღების ორგანიზაციასთან, შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

პარტიულ კომიტეტებში საბჭოების მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა სულ უფრო და უფრო რეგულარული ხდება, რაც ხელს უწყობს საბჭოებისა და მათი აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებას, პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლებას.

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი პროფკავშირულ ორგანიზაციებს უკავიათ. ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა რა სოციალისტურ საზოგადოებაში პროფკავშირების ამოცანებს მიუთითებდა „... ეს არ არის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ეს არ არის იძულების ორგანიზაცია, ეს არის აღმზრდელობითი ორგანიზაცია, საქმეში ჩაბმის, სწავლების ორგანიზაცია, ეს არის სკოლა, მართვა-გამგეობის სკოლა, მეურნეობის წარმართვის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“[4]. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პროფკავშირები უნდა წარმოადგენდნენ სოციალისტური მრეწველობის მართვის სკოლას.

სკკპ განუხრელად ატარებს ცხოვრებაში ლენინურ მითითებებს. ეს მთელი სისრულით პარტიის XXV ყრილობამ დაადასტურა. „პროფკავშირები, — აღინიშნა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, — მოწოდებული არიან უწინარეს ყოვლისა დაიცვან მშრომელთა უფლებები და ინტერესები, აქტიურად მუშაობდნენ საყოფაცხოვრებო, სოციალურ საკითხებზე. მაგრამ ისინი ბევრს ვერაფერს გააკეთებდნენ ამ დარგში, რომ არ ვითარდებოდეს წარმოება, რომ არ მტკიცდებოდეს შრომის დისციპლინა, არ იზრდებოდეს მისი ნაყოფიერება. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი პროფკავშირები თავიანთ საქმიანობაში მთავარ ყურადღებას უთმობენ მშრომელი ადამიანის ინტერესებს, მათი მოვალეობაა ზრუნვა წარმოების აღმავლობისათვის“[5].

ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში პროფკავშირების როლის ამაღლებამ ღრმა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ითვალისწინებს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად პროფკავშირების მონაწილეობას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაჭრაში, მათზე განამტკიცებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებებს. პროფ-

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 2.

[5] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 114.

კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონება, რომელიც მათი საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად სჭირდებათ დახასიათებულია როგორც სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძვლის — სოციალისტური საკუთრების ერთ-ერთ ფორმად.

პარტია დიდ მუშაობას ეწევა პროფკავშირების ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, მათი უფლებებისა და შესაძლებლობათა, გაფართოებისათვის. ყველა სახელმწიფოებრივ ორგანოში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა პრობლემის განხილვისას პროფკავშირებს უფლება აქვთ გამოდიოდნენ მუშათა და მოსამსახურეთა სახელით, მონაწილეობდნენ წარმოების სრულყოფის, შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების განხილვაში, ხოლო პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოები — ეკონომიკური და სოციალური გეგმების განხილვაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დებულებას პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების უფლებების შესახებ. იგი ადგილობრივ პროფკავშირულ კომიტეტებს საშუალებას აძლევს აქტიური გავლენა მოახდინონ წარმოების დაგეგმვაზე, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე, შრომის ორგანიზაციაზე, მშრომელთა ხელფასზე, ყოფაცხოვრებასა და დასვენებაზე.

პროფკავშირთა საქმიანობის დონე, მათი გავლენა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მშრომელთა აღზრდის ამოცანების გადაწყვეტისათვის ბევრად განისაზღვრება პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტთა აქტივობით. პარტია პროფკავშირებში მყოფი თითოეული კომუნისტისაგან მოითხოვს არა ფორმალურ წევრობას, არამედ მის ყველა საქმეში პრაქტიკულ მონაწილეობას.

პროფკავშირული მუშაობის დიდმნიშვნელოვან უბანს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია წარმოადგენს. პარტიული კომიტეტები და ორგანიზაციები როდი ცვლიან პროფკავშირებს, არამედ პირიქით ამაღლებენ მათ როლს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, ისწრაფიან სრულად გამოიყენონ ეს ნაცადი მეთოდი საწარმოო ძალების ამაღლების, წარმოების ურთიერთობათა სრულყოფისა და მშრომელთა აღზრდისათვის.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ამაღლებენ სამეურნეო ორგანოებისა და მათ ხელმძღვანელთა როლსა და პასუხისმგებლობას მშრომელთა მიერ აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად გამოყენებისათვის, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების წარმოებაში. დანერგვისათვის.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მატერიალურ-ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ეკონომიკურად დასაბუთებულ ვალდებულებათა შემუშავების მიზნით 1973 წლიდან შექმნილია სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის ხელმძღვანელობით. ანალოგიური კომისიებია შექმნილი პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, რომლებიც რეგულარულად განაზოგადებენ საწარმოო-დაწესებულებებში შრომითი მეტოქეობის მიმდინარეობას, ახორციელებენ მისი საჭიროების,

ეფექტიანობის, ქმედითობის ამაღლების ღონისძიებებს. სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობისა და ქმედითობის ამაღლებისათვის სასარგებლო მუშაობას ეწევიან საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული სოციალისტური შეჯიბრების მეთოდური კაბინეტი და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური კომისია.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა ფართო ლაშქრობას წარმოების რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის, მომჭირნეობისათვის, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. 1979 წლის მონაცემებით ინდივიდუალურ და ბრიგადულ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 2 მილიონი მშრომელი[6]. აქედან 858 ათასზე მეტი მონაწილეობდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისადმი მოძრაობაში. კომუნისტური დამკვრელის წოდება მინიჭებული ჰქონდა 344 500-ზე მეტ მონაწილეს. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა საქართველოს წარმატებები ბოლო შვიდი წლის მანძილზე ზედიზედ აღინიშნა გარდამავალი წითელი დროშებით.

რესპუბლიკის პროფკავშირები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში, უწინარეს ყოვლისა წარმოების სფეროში, მის მართვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის. ასეთი მიზნების ეფექტიანი ფორმაა მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები. პარტიული კომიტეტები ზრუნავენ მათ მონაწილეთა ფორმირებისათვის, მუშაობაში საქმიანი ატმოსფეროს შექმნისათვის, განსახილველი საკითხების აქტუალობისათვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამრიგად, რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პროფკავშირთა შესაძლებლობანი რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ. ეს კი პროფკავშირების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებას მოითხოვს. დასამალი არაა, რომ ზოგიერთი პროფკავშირული ორგანო, მათი აპარატი, პროფკავშირული აქტივისტები ჯერ კიდევ დიდ დროს კარგავენ სხდომების მოწვევით, სხვადასხვა ცნობისა და დადგენილების შედგენით. პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან მიაღწიონ პროფკავშირულ მუშაობაში კონკრეტულობასა და საქმიანობას, მასებთან მათი კავშირის განმტკიცებას. „ქაღალდების სიმრავლე კი არა, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი პროფკავშირების XVI ყრილობაზე, — მოჭარბებული და გახანგრძლივებული სხდომები კი არა, არამედ ზუსტი პოლიტიკური მიმართულება, გერგილიანობა, პრაქტიკული შედეგები — აი, ეს არის კრიტერიუმი, რომელთა მიხედვით შეიძლება შევაფასოთ და კიდევაც უნდა შევაფასოთ საზოგადოებრივი მუშაობა“[7].

სკკპ ერთგული თანაშემწე და მებრძოლია ლენინური კომკავშირი. მისი ძალისა და შემოქმედებითი აქტივობის ამოუწურავი წყარო პარტიის ხელმძღვანელობაში მდგომარეობს, სკკპ შეიმუშავა ახალგაზრდათა მოძრაობის იდეური და ორგანიზაციული პრინციპები, გახდა ახალგაზრდობის კომუნის-

---

[6] იხ. გაზ. „თბილისი“, 1979 წლის 13 სექტემბერი.

[7] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, საბჭოთა პროფკავშირები ჩვენი საზოგადოების გავლენიანი ძალაა, თბ., 1977, გვ. 18.

ტური მოძრაობის ორგანიზატორი. ამ მხრივ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის სიტყვას კომკავშირის III ყრილობაზე, რომელშიც პარტიის ბელადმა გენიალურად დაასაბუთა მოზარდი თაობის აღზრდის მეცნიერული პროგრამა და კომუნისტურ მშენებლობაში კომკავშირის ამოცანები.

სკკპ, რომელიც ლენინური ანდერძის ერთგულია მუდმივ მზრუნველობას იჩენს კომკავშირისადმი, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მისი ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, ჭაბუკებისა და ქალიშვილების აღზრდის შემდგომი სრულყოფის საკითხები ყოველმხრივ იქნა განხილული სკკპ ყრილობებზე, აგრეთვე სრულყოფილად აისახა მთელ რიგ პარტიულ დოკუმენტებში. სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ საგრძნობლად გააფართოვა ახალგაზრდობის, კომკავშირის მონაწილეობა პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაჭრაში.

მოზარდი თაობის აღზრდა რთული და ამასთან ერთად შემოქმედებითი პროცესია. შემთხვევითი არაა, რომ ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ახალგაზრდობას შორის მუშაობას. პარტიული მუშაობის სწორ დაყენებაზე, იმაზე თუ რა საშუალებებით ხდება სკკპ პოლიტიკის ახალგაზრდობის შეგნებამდე დაყვანა, თუ რა სახით ხორციელდება მილიონობით ახალგაზრდობის საქმიანობაში პარტიის იდეა ბევრადაა დამოკიდებული ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატებები. „ხშირად ხდება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ხნიერი და მოხუცი თაობის წარმომადგენლებმა არ იციან მიდგომა, როგორც საჭიროა, ახალგაზრდობისადმი, რომელიც აუცილებლობით იძულებულია სოციალიზმს სხვანაირად მიუახლოვდეს, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, არა იმ ვითარებაში, როგორც მისი მამები“[8]. ამასთან ერთად რჩევას იძლეოდა ახალგაზრდობასთან მუშაობისას გამოგვეყენებინა მათთვის მახლობელი და გასაგები ფორმები და მეთოდები, რადგან „ადამიანურ ემოციათა“ გარეშე არ ყოფილა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“[9].

ყოველივე ეს დიდად განსაზღვრავს როგორც ახალგაზრდათა ორგანიზაციების საქმიანობის თავისებურებებსა და სპეციფიკას, ისე კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილს. იგი მოითხოვს, რომ დავიცვათ გარკვეული ტაქტი და ზომიერება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პარტიის პოლიტიკურ საქმიანობაში ყოველთვის იყო და იქნება პედაგოგიკის ცნობილი ელემენტები. პედაგოგიკის ეს ელემენტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობასთან, კომკავშირთან მუშაობაში. პარტია კომკავშირს კი არ მბრძანებლობს, არამედ გაიყოლიებს თავისი გამოცდილების, ავტორიტეტის, მაგალითისა და დარწმუნების ძალით.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე განუხრელად დგას კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის სისტემატური გაუმჯობესების, კომკავშირულ ორგანიზაციებში პარტიული ბირთვის განმტკიცების, კომკავშირული კადრების მოთმინებით და ბეჯითად აღზრდის, მათთვის მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილების გაზიარების საკითხები.

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი ტ. 23, გვ. 210.

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზლებანი ტ. 20, გვ. 310.

პარტიული ორგანიზაციები ყურადღებით სწავლობენ ახალგაზრდობის მისწრაფებებს და ამის საფუძველზე იმუშავებენ აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ კომკავშირის საქმიანობის გაუმჯობესებას. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1973 წლის 8—9 ივნისს გამართული რესპუბლიკის კომკავშირული აქტივის კრება, რომელიც წარმოადგენდა კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის ძალისა და მნიშვნელობის თვალსაჩინო გამოხატულებას, მან დასახა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების გზები და საშუალებები, ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის აუცილებლობას.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები დიდ მნიშვნელობას აძლევენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, ისწრაფვიან, რომ ყველა ორგანიზაცია მებრძოლი სულისკვეთებით მოქმედებდეს, ახალგაზრდობა თავდადებით იბრძოდეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფისათვის. ამჟამად კომკავშირული კომიტეტები შექმნილია ყველა მსხვილ საწარმოში, რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. ერთიანი კომკავშირული ორგანიზაციებია შექმნილი საწარმოო გაერთიანებებში, სამშენებლო ტრესტებსა და ვაჭრობაში.

პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მათი თვითმოქმედების, ინიციატივისა და აქტივობის განვითარება. რესპუბლიკის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში. კომკავშირლები წარმატებით შრომობენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ბაიკალ-ამურის მაგისტრალისა და კამის საავტომობილო ქარხნის „ატომმანქანის", ნავთობქიმიისა და მეტალურგიის საწარმოების მშენებელთა რიგებში. საქართველოს კომკავშირის წარგზავნილები მუშაობდნენ 27 საკავშირო და რესპუბლიკურ დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე[10]. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ნახევარ მილიონზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა მუშაობდა. ახალგაზრდობაში ფართოდ გავრცელდა რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივა: „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით". 600 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მონაწილეობდა პატრიოტულ მოძრაობაში „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს—ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!". 240 ათასზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა შრომით ვახტში „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა"[11]. საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მკაფიო გამოხატულება გახდა გადაძახილი: „სწორება კომუნისტებზე", რომელიც ჩატარდა დევიზით: „თითოეულისაგან — პერსონალური პასუხისმგებლობის მაქსიმუმი, თითოეულს — კომკავშირული მზრუნველობისა და ყურადღების მაქსიმუმი!". ჩატარდა რესპუბლიკური კომკავშირული კრება დღის წესრიგით: „ფორმალიზმი-აღზრდის უპირველესი მტერი!". ლენი-

---

[10] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1978 წლის 23 მაისი.

[11] იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1978 წლის 18 თებერვალი.

ნის ორდენით საქართველოს კომკავშირის დაჯილდოების პასუხად მოეწყო რესპუბლიკის ახალგაზრდობის გადაძახილი დევიზით: „შენთვის პარტიავ! შენთვის სამშობლოვ!". გადაძახილის დროს კიდევ უფრო გავრცელდა ახალგაზრდა მშრომელთა პატრიოტული ინიციატივები.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების ნათელი დადასტურება იყო ლენინის ორდენითა და ოთხჯერ ზედიზედ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოება. ეს ჯილდოები ღირსეული შეფასებაა იმ ნაყოფიერი მუშაობისა, რომელსაც რესპუბლიკის კომკავშირი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით ეწევიან ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი პირობაა კომკავშირული კადრების შერჩევა და აღზრდა. კომკავშირული ორგანიზაციების წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ხელმძღვანელობს მას. პარტიული ორგანიზაციების მზრუნველობის შედეგად წლითიწლობით უმჯობესდება კომკავშირული კადრების შემადგენლობა, იზრდება მასში პარტიული ბირთვი. 1979 წლის მონაცემებით რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში 39 ათასამდე ახალგაზრდა კომუნისტი მუშაობდა. ეს ციფრი თითქმის ორჯერ აღემატებოდა 1973 წლის მაჩვენებელს. საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე კომუნისტთა რაოდენობა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს შორის[12].

რესპუბლიკის მთელმა რიგმა პარტიულმა კომიტეტებმა მოისმინეს ანგარიშები იმ კომუნისტებისა, რომლებიც კომკავშირში მუშაობენ. ახალგაზრდა ხელმძღვანელებს იწვევენ პარტიული და პარტიულ-სამეურნეო კრებების მუშაობაში. საოლქო, საქალაქო და რაიონული კომკავშირული კომიტეტების პირველ მდივანთა უმრავლესობა არჩეულია შესაბამის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში. წარმოებათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციების მდივანთა დიდი ნაწილი პარტიული კომიტეტების შემადგენლობაშია არჩეული.

ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემაში მნიშვნელოვანი რგოლია კოოპერაციის სხვადასხვა ფორმა. მათ შორის ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანია კოლმეურნეობები. აქ უპირველეს ყოვლისა მიმდინარეობს გლეხობის ახალი, სოციალისტური ყოფის ჩამოყალიბება, რომლის საფუძველზე ძირეული გარდატეხა ხდება მათ შეგნებაში.

საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და კოოპერაციის გარდა სოციალისტურ საზოგადოებაში არის აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, თავდაცვითი, სპორტული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები. თითოეული მათგანი თავის მუშაობას ეწევა მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილში, აერთიანებს მშრომელთა განსაზღვრულ რაზმებს, ხელს უწყობს მათ შემოქმედებით აქტივობასა და თვითმოქმედებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო ინტერესებისათვის.

თითოეულ კოლმეურნეობაში, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი ორგანიზაციის აპარატში მოქმედებენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. პარტია მაღალ მოთხოვნებს უყენებს მასობრივ ორგანიზაციებში თავის წარ-

---

[12] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1979 წლის 25 სექტემბერი.

გზავნილებს, დაკავებული თანამდებობის განურჩევლად მკაცრად თხოვს თითოეულს, თუ როგორ ასრულებს თავის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობებს, რამდენად ენერგიულად იბრძვის მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისადმი მეცნიერული დონის ამაღლებისას ადგილობრივი პარტიული ორგანოები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები კომუნისტების მეშვეობით განუწყვეტლივ სრულყოფენ და ხვეწენ მათზე თავიანთი პოლიტიკური გავლენის ხელოვნებას.

სკკპ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს არაპარტიულ ორგანიზაციებში პარტიული ჯგუფების შექმნასა და აქტიურ საქმიანობას. ახალი საზოგადოების მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა ამ ორგანიზაციული ფორმის როლს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის.

სკკპ ცენტრალური, კომიტეტის დადგენილებებში, რომლებიც ამ ორგანიზაციების საქმიანობას შეეხება მრავალგზისაა მითითებული პარტიული ჯგუფების შემდგომ გაძლიერებაზე. მათი მუშაობის სრულყოფა საბჭოებისადმი, სხვა არაპარტიულ ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების ძირეულ საკითხებს წარმოადგენს.

ყოველივე ამის შედეგად პრაქტიკული მუშაობის პროცესში დაიხვეწა პარტიული ჯგუფების საქმიანობის ფორმები და მეთოდები. თანამედროვე პირობებში პარტიული ჯგუფებისათვის რა არის ყველაზე უფრო დამახასიათებელი?

უპირველეს ყოვლისა ესაა მუშაობის გეგმიური და მიზანდასახული დაყენება. საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის არჩევით ორგანოებში და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში პარტიული ჯგუფები მოქმედებენ არა მარტო მიმდინარე გეგმებით, არამედ უმთავრესად მთელი მათი არჩევითი ვადის პერსპექტიული გეგმებით. ეს გეგმები პარტიული ორგანოების დახმარებით დგება და საკითხთა ფართო წრეს მოიცავენ.

პრაქტიკა, ადასტურებს, რომ პარტიული ჯგუფები იყვნენ და დღესაც რჩებიან საბჭოებსა და სხვა არაპარტიულ ორგანიზაციებში პარტიული გავლენის ქმედით ინსტრუმენტად, კომუნისტთა ორგანიზაციის ნაცად ფორმებად.

პარტიული ჯგუფების მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და შესაბამისი პარტიული ორგანოების მხრივ მათდამი ხელმძღვანელობის პრაქტიკით ნათელი ხდება, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოცემული კატეგორიის პარტიული ჯგუფების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებასა და მათი როლის ამაღლების საკითხებს, ზოგჯერ უპირატესობას აძლევენ პარტიული ჯგუფის გვერდის ავლით არაპარტიულ ორგანიზაციებს მისცენ თავიანთი მითითება. ეს ერთი მხრივ, პარტიული კომიტეტების მიერ საბჭოებსა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების მაგივრობასა და დუბლირებას იწვევს, ხოლო მეორე მხრივ, ასეთ პირობებში კომუნისტები კარგავენ ინიციატივასა და პასუხისმგებლობას, ვერ სრულყოფენ მასებში ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის

თავიანთ ჩვევებს. „საბჭოების საქმიანობას რომ ხელმძღვანელობს, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სრულიადაც არ ეწევა მათ მაგივრობას, ზუსტად მიჯნავს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებს, თავის გეზს ახორციელებს უწინარეს ყოვლისა საბჭოებში მომუშავე კომუნისტების მეშვეობით“[13].

მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში პარტიის პოლიტიკის გამტარებლად პარტიულ ჯგუფებთან ერთად პირველადი პარტიული ორგანიზაციები გამოდიან. საქმე ეხება იმ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილია კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებში, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატში. მათი როლი განსაკუთრებით ამაღლდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შემდეგ, როცა, გავრცელდა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლება აპარატის მუშაობისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად, საბჭოთა კანონების დასაცავად.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ რა ამ უფლებას უფრო ქმედით გავლენას ახდენენ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა მასობრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე, თანამშრომლებს ზრდიან მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, ამაღლებენ მათ ორგანიზებულობასა და დისციპლინას, შრომის მართვის კულტურას. ისინი უპირველეს ყოვლისა ზრუნავენ კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებაზე სხვადასხვა დაწესებულებათა კოლექტივის ცხოვრების ყველა სფეროზე. ამისათვის იყენებენ მდიდარ ფორმებსა და მეთოდებს. მათ შორის დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომუნისტთა ინფორმაციების მოსმენას სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების შესახებ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებამ კიდევ უფრო გააფართოვა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სფერო, აამაღლა მათი პასუხისმგებლობა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის.

პარტიული კომიტეტები იყენებენ არაპარტიული ორგანიზაციების გააქტიურებისათვის საინტერესო ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის კოლექტიურ და ინდივიდუალურ ფორმებსა და მეთოდებს. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ღებულობს საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მიერ მასობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში მომუშავე კომუნისტთა თათბირების მოწვევა, მათთან ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა პირადი კონტაქტები, ინდივიდუალური საუბრები და სხვა.

ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამაღლებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის მეცნიერულ დონეს. უკანასკნელ წლებში საბჭოების, პროფკავშირის, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკა ამა თუ იმ ფორმით განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიულმა კომიტეტებმა და ორგანიზაციებმა. ეს საშუალებას იძლევა სრულვყოთ სახელმწიფოებრივი და მა-

[13] ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, გვ. 20.

სობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, ავამაღლოთ მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, განვაზოგადოთ გამოცდილება, ვამხილოთ და გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი.

მშრომელთა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდ როლს ასრულებენ სახელმწიფოს მიერ სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციების განხორციელებაში, მშრომელებისათვის სახელმწიფო და საზოგადოების მმართვის ჩვევების გამომუშავებაში, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცებაში. ისინი წარმოადგენენ მძლავრ ღვედებს საბჭოთა ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განვითარებისათვის. მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები კომუნისტური პარტიის პოლიტიკას არა მარტო ცხოვრებაში ახორციელებენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებენ მის შემუშავებაში.

საბჭოთა სახელმწიფოსა და მოძმე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის მეშვეობით შესაძლებელია ყველა მასობრივი ორგანიზაციის წარმატებით მუშაობა, მათი ინიციატივისა და თვითშემოქმედების განვითარება კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას სახელმწიფოებრივ და მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში მიზნად აქვს დასახული მშრომელთა შორის მათი როლის გაძლიერება და მასებთან პარტიის კავშირის ყოველმხრივი განმტკიცება.

წარმოადგინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ
კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა

академик АН Армянской ССР, Г. Б. ГАРИБДЖАНЯН,
Г. А. АВЕТИСЯН

## ОКТЯБРЬ И ОСВОБОЖДЕНИЕ АРМЯНСКОГО НАРОДА

Трудящиеся Советской Армении в великой семье народов СССР в условиях бурного политического и трудового подъема отмечают 60-летие победы Советской власти в Армении и образования Компартии своей республики. Эти взаимосвязанные исторические события они рассматривают как продолжение 110-летия со дня рождения основателя и руководителя КПСС и советского государства, вождя и учителя трудящихся всего мира, освободителя армянского народа В. И. Ленина.

Армянская ССР — детище Великой Октябрьской социалистической революции. Только Великий Октябрь, победа ленинской национальной политики сделали возможной победу многовековой освободительной борьбы армянского народа. Об этом прекрасно сказал верный ученик и соратник В. И. Ленина, первый председатель Советского правительства в Армении Александр Мясникян: «Советская ориентация — есть лучшая из всех ориентаций. Этому мы научились благодаря партии коммунистов»[1].

В братской семье советских народов вот уже 60 лет бурно развивается и расцветает Армянская Советская Социалистическая Республика. «Исторический опыт Советской Армении, — сказал Л. И. Брежнев, — еще и еще раз убеждает в том, что настоящий расцвет наций достигается не на путях национальной замкнутости и обособления, а в результате гармонического взаимообогащения, развития в братской семье социалистических наций и народов»[2].

История одного из древнейших и культурных народов — армян — насчитывает тысячелетия. Еще за пятьсот лет до нашей эры армянский народ основал свою государственность, создал самобытную культуру. Уже в V веке у армян была своя письменность, создателем которой был гениальный Месроп Маштоц. Из глубины веков до нас дошли труды историка Мовсеса Хоренаци, философа Давида Анахта (Непобедимого), ученого Анания Ширакаци, творения крупнейших средневековых поэтов Григора Нарекаци, Наапета Кучака и Фрика, Саят-Новы и многих других; бессмертный эпос «Давид Сасунский», вошедший в золотой фонд мировой культуры.

Однако древняя армянская земля веками была ареной многочисленных войн, направленных на покорение свободолюбивого и героического народа. Огнем и мечом проходили по Армении римские, персидские, арабские и сельджукские, монгольские, турецкие и другие захватчики. Всем им нужна была Армения, но без армян. В огне героической борьбы против внутренних угнетателей и иностранных завоевателей армянский народ с глубокой верой в свое будущее искал пути социального и национального освобождения. Эта борьба оз-

---

[1] Ал. Мясникян, Избранные произведения, Ереван, 1965, с. 372.

[2] Л. И. Брежнев, Ленинским курсом. Речи и статьи, т. 3, М., 1972, с. 174.

[40] ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 242, лл. 175—176; д. 247, лл. 196—204; д. 248, лл. 56, 60—62, 161—175, 198—224, 243, 288; д. 249, лл. 79—80; 104, 121, 168—170; д. 250, лл. 33, 71, 96, 97.

[41] ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 248, лл. 17—18.

[42] Там же, л. 267.

[43] Там же, лл. 266—267, 270.

[44] ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 248, л. 232.

ними вышел все же очень скромный и вполне впрочем соответствующий малопроизводительности у нас промышленной деятельности»[45].

Сведения о состоянии уровня промышленного развития на Кавказе в устах царского чиновника звучат как укор кавказской администрации, которая не находила достаточных средств для обеспечения широкого показа края на выставке. Кавказские предприниматели не всегда желали участвовать на выставках через административные комитеты и, повинуясь принципу частного предпринимательства — основного двигателя капитализма, утвердившегося в описываемый период в России, сами непосредственно посылали экспонаты на различные выставки. Именно на это обращает внимание И. Хатисов: «единственная наша бойкая нефтяная промышленность и та, к сожалению, поместилась вне нашего отдела в общей группе заводских предметов.

Пять бакинских фирм выставили там свои продукты в изящных витринах и этажерках. Мне говорили, что Рогозину выставка его продуктов обошлась до 7000 рублей. Фирма Нобеля устроена также богато, что-то в мавританском стиле. Затем где-то я видел огромную и прекрасную коллекцию предметов Северного Кавказа и Дагестана, но не успел узнать, чья она, говорят, какого-то любителя. В отделе вин я заметил также витрину с кавказскими винами. Как видно, каждый распорядитель старался обогатить свой отдел предметами. У меня даже чуть не отбили лесную коллекцию для помещения в общем лесном отделе»[46].

На выставке в Москве в довольно большом количестве демонстрировались кавказские вина. Причем подавляющее число их занимали грузинские. Такое широкое представительство вин вызвало необходимость специальной экспертизы:

«Кавказские вина обратили на себя особое внимание; экспертиза их произведена с особой тщательностью и строгостью, и найдя эти вина заслуживающими покровительства, возбужден вопрос об открытии школы виноделия»[47]. Экспертиза вин, присланных с Кавказа, была проведена специалистами, виноторговцами, представителями науки и частными любителями. В состав экспертной комиссии вошли: виноторговцы из Москвы и Петербурга Бадер и Леман, землевладелец и винодел из Крыма Голицын, чиновник министерства финансов Глуховский, представитель виноделов Бессарабии и Дона Арнольд Цабель. В работе экспертизы принимал участие и Хатисов[48].

Дегустация вин продолжалась четыре дня, причем, как пишет в своем докладе И. Хатисов, все были удивлены высоким качеством вин. Далее автор доклада уточняет, что из кизлярских вин найдены хорошими вина Кананова и Зурабова, очень понравился сорт Абрау. Второй день был посвящен абхазским, карталинским и борчалинским. Эксперты особо отметили вина князя Мухранского из Мухрани. Эксперты были удивлены дешевизной белого вина «Св. Нина» стоимостью в 1 рубль 50 копеек. Член экспертной комиссии Бадер выразил удивление по поводу того, что это вино в России неизвестно[49].

И. Хатисов в своем докладе, сообщая об успехе вина кн. Мухранского, писал, что один из русских виноторговцев Арноев, здесь же на

---

[45] ЦГИАГ ф. 241, оп. 3, д. 248, л. 233.

[46] Там же.

[47] Там же.

[48] Там же, 288, л. 2.

[49] Там же, л. 6.

экспертизе сделал заказ на вина князя Мухранского в размере 400 бутылок[50].

Эксперты одобрили вина, представленные Атанольянцем, кахетинские — князя Джорджадзе и ряд других. Признание экспертами кавказских вин имело большое значение, так как это открывало путь к широкой торговле винами по всей России. Торговля винами кавказского производства уже велась в русских городах, но в малых масштабах из-за различного рода махинаций виноторговцев.

По инициативе И. Хатисова была проведена экспертиза всех кавказских вин, продающихся в подвалах России. После экспертизы специалисты пришли к выводу, что все эти вина ничего общего не имеют с кавказскими[51]. И. Хатисов в качестве примера приводит виноторговцев Смирновых:

«Смирновы, закупающие все количество кизлярских вин и фабрикуя из них разные напитки под разными названиями, с целью выставляют в своих подвалах какую-то микстуру, называя ее кизлярским вином, чтобы скрыть от публики действительные качества кизлярского вина и этим способом удержать в своих руках всю торговлю этими винами»[52].

Такое отношение к вопросу о виноторговле не устраивало кавказских производителей вина, так как низкое качество подделок отпугивало покупателей. Экспертиза вин на выставке подтвердила, что вина из Грузии достойны внимания и что их доставка в Россию стоит соответствующих затрат. Грузинские виноделы с большой охотой взялись за расширение винопроизводства.

Как обычно, на выставке состоялось присуждение наград. По количеству наград, полученных кавказскими экспонентами, промышленно-художественная выставка 1882 г. в г. Москве была продуктивной. Награды кавказским экспонатодателям были распределены следующим образом: два экспонатодателя получили «Право изображения государственного герба» на своей продукции; «Золотых медалей» удостоились четыре участника; «Серебряными медалями» награждены 16 экспонатов Кавказского отдела; «Бронзовых медалей» Кавказом получено самое большое количество — 41; «Почетными отзывами» были награждены 11 экспонатов; «Денежные премии» были выданы 3 лицам; «Дипломы I разряда» получили 3 экспонатодателя; «Дипломами II разряда» были удостоены 10 экспонатов; «Дипломами III разряда» были награждены 12 экспонатов; «Диплом IV разряда» достался только 5 экспонатам[53].

Всего наград было получено 107. Наибольшее количество — более двадцати — досталось винам, по шесть наград получили шелк, сукно и нефтепродукты, четыре награды достались табаку и гравильным работам кавказских мастеров, три награды получили ковровые изделия и бурки, из других экспонатов наградами были отмечены хлопок, паюсная икра, стеариновая масса, пианино, рельефная карта Кавказа, фотоснимки видов Кавказа, семейство пчел, сушеные сливы, кожаные изделия, пиво, лимонад, седла, пшеница и др.

Перечень награжденных экспонатов показывает, каким богатым ассортиментом товаров для производства и продажи располагал Кав-

---

[50] ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 288, л. 9.

[51] Там же, л. 13.

[52] Там же, л. 13—14.

[53] ЦГИАГ, ф. 241, оп. 3, д. 248, лл. 370—380.

каз и как важно было для торговцев и производителей ознакомление с возможностями Кавказа — этой обширной колонии России.

Традиционно после закрытия выставки экспонаты продавались или возвращались обратно экспонатодателям или же передавались различным музеям и обществам. К сожалению, не сохранилось данных о судьбе всех экспонатов, но о некоторой части имеются сообщения, что ряд из них, которые не подлежали возврату своим владельцам, переданы были музеям г. Москвы. В частности, Музею прикладных знаний была передана минералогическая коллекция[54].

Оценивая участие Грузии в описываемой экспозиции и определяя целесообразность проведения выставок, газета «Кавказ» писала, что «выставки — это затея нашего времени, века развития промышленности и торговли. Как общая, так и специальная польза от выставок настолько признана в культурных странах, что ныне народы и государства, наперерыв друг перед другом, усердно стремятся к состязанию на этих торжищах успехов труда, искусства и изобразительности»[55].

Участие в промышленно-художественной выставке 1882 г. в г. Москве имело большое значение для развития народного хозяйства Грузии. В дальнейшем, в 80—90-х годах, в Грузии получили развитие многие отрасли промышленности и сельского хозяйства. Отдача от участия Грузии в выставке заключалась в том, что внимание промышленников страны прежде всего привлекли сырьевые ресурсы Кавказа, доказательством чего является увеличение вывоза марганца, каменного угля и нефти.

Обращая внимание на экспонаты, получившие награды в Москве, можно сделать вывод, что устроители выставки не на последнее место ставили произведения ювелиров, являющиеся предметом большого спроса в крупных городах империи, в связи с чем расширялось ремесленное производство.

Участие Кавказа в художественно-промышленной выставке 1882 г. в г. Москве внесло ценный вклад в установление контактов с промышленниками империи. Выставка во многом способствовала укреплению связей между передовой общественностью Грузии и России, которая не оставляла без внимания смотры достижений, устраиваемые в крупных городах России, комментируя их в печати и тем самым вызывая интерес к истории и современному состоянию Грузии и ее народу.

---

[54] ЦГИАГ, ф. 341, оп. 3, д. 248, лл. 370—380.

[55] «Кавказ», 1882, № 208.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
**თინათინ ყაუხჩიშვილი**

# კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით*

## 2. ჰენიოხები

ბერძნულ-რომაულ წყაროებში არის რამდენიმე სატომო სახელი, რომელიც იხსენიება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს როგორც ჩრდილოეთ მონაკვეთზე, ასევე სამხრეთისაზე. ესენი არიან — ჰენიოხები, სანი-სანიხები (სანიგები), კერკეტები და ლაზები. სახელი ერთია, ტერიტორია არცთუ ისე დაშორებული ერთმანეთისაგან. ამიტომ დგება საკითხი, ეს ერთი და იგივე ტომია, თუ ორი სხვადასხვა. თუ ერთი და იგივეა, რითი ავხსნათ მათი 2 განსხვავებულ ტერიტორიაზე ცხოვრება, ხოლო თუ სხვადასხვა, რა არის ეს საერთო სახელი (სხვა რიგისაა სატომო სახელები — აქაები, იბერები, ალბანები, მახლიები, სადაც ერთი სახელის ორი სხვადასხვა ტომი გვაქვს, ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულ მანძილზე და თვით ძველი ავტორები ცდილობენ ახსნას — რატომ აქვთ მათ საერთო სახელი). მეტწილად ტომთა გადასახლებით ხსნიან სახელების ერთგვარობას.

მასალა ამ ტომთაგან ყველაზე მეტი ჰენიოხების შესახებ მოგვეპოვება.

ბერძნულ წყაროებში მათ ეწოდებათ Ἡνίοχοι, ლათინურში Heniochi ან Eniochi (ჰაეს გარეშე). სიტყვა ἡνίοχος (და მისგან წარმოებული სხვა ფორმები) ჰომეროსის დროიდან არის დადასტურებული ბერძნულ მწერლობაში და კარგადაა ცნობილი ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის. სიტყვა წარმოებულია, იგი შედგება 2 ელემენტისაგან—ἡνία სადავე და ἔχω მაქვს, ე. ი. ἡνίοχος არის პირი, ვისაც სადავე უჭირავს, გადატანით—ვინც ეტლს მართავს, ანუ მეეტლე.

ამავე სახელწოდების, ან შესაძლოა ამდაგვარივე სახელწოდების ტომს გაეცნენ ბერძნები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მეტისმეტად მომხიბვლელი იყო ამ სატომო სახელის მსგავსება კარგად ცნობილ ბერძნულ სიტყვასთან—ἡνίοχος და შეიქმნა კიდევაც თქმულება, რომლის ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი დღესდღეობით სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ — XI, 2, 12 „ჰენიოხია დაასახლეს ლაკონელებმა, რომელთაც მეთაურობდნენ დიოსკურების მეეტლეები, რეკასი და ამფისტრატოსი. როგორც ჩანს, მათგან მიიღეს სახელწოდება ჰენიოხებმა“. ლუკანი (I ს.) (სამოქალოქო ომი, III) პომპეუსის ლაშქარში ახსენებს ლაკედემონელ ჰენიოხებს, სწრაფი სრბოლით საშინელ ტომს; ხოლო მისი ერთი სქოლიასტი ამ ადგილს ასე განმარტავს: „ჰენიოხები (Enicchi) — ტომი ზღვისპირა სკვითიაში, მხედრობა ისწავლეს კასტორისა და პოლუქსისაგან“. ხოლო მეორე — „ლაკედემონია საბერძნეთშია. მისი მცხოვრებლები მოვიდნენ (აქ) და დააარსეს სახელმწიფო (civitatem), აქედან ეწოდა (ამ

---

* დასაწყისი იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 3.

ხალხს) ჰენიოხები. ჰენიოხები—ტომი ზემო აზიაში, პონტოს ნაპირას, იმიტომ ეწოდათ მათ ჰენიოხები, რომ ძალიან განსწავლულნი არიან ცხენების მართვაში. ჰენიოხოს—ბერძნულია, auriga (-მეეტლე) ლათინური".

პომპონიუს მელას ცნობით, „ჰენიოხთა საზღვრებშია დიოსკორია, კასტორისა და პოლუქსის მიერ დაარსებული, როცა ისინი იასონთან ერთად პონტოში შემოვიდნენ (I 111).

პლინიუსი წერს: „ზოგიერთების აზრით ეს ქალაქი (ე. ი. დიოსკურიასი) დაარსეს კასტორისა და პოლუქსის მეეტლეებმა, ამფიტოსმა და თელხიოსმა, რომელთაგანაც, თითქმის მტკიცედ შეიძლება ითქვას, წარმოიშვა ჰენიოხთა ტომი" (VI, 16).

დიონისიოს პერიეგეტი აქაჲების მიყოლებაზე ახსენებს ჰენიოხებსა და ძიგიებს, პელაზგური ქვეყნის შვილებს (ეს განსაზღვრება ორივეს ეხება თუ არა, არ ვიცი), იქვე ტინდარიდების ქვეყანას და კოლხებს (680—700). ევსტათი თესალონიკელის კომენტარში მოყვანილია სტრაბონის ტექსტის ზემოთ განხილული ნაწყვეტი (ჰენიოხებისა და ლაკონელთა ურთიერთობის შესახებ) და შემდეგ — ხარაქსის მოთხრობა: არგონავტები შავ ზღვაში მარტო 1 ხომალდით, არგოთი კი არ შევიდნენ (როგორც ეს საყოველთაოდ გავრცელებულ გადმოცემაშია), არამედ ბევრით. ზოგ მათგანს გზა დაეკარგა. ერთ-ერთ ასეთ ხომალდზე იყვნენ ტინდარიდების, ანუ დიოსკურების მეეტლეები, რომელთაგანაც მიიღეს სახელები ჰენიოხთა და ტინდარიდთა ტომებმა და თვით დიოსკურიის ქვეყანამაც.

პომპეუს ტროგუსის ნაწარმოებში (რომელიც, როგორც ცნობილია, იუსტინიუსის (II-III სს). თხზულების სახით არის ჩვენამდე მოღწეული) ნათქვამია: „ზოგიერთ ხალხს (populis) იასონმა წინამძღოლებად (duces) მიუჩინა ფრიგიასი და ამფისტრატოსი, კასტორისა და პოლუქსის მეეტლეები" (42, 3,3) (ე. ი. იასონი მეორედ მოდის კოლხეთში, ეხმარება აჲეტესს მეზობლების დაპყრობაში. დაპყრობილი ნაწილი გადასცა სიმამრს, ხოლო ნაწილი--იმ ხალხს, რომელიც თან მოიყვანა—ე. ი. ამ მეეტლეებს, როგორც ჩანს, მისცა „ჰენიოხია").

სოლინუსს (II ს.) ასეთი ცნობა აქვს დაცული: „კოლხიდის ქალაქი დიოსკურიადა დააარსეს კასტორისა და პოლუქსის მეეტლეებმა, რომელთაგანაც წარმოსდგა ჰენიოხთა ტომი" (15, 17. ამბავი არგონავტთა ლაშქრობის დროისაა).

ამიანუს მარცელინუსი წერს: (კოლხებსა და აქაჲებს შორის) — (აქაა) ამჟამად კარგად ცნობილი დიოსკურიასი, მისი დამაარსებლები, გადმოცემის თანახმად იყვნენ სპარტელები, ამფიტოსი და კერკიოსი, კასტორისა და პოლუქსის მეეტლეები, მათგან წარმოიშვა ჰენიოხთა ერი (natio) (22, 8, 24).

ამგვარად, მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვადგინე ანტიკური ლეგენდები ჰენიოხთა წარმოშობის შესახებ. მათში საერთოა ის, რომ ჰენიოხების მამამთავრებად მიჩნეული არიან არგონავტთა ლაშქრობის მონაწილენი, ლაკონელები (იგივე სპარტელები), დიოსკურების, ანუ ტინდარიდების მეეტლეები; ლუკანის ვარიანტის მიხედვით — თვით დიოსკურები. მათ სახელთანვეა მჭიდროდ დაკავშირებული ქ. დიოსკურია (რაც იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ გარკვეულ დროს მაინც დიოსკურია მათი წარმოდგენით ჰენიოხების ტერიტორიაზეა). განსხვავება ამ ლეგენდებში მეეტლეების სახელებშია: ერთს ჰქვია ამფისტრატოსი (სტრაბონი, ტროგუს-იუსტინიუსი), ან ამფიტოსი (პლი-

ნიუსი, ამიანუს მარცელინუსი) (ამ სახელთა დაახლოება პალეოგრაფიულ ნიადაგზე ადვილია), ხოლო მეორე სახელის 4 ვარიანტი გვაქვს — რეკასი ან კრეკასი (სტრაბონი), თელხიოსი (პლინიუსი), ფრიგიასი (ტროგუს-იუსტინუსი) და კერკიოსი (ამიანუს მარცელინუსი), რაც ასე ადვილად არ დავა I ფორმამდე (კრეკასი და კერკიოსი კიდევ შეიძლება ერთი სახელის გადასხვაფერება იყოს და მასშიც „კერკეტების" ეპონიმი იმალებოდეს, „ტელხიოს" // „თელხიოსსა" და „ფრიგიოსს" მათთან, ცხადია, ვერ დავაკავშირებთ).

ამ გადმოცემის პოზიტიურ მარცვლად ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ანტიკურ ტრადიციაში არსებობდა ცოდნა ტომთა მიგრაციის შესახებ, ამდენად ბერძნულად გააზრებული ტომის სახელი საბერძნეთსავე დაუკავშირდა ისიც იმ პერიოდისათვის, როდესაც შეიძლებოდა ბერძენი შავი ზღვის სანაპიროზე მოხვედრილიყო (არგონავტთა ლაშქრობის დროს).

ვიდრე ამ სატომო სახელის მეცნიერულ ანალიზს წარმოვადგენ, მინდა ამ ტომის საცხოვრისზე ვილაპარაკო.

თავიდანვე შემიძლია განვაცხადო — უფრო ძველ წყაროებში ეს ტომი იხსენიება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო მონაკვეთზე, ხოლო უფრო ახალ წყაროებში ის სამხრეთ მონაკვეთზეა. სხვათა შორის, Pape-ს ცნობილ ლექსიკონში ამ ტომის მხოლოდ ასეთი ლოკალიზაციაა: Ἡνίοχοι: Volk an der nordöstliche Küste des Pontus Euxinus...(მოყვანილია მთელი ლიტერატურა, ისიც, სადაც ეს ტომი უფრო სამხრეთით იხსენიება). არის რამდენიმე ავტორი, რომელთანაც ეს ტომი ორივეგან იხსენიება, მაგრამ სრულიად გარკვეულად თვითონ ამ ავტორების მიმართ მათი სხვადასხვა დროის წყაროების საკითხი დგება. რომელიმე ავტორთან „ჰენიოხის" მოუხსნებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მის დროს ეს ტომი საერთოდ არ არსებობდა. მაგ., დარწმუნებული ვარ, ჰეკატაიოსის თხზულება რომ მთლიანად მოღწეულიყო, მას ეყოლებოდა ჰენიოხები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შედარებით ჩრდილო სექტორში. მაგრამ, როგორც ცნობილია, მისი თხზულების ეს ნაწილი არ არსებობს, ამიტომ ჰენიოხების ისტორიას მასზე უფრო მოგვიანო ხანის ავტორებით ვიწყებთ. ცნობებს ჰენიოხთა საცხოვრისისა და ყოფის შესახებ წარმოვადგენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

უძველესი ცნობა დაცულია ჰერაკლიდესთან. დღესდღეობით დადგენილია, რომ ჰერაკლიდეს „პოლიტიები" არისტოტელეს „პოლიტიების" ექსცერპტებს წარმოადგენენ. არისტოტელეს ეს თხზულებები არაა შემონახული, მაგრამ **Ἀθηναίων πολιτεία**-სა და სხვა მოზრდილი ფრაგმენტების საფუძველზე ისიც ვიცით, რომ ამ „პოლიტიებში" I ნაწილი იქნებოდა ისტორიული, ხოლო II — სისტემატური, ანუ ასახავდა ამა თუ იმ სახელმწიფოში ავტორის თანამედროვე ვითარებას. „პოლიტიები" თარიღდებიან არისტოტელეს ცხოვრების უკანასკნელი წლებით[1], ე. ი. ისინი ძვ. წ. IV ს-ის უკანასკნელ მესამედში არის შექმნილი.

როგორც ჩანს, ფასისი არისტოტელეს დროს საკმაოდ სახელმოხვეჭილი და ბერძენთათვის კარგად ცნობილი ქალაქი იყო[2], და ამის საბუთად თუნდაც ის გამოდგება, რომ არისტოტელემ სხვა სახელმწიფოებთან ერთად მისი წყობილების აღწერაც მოინდომა. აი, ამ პოლიტიის I ფრაგმენტი, როგორც ჩანს, მისი

[1] Heraclidis Lembi Excerpta Politiarum, ed. and. transl. by M. R. Dilts. Durham, 1971 (ეს ფრაგმენტი არის გვ. 28).

[2] მას არისტოტელე სხვა ნაშრომებშიც ახსენებს.

I, ისტორიული ნაწილიდან, მოღწეულია ჩვენამდე ძვ. წ. II ს-ის კომპილატორის ჰერაკლიდეს ნაშრომისა და ამისი XIII-XVI სს-ის ხელნაწერთა წყალობით. მომყავს ტექსტი ჩემთვის ცნობილი უახლესი Dilts-ის გამოცემის მიხედვით:

Φασιανῶν. 46 Φᾶσιν ὡς τὸ ἐξ ἀρχῆς Ἡνίοχοι κατῴκουν, φῦλον ἀνθρωποφάγον καὶ ἐκδέρον τοὺς ἀνθρώπους, ἔπειτα Μιλήσιοι, φιλόξενοι δ᾽εἰσὶν ὥστε τοὺς ναυαγοὺς ἐφοδιάζειν καὶ γ᾽μνᾶς διδόντας ἀποπλεῖν.

ვარ. Φᾶσιν S. φασὶν Vdgab.
ἐκδέρον dgab. ἐκδεῖρον v.
μνᾶς pgab. μῆνας v.

ტექსტისათვის: ხელნაწერებში გვაქვს ფორმა φασὶν (-ამბობენ), მაგრამ სრულიად სამართლიანად ტექსტის ყველა გამომცემელი ამ ადგილას წერს ქალაქის სახელს — Φᾶσιν (წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, ვის სახელმწიფო წყობაზეა ლაპარაკი და ქალაქის აღნიშვნა დაგვჭირდებოდა კიდევ, მით უმეტეს, რომ ზმნა κατοικέω (და οἰκέω, οἰκίζω) ასეთ შემთხვევაში მოითხოვს დამატებას — რას ასახლებენ). მაგ., იმავე არისტოტელეს „პოლიტიებიდან" მომყავს ერთ-ერთ ასეთი მაგალითი: Ὤικισαν δὲ αὐτὴν (იგულისხმება მიზიის ქალაქი კიოსი) πρῶτον μὲν Μυσοί, δεύτερον δὲ Κᾶρες. τὸ δὲ τρίτον Μιλήσιοι (აპოლონიოს როდოსელის სქოლიო, I, 1177-სთვის). ასევე: Πελασγοὶ γὰρ εἰσιν οἱ τὴν Φθιωτικὴν ᾤκουν (აპოლონიოს როდოსელის სქოლიო, I, 14) Βυζαντίων ...μὴ κατοικούντων τοὺς τόπους (პოლიბიოსი, IV, 37, 6).

ასევე, ვფიქრობ, სამართლიანადაა დატოვებული ხელნაწერთა მეტი წილის წაკითხვა μνᾶς (და არა უძველესი ხელნაწერის μῆνας; ასეთ კონტექსტში თანხის ხსენება უფრო ბუნებრივია, ვიდრე „თვეების")[3].

ჩემი თარგმანი ამ ფრაგმენტის ასეთია: „ფასისელთა (სახელმწიფო წყობილება): ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი*, შემდეგ კი მილეტელები, ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გემები ეღუპებათ, ესენი კი სამ მნას აძლევენ (მილეტელებს) და ზღვითვე მიემგზავრებიან". აზრობრივად ფრაგმენტის ბოლო ნაწილი მთლად გარკვეული არ არის — მილეტელები ეხმარებიან, ამარაგებენ მათ, ვისაც ხომალდები დაეღუპა, შემდეგ ეს დაზარალებული ხალხი მილეტელებს 3 მნას უხდის და მიდის.

როგორც ჩანს, ეს გაუგებრობა უდევს საფუძვლად იმ თარგმანებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ პოპულარულია. მომყავს მათგან ორი: 1. Латышев, S C, I:

О государстве фасианов[4]: По Фасису[5] первоначально жили гениохи,

[3] მნა-100 დრახმას; (დაახლ. 23 მან.) 60 მნა -1 ტალანტს.

* მნიშვნელოვანია, რომ „ტომის" აღსანიშნავად ტექსტში გვაქვს φῦλον და არა γένος ან ἔθνος. ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება, მაგრამ ჩემი დაკვირვებით ἔθνος უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე φῦλον. მაგ., κόλχος-ზე არ შემხვედრია φῦλον.

[4] უნდა იყოს:О государственном строе ან устройстве фасисцев. Πολιτεία შეიძლება ზოგ ვითარებაში ვთარგმნოთ როგორც государство, მაგრამ არისტოტელეს ამ ტიპის ნაწ-ის სათაურში ან რუსულადაც რჩება полития, ან ის გადმოდის როგორც государственное устройство (შდრ. Ист. греч. лит-ы, II, 1955, გვ. 204. ამას გარდა, φασιανῶν არის Φᾶσις-იდან წარმოებული ზედსართავი, რაც რუსულად იქნება фасисский, фасисец.

[5] უნდა იყოს «в Фасисе», რადგან პოლიტია არის ქალაქის და არა მდინარესთან დასახლებულის. ჰენიოხებიც და მილეტელებიც ფასისში ივარაუდებიან ამ ტიპის ნაწ-ის მიხედვით და არა გაურკვევლად სადღაც მდ. ფასისთან.

племя людоедское и сдиравшее (кожу) с людей, а потом милетяне. Они до того гостеприимны, что снабжают средствами потерпевших кораблекрушение и при отправлении(в путь) дают (им по) три мины.

2. M. R. Dilts-ის თარგმანი: Constitution of the Phasiani[6]. In the beginning the Heniochi inhabited Phasis. They were cannibals and stripped the skin off men. Then Milesians (inhabited Phasis) and they are hospitable so that they furnish victims of shipwreck with supplies, give them three minas, and send them off.

როგორც ვხედავთ, სხვა განსხვავებებს რომ თავი დავანებოთ, ფრაგმენტის ბოლო ნაწილის ჩემი და სხვა თარგმანები დიამეტრალურად განსხვავებულია. ვფიქრობ, ის ტექსტი, რაც ხელნაწერებშია და რასაც გამომცემლებიც იმეორებენ, იმგვარად უნდა ითარგმნოს, როგორც მე მაქვს. ხოლო რადგან ასეთი თარგმანი ნაკლებ აზრიანია, ვიდრე ზემოთ მოყვანილი რუსული ან ინგლისური, ამიტომ ან რეალური ქვემდებარე უნდა ჩაემატოს ტექსტს ბოლოში, ან რაიმე დამხმარე ზმნა, ან διδόντας უნდა შესწორდეს διδόντες ფორმით.

დავუშვათ, ფრაგმენტის ტექსტში კავშირი ὥστε განსაზღვრავს მომდევნო კონსტრუქციას accusativus cum infinitivo[7]. იმ ნაწილში, სადაც შემასმენელია ἐφοδιάζειν — გარდამავალი ზმნა, ყველაფერი რიგზეა — φιλόξενοι (nom.-სა თუ acc-ში) არის მისი რეალური ქვემდებარე. შემდეგ, თუ თავს ძალას არ დავატანთ და მხოლოდ ტექსტით ვიხელმძღვანელებთ — ἀποπλεῖν ნიშნავს „ზღვით წინსვლას“ (და არა ვინმეს გამგზავრებას, გაგზავნას ზღვით), ზმნა არაა გარდამავალი. მას სჭირდება თავისი ქვემდებარე, ასეთი კი მთელ წინადადებაში ჩანს διδόντας. თუ διδόντας ἀποπλεῖν არის რეალური სუბიექტი თავისი ზმნით, გამოდის, რომ მიდის ის, ვინც აძლევს (ვიღაცას იმ სამ მნას). ე. ი. მიდის მილეტელი (?).

ე. ი. იმისათვის, რომ ტექსტი გავიგოთ ამგვარად — მილეტელები დაზარალებულებს ამარაგებენ ყოველივე იმით, რაც მათ მგზავრობაში სჭირდებათ და კიდევ ფულითაც ეხმარებიან, საჭიროა ან რაღაც სიტყვების ჩართვა, ან ფრაზის სხვაგვარი გამართვა.

თუ ფრაგმენტს ისე გავიგებთ, რომ ეს სტუმართმოყვარე მილეტელები ასე უვლიან მოსულებს (განსხვავებით კაციჭამია ჰენიოხებისაგან), ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ „სამი მნა“ კი არ წერია ამ ადგილას, არამედ „სამი თვე“ (როგორც არის უძველეს ხელნაწერში) და მაშინ გამოვა, „მილეტელები სამ თვეს აძლევენ მათ“, ე. ი. „სამ თვეს ინახავენ მათ ფასისში და მერე ისინი უკან მიცურავენ“.

ერთი სიტყვით, ფრაგმენტის ბოლო ნაწილი მოსავლელია და მისთვის გარკვეული ენობრივად და აზრობრივად მისაღები II ქვემდებარის მოპოვება საჭირო.

---

[6] ისეთი ფორმაა, რომ უახლოვდება სატომო სახელს, ისევე როგორც რუსულ თარგმანშიც.

[7] ელემენტარული გრამატიკებიდან არის ცნობილი, რომ ὥστε კავშირი (ისე რომ, ასე რომ, რათა) იხმარება შედეგობით დამოკიდებულ წინადადებასთან. თუ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს რეალურ ფაქტს, მაშინ თხრობითი კილო დაისმის (ჩვენს შემთხვევაში ასე არ არის). თუ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს შესაძლებლობას, მაშინ ერთგვაროვან ქვემდებარეებთან დაისმის ინფინიტივი, სხვადასხვა ქვემდებარესთან კი acc. cum inf. (ჩვენს შემთხვევაში, როგორც ჩანს, ეს მაგალითია).

ჩემთვის ამჟამად მთავარია ამ ცნობის თარიღი, მასში ხსენებული ჰენიოხების დახასიათება და ჰენიოხების საცხოვრისი.

ცნობა აშკარად უფრო ძველია, ვიდრე მილეტის კოლონიზაცია დაიწყებოდა — აქ მოსულ მილეტელებს უკვე დახვდა ადგილობრივი მოსახლეობა — ჰენიოხთა ტომი, პოლიტია ფასისისაა, ე. ი. უშუალოდ მილეტელთა მოსვლისას, ან კიდევაც უფრო ადრე — ფასისში ცხოვრობდნენ ჰენიოხები. ეს არის საკითხის პრეისტორია. როდესაც არისტოტელე წერდა თავის „პოლიტიებს“ (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო მესამედში) მაშინ, მის თანამედროვე ვითარებაში ფასისის მკვიდრნი კოლხები იყვნენ და რომ მოღწეულიყო ამ ტექსტის სისტემატური ნაწილი, მასში არა ჰენიოხებით დასახლებული ფასისის პოლიტია იქნებოდა მიმოხილული, არამედ კოლხების ფასისის სახელმწიფო წყობა.

მთელს ანტიკურ წყაროებში არისტოტელეს (ჰერაკლიდეს) ცნობა ერთადერთია, რომელიც ჰენიოხების საცხოვრებელ ადგილად ფასისს ასახელებს.

როდის დამყარდა მილეტსა და ფასისს შორის კონტაქტი — მაშინ, როდესაც ჰენიოხები ჯერ კიდევ აქ ცხოვრობდნენ, თუ ეს მოხდა მაშინ, როდესაც ფასისში უკვე კოლხები იყვნენ? მე ვფიქრობ, „ფასისელთა პოლიტია“ რომ მეტი სისრულით ყოფილიყო მოღწეული, აქაც იქნებოდა მიზეზი კითხვის არ იყოს (როგორც ზემოთ აღვნიშნე) — **κατῴκουν δὲ Φᾶσιν ἐξ ἀρχῆς** (ან **πρῶτον**) μὲν Ἡνίοχοι, **μετὰ** δὲ Κόλχοι, ἔπειτα δὲ Μιλήσιοι (ფასისში ცხოვრობდნენ თავდაპირველად ჰენიოხები, შემდეგ, ან მეორედ, კოლხები, ხოლო ბოლოს, ან მესამედ — მილეტელები).

მაგრამ ეს ყოველივე ჩემი ვარაუდია. რეალურად ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში ის წერია, რომ ოდესღაც, თავდაპირველად კოლონიზაციამდელ ეპოქაში ფასისში ჰენიოხები ცხოვრობდნენ.

რას წარმოადგენს ეს ტომი არისტოტელეს დახასიათებით: ჰენიოხები არიან კაციჭამიები და ადამიანებს ტყავს ხდიან. მაგრამ უფრო ზოგადად ამის შესახებ არისტოტელე „პოლიტიკაშიც“ ლაპარაკობს: „ბევრი ტომია, რომელსაც აქვს მიდრეკილება მკვლელობისა და კაციჭამიობისაკენ, მაგ., პონტოსპირეთიდან — აქაეებსა და ჰენიოხებს, ასევე სხვა ტომებსაც ხმელეთზე მცხოვრებთაგან, ზოგს ასევე და ზოგს კიდევ უფრო მეტად; ესენი მეკობრეები არიან, მაგრამ ვაჟკაცობით არ გამოირჩევიან“ (VIII, 4, 4).

მართალია, არისტოტელე კოლონიზაციამდელ ეპოქაზე ლაპარაკობს, ძისი ავტორიტეტიც დიდად დამაფიქრებელია, ჰენიოხების მაღალ კულტურაზე არსად, არც ერთ ანტიკურ წყაროში არ არის ლაპარაკი, მაგრამ კოლონიზაციამდელ ფასისში იმ მხარის მარტო არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე ასეთი სავალალო მდგომარეობა არ ჩანს. მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ეს ცნობა მოდის სკვითების საერთო რეპუტაციიდან, რაც ცივილიზებულ საბერძნეთში იყო გავრცელებული (არა არისტოტელეს დროს, არამედ შემდეგ ხანებში ხომ სკვითურად ცხადდება ყველა ტომი, შავი და კასპიის ზღვის ირგვლივ მცხოვრები).

არა მარტო ჰენიოხების, არამედ განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი კოლხების შესახებაც კი გვხვდება ანტიკურ წყაროებში მსგავსი გამოთქმები; მაგ., დიოდორე წერს: ტავრიკედან კოლხიდაში მოსულმა არგონავტებმა მედეასაგან „შეიტყვეს უცხოელთა მკვლელობის ადათის შესახებ“ (IV, 46, 3), „აიეტესი... იცავდა უცხოელთა მოკვლის ადათს“ (IV, 46, I). კოლხთა

მაგრ, ტლანქ წესჩვეულებებზე ლაპარაკობს სტაციუსიც (თებაიდა, IX, 610—611).

ან კიდევ IV ს-ში ნონე პანოპოლელი იხსენებს მითიური ხანისათვის კოლხთა ბარბაროსულ ტომებს, რომლებიც უცხოელებს ხოცავენ, და კოლხთა გაუგონარ ადათწესებს (Διονυσιακά, XIII, 245 და შმდ.)

ვფიქრობ, ყველა ეს დაკონკრეტებული მითითება რომელიმე ტომის (მაგ., ჰენიოხის, აქაველის, კოლხის...) საგანგებო ველურობის, კაცისმკვლელობისა და კაციჭამიობის შესახებ გამოძახილია იმ გარემოების, რომ ძველ ავტორთა ერთსულოვანი აზრის თანახმად, პონტოს ირგვლივ ცხოვრობდნენ საერთოდ ბარბაროსული და (მაშასადამე — თ. ყ.) მთლად ველური ტომები (არისტოტელე, ნიკომახოსის ეთიკა, VII, 6; დიოდორე, IV, 40, 4; სტრაბონი VII, 3, 6. კლავდიუს ელიანუსი, სხვადასხვა ამბები, VI, 14. VII, 17 და სხვ.) და მათ შორის ტავრები, რომლებიც უცხოელებს წირავდნენ მსხვერპლად (დიოდორე, IV, 44, 7; სტრაბონის ქრესტომათია, VII წიგნი და სხვ.).

რამდენადაც ვიცი, ტავრების ქვეყანაში უცხოელის მსხვერპლად შეწირვა სამეცნიერო ლიტერატურაში გაგებულია როგორც რელიგიური აქტი — მოსული უცხოელი ეწირება ქალღმერთ არტემიდეს, რომლის კულტიც ჰქონდათ ტავრებს (შდრ. ევრიპიდეს დრამას „იფიგენია ტავრისში"), ვფიქრობ, ამის საფუძველზე ვხვდებით ძველ წყაროებში ჰენიოხების კანიბალიზმზე ლაპარაკს.

სხვათა შორის, ამ ე. წ. ველური ტომების, კერძოდ სკვითების შესახებ შესანიშნავად ამბობს სტრაბონი: ძველი სკვითები (ჰომეროსის დროის, ჰეროდოტეს მიერ აღწერილნი) იყვნენ უშიშარი, მიამიტი, კეთილი, ქონებას არაფრად აგდებდნენ, ყველითა და რძით იკვებებოდნენ და ა. შ. მაგრამ ელინთა ყოფის გაცნობამ ყველა გააფუჭა, ყველას გაუჩინა ფუფუნებისა და ცხოვრებით დატკბობის სურვილები, განსაკუთრებით ზღვასთან დაახლოებამ გარყვნა ისინი — იწყეს მეკობრეობა, უცხოელების ხოცვა. სხვა ხალხებთან ურთიერთობამ, ერთი მხრივ, შეარბილა მათი ველურობა, მაგრამ გაუფუჭა ზნე — გულუბრყვილობის მაგივრად ვერაგობა შესძინა (VII, 3, 7—8). ეს მართლაც ასეა. აქვე დავუმატებდი — ქსენოფონტი და დიოდორე მოგვითხრობენ ცივილიზებული ბერძნების ბაბილონიდან უკან დაბრუნებას სამშობლოში. გზად ისინი ბარბაროსული ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე მოდიან და ვერ ვიტყვით იმას, რომ ავტორთა გაოცება გამოეწვია მათ თანამემამულეთა ქცევას — ძალადობას, ძარცვას, ყლეტას.

ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰენიოხის (და თუნდაც კოლხის) ზემოთ მოყვანილი შეფასება ბერძენ ავტორთა მიერ იმ ქედმაღლური დამოკიდებულების გამოვლენაა, რაც მათ ჰქონდათ ყოველივე არაბერძნულის მიმართ. ვფიქრობ, კიდევ ერთი მიზეზია საიმისოდ, რომ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა ველურად დაისახოს. ბერძენი (და მათ მიხედვით რომაელი) ავტორების დიდი ნაწილი ცდილობს რაციონალისტურად ახსნას, შავი ზღვის ბერძნული სახელი. მათთვის ის არის Εὔξεινος πόντος (ე.ი. „სტუმართმოყვარე ზღვა"). რატომ მაინცდამაინც Εὔξεινος? ეს იმიტომ, რომ ოდესღაც მას ერქვა Ἄξεινος (არასტუმართმოყვარე) და აქ გვიხსნიან: ის არასტუმართმოყვარე იყო ოდესღაც მის ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის და კაციჭამიობის გამო. მერე მოვიდნენ მილეტელები (ან ზოგადად — იონიელები) და ის გახდა Εὔξεινος (სტრაბონი, VII, 3, 6). საინტერესოა დიონისიოს პერიეგეტის ერთ-ერთი სქოლიასტის შენიშვნა პოემის

21-ე ტაეპთან—ჰერაკლემ გამოაძევა ამ ზღვიდან მეკობრეები, დაასახლა ვიღაცა სტუმართმოყვარენი და ამიტომ დაერქვა ზღვას „სტუმართმოყვარე“. ე. ი. ამ სქოლიასტს ახსნა გადააქვს მითიურ ხანაში (ეს სტუმართმოყვარენი—სხვა წყაროთა მიხედვით მილეტელები—ჯერ კიდევ ჰერაკლეს დაუსახლებია!).

ცნობილია, რომ ზღვის სახელი Ἄξεινος არის გადმოცემა მისი სპარსული სახელის „ახშაჲნა“ (შავი ზღვა)[8], ხოლო შემდეგ ეს სიტყვა გააზრებულია ბერძნულად—„არასტუმართმოყვარედ“, რასაც მოჰყვა შემდეგ ძველი ავტორების ამდენი მსჯელობა.

დასკვნის სახით: არისტოტელეს (ჰერაკლიდეს) „პოლიტიის“ მიხედვით—კოლონიზაციამდელ ფასისში თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები და ისინი საკმაოდ ველური ზნისა იყვნენ.

შემდეგი პერიოდის ცნობები (უფრო სწორად, ავტორები სხვადასხვა დროისა არიან, მაგრამ მათი მოყვანილი მასალა დაახლოებით, ერთი ხანისაა) სამეცნიერო ლიტერატურაში იონურ ცნობებად არის მიჩნეული.

ფსევდო-სკილაქს კარიანდელი „პერიპლუსში“ (IV ს. I ნახ.) მეოტებისა და სინდების სამხრეთით ასახელებს: კერკეტებს, ტორეტებს, აქაჲებს, ჰენიოხებს, კორაქსებს, კოლიკეს, მელანხლაჲნებს, გელონებს, კოლხებს (§§ 73—81). ეს ცნობა უფრო ძველია, ვიდრე მისი ავტორია, უფრო ძველია ჰეროდოტეს „ისტორიაზედაც“, რადგან ჰეროდოტე მელანხლაჲნებსა და გელონებს უკვე სკვითიაში ასახელებს (IV, 102), ხოლო სკილაქსის ვარიანტის თანახმად ეს ტომები ზღვის პირას ცხოვრობენ, უშუალოდ კოლხების ჩრდილო მეზობლად (დიოსკურია უკვე კოლხების ტერიტორიაზეა, ამდენად ეს ტომები დიოსკურიასა და ბზიფის შესართავს შორის უნდა ცხოვრობდნენ)[9]. საკუთრივ ჰენიოხების საცხოვრისის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება, მაგრამ ხათელია, რომ ისინი ბზიფის შესართავთან ან მის ჩრდილოეთით უნდა იყვნენ.

პომპონიუს მელა (1,110) ქ. კიკნოსიდან (რაც მე იგივე გიენოსი, თანამედროვე ოჩამჩირე, მგონია) ჩრდილოეთისკენ ჩამოთვლის „ტლანქ და გაუნათლებელ ტომებს, ფართო ზღვასთან მცხოვრებთ: მელანხლენას, ტორეტიკას, ექვს კოლიკას, კორაქსიკებს, ფთიროფაგებს, ჰენიოხებს, აქაჲებს, კერკეტიკებს და უკვე მეოტიდის ახლოს—სინდონებს (1,111) ჰენიოხთა საზღვრებშია (finibus) დიოსკორია...“ აქ, ამ ძველ, მელანხლენების კიკნოსის ახლოს, ზღვის პირას მომხსენიებელ ცნობაში ჰენიოხები დიოსკურიის მიდამოში ცხოვრობენ.

პლინიუსს ორი რიგის ცნობები აქვს ჰენიოხთა შესახებ. მე აქ მოვიყვან იმ უძველეს ცნობებს, სადაც ჰენიოხები გარკვეულად სანაპიროს ჩრდილო სექტორის მცხოვრებლებად გვევლინებიან: VI, 30. სვანების შემდეგ ზღვამდე ცხოვრობს ჰენიოხთა მრავალი ტომი და შემდეგ აქაჲელთა ტომები (სრულიად გასაგებია, სად ესახება პლინიუსს ჰენიოხები). ძველ და ახალ ცნობათა ნარევია VI, 14 და 15, სადაც ვკითხულობთ „აბსილთა ტომი, ციხესიმაგრე სებასტოპოლისი (ეს ორივე ცნება ანტიკურ მწერლობაში შედარებით ახალია), სანიკების ტომი, ქალაქი კიგნუსი და აქვე — ჰენიოხთა მრავალსახელიანი ტომები“. ცოტა ქვემოთ კი წერია: „ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ ვე-

---

[8] С. Я. Лурье, Геродот. 1947. გვ. 107.

[9] **დაწვრილებით იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ფსევდო-სკილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, I, 1965, გვ. 5—9.**

ლური ტომები — მელანხლენები და კორაქსები, კოლხური ქალაქი დიოსკურიასი მდ. ანთემუნტთან".

თუ ზუსტად ვერ ვამბობთ, სად ვარაუდობს პლინიუსი ჰენიოხებს, იმისი თქმა მაინც შეიძლება, რომ ის კიგნუსსა და დიოსკურია-სებასტოპოლისს ახსენებს, და სადღაც ამ მიდამოში არიან ჰენიოხებიც (ცნება ჰენიოხი მისთვის არის კრებითი — ის ტომმრავალია და მრავალი სახელწოდების ტომის გაერთიანება).

ამიანუს მარცელინუსი ჰენიოხთა ერის წარმოშობას უკავშირებს ლეგენდარული მეეტლეების სახელს (XXII,24), მაგრამ ცოტა ქვემოთ, როდესაც ჩამოთვლის მეოტიდის ტბასთან მცხოვრებ ტომებს (ზოგს მათ შორის მის დროს რეალურად არსებულს, მაგ., ალანებს), ასახელებს ძველი წყაროებიდან მოტანილ მასალასაც-მელანხლენებსა და გელონებს (XXII, 31). ე. ი. მისი წყაროც ძველია.

ამგვარად, ფსევდო-სკილაქსი, პომპონიუს მელა, პლინიუსი და ამიანუს მარცელინუსი მიმაჩნია იმ ავტორებად, რომელთაც ძველი, იონიური ცნობები აქვთ შემონახული და მათ შორის მასალა ჰენიოხთა ისტორიისათვის. თანაც, შესაძლოა, ფსევდო-სკილაქსის ცნობებზე ადრინდელი ამ რომაელი ავტორების წყაროები იყოს, რომელთა მიხედვით ჰენიოხები ტლანქ (ferus) და გაუნათლებელ (incultus) ტომად არიან გამოცხადებული, მაგრამ სხვა რამ მათ საგანგებო ველურობაზე არაა თქმული. საცხოვრებელი ტერიტორიაც სრულიად გარკვეულია — სვანების მეზობლად, დიოსკურია-კიკნუსის მხარეში და შემდეგ უფრო დაზუსტებით — დიოსკურია მათ ტერიტორიაზეა (თუ ეს ცნობა ლეგენდის გამოძახილი არ არის, რომლის თანახმადაც დიოსკურებსა და მეეტლეებს უკავშირდება ეს მხარე. მეორე მხრივ, შესაძლოა პირიქით იყოს — ეს ორი ცნება ჰენიოხია და დიოსკურია კავშირშია და აქედან შევიდა თქმულებაშიც მათი საერთო სათავეების დაძებნის სურვილი). არა ცნობის არქაულობის თვალსაზრისით, არამედ თვით ავტორის ცხოვრების თარიღის მიხედვით, პირველი, ვინც ახსენებს ჰენიოხებს, არის ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V ს., ჰეროდოტეს თანამედროვე). იგი ჰენიოხებზე ლაპარაკობს კერკეტების, მოსხების, ხარიმატებისა და კორაქსების მეზობლობაში (ფრაგ. 109). ცნობა გარდა იმისა, რომ ფრაგმენტულია, ამავე დროს, როგორც ჩანს, მთლად გამართულიც არ არის და ნათელი არაა ამ 5 ტომში ვინ ვისზე ზემოთ ცხოვრობს. იგი შეუსწორებია Meineke-ს და მისი წაკითხვის თანახმად კერკეტებს ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ხარიმატები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები და კორაქსები, დედანში ასე დალაგებულად არ არის[10]. ჰელანიკეს ცნობის რაიმე რეალურ თარიღზე ვერაფერს ვიტყვით. ის კი ცხადია, რომ ავტორი თავისი დროის (ძვ. წ. V ს.) ან უფრო ადრინდელ მასალას გვაწვდის.

---

[10] მოსხების შესახებ ის მინდა შევნიშნო, რომ დარიოსის სატრაპიებში ისინი ტიბარენებთან, მაკრონებთან, მოსინიკებთან და მარებთან ერთად არიან (ჰეროდოტე, III, 94). ეს იმას მოასწავებს, რომ მოსხებს ამ ტომების მეზობელი ტერიტორია უჭირავთ. ამის საწინააღმდეგოა სტრაბონის ცნობა (XI, 2, 14), სადაც ჩამოთვლილია სანაპიროს მოსახლე ტომები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ასეთი თანამიმდევრობით: აქაჱები, ძიგები, ჰენიოხები, კერკეტები, მოსხები, კოლხები... ე. ი. ჰელანიკესა და სტრაბონს ერთნაირად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო სექტორში ჰყავთ მოხსენიებული მოსხებიც. ეს გარემოება სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ აუხსნელია.

ხარიმატებს მარტო ჰელანიკე და პალეფატე ახსენებენ სხვა უფრო დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ არ მოგვეპოვება.

შემდეგი ტექსტები ჰენიოხთა შესახებ მეტ-ნაკლებად ზუსტთარიღიანია: დიოდორე წერს (XX, 25) ბოსფორის მეფის ევმელოსის შესახებ, რომ მან დაახლ. ძვ. წ. 310 წ. გაწმინდა ზღვა მეკობრეთაგან — ჰენიოხთაგან, ტავრებისა და აქაიებისაგან, რითაც საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა (მეკობრე ჰენიოხებზე ლაპარაკობს ძვ. წ. IV ს-ში არისტოტელეც).

ე. ი. ძვ. წ. IV ს-ში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰენიოხთა ტომი უკვე სახელგანთქმული იყო მეკობრეობით და ბოსფორის მეფე მათ პირადად ებრძვის.

სტრაბონის მიერ დამოწმებულ ცნობათა შორის მინდა გამოვყო არტემიდორეს ცნობა (II—I სს.), სადაც წერია: ჰენიოხთა სანაპირო 1000 სტადიონზეა გადაჭიმული, ხოლო თვით ჰენიოხები პიტიუნტამდე ვრცელდებიან (ამის მერეა, ჩანს, კოლხიდა), ჰენიოხების ჩრდილოეთით კი არიან აქაიები და კერკეტები (კერკეტებს მერე არის ბატა, რაც თანამედროვე ნოვოროსიისკთან ივარაუდება) სტრაბონი, XI, 2, 14). ე. ი. არტემიდორეს დროისათვის სრულიად გარკვეულია ჰენიოხების ტერიტორია.

ერთი წყება ცნობებისა თარიღდება მითრიდატე ევპატორის ომების ხანით: ტიტუს ლივიუსი ((lib. CI), სტრაბონი (XI,2,13), პატერკულუსი (II, 40, 1), აპიანე (67, 2. 102, 116), ავრელიუს ვიქტორი (IV ს. LXXVI,6) ახსენებენ ჰენიოხებს კოლხების გვერდით, ჩრდილოეთით, როდესაც მათ ტერიტორიაზე გადაიარეს მითრიდატემ ან პომპეუსმა (ე. ი. ძვ. წ. 66-63 წწ.). ამავე დროს ეხება დიონ კასიუსის ცნობა, სადაც წერია, რომ მითრიდატეს დადევნებულმა პომპეუსმა შეიტყო, რომ კოლხების მეზობლად ცხოვრობენ „უცნობი და მეომარი ტომები“ (37, 3, 2). ერთ-ერთი ეს ტომი უეჭველად ჰენიოხებისაა.

სტრაბონის ცნობათა შორის ყველაზე საინტერესოა ერთი, მითრიდატეს დროით დათარიღებული ცნობა. ტრადიციული ტექსტი ასეთია: XI,2 13. τοιοῦτος μὲν τούτων βίος. δυναστεύονται δὲ καὶ οὗτοι ὑπὸ τῶν καλουμένων Σκηπτούχων καὶ αὐτοὶ δὲ οὗτοι ὑπὸ τυράννοις ἢ βασιλεῦσίν εἰσιν. οἱ γοῦν Ἡνίοχοι τέτταρας εἶχον βασιλέας, ἡνίκα Μιθριδάτης ὁ Εὐπάτωρ … διῄει τὴν χώραν αὐτῶν …

„ასეთია მათი ცხოვრება. განაგებენ მათ ეგრეთწოდებული სკეპტუხები, ხოლო თვით ესენი ტირანთა ან მეფეთა ხელქვეით არიან. აი, ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ, როდესაც მითრიდატე ევპატორმა... მათ ქვეყანაზე გადაიარა“. ჩვეულებრივ ამ პარაგრაფის სკეპტუხები მიჩნეული იყო ხოლმე ჰენიოხთა სკეპტუხებად (ამის შესაბამისად. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“, 1970, გვ. 480 და 539 წერია, რომ ჰენიოხებს ოთხი დიდი ტომთა კავშირი ჰქონიათ — ოთხი მეფის კვალობაზე, ხოლო ტომთა კავშირებში მრავალი ტომი იყო გაერთიანებული თავისი ბელადებით — სკეპტუხებით). მე კი ვფიქრობ, პირველი ორი ფრაზა ეხება კოლხიდას („ასეთია მათი ცხოვრება, განაგებენ მათ ეგრეთწოდებული სკეპტუხები“). ამის ზემოთ ტექსტში ვრცლადაა თხრობა მეკობრე ჰენიოხების საქმიანობაზე, იმ ხალხებზე, რომელთაც თავისი გამგებლები ჰყავთ და იმათზე, ვინც რომაელთა ქვეშევრდომია. მაშ ასეთია ამ ხალხის ცხოვრება, რომელიც ამ ტერიტორიაზე იმყოფება. ეს ტერიტორია კი კოლხიდაა. სკეპტუხებიც კოლხიდის მცხოვრებთ განაგებენ (შდრ. აქვე, XI, 2, 18 — კოლხიდა დიადოხოსების დროს სკეპტუხებად დაჰყვეს...). თუ კიდევაც სკეპტუხი განაგებს ჰენიოხებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის ჰენიოხები კოლხთა ქვეშევრდომები არიან და კოლ-

ხი სკეპტუხი განაგებს მათაც. თავის მხრივ მითრიდატეს დროისათვის ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი, ანუ გვარის უფროსი ჰყოლიათ. ასეთი იყო მათი საზოგადოებრივი განვითარების დონე ძვ. წ. I ს-სთვის.

მითრიდატეს ომების დროის, ან უფრო ადრეულად მიმაჩნია კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობა ჰენიოხთა შესახებ. კლავდიოს პტოლემაიოსი (V, 8, 25) პონტოს გასწვრივ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჩამოთვლის: აქაიებს, კერკეტებს, ჰენიოხებსა და სვანოკოლხებს. ჰენიოხი კოლხებთან თუ სვანოკოლხებთან გვერდითაა (ამ საატომო სახელს კომენტარი სჭირდება).

შემდეგი მეტ-ნაკლებად თარიღიანი ცნობები ჰენიოხთა შესახებ აქვს სტრაბონს. იგი მათ ახსენებს სხვა ტომთა შორის ზღვის სანაპიროს გასწვრივ—სინდიკეს შემდეგ ასეთი თანმიმდევრობით (მითრიდატეს ისტორიის მიხედვით): აქაიები, ძიგები, ჰენიოხები (II, 5, 31, XI, 2, 1; 2, 12), ხოლო ჰენიოხების მერე კოლხიდაა (XI, 2, 1). დაწვრილებითი თხრობაა მათი მეკობრეობის შესახებ (XI, 2, 12): როგორ ბატონობენ ისინი ზღვაზე, თავის ნადავლს ჰყიდიან ბოსფორში; რას წარმოადგენენ მათი კამარები—ერთ ხეში ამოღებული ნავები; რა ღარიბია, მთაგორიანი და უნავსადგურო მათი ქვეყანა. ისინი ხალხსაც იტაცებენ და შემდეგ გამოსასყიდით უკან აბრუნებენ. ის ხალხი უკეთეს დღეშია, ვისაც საკუთარი გამგებელი ჰყავს—ესენი იცავენ თავის მრევლს ჰენიოხთაგან. მაგრამ ის ნაწილი, რომელიც რომს ექვემდებარება, უარეს დღეშია დაყენებული მმართველების გულგრილობის გამო.

თვით ჰენიოხების სანაპირო არ ექვემდებარება რომს (XVII, 3, 24), აქვეა ლაპარაკი მათ ყაჩაღურ და მომთაბარულ ცხოვრებაზე ვიწრო და მწირ ადგილებში. ე. ი. ასეთია ჰენიოხთა ცხოვრება ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. მათი ტერიტორია კოლხიდის ჩრდილოეთითაა, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ახ. წ. I ს-ის ცნობები აქვთ ოვიდიუსსა და იოსებ ფლავიუსს ჩრდილოეთით მცხოვრები ჰენიოხების შესახებ. ოვიდიუსი თავის ერთ-ერთ წერილში პონტოდან (IV, ep. 10, 25-30), რომელიც 15 წლით არის დათარიღებული, ამბობს—ჰენიოხების ნავებმა მეტი ზიანი მოუტანეს მეზღვაურებს, ვიდრე სცილამ და ეს ჰენიოხები აქაიებთან ერთად თუმცა თავისუფლად დაეხეტებიან პონტოს მარჯვენა ნაპირზე, მაინც ამ სანაპიროსაც (ე. ი. სადაც ტომეა) საფრთხეს უქმნიან. ე. ი. ოვიდიუსის ტომეში ყოფნის დროს ჰენიოხთა მეკობრეობა ჯერ კიდევ ფაქტია.

იოსებ ფლავიუსი „იუდეველთა ომში“ აგრიპას იუდეველთა მიმართ ასეთ სიტყვას ათქმევინებს (II, 16, 4): „რა სალაპარაკო არიან ჰენიოხები, კოლხები, ტავრთა ტომები, ბოსფორელები და პონტოსა და მეოტიდის ირგვლივ მცხოვრები ხალხები, რომლებიც უწინ საკუთარ მეუფესაც კი არ სცნობდნენ, ახლა კი 3000 ჰოპლიტს ჰყავს ისინი მორჩილებაში და 40 ხომალდი იცავს მშვიდობას უწინ გაუვალ და მკაცრ ზღვაზე“. აქ ცნობები, შესაძლოა, ისე ზუსტი თარიღიანი არაა, როგორც ოვიდიუსს ჰქონდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იოსებ ფლავიუსის დროისათვის, როდესაც მას სურვილი აქვს რომი განადიდოს, ხოლო მათ მიერ დათრგუნვილი ხალხები დაამციროს, ამ ხალხებს ის სრულიად გარკვეულად სანაპიროს ჩრდილო მონაკვეთზე ახსენებს.

დიდად საყურადღებო ცნობა ჰენიოხთა ისტორიისათვის აქვს ანონიმური პერიპლუსის ავტორს (V ს., § 18). „ძველი აქაიიდან ძველი ლაზიკემდე და შემ-

დეგ მდინარე აქეუნტამდე წინათ ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანხლაენები, მახელონები, კოლხები, ლაზები; ახლა ზიხები (ζιχοί) ცხოვრობენ". შესაძლოა, ამდენი ტომისათვის ძალიან პატარა ტერიტორიაა გამოყოფილი — ძველი აქაიდან აქეუნტამდე, დაახლოებით გელენჯიკიდან მდ. შახემდე (სოჭამდე), მაგრამ ზოგი მათგანი მაინც უთუოდ ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე, რაც მერე ჯიქების ხელში გადავიდა.

ამ ცნობაში კარგად არ ჩანს რას ნიშნავს „წინათ", მაგრამ სხვა ცნობებთან შეჯერების საფუძველზე მეტ-ნაკლებად ნათელია ისიც. გვაქვს ცნობების ერთი ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ავტორის მიხედვით თარიღდება და სადაც ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე იხსენიებიან.

სენეკა (თიესტე, 1047) ლაპარაკობს ჰენიოხზე, რომელიც ცხოვრობს არასტუმართმოყვარე კავკასიონის ციცაბო კლდეზე (აქ საკითხი დგება, ჰენიოხი, სენეკას წარმოდგენით თიესტეს დროს, ე. ი. მითიურ ხანაში ცხოვრობდა ამ ადგილას, თუ თვით სენეკას დროს, I ს-ში). „არასტუმართმოყვარე" (inhospitalis) კავკასიონი გამოძახილია შავი ზღვის ძველი ეპითეტის — „არასტუმართმოყვარე" ზღვისა.

ასევე ჩრდილო მონაკვეთის მცხოვრებნი არიან ამბროსი მედიოლანელის (IV ს.) და იულიუს ჰონორიუსის (V ს.) მიერ ხსენებული ჰენიოხები (ანონიმური პერიპლუსის ცნობის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ რომ ამ ავტორებს ძველი ცნობები მოჰყავთ და არა თანამედროვე; IV—V სს-ში არავითარი ჰენიოხი აღარ არის შავი ზღვის სანაპიროზე).

ტექსტებში გვხვდება ჰენიოხთა და ჰენიოხიის უფრო ზოგადი განსაზღვრაც — მაგ., ელიუს ჰეროდიანუსი (II ს.) წერს: ჰენიოხი — მეეტლე. არის ხალხიც კავკასიონთან. სტეფანე ბიზანტიონელი: ჰენიოხია — ქვეყანა კავკასიონთან. მცხოვრებლები — ჰენიოხები.

ლუკანის სქოლიასტების განმარტებით ჰენიოხები — ტომი პონტოში (იბერებიც ასეა განმარტებული. როგორც ჩანს, მათთვის პონტო ისაა, რაც დღეს კავკასია), ან ბეორესთან — სახელმწიფო პონტოში აზიის მხარეს (შემდეგ ასახელებს კოლხს). ან — ტომი ზღვისპირა სკვითიაში (ესეც ზოგადი განმარტებაა, სკვითიაც მათთვის ძალიან ფართო ცნებაა).

დიონისიოს პერიეგეტის პოემის ევსტათისეულ კომენტარებში წერია (700—710 ტაეპების მიმართ — კოლხები ცხოვრობენ ჰენიოხების შემდეგ კავკასიისა და მოსხურ მთებთან (იმოწმებს საამისოდ სტრაბონს). ვალერიუს ფლაკუსი (I ს.) (არგ. VI, 41—44) ახსენებს მრისხანე ჰენიოხებს (მედეასთან კონტექსტში)[11], ხოლო ფსევდო-ორფევსი (IV ს.) ისევ არგონავტებთან კავშირში კავკასიონის მთებთან (სინდს უწოდებს მას) ასახელებს „კოლხთა, ჰენიოხთა და აბასგთა სახელოვან ტომებს" (744—56). ამ ჩამოთვლის მიხედვით გასაგებია, სად ივარაუდებიან ჰენიოხები, მაგრამ „აბასგები" არგონავტების დროს არსად ჩანან ანტიკურ მწერლობაში და მით უმეტეს, ასეთ კონტექსტში. ფსევდო-ორფევსის არგონავტიკაში ეს ახალი სახელია შესული.

ფსევდო-დიოგენეს სიტყვაში შეპირისპირებული არიან ერთმანეთთან, ერთი მხრივ, ჰენიოხები და აქაები და, მეორე მხრივ, დელფოელები და ელეელები, როგორც ორი სხვადასხვა კულტურის ხალხი (თუმცა დიონისიოს

[11] იგი ახსენებს აგრეთვე მედეას ძიძას — ჰენიოხ ქალს (V, 357), რაც თავისთავად ძალიან ნიშანდობლივია — ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე კოლხს ემსახურება ჰენიოხი

ჰალიკარნასელს (I 89, 4) ელეელები ყველაზე უფრო ველურად მიაჩნია სწორედ აქაჲებთან კონტექსტში).

ამგვარად, რომ შევაჯამოთ ის მასალა, რაც გვაქვს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ჰენიოხების შესახებ, შემდეგ სურათს მივიღებთ: უძველესი ცნობა, დაცული ჰერაკლიდეს „პოლიტიებში“ ჰენიოხებს ათავსებს ქ. ფასისში; წყაროს მიხედვით ამ დროინდელი ჰენიოხები ველურები და კაციჭამიები არიან.

არგონავტების ლაშქრობასთან დაკავშირებული მითები და იონიური პერიპლუსები ჰენიოხებს ათავსებენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქ. დიოსკურიასთან მჭიდრო კავშირში. ხოლო პომპონიუს მელას განცხადების თანახმად, „დიოსკურია ჰენიოხების საზღვრებშია“. ამ დროინდელი ჰენიოხები ტომმრავალია, სხვადასხვა ტომების გამაერთიანებელია (პლინიუსი). ისინი ტლანქი და გაუნათლებლები არიან (მელა). როგორც ჩანს, ამ დროისათვის ჰენიოხიაში შედის დიოსკურიაც.

არტემიდორეს ცნობის მიხედვით, ჰენიოხები ცხოვრობენ დაახლოებით თანამედროვე სოჭი-პიტიუნტის მონაკვეთზე.

ყველა ავტორს, ვინც კი ჩამოთვლის შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობას, კოლხები (უფრო იშვიათად — სვანები) ჰენიოხებზე სამხრეთით მცხოვრებ ტომად მიაჩნია (აქ, ალბათ, საჭირო იქნება კოლხების მიწა-წყლის ფარგლების ზუსტი დადგენა სხვადასხვა დროისთვის). ასევე, ყველა ავტორი, ვინც კი ჩამოთვლის შავი ზღვის სანაპიროს მოსახლეობას, ჰენიოხებზე ჩრდილოეთით ასახელებენ: კერკეტებს, აქაჲებს (სტრაბონთან აქაჲებსა და ჰენიოხებს შორის ზიგები ჩნდებიან). ამგვარად, ჰენიოხები ცხოვრობენ კოლხებსა და აქაჲებს შორის ე. ი. წყაროების უმრავლესობის მიხედვით ძვ. წ. V—IV სს-დან I ს-მდე ჰენიოხები ცხოვრობდნენ სოჭიდან პიტიუნტ-დიოსკურიამდე. განსხვავებული აზრისაა ამ საკითხზე ზ. ანჩაბაძე, რომელსაც ჰენიოხების სამხრეთ საზღვრად პიტიუნტი მიაჩნია[12]... მათი საზოგადოება გვაროვნული წყობის განვითარების საფეხურზეა. ისინი სახელგანთქმული არიან მთელ ამ პერიოდში (ძვ. წ. IV ს.—ახ. წ. I ს.) მეკობრეობითა და ყაჩაღობით, ტყვეებით ვაჭრობით, რომაელთა ექსპანსიის დროს რომს არ ემორჩილებიან.

ანტიკური ხანის მწერალთა შორის რამდენიმეს აქვს ცნობა იმ ჰენიოხთა შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

პლინიუსი (VI, 11 და შმდ.) ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით, მდ. პიქსიტესთან ასახელებს სანი ჰენიოხების ტომს (ხომ არაა აქ მახვილი იმაზე, რომ ესენი — სანი ჰენიოხები არიან და არა ძველი ჰენოხები?). იქვე ჩამოთვლის ტომებს, რომლებიც ამ მიდამოში, ზღვის სანაპიროზე არიან. ეს ტომებია: ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები... § 26-ში წერს, რომ მდ. კიროსი ჰენიოხების მთებში იწყებაო. სად იწყება მდ. მტკვარი, ცნობილია, მაგრამ იქვე წერია—ამ მთებს კორაქსის მთებიც ეწოდებათო. ეს ართულებს საქმეს. კორაქსის მთები ჩვეულებრივ ივარაუდებიან ჩრდილოეთით; ესაა კავკასიონის დასავლეთი მონაკვეთის განტოტება, იმავე სახელის ტომიც იმავე, ე. ი. ჩრდილოეთის ტერიტორიაზე ივარაუდება. თუ კორაქსებისა და ჰენიოხების მთები ერთი და იგივეა, ე. ი. ის ჩრდილოეთითაა, მაშინ მტკვარი როგორღა იწყება

---

[12] З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, 1964, გვ. 136.

იმ ტერიტორიაზე? ამდენად, პლინიუსის ეს ცნობა მეტისმეტადაა არეული და ჰენიოხების სამხრეთით ლოკალიზაციისათვის სანდო ვერაა.

პლინიუსის (VI, 11) მიერ ხსენებული ჰენიოხები სამხრეთის ჰენიოხები არიან (როგორც ზემოთ მოვიტანე მაგალითები, იმავე პლინიუსს ჩრდილოეთის ჰენიოხებიც ჰყავს მოხსენიებული, § 13, 15). პლინიუსის ამ ორი რიგის ცნობებთან დაკავშირებით დგება ავტორის წყაროების საკითხი და რამდენადაც ეს ყოველი კონკრეტული ფაქტის მიმართ გარკვეული არ არის, ზოგადად შეიძლება ვთქვათ: პიტიუნტის დარბევა ჰენიოხთაგან (VI, 15) კონკრეტული, რეალური ფაქტია და ამის შესახებ პლინიუსს ცნობა უნდა ჰქონოდა; ამავე კონტექსტში ხომ მას მელანხლაინებიც ჰყავს ხსენებული და ესეც ასახულია სხვა წყაროებშიც. მეორე მხრივ, პლინიუსს რაღაც სხვა წყაროც ჰქონია ხელთ, სადაც იყო სია იმ ტომებისა, რომლებიც სამხრეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ამ სიაში იყვნენ ჰენიოხებიც. ამ ორივე რიგის ცნობებს ერთდროულად და უკომენტაროდ იძლევა ავტორი.

არიანე § 11-ში სანებზე ლაპარაკის შემდეგ წერს: „ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები. მათი მეფე ანქიალეა. მაკრონებისა და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან... ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან“

ნ. კეჭაღმაძის აზრით, მაკრონები, ჰენიოხები და ძიდრიტები ცხოვრობდნენ დღევანდელ რიზესა და სარფს შორის (იხ. მის გამოცემასთან დართული რუკა), ხოლო ნ. ლომოურის აზრით, მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო აფსაროსამდე აღწევდა, ძიდრიტებს კი ეჭირათ ჭოროხის შესართავის ჩრდილოეთით თანამედროვე აჭარა-ქობულეთის მხარე („ეგრისის სამეფოს ისტორია“, 1968, გვ. 10).

არიანე ჰენიოხებს არ ასახელებს ჩრდილოეთის ტერიტორიაზე, თუმცა სწორედ მას აქვს სანაპიროს იმ მონაკვეთზე აქეუნტი, ძველია აქაჲა, ძველი ლაზიკა.

დიონ კასიუსი (71, 14) წერს: იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა სატრაპი ტირიდატე, რომელმაც არმენიაში ამბოხება მოაწყო, ჰენიოხთა მეფე მოკლა და ვერუსის წინააღმდეგ მახვილი იშიშვლა (როდესაც მას ვერუსმა საყვედური უთხრა ამ ამბების გამო), კი არ დასაჯა, არამედ მხოლოდ ბრიტანიაში გაგზავნა.

მართალია, აქ პირდაპირი მითითება ჰენიოხების საცხოვრისზე არ არის, მაგრამ მთელი კონტექსტი იმაზე მიუთითებს, რომ დიონ კასიუსის ჰენიოხები სამხრეთის რაიონის მოსახლეები არიან და მათ თავისი მეფე ჰყავდათ მარკუს ავრელიუსის დროს (160—180 წწ.) (დიონ კასიუსს ჰენიოხების სხვა ხსენება არა აქვს. 37, 3, 2 გადმოსცემს მითრიდატეს ისტორიის ერთ მომენტს, სადაც ზოგადად იხსენებიან კოლხთა მეზობელი „უცნობი და მეომარი ტომები“, სწორედ ჩრდილო მონაკვეთზე).

პლინიუსის არ იყოს, ანონიმური პერიპლუსის ავტორიც ორსავე ჰენიოხებს იცნობს. სამხრეთის ჰენიოხებზე იგი წერს: „მდ. არქაბისიდან მდ. ოფიუნტამდე წინათ ცხოვრობდა ეკქეირიებად წოდებული ტომი, ახლა კი ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები“, § 1, მეორეგან — § 9 იგი წერს, რომ „ჰენიოხთა ტომი შერეულია (შესაძლოა აქ მას მათი და მაკრონ-მაქელონთა ერთიანობა აქვს მხედველობაში).

ანონიმის ასე ფერად-ფერადი ცნობების არსებობა იწვევს, რა თქმა უნდა, წყაროთა სიმრავლისა და სიჭრელის, ერთ მხრივ, და მეორე მხრივ, ავტო-

რის უკრიტიკო დამოკიდებულების შედეგია. კ. მიულერს გარკვეული აქვს ამ პერიპლუსის წყაროები (არიანე, მენიპე პერგამონელი — მარკიანე ჰერაკლეელის მეშვეობით, ფსევდო-სკიმნოსი და ფსევდო-სკილაქსი), მაგრამ, მე პირადად, უყოყმანოდ მხოლოდ არიანეს „პერიპლუსს" ვხედავ ამ მეორე პერიპლუსში, დანარჩენი წყაროების საკითხი დასადგენია.

გვაქვს კიდევ ერთი ცნობა ტაციტუსისა, სადაც თითქოს მთლად ნათელი არაა, რომელ ჰენიოხებზეა ლაპარაკი, მაგრამ უფრო სამხრეთის ჰენიოხებზე უნდა იყოს. (ან. II, 68): ძვ. წ. I ს-ის დასასრულს პართელთა მეფე ვონონე აპირებდა არმენიაში, მერე ალბანებთან, ჰენიოხებთან და თავის ნათესავ სკვითების მეფესთან გაქცევას (ეს გაქცევა არ შედგა, ამის შესახებ ტაციტუსი მეტს არაფერს ამბობს, ამიტომ ვერ ვიტყვით ეს რომელი ჰენიოხია). არის ტაციტუსის მეორე ცნობა, სადაც თუ ჰენიოხებზეა ლაპარაკი, ესენი სამხრეთის ჰენიოხები არიან, მაგრამ თვით წაკითხვა Insochi ზოგს Heniochi-დ ესმის და ზოგს Moschi-დ. Ann. XIII, 37: რომაელთა მიმართ მეგობრულად განწყობილი ჰენიოხები (?) თავს ესხმიან სომხეთს და ამით დახმარებას უჩენენ კორბულონს (58 წ.) (ეს პართიასთან აწარმოებდა ომს ფარსმან I-თან და სხვა მოკავშირეებთან ერთად).

ასევე მთლად გასაგები არ არის ფსევდო-პლუტარქეს მიერ ხსენებული „ჰენიოხის ტახტი", რომელ ჰენიოხს გულისხმობს (კიდევაც თუ ის საკუთარი სახელია (მდინარეთა, მთათა სახელთა შეს. V, 3).

ამგვარად, ანტიკურ წყაროთა ერთი, ზემოთ მოყვანილ მეორე ჯგუფთან შედარებით უფრო მცირერიცხოვანი და ქრონოლოგიურად უფრო ახალი ცნობების მიხედვით ჰენიოხები ახ. წ. I—II სს-ში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე გვხვდებიან (რიზე-აფსაროსს შორის). ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული თვალსაზრისით მათი მაკრონ-მახელონებთან ერთად ზიარი სამეფოს შექმნაა — ტრაიანე-ადრიანეს დროს ანქიალე მეფით სათავეში და მათი მონაწილეობა II საუკუნის საერთაშორისო ცხოვრებაში. ჰენიოხების მეფე მარკუს ავრელიუსის დროსაც ჩანს (160—180). მაგრამ ამ სამეფოს, როგორც ჩანს, დიდხანს არ გაუძლია, მალე ქრება მისი სახელი წყაროებში.

ზემოთ მოვიყვანე ბერძენ-რომაელ მწერალთა თხზულებიდან ადგილები, სადაც სატომო სახელის-ჰენიოხის ბერძნულ ნიადაგზე ახსნა იყო მოცემული, როგორც ჩანს, დაფუძნებული ამ სახელების გარეგნულ მსგავსებაზე (სატომო სახელი „ჰენიოხი", ბერძნ. სიტყვა ἡνίοχος—მეეტლე). ჯერ კიდევ დიუბუა დე მონპერემ უარყო ამ ტომის მიმართ ასეთი შეხედულება და ბერძნების მიერ შემონახული ამ სახელის სხვაგვარი ახსნის საჭიროება დაინახა[13]. ამ სახელის ასეთი ახსნები გვაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში: უსლარის აზრით, „ჰენიოხი" არის ბერძნულად გააზრებული ადგილობრივი სახელი, ადიღეური „განნოაჩე" (რაც მათ ენაზე ნიშნავს „ლეკებს").

ი. ორბელმა „ჰენიოხის" თავდაპირველ ფორმად მიიჩნია „ჰენიხი", რაც გააიგივა „სანიგთან", „სანთან" და გამოთქვა ვარაუდი ესენი იგივე სვანები არიანო[14]. ეს აზრი შემდეგ გაიაზრა ნ. მარმა[15].

---

[13] Fr. Dubois de Montpéreux, Voyage...I, 1839. გვ. 90.

[14] И. А. Орбели, Город блезнецов Διοσκουριας и племя возниц ἡνιοχοι, ЖМНП, 1911, апрель, გვ. 200—208.

[15] Н. Я. Марр, К истории термина «абхаз»; ИАН, 1913, გვ. 327.

კისლინგი ჰენიოხებს ქართველურ ტომად მიიჩნევს, აკავშირებს მათ სანებსა და ლაზებთან, მაგრამ ამავე დროს სანებსა და ლაზებს ის კერკეტებს (ჩერქეზებს) უკავშირებს[16] (ე. ი. ამით ის ქართველ და კავკასიელ ტომთა ნათესაობას ცნობს). ივ. ჯავახიშვილს ჰენიოხების ეთნარქად მიაჩნია ბიბლიის ენოხ // ენუქი, ხოლო ტომობრივად მან ისინი ჭანებს მიაკუთვნა[17].

პ. ინგოროყვამ ჰენიოხების სახელი სანებთან და სანიგებთან დააკავშირა და ყველა ესენი მეგრულ-ჭანურ ტომებად მიიჩნია[18]. ს. ჯანაშია ჰენიოხებს მეგრელ-ლაზებად თვლიდა[19]. გ. მელიქიშვილი ავითარებს ი. ორბელის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთის ჰენიოხები და სანები (ეს ერთი და იგივე ტომებია) სვანები არიან[20], ხოლო სამხრეთის ჰენიოხები — ჭანები[21]. პ. უშაკოვი ჰენიოხებს აიგივებს ურარტული წარწერების იგანიეხისთან[22]. მ. ინაძე იზიარებს პ. უშაკოვის ამ ვარაუდს, ხოლო ეთნიკურად ჰენიოხები მას ლაზურ-ჭანურ ტომად მიაჩნია[23]. ნ. ლომოური ჰენიოხისა და სანიგის იდენტურობას არ ცნობს, ჰენიოხებს რომელიმე ტომთან კატეგორიულად არ აიგივებს, მაგრამ ვარაუდის სახით ეს ტომი მას მეგრულ-ჭანურ შტოს ტომად მიაჩნია[24]. ჰენიოხების ლაზურ-ჭანურ მოდგმასთან კავშირს იზიარებს ალ. გამყრელიძეც[25]. თ. მიქელაძეს ჰენიოხები ერთ-ერთ კოლხურ (ე. ი. მეგრულ) ტომად მიაჩნია[26]. ზ. ანჩაბაძე აიგივებს ჰენიოხსა და სანიგს და ორივეს ჯიქების (ანუ ადიღეურ-აფხაზური ჯგუფის) ტომად თვლის[27].

ყოველივე ამ მასალის გათვალისწინების საფუძველზე ამ ბოლო დროს ბ. გიგინეიშვილმა გამოაქვეყნა სტატია: „ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის“, რომლის ძირითადი დებულებები ასეთია: ჰენიოხი (῾Ηνίοχος) ენოხისაგან (῞Ηνωχ) არ გამოიყვანება ენობრივად (გვ. 119), ჰენიოხსა და იგანიეხს შორის არავითარი ენობრივი კავშირი არ არსებობს (გვ. 120). ჰენიოხი და სანიგი ლინგვისტურად არ ფარავენ ერთმანეთს (გვ. 120).

ჰენიოხი არის იგივე ჭანი (ტომობრივადაც და ენობრივადაც). ტომის მეგრულ-ჭანური სახელწოდებაა „ჭანი“, რასაც შეესაბამება სვანური „ჰეხი“ (ოხი // უხი ურარტული სუფიქსია სატომო სახელებში) და ქართული *წენი (თვით ქართულში არ მოგვეპოვება სათანადო ფორმა, შესაძლოა ეს *წენი დაცულია მეგრულ სიტყვებში „წენდიხა“ და „წენიწყარი“) (თვით წენ — შესაძლოა ქართულიდანაა შეთვისებული). ამ სამი ფორმისთვის ამოსავალია სა-

---

[16] RE. 15. Halbband, 1912. გვ. 278.

[17] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 32; მისივე, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ., 1950, გვ. 136.

[18] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 122, 124, 135.

[19] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი-იბერი (შრომები, III, გვ. 20)

[20] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959. გვ. 91—92.

[21] იქვე, გვ. 373—374.

[22] П. Ушаков, К походам урартийцев в Закавказье...: ВДИ, 1946, №2, გვ. 38.

[23] მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები), მასალები..., ნაკვ. 32, 1955, გვ. 13—21.

[24] ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი... მასალები..., 32, გვ. 54.

[25] ალ. გამყრელიძე, ამიანე მარცელინე... Georgica, I, 1961, გვ. 154—155.

[26] თ. მიქელაძე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ-ის მოამბე, II, 1960, გვ. 175.

[27] З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии. М., 1964. გვ. 134—137.

ერთი ქართველური *წ₁ენი ე. ი. სვანები და ჭანები მეზობლად ცხოვრობდნენ, სვანი „ჭანს“ ეძახდა „ჰენს“. შემდეგ ამ ტომმა სამხრეთით გადმოინაცვლა და თან წამოიღო თავისი სვანური სახელი. აქ გაფორმდა ის ურარტული სუფიქსით და ასე აითვისეს ის ბერძნებმა, რომელთაც სიტყვა ბერძნულად გაიაზრეს[28].

მე პირადად ამ წერილის მიმართ ასეთი შენიშვნები მიჩნდება: ჰენიოხსა და იგანიეხს შორის რომ არავითარი ენობრივი კავშირი არ არსებობს, აძას დამტკიცება სჭირდება. როგორც ჩანს, ამის მტკიცებაც და უარყოფაც ერთნაირად ძნელია, რადგან სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა სისტემის დამწერლობით გადმოცემული საკუთარი სახელები ნაკლებ ემორჩილებიან იმ კანონზომიერებას, რაც სხვა რიგის სიტყვებში და, კერძოდ, არასაკუთარ სახელებშია ხოლმე დაცული. ჰენიოხსა და იგანიეხს შორის რომ ძნელია კავშირის დამყარება, საამისოდ ფაქტობრივი ვითარება უფრო გამოგვადგება. იგანიეხი იხსენიება დაახლოებით ჩილდირის ტბასთან ძვ. წ. VIII ს-ში, ჰენიოხი — შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე დაახლოებით ახ. წ. I ს-ში. რატომაა, რომ ამ ტერიტორიაზე არც ერთი ავტორი, თვითმხილველი თუ ძველი წყაროების გამომყენებელი მთელი 9 საუკუნის მანძილზე არსად ახსენებს „ჰენიოხს“ (მაშინ როდესაც სხვა ტომებს ბლომად ახსენებენ„მაგ.: ფსევდოსკილაქსი, ქსენოფონტი... ხოლო ანონიმური პერიპლუსის ავტორი პირდაპირ ამბობს—მდ. არაქაბისიდან მდ. ოფიუნტამდე წინათ ცხოვრობდა ეკქეჲრიებად წოდებული ტომი, ახლა კი ცხოვრობენ მახელონები და ჰენიოხები, § I). ამავე დროს ძვ. წ. V ს-ის ავტორებთან ამ სახელწოდების მქონე ტომი დასტურდება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (სახელის უკვე ე. წ. ურარტული სუფიქსით).

ასევე საეჭვო მეჩვენება ის მტკიცებაც, რომ „ჭანის“ სახელი სვანმა „ჰენი“ ფორმით იხმარა, მერე ამ სახელმა ურარტული სუფიქსი შეიძინა (როდის?) და ასე აითვისა ის ბერძენმა. ყოველივე ეს დროში როგორ მოვათავსოთ? ურარტელებისა და სვანების კონტაქტი საეჭვოა. ურარტელთა ძლიერების დროს სვანები უკვე იქ ცხოვრობდნენ, სადაც ახლა. თანაც ურარტელს, რომელსაც თითქმის მეზობლად ჰყავს „ჭანი“, რატომ დასჭირდა „ჭანისათვის“ სვანური სახელი „ჰენი“ ეწოდებინა, მას ხომ უშუალოდ შეეძლო ჭანისაგანვე აეღო მისი სახელი? (ხომ არ არის „იგანიეხი“ თეორიულად წარმოსადგენი „ჭანიეხი“ თუ „ჭანიუხის“ გადმოცემა?).

ამგვარად, თეორიულად მეგრულ-ჭანურ „ჭანს“ კი შეესაბამება სვანურში „ჰენი“, მაგრამ გზა ამ ჭანის მნიშვნელობის „ჰენის“ ბერძნულ წყაროებამდე მოტანისა დამაჯერებელი არ არის. ასევე, მართალია „ხი (-უხი) სუფიქსი კუთვნილებისა და წარმომავლობის გამომხატველი ურარტული, მოქმედი სუფიქსია, მაგრამ ამავე დროს ხომ გვაქვს მთელი წყება ქართულ-კავკასიური სატომო და გეოგრაფიული სახელებისა, სადაც ეს სუფიქსია დაცული? შესაძლოა აქ ეს სუფიქსი ყოველთვის ვერ გამოვყოთ და მისი ფუნქცია ისე მკვეთრად გამოხატული არ იყოს, როგორც ურარტულშია, მაგრამ ისინი მაინც დადასტურებული არიან და სუფიქსებად მიჩნეული. ყოველთვის ურარტულთან კავშირია უშუალო წყარო ამ ფორმებისთვის? (შდრ. სანიგი, აბას-

[28] ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისთვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 1, გვ. 115—124.

გი, ძიგი, ზიხი, სინხი, არიხი... შედარებით სამხრეთით — კოლხი, ტაოხი, მოსხი, მოსინიკი, კარდუხი... ალმ. საქ-ოს ტერიტორიაზე — კარდანახი...).

ამგვარად, ეს შეხედულებანი რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: 1. ჰენიოხი — იგანიეხია; 2. ჰენიოხი იგივე სანი და სანიგია; 3. ჰენიოხი — სვანია; 4. ჰენიოხი — მეგრულ-ჭანური ტომია; 5. ჰენიოხი აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომია.

ჩემი აზრით, დაბეჯითებით თქმა, თუ სახელდობრ რომელი ტომია ჰენიოხები, ძნელია, რადგან ყველა ეტიმოლოგია, რაც ლიტერატურაშია, საკამათო ჩანს. თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ტომი ქართულია და ერთ-ერთი უძველესი ქართული; მისი სახელი ძვ. წ. V ს-დან მოკიდებული განუწყვეტლივ ჩანს ბერძნულ მწერლობაში და მისი საცხოვრისისა და სხვა ტომებთან კავშირების მიხედვით ის ერთ-ერთ დასავლურ-ქართული ტომია (სპეციალისტთა უმეტესობის აზრით — ჭანი; ზოგის აზრით — სვანი).

ანტიკურმა მწერლობამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ უამრავი ტომი იცის, ამ ტომებს სხვადასხვა სახელი აქვთ და არც ერთი სახელის ეტიმოლოგიას არ ეთმობა იმდენი ადგილი სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ჰენიოხებისას. ვფიქრობ, შეიძლება ამათაც დავუტოვოთ თავისი სახელი, უთუოდ საკუთარი, ადგილობრივი, მხოლოდ ბერძენთა მიერ ბერძნულად გამართული და გააზრებული.

ამგვარად, ჩემი აზრით, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ორ სხვადასხვა ადგილას ხსენებული ჰენიოხები ერთი და იგივე ტომია. ჰენიოხების თავდაპირველი საცხოვრისი იყო ქ. ფასისი; სანამდე ვრცელდებოდა მათი სამფლობელო ამ დროისათვის, წყაროების მიხედვით არ ჩანს. აქ რომ მათ დიდი სახელმწიფოებრივი ერთეული ან ტომთა მნიშვნელოვანი გაერთიანება ჰქონოდათ, ეს გამორიცხულად მიმაჩნია, რადგან არსად მწერლობაში ეს ასახული არ არის. არ ჩანს ეს არც ძველ თქმულებაში, სადაც გარკვევით მხოლოდ კოლხთა ძლიერ სახელმწიფოზე არის ლაპარაკი, იონიური პერიპლუსებისა და დაახლოებით იმ დროსვე შექმნილი ლეგენდების მიხედვით ქ. დიოსკურია მათ ტერიტორიაზე (ჩრდილოეთით მეზობლად მათ ჰყავთ აქაები და კერკეტები, სამხრეთით—კოლხები); კოლხები თუ სანაპირო ზოლზე არიან, მთებისკენ მათ მეზობლად ჰყავთ სვანები. ელინისტურ ეპოქაში, არტემიდორეს დროს მათი ტერიტორია სოჭიდან პიტიუნტამდეა გადაჭიმული[29]. მითრიდატეს ომების დროს ჰენიოხების ტერიტორიის ასე ზუსტი შემოფარგვლა არ ხერხდება, მაგრამ ცხადია, რომ ისინი კოლხებზე ჩრდილოეთით ცხოვრობენ. როგორც ჩანს, მათ უჭირავთ სოჭი-ადლერის რაიონი ვიდრე პიტიუნტამდე. ანტიკურ წყაროებში ცნობები ჩრდილოელ ჰენიოხებზე ბევრია. ახ. წ. I ს-ის შემდეგ ამ რაიონში ჰენიოხები აღარ ჩანან და მათ ხსენებას ვხვდებით სამხრეთით, რიზესა და გონიოს შორის.

რითი უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ერთი და იგივე სატომო სახელი დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში სანაპიროზე ორ ადგილას იხსენიება? ეს კითხვა ჩნდება არა მარტო ჰენიოხების მიმართ. არის კიდევ რამდენიმე სატომო სახელი, რომელიც ასევე ორ ადგილას არის, მაგრამ მათ შესახებ ამდენი მასალა არ მოგვე-

[29] რადგან ფაქტად ვაღიარებთ ადრეულ პერიოდში ფასისსა და დიოსკურიაში ჰენიოხების არსებობას, მაშინ ისიც უნდა ვცნოთ, რომ მათი შედარებით ჩრდილოეთით დამკვიდრება (და ძვ. წ. V ს-დან მათი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ლოკალიზაცია) კოლხთა გაძლიერებისა და კოლხიდის ექსპანსიის შედეგია.

პოვება. ეს ტომებია Κερκέται-ძირითადად და უფრო ადრინდელ წყაროებში ჩრდილო მონაკვეთზე აქაჲებსა და ჰენიოხებთან ერთად[30]. ამავე დროს სტრაბონს დასახელებული ჰყავს κερκέται (იგივე Κερκέται) ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ მცხოვრები ტიბარენების, ქალდების (= ხალიბები) და სანების (= მაკრონები) მახლობლად. სტრაბონი შენიშნავს, უწინ მათ კერკეტები ერქვათ, ახლა აპაიტები ჰქვიათო. როდის იყო ეს უწინ, ტექსტის მიხედვით არ ჩანს (აპაიტების ტომს მარტო სტრაბონი იცნობს). კვინტუს კურციუს რუფუსი (I ს.) ერთად ახსენებს კერკეტებს, მოსინებს, ხალიბებს, ლევკოსირებს (VI, 5, 20), ე. ი. მისთვისაც კერკეტები სამხრეთით არიან.

იგივე უნდა ითქვას ლაზების შესახებ. მათი ყველაზე ადრინდელი ხსენება გვხვდება მემნონთან (ძვ. წ. I ს.-ახ. წ. I ს.), რომელიც ამბობს—მითრიდატეს დროს კლეოხარეს მომხრეები სინოპიდან გაიქცნენ ნავებით პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეებში (τὰ ἑώτερα), სადაც ცხოვრობდნენ სანიგები და ლაზები. „პონტოს უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე“ მესმის როგორც ის ადგილი, სადაც იმ დროს დიოსკურია იყო (შდრ. სტრაბონი, XI, 2, 16). გეოგრაფიული სახელები Παλαιὰ Λαζική და Λαζός გვხვდება არიანესა და პტოლემაჲოსთან. ორივე გაიგივებულია ანონიმის ნიკოფსისთან, ე. ი. ქართული წყაროების ნიკოფსიასთან, თანამედროვე ნოვომიხაჲლოვსკაჲასთან. ე. ი. უძველესი ხსენება ლაზებისა (ამას ტოპონიმებიც ადასტურებს) არის სანაპიროს ჩრდილო მონაკვეთზე.

შემდეგ ხანში, ე. ი. ახ. წ. I ს-დან პლინიუსი, კლავდიუს პტოლემაჲოსი, არიანე და სხვა ავტორები ლაზებს ახსენებენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ხოლო IV-V სს-ისათვის ამ ძირისაგან წარმოებული სახელი Λαζική გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიას მოიცავს, დასავლეთ საქართველოს სამეფოს სახელად იქცევა.

სანიგებისა და სანების სახელს ჯერ კიდევ ძველი ავტორები აიგივებენ. Liber generationis-ში (III ს.) და ევსებიოსთან ვკითხულობთ: სანნები, რომლებიც იწოდებიან სანიგებად.

სანიგებს, როგორც უკვე ვთქვით, ახსენებს მემნონიც (მითრიდატეს ომების დროს, ტერიტორია—დიოსკურიასთან). სანებს ახსენებს სტრაბონი (სანებს უწინ მაკრონები ერქვათ) სამხრეთ მონაკვეთზე და ამას შემდეგ ბევრი ავტორი იმეორებს.

ამრიგად, მე ვდგავარ იმ თვალსაზრისზე, რომელიც ჯერ კიდევ 1912 წ. კისლინგმა გამოთქვა (RE, 15. Halbband, გვ. 259-280) და რომლის მიხედვითაც ჰენიოხები (და ზოგი სხვა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომი) თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჩრდილოეთის მონაკვეთზე (მე დავუმატებდი— სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ ჯერ ჯიქთა მოწოლის[31], ხოლო მერე სხვა მიზეზების გამო, დაიძრნენ თავისი ტერიტორიიდან და სამხრეთისაკენ გადმოინაცვლეს. ასეთი ტალღა რამდენიმე იყო, რის შედე-

[30] ჩვეულებრივ მას ჩერქეზებთან აიგივებდნენ—მჲულერი, კისლინგი, ჯანაშია, ინგოროყვა და სხვ. გ. მელიქიშვილს ერთი, ეგრ.-ძირისაგან წარმომავლად ესახება მაკრონი, ეკრექტიკა, კვერიტიკა, კერკეტი (Г. Меликишвили, დასახ. ნაშრომი. ... გვ. 89—99).

[31] აქ შეიძლებოდა კიდევ სხვა ტომთა ჩამოსახლებაზედაც ლაპარაკი, მაგ., აფსილების პირველი ხსენებაა პლინიუსთან, ხოლო აბასგებისა და აფსილების—არიანესთან; მანამდე ეს სახელები საერთოდ არ ჩანს მწერლობაში.

გადაც ახ. წ. I-II სს-ში ჰენიოხები და სხვა ტომებიც აღმოჩნდნენ სამხრეთის რაიონებში, დაახლოებით ტრაპეზუნტის მიდამოში.

ასეთი კატეგორიულობით არა, მაგრამ დაშვების სახით გ. მელიქიშვილიც ამბობს, რომ შესაძლოა ჰენიოხები ჩრდილოეთიდან მოხვდნენ სამხრეთით (К истории древней Грузии გვ. 93; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 540, 547). იგი ჩრდილოეთის ჰენიოხებს უკავშირებს სვანებს, ხოლო სამხრეთისას — ჭანებს. იგი პირობით უშვებს ამ სამხრეთი ჰენიოხების კავშირს ურარტულის იგანიეხისთან.

კისლინგის სრულიად საპირისპირო მოსაზრება აქვს გამოთქმული მ. ინაძეს, რომელიც ამბობს, რომ დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობა, ჰენიოხები ჯერ IX—VIII სს-ში სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდა, ხოლო კოლხთა დაწოლის შედეგად V—IV სს-ში ჰენიოხები უკვე ჩრდილოეთითაც ჩანან (შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის. მასალები, ნაკვ. 32, 1955, გვ. 13—22). ნ. ლომოურიც დაახლოებით ამავე აზრისაა ჰენიოხთა თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ — შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰენიოხები თავდაპირველად დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში ბინადრობდნენ და შემგომ თანდათან გადიწიეს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (კლავდიოს პტოლემაიოსი, მასალები, 32, გვ. 54—55).

პ. უშაკოვის აზრით, ურარტული წარწერების იგანიეხი არის ბერძნულ-რომაული წყაროების ჰენიოხები; მათი ქვეყანა კი ვრცელდებოდა ჩილდირის ტბიდან ჩრდილოეთისაკენ, შემდეგ აფხაზეთამდე უკვე სარდურის დროს (ე. ი. დაახლოებით VIII ს-ში), ე. ი. იგანიეხი-ჰენიოხები მხოლოდ სამხრეთის მოსახლენი კი არ არიან, არამედ მათ უჭირავთ ვრცელი ქვეყანა სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე.

ენობრივად იგანიეხის დაკავშირება ჰენიოხთან პრობლემატურია. ამას გარდა, იგანიეხ-ჰენიოხთა ასეთ დიდ გაერთიანებაზე, რომელსაც ლამის მთელი დასავლეთ საქართველო ეჭირა (ჩილდირის ტბიდან სოჭამდე) ლაპარაკი გაძნელდება სათანადო მასალის უქონლობის გამო. უძველესი ბერძნული წყაროები, რომლებიც ზემოთ მიმოვიხილე, ამის საშუალებას არ იძლევიან.

ამრიგად, მე ვიზიარებ კისლინგის მოსაზრებას (ზოგიერთი კორექტივით) და, მაშასადამე, არ მჯერა მისი საწინააღმდეგო თვალსაზრისის.

ჰენიოხების სახელი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე პირველად ჩნდება პლინიუსთან I ს-ში (და შემდეგ უკვე მომდევნო ხანის ავტორებთან), ისე რომ ძნელია იმის თქმა, ისინი თავიდან ცხოვრობდნენ სამხრეთით და შემდეგ გადავიდნენ ჩრდილოეთისკენო. ამ სამხრეთელი ჰენიოხების არსებობა, თუნდაც გარკვეული სამეფოს შემადგენლობაში, ხანგრძლივი არ აღმოჩნდა და მას ის კვალი არ დაუმჩნევია ანტიკურ მწერლობაში, როგორიც დატოვეს ჩრდილოელმა ჰენიოხებმა.

ჰენიოხები, ჭეშმარიტად ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომი, დოკუმენტურად პირველად იხსენიებიან ძვ. წ. V ს-ის ავტორებთან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო სექტორში, ხოლო წყაროების ანალიზისა და მსჯელობის საფუძველზე — კოლონიზაციამდელ ეპოქაშიც.

Т. С. КАУХЧИШВИЛИ

# КАВКАЗСКИЕ ПЛЕМЕНА ПО АНТИЧНЫМ ИСТОЧНИКАМ

## 2. Гениохи

Резюме

В греко-римских источниках упоминается жившее на восточном побережье Черного моря племя «гениохов» Ἡνίοχοι. По-гречески слово ἡνίοχος означает «возница». По всей видимости, на основании тождества или сходства названия племени с этим словом, создалась легенда о происхождении данного племени от «возниц» Диоскуров и поселении их на Черноморском побережьи во времена похода аргонавтов.

В доколониальную эпоху гениохи населяли г. Фасис, в V—I вв. до н. э. они занимали территорию между нынешними Сочи и Сухуми (Диоскурией). Гениохи в позднеэллинистическую эпоху были на стадии развитого родового строя. В период V—I вв. до н. э. они были известны своим пиратством, грабежами, торговлей рабами. Во время римской экспансии они не были подвластны Риму.

В источниках I—II вв. упоминание о гениохах встречается на южном участке Восточного Причерноморья, примерно на территории между Ризой и устьем р. Чорохи. В I—II вв. они вместе с макронами объединяются в одно недолговечное царство (во главе с царем Анхиалом), участвующее в международной жизни II в. н. э.

Итак, гениохи (и некоторые другие племена, проживающие на Восточном Причерноморье) сначала жили на северном его участке (в разное время в разных областях), а затем, отчасти под давлением зихов (джиков) и некоторых других горских племен)*, а также по другим, имманентным причинам, они заняли южный сектор того же побережья.

Со времен Дюбуа де Монпере никто не разделяет мнения античных авторов по поводу греческой этимологии названия племени гениохов. По современным гипотезам имя гениохов связывается с названиями саннов, санигов, сванов, чанов, урартских иганиехов, с библейским Енохом. В основном этнически гениохов считают западно-грузинским племенем (сванами, или же мегрело-чанами).

* По сведению анонимного «Перипла» из заселенной некогда гениохами (и другими соседними с ними племенами) территории впоследствии жили зихи (=джики).

# ცნობები და შენიშვნები

ლელა მიქიაშვილი

## „ახალი ისტორიის" თეიმურაზ ბაგრატიონისეული ხელნაწერი

სამეცნიერო ლიტერატურაში დავით ბაგრატიონის ავტორობით ცნობილი თხზულების „ახალი ისტორიის" ტექსტი შემონახულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ოთხ ხელნაწერში: 1) A-1766, 2) H-25, 3) H-26 და 4) S-3860[1].

ამათგან A-1766 გამოცემულია 1941 წ. თ. ლომოურის მიერ, ხოლო H-25-1905 წ. მ. ჯანაშვილის მიერ[2]. რაც შეეხება H-26-იგი ამ თხზულების გვიანდელი პირია და, ამდენად, კვლევისათვის მნიშვნელოვან მასალას არ წარმოადგენს.

მეოთხე ხელნაწერი—S-3860—თეიმურაზ ბაგრატიონის კუთვნილებას შეადგენდა[3]. იგი თავისი შედგენილობით გამოირჩევა დანარჩენებისაგან. ზემოთ დასახელებული ნუსხები შეიცავენ მხოლოდ ორ თხზულებას—„ახალ ისტორიას" და ბაგრატ ბაგრატიონის „ახალ მოთხრობას". S-3860-ში კი ძირითად ტექსტად წარმოდგენილია ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრება", რომელსაც გაგრძელების სახით ერთვის „ახალი ისტორია". ხოლო რაც შეეხება „ახალ მოთხრობას", იგი ამ ხელნაწერში არ არის შეტანილი.

თხზულება დაწერილია სხვადასხვა ფერის ქაღალდზე. ძირითადი ტექსტი იწყება გვ. 15-დან სათაურით: „ტომობა და ჩამომავლობა ქართუჱლთა და ცხოვრება მათი, რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა". გვ. 15-მდე კი მოცემულია ტექსტში ჩასამატებლად განკუთვნილი სინგურით დასათაურებული ნაწილები, მაგ.: „ეს უნდა ჩაიწეროს საცა ხაზართათვის მოუთხრობს" (გვ. 9); ან „ეს უნდა შთაიწეროს მეფის ფარსმანის ისტორიაში" (გვ. 22) და სხვ.

„ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში"[4] ამ ნუსხის შესახებ ვკითხულობთ: „ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა, ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა და ცხოვრება მათი, რომელსა ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა"... და ა. შ. შენიშვნებში ხელნაწერის აღმწერელი წერს: „1) შედგენილობა: ა) ტომობა და ჩამომავლობა ქართუჱლთა და ცხოვრება მათი (15r—151r);

ბ) უწყებულება მკითხველთათვის (151r—158r);

გ) აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მთით, მდინარეებით, ადგილთა მას შინა შენებულებათა (158v—194r).

---

[1] ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება ამავე ტექსტის სამი ხელნაწერი შიფრით M—17; E—229 და E—67, მაგრამ ისინი წარმოადგენენ ამ თხზულების გვიანდელ პირებს.

[2] მათ შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. ჟურნ. „მაცნე", ისტორიის სერია № 1, 1980 გვ. 85.

[3] ამას ადასტურებს ხელნაწერის 1 გვ-ზე მოთავსებული მინაწერი: „ეს ქართლის ცხოვრება თანა მქონდა გერმანიაში რომ წაველ წელსა 1836-სა მეფის ძე თეიმურაზ".

[4] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. V, თბ., 1967, გვ. 279—282.

დ) შემდგომად განყოფისა სამეფოსა... (194r—261v). ტექსტის ეს ნაწილი გამოცემული აქვს დ. ბაქრაძეს (1885 წ.), თ. ლომოურსა და ნ. ბერძენიშვილს (1941 წ.), ზ. ჭიჭინაძეს (1913 წ.), დ. ჩუბინაშვილს 1845 წ.

2) ერთვის: ა) დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორია“ (იხ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, 1941, გვ. 1—44 და ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854 გვ. 501—516)“[5].

საკვლევი ხელნაწერი ყურადღებას იპყრობს თავისი კალიგრაფიული ხიშან-თვისებებით: ტექსტის გადამწერლებად გვევლინებიან მესხიშვილთა ცნობილი სკოლის წარმომადგენლები. მესხიშვილების საგვარეულოს ისტორია იწყება 1674 წლიდან, როცა დომენტი კათალიკოზმა ანჩისხატის ტაძარი განაახლა, მცხეთიდან ანჩის ხატი ჩამოასვენა და თან ჩამოიყვანა მღვდელი პეტრე მესხი თავისი ოჯახით. მესხიშვილთა უფროსი თაობის წარმომადგენელია მწიგნობარ-კალიგრაფი ალექსი მესხიშვილი. მისი მამა—გრიგოლი—სამეფო კარის მხატვარი იყო, ამან განაპირობა მესხიშვილთა ახლო ურთიერთობა მეფესთან და მისი ოჯახის წევრებთან, რაც მათ შემოქმედებით თანამშრომლობაშიც აისახა[6]. მესხიშვილთა ოჯახიდან გამოვიდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და ლექსიკოგრაფი, პოეტი და მეცნიერი დავით რექტორი (ალექსი მესხიშვილის ვაჟი), რომლის ხელმძღვანელობით მიუღიათ განათლება დავით, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებს[7].

ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ი. გაჩეჩილაძის დახმარებით დავადგინეთ, რომ საკვლევ ხელნაწერში სამი ძმის ხელი გამოიყოფა—სოლომონ და გიორგი მესხიშვილებისა და დავით რექტორისა. ტექსტის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის სოლომონ მესხიშვილს (9r, 13v, 15r-261v), დანარჩენი კი დავით რექტორს (2r-6v, 14rv, 266rv, 270rv, 272rv, 275rv, 282r-301v) და გიორგი მესხიშვილს (9r-14r, 262r-265v, 267r-269v, 271rv, 273r-274v, 276r-281v). ამ ძმების მიერ გადასაწერი მასალის ურთიერთშორის განაწილება არ წარმოადგენს იშვიათობას (ამის მაგალითად გამოდგება ისიც, რომ თავის დროზე დარეჯან დედოფალს ანტონ I-ის „თვენის“ გადაწერა დაუვალებია მესხიშვილთა ოჯახისათვის. ძმებს—სოლომონს, გიორგის და ნიკოლოზს გაუნაწილებიათ შრომა და დედოფლის დავალება შეუსრულებიათ).[8] მასალის ასეთივე განაწილებას ვხვდებით საკვლევ ხელნაწერშიც. ამას გარდა, აქ ყურადღებას იქცევს სხვა დამახასიათებელი თავისებურებებიც: სამივე ხელის ქაღალდი განსხვავდება ერთმანეთისაგან-სოლომონის ნაწილი თხელ ქაღალდზეა დაწერილი, გიორგის ქაღალდი ოდნავ განსხვავდება მისგან, დავით რექტორი კი სქელ ქაღალდზე წერს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს კანონზომიერება მტკიცედ ვრცელდება სოლომონზე, დავითისა და გიორგის ნაწილებში კი ირღვევა: რამდენიმე ადგილას დავითის ქაღალდზე გიორ-

[5] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასახ. ტომი, გვ. 279,

[6] ი. გაჩეჩილაძე, XVIII—XIX სს ქართველ კალიგრაფთა მოღვაწეობა: მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა და მათი საოჯახო წიგნსაცავი, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975, გვ. 45.

[7] ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 22.

[8] ი. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

გის ხელიც გვხვდება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხელნაწერის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი (262 გვ-დან, ე. ი. „ახალი ისტორია“) გადაუწერიათ დავითსა და გიორგის[9]. აქ ყურადღებას იპყრობს გვერდების მონაცვლეობა, მაგ., 262r-265v — გიორგის გადაუწერია, 266rv — დავითს, 267r-269v — ისევ გიორგის ეკუთვნის, 270rv — კი დავითს და ასე გრძელდება ტექსტის ბოლომდე — ამ ორი ძმის ხელი ენაცვლება თითქმის ყოველი ფურცლის შემდეგ. როგორც ჩანს, დავითი და გიორგი ერთდროულად მუშაობდნენ ხელნაწერზე.

ხელნაწერის კალიგრაფიული შესწავლის შედეგად ირკვევა ისიც, რომ გარდა მესხიშვილებისა მასზე უმუშავიათ დავით და თეიმურაზ ბაგრატიონებსაც. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს ერთი შენიშვნა ხელნაწერთა აღწერილობიდან, სადაც ვკითხულობთ: „1) თეიმურაზ ბატონიშვილის შენიშვნები: ა) ეს უნდა ჩაიწეროს მეფის ფარსმანის ისტორიაში (2r-5r). ბ) ეს უნდა ჩაიწეროს 3600. არტაქსერქსთან ჩაიწერება, ერთი ისტორიაა... (5v). ანალოგიური შენიშვნებია 6r, 7v, 8v, 9r-v, 10rv, 11rv, 13rv, 307v-311r“[10]

ამრიგად, ხელნაწერის აღმწერელი ყველა ამ შენიშვნის ავტორად თეიმურაზ ბაგრატიონს მიიჩნევს, მაგრამ ამ გვერდების სათანადო შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ თეიმურაზის ხელი გვხვდება მხოლოდ 1r, 1ა ზემო კიდეზე („ესე ქართლის ცხოვრება თანა მქონდა გერმანიაში რომ წაველ“), 305v და 306v. დანარჩენი შენიშვნებიდან საც. ფ. v, 1rv, 5v, 6v, 8v, 9r, 11r, 12r, 13rv, 307rv, 310r, 311r — ეკუთვნის დავით ბაგრატიონს, 2r — 6r, 7rv, 14rv — კი დავით რექტორს. რაც შეეხება 9r-13v — ეს მონაკვეთი სოლომონის ან გიორგის გადაწერილია.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, „ახალი ისტორიის“ ხელნაწერებიდან არც ერთი არ წარმოადგენს დავით ბაგრატიონის ავტოგრაფს (H-25-ც და A-1766-იც ბაგრატის ავტოგრაფებია), მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე იგი ამ თხზულების ავტორად იყო მიჩნეული; აქედან გამომდინარე, საკვლევი ხელნაწერის მნიშვნელობას უდავოდ ზრდის ის ფაქტი, რომ იგი წარმოადგენს ერთადერთ ნუსხას, რომელშიც აშკარად ჩანს დავით ბაგრატიონის მუშაობის კვალი. მთელი ტექსტი რედაქტირებულია დავითის მიერ, მის შენიშვნებსა და მინაწერებს ეხვდებით ხელნაწერის თითქმის ყველა გვერდზე (მაგ. 9r, 11r, 12r, 31r, 32r, 35v-36r, 41r, 40r და ა.შ. ტექსტის ბოლომდე). ამას გარდა, ხელნაწერში მრავლად არის დავითის მიერ გადაწერილი მთელი გვერდები (1ა rv, 8v, საც. ფ. V, 301r, 30v, 311r-დან ბოლომდე).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ S-3860-ში, სხვა ნუსხებისაგან განსხვავებით, არ არის მოცემული დავითის კრიტიკა. ეს ადგილი ტექსტში შემდეგნაირად იკითხება: „... ჰყვეს განმგედ და მმართებელად ქართლისა პირმშოი ძეჲ მისი დავით ბრძანებითა იმპერატორისათა, ვინაიდგან ჯერ იყო მებრ ტრაქტატითა, ესე იგი აღთქმისა პირობათასა, დადებულითა შორის ეკატერინა იმპერატრიცისა და მეფის ირაკლისათა, რათა ბრძანებისა რუსეთისა კარისათა დაიდრგინებოდეს მეფე. ამან იწყო მართვად ქართლისა ფრიად გონიერად, ვინაიდგან იყო ესე აღზრდილი მეცნიერებასა შინა ვითარცა საღმრთოთა და ფილასოფიათა, ეგრეთვე სამჴედროსაცა შინა, ვინადგან უწყოდა მან ვითარცა კანონნი სამოქალაქო და სამჴედრო აზიისა, ეგრეთვე ევროპიისა. ამან ანიჭა კვალად ძეთა ქსნის ერისთვისათა მამულივე მათი სრულიად, მიღებული მეფისა ირაკლისაგან,

[9] სოლომონი ძმებს შორის უფროსი იყო და ადრე გარდაიცვალა (1742—1808).

[10] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასახ. ტომი, გვ. 280.

ერთგულებისა გამო მათისა, მით რამეთუ აქვნდათ ფრიადი შეკრულება მისთანა და ერთგულება და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსსიით“ (281r).

სხვა ნუსხებში, და მათ შორის A—1766-ში, ეს მონაკვეთი სიტყვებამდე „ამან ანიჭა“ უცვლელად მეორდება, ამ ადგილას კი ეს ორი სიტყვა გადაშლილია და გრძელდება შემდეგი: „გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე, ესე შეაცთუნა თანა აღზდილმან მისთანა მთავარ-დიაკონმან ეგნატემ, ონისიმეს ძემან, მარტყოფელმან, რომელიცა იყო ფრიად ფილასოფოს და ესწავათ ერთადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრიად მისანდო მისი. ამან მოიბირა და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქისასა ალა ტერსიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს, რომლისა გამო გულნაკლულ იქმნენ ვითარცა ძმანი, ეგრეთვე ჩინებულნიცა ქართველთანი. და მხედველი ამისი დავით იქმხა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობა ენებულ. ამან მიუღო ქსანი ძმასა თვისსა ივანეს და ბაგრატს და ლიახვი და გვერდის-ძირი ბიძასა თვისსა იულონს და მიცა კვალად ქსნის ერისთვიანთა, რომელიცა აქვნდათ გამორთმეული ორმეოცსა წელსა მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა, რამეთუ აქუნდათ ფრიადი შეკრულებაჲ მასთანა და ერთგულება და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსსიით“[11].

გარდა ამისა, სხვა ნუსხებისაგან განსხვავებით, S—3860-ში არ გვხვდება სასწაულებრივი მომენტების აღწერა. თავისი შინაარსით A — 1766 ყველაზე ახლოს დგას S—3860-თან, მაგრამ ბაგრატის გავლენა აქაც შეიმჩნევა; კერძოდ, იქ, სადაც საუბარია 1758 წელს თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ ლეკთა ჯარის დამარცხებაზე, A—1766-ის ტექსტში ვკითხულობთ: „მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ მოიკრიფნეს მჴედრობანი ქართლისანი და კახეთისანი, შეერთდენ იმერთა თანა, დაეცნენ ატოცს და მოსწყვიტნეს ფრიად ლეკნი... მრავალთა ლეკთა იხილეს სასწაული წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა, რომელ ასვენია ატოცსა ხატი წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა სასწაულთმოქმედი, და იტყოდნენ ლეკნი მის მიერ ბრძოლასა და დაკვეთებასა“[12].

როგორც მოსალოდნელი იყო, S—3860-ში ამ სასწაულთმოქმედი ხატის შესახებ არაფერია ნათქვამი.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი რედაქტირებულია დავითის მიერ და მასში უხვად ვხვდებით მის შენიშვნებსა და მინაწერებს. არსად არ არის ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ისტორიის ეს ნაწილი (მხედველობაში გვაქვს „ახალი ისტორია“) მის მიერ არის დაწერილი. ეს ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც არც თეიმურაზის წიგნსაცავის კატალოგებში[13] მოიპოვება რაიმე ცნობა ამ თხზულებისა ან მისი ავტორის შესახებ.

თავის დროზე „ახალი ისტორიის“ ტექსტზე მუშაობისას არსებული ოთხი ხელნაწერიდან ყველაზე ადრეულ და ძირითად ნუსხად თ. ლომოურს მიუჩნევია A—1766 (ბაგრატის ავტოგრაფი). პარალელურად მას შეუსწავლია სხვა ხელნაწერებიც, მათ შორის S—3860, რომლის შესახებაც თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „დავით ბატონიშვილის ისტორია, როგორც ჩანს,

[11] დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია; ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლ ო მ ო უ რ მ ა, თბ., 1941, გვ. 26—27.

[12] იქვე, გვ. 8.

[13] გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი—ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974, გვ. 91—178.

გავრცელებული ყოფილა პირების სახით. ერთი ასეთი პირი უნდა იყოს შეტანილი საქ. მუზეუმის ხელნაწერ S—3860-ში. ეს ხელნაწერი შეიცავს ვახუშტის ისტორია-გეოგრაფიას ჩვეულებრივი გაგრძელებებით. ამას წინ უძღვის 29 გვერდზე[14] მოთავსებული სხვადასხვა შინაარსისა და ოდენობის ისტორიული ხასიათის ტექსტები, ამოღებული კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან. ეს ტექსტები შესრულებულია სხვადასხვა ხელით და როგორც მათი სათაურებიდან ირკვევა, განკუთვნილი ყოფილან „ქართლის ცხოვრების“ შესატყვის ადგილებში შესატანად. ხელნაწერი ჰკუთნებია თეიმურაზ ბატონიშვილს... დავით ბატონიშვილის ისტორია ამ ხელნაწერში მოთავსებულია 498—567 გვერდებზე, შემდეგ, 577 გვერდამდე ამას მოსდევს გაგრძელება ისტორიული თხრობისა 1818 წლამდე. ამ ხელნაწერიდან უნდა იყოს დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის მიერ „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, სანკტ-პეტერბურგი) მიყვანილი 1800 წ.-მდე.

S-3860-ში მოთავსებული დავითის ისტორია საერთოდ მისდევს № 1766-ში წარმოდგენილ ტექსტს, მაგრამ აქედან არ არის გადაწერილი. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ მათ შორის სრული იდენტურობა არ არსებობს, S-3860ს A-1766-თან შედარებით ზოგიერთ ადგილას დამატებული აქვს ან აკლია რამდენიმე სიტყვა ან წინადადება...“[15]

მკვლევარს მიაჩნია, რომ A-1766-სა და S-3860-ის ტექსტები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი შედარებისას ჩვენ გავარკვიეთ, რომ ეს არის ერთი და იგივე თხზულება და ორივე ხელნაწერის ტექსტი იდენტურია.

გარდა ამისა, „ახალი ისტორიის“ ხელნაწერების პარალელური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათ შორის უადრესია სწორედ S-3860. ამას მოწმობს ადვილად შესამჩნევი გარემოება: როგორც უკვე აღვნიშნეთ, S-3860-ის ტექსტი მთლიანად რედაქტირებულია დავითის მიერ. ტექსტზე მუშაობის პროცესში დავითს გაუკეთებია შენიშვნები (კიდეზე ჩამატების ნიშნით). ეს შენიშვნები ხელნაწერ A-1766-ში უკვე ტექსტშია შეტანილი. მაგალითად იქ, სადაც დავითის მოღვაწეობაზეა საუბარი მისი მმართველობის პერიოდში, სიტყვების შემდეგ: „მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა რუსიით“ გაკეთებულია ჩამატების ნიშანი და კიდეზე მიწერილია: „ამან განაახლა შუა თვალი გატეხილისა ხიდისა, რომელიცა შთასჭრა აღა-მამად-ხანმან მოსლვასა თჳსსა ტფილისს“ (281v). ეს მინაწერი A-1766-ში უკვე ტექსტშია შესული. ასეთივე მინაწერებია ხელნაწერის 291v-ზე: „ხოლო ტორმასოვმან ძლევა თვისი თურქთაგან მიაწერა ჰირსა, და შემდგომად ტორმასოვისა სხვათაცა მიიღეს თქმაობა ესე ნანდვილად, რომელ ჩვეულებითი საოფლეჲ; რომელიცა არს ჩვენსა ქვეყანასა და რომელიცა იყო, არს და იქმნების, შერაცხეს ნანდვილად მომსვრელად სენად“, და 292r-ზე (მარჯვენა კიდეზე): „შემდგომად აღებისა ახალქალაქისა, მარკიზი ეზრახა იდუმალ ბეგლარბეგსა ერევნისასა ჰუსეინს, რომელსაცა რწმუნებდა ერევანი, რათა მისცეს ციხეჲ, აღუთქვა უსეინ მიცემაჲ, ხოლო ვერა სცნა უგუნურმან იტალიელმან სიცბილი მისი და წარგზავნა იარანალ-მაიორი ლისანოვიჩი ორი ათასითა მხედრებითა, მაშინ უსეინ მოიკრიბა მუნ გარემოისა მხედრობა და დამალა ეჩმიაძინს. მიიწივნენ რა რუსნი, ეკვეთნენ სპარსნი და აოტეს რუსნი და სირცხვილეულ იქმნა მარკიზი ესევითარისა უგუნურისა შეცთომისათჳს“ —ეს

[14] თ. ლ ო მ ო უ რ ი სარგებლობს ხელნაწერის ძველი პაგინაციით.

[15] თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. XIV—XV.

მინაწერებიც A-1766 ხელნაწერში ტექსტშია შეტანილი. მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრია (იხ. 295v, 299r, 280v და სხვ.)

S-3860 ხელნაწერის კიდეებზე არსებული ყველა მინაწერი A-1766 ხელნაწერში უკვე ტექსტშია შესული, რაც იმას მოწმობს, რომ S-3860 კი არ არის გადაწერილი A-1766-იდან, არამედ პირიქით, ბაგრატს გადაუწერია S-3860-დან A-1766.

ვფიქრობთ, მოტანილი მასალები ნათლად ადასტურებენ, რომ S-3860 „ახალი ისტორიის“ სხვა ხელნაწერთა შორის უადრესი, და, აქედან გამომდინარე, ძირითადი ნუსხაა. მის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოებაც, რომ ეს არის ერთადერთი ხელნაწერი, რომელზედაც უმუშავია დავით ბაგრატიონს მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავითი არსად არ აღიარებს თავის თავს თხზულების ავტორად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას დავით ბაგრატიონის ავტორობის საკითხთან დაკავშირებით[16].

## Л. В. МИКИАШВИЛИ

# РУКОПИСЬ «НОВОЙ ИСТОРИИ» ИЗ КОЛЛЕКЦИИ ТЕЙМУРАЗА БАГРАТИОНИ

### Резюме

Одним из важнейших нарративных источников истории Грузии второй половины XVIII и начала XIX вв. является «Новая История». Она содержит материалы по истории Грузии с 1744 по 1812 год.

В специальной литературе автором «Новой Истории» принято считать Давида Багратиони, а тот факт, что в самом помятнике не встречается прямого указания автора, объясняется тем, что все дошедшие до нас рукописи не являются подлинниками (Т. Ломоури).

В статье рассматривается одна из рукописей «Новой Истории» (S—3860) из коллекции Теймураза Багратиони. На основе ее изучения установлено, что она является единственной рукописью, над которой работал Давид Багратиони. Но несмотря на это, нигде не встречается подтверждения того, что данный памятник принадлежал его перу. Этот факт представляется значительным, т. к. и в каталогах книгохранилища Теймураза Багратиони не встречается каких-либо упоминаний о «Новой Истории» и ее автсре, что еще раз подтверждает ранее высказанное автором статьи мнение о сомнительности авторства Давида Багратиони.

[16] იხ. ჟურნ. „მაცნე,“ ისტორიის სერია, № 1, 1980, გვ. 85—95.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

მალხაზ დუმბაძე

# ვასალიტეტი XI-XII საუკუნეების საქართველოში

## (შედარებითი შესწავლის ცდა)

ვასალიტეტი ფეოდალური ეკონომიკის შესაფერის ბაზისზე აღმოცენებული ზედნაშენური მოვლენა იყო. იგი მჭიდროდ უკავშირდებოდა ამ ფორმაციის გენეზისისა და განვითარების პრობლემას ამა თუ იმ ქვეყანაში. ამიტომ, გასაგებია, ვასალიტეტი, ისევე როგორც საერთოდ ფეოდალიზმი, ფეოდალურსავე მიწისმფლობელობას ემყარებოდა. ასეთი მიწის საკუთრების თანდათანობითი შემოსვლა-დამკვიდრების შესაბამისად წარმოიშობოდა და იცვლებოდა ვასალური დამოკიდებულების ფორმებიც.

ვასალიტეტი მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის აღმოცენების სტადიაზე შექმნილი სისტემაა და გამოხატავდა ფეოდალური კლასის შიგნით პირადი დაქვემდებარების საფეხურებს. ვასალიტეტი ფეოდალთა კლასის ბატონობის ფორმა იყო.

ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში ვითარდებოდა თავისუფალი ერის სოციალური დიფერენციაციის გზით. სამხედრო საქმეში დაწინაურებული აზნაურ-წარჩინებულები თანდათანობით ითვისებდნენ მიწებს და თავისუფალი ერის დიდ ნაწილს დამოკიდებულ მწარმოებლებად აქცევდნენ. ასეთ დაწინაურებულ აზნაურ-წარჩინებულთა რიცხვს მიეკუთვნება „მატიანე ქართლისა“-ში მოხსენიებული ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე, რომლის შესახებაც მემატიანე ამბობს: „იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის ძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი“[1]

„ფეოდალურ საზოგადოებაში „ერი“ უკვე აღარ არის „თავისუფალი“, მას სხვა ჰყავს უფალი და ბატონი. . .“[2] ასეთივე მდგომარეობა იყო დამახასიათებელი ევროპული ფეოდალიზმისათვის, რომლის შესახებ კ. მარქსი შენიშნავდა: „დამოუკიდებელი ადამიანის ნაცვლად ჩვენ აქ ვხედავთ ყველას დამოკიდებულს — ყმებს და მებატონეებს, ვასალებს და სენიორებს, საერო პირებს და ხუცებს. პიროვნული დამოკიდებულება ახასიათებს აქ როგორც მატერიალური წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობას, ისე ამ წარმოების საფუძველზე აგებული ცხოვრების სფეროებს.“[3]

ფეოდალურ მიწათმფლობელობას პირობითობაც და იერარქიულობაც ახასიათებდა. პირობითობა გულისხმობს კავშირს გარკვეული სამსახურის ვალდებულებასთან, ხოლო იერარქიულობა — მიწის საკუთრებისა და რენ-

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1955, გვ. 272.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 218.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 102.

ტის განაწილებას გაბატონებული კლასის შიგნით, რაც უზრუნველყოფდა ამ კლასის ხელისუფლებას ყმა გლეხებზე. ხელისუფლება, თავის მხრივ, განმტკიცებული იყო გარეშეეკონომიკური იძულებით. მიწათმფლობელობის იერარქიული სისტემა ერთდროულად იყო სამხედრო და პოლიტიკური იერარქიაც, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდებოდა შეიარაღებულ მოლაშქრეთა რაზმების სისტემას. სწორედ ეს შეიარაღებული ძალა განახორციელებდა ფეოდალთა ბატონობას.[4]

ფეოდალური იერარქიის გამოხატულებაა ვასალური სისტემა, რომელიც გულისხმობს სიუზერენისადმი დაქვემდებარებულობის საფეხურებს ზემოდახ, უზესაესი ხელისუფლებიდან, ქვემოთ, ვიდრე თავისუფალ, მიწისმფლობელ მოლაშქრემდე. ვასალიტეტი პირად დამოკიდებულებაზე დამყარებული ურთიერთობაა. მისი დამახასიათებელი თვისება იყო ერთგული ურთიერთობა ვასალისა სენიორისადმი. ვასალურ ურთიერთობას ჰქონდა მატერიალური საფუძველი, რომელიც წყალობის (მიწის, ან თანამდებობის — მოხელეობის ბოძების) სახით გამოიხატებოდა.

ქართულ შეწყალებას საფრანგეთსა და გერმანიაში შეესატყვისებოდა ბენეფიციუმი[3], რომელიც უძრავი ქონების და მოხელეების ბოძებას გულისხმობდა, რა თქმა უნდა, ერთგული სამსახურის პირობით.[6]

საფრახგეთში ვასალიტეტმა კლასიკური ფორმა მიიღო VIII—IX საუკუნეებში. ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ფეოდალიზაციის სრული პროცესი IX ს-ის შუა ხანებისათვის დასრულებული იყო, პირველად გაფორმდა პირობითი ფეოდალური საკუთრება (ბენეფიციუმი), მკვეთრად ჩამოყალიბდა ფეოდალური იერარქია, როგორც გაბატონებული კლასის შიგნით არსებული ურთიერთობის ძირითადი ფორმა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა სენიორთა კერძო უფლებები.[7]

გერმახიაში „ბენეფიციუმი და მასთან დაკავშირებული ვასალური დამოკიდებულება თახდათახობით შეიჭრა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვასალურ-ლენურ დამოკიდებულებათა პრინციპებმა თავისი განსახიერება პოვეს სახელმწიფოებრივ წყობაში: მეფე ხელმწიფიდან გადაიქცა უმაღლეს სიუზერეხად, სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები გახდნენ ვასალები მათი თახამდებობრივი რანგების შესაბამისად, ხოლო მათი თანამდებობები — ლენებად[6]. სახელმწიფოებრივი და სამხედრო სუბორდინაცია გადაიქცა სამხედრო-ფეოდალურ იერარქიად."[9]

---

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IV, გვ. 14. აგრეთვე: Л. В. Черепнин, Основные этапы развития феодальной собственности на Руси (до XVII века), «Вопросы истории», 1953, № 4, გვ. 49; Б. Ф. Поршнев, Очерк политической экономии феодализма, М., 1956, გვ. 27—28.

[5] ლათ. beneficium, ფრანგ. le benefice, გერმ. das benefizialwesen შეწყალება. იხ. A. Esmein, Cours elementaire d'histoire du droit franqais, IX édition, Paris, 1908, გვ. 186.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, 1928, გვ. 96.

[7] З. В. Удальцова, Е. В. Гутнова, Генезис феодализма в странах Европы, М., 1970, გვ. 11.

[8] ლენური (ფეოდალური, სამხედრო—ფეოდალური) მიწისმფლობელობის ნიადაგზე ეწყობოდა მიწისფლობელობის იერარქიული სტრუქტურა (К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, II изд., т. 3, გვ. 20).

[9] Н. Ф. Колесницкий, Исследования по истории феодальных государств Германии IX—XII веков, М., 1953, გვ. 65.

როგორც საქართველოში ასევე ევროპაში, ვასალიტეტის არსი გამოიხატებოდა ბატონის (სენიორის) დაცვაში, მისდამი ერთგულ სამსახურში. ამ შემთხვევაში წინა პლანზე იდგა მხედრული სამსახურის ვალდებულება. „ყოველი კარგი და „პატრონთაგან შეწყალებული" ყმა უნდა „მსახურებდეს... მონებით ყმებრივითა".[10]

ვასალური დამოკიდებულება არ ზღუდავდა იმ პიროვნების პირად თავისუფლებას, რომელიც ვისმეს მფარველობაში შედიოდა თავისი მიწით და აღიარებდა ძლიერი სენიორის მფარველობას. ეს იყო თავისუფალი გარიგების საფუძველზე დამყარებული ე. წ. ნებიერი ყმობა.

ვასალური დამოკიდებულების სოციალური შინაარსი, ფეოდალური საკუთრების დამკვიდრების პროცესში, უფრო გავრცელებული ფორმით ვლინდება სწორედ მაშინ, როცა მსხვილი ფეოდალი, „შეიწყალებდა" მის წინაშე გამორჩეულ თავისუფალ მოლაშქრეს, დააკმაყოფილებდა მის თხოვნას და მას სამსახურის პირობით მიწას გამოუყოფდა. შეწყალება-პატრონობის ფორმა და შინაარსი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით იცვლებოდა.

ქართული შეწყალება, ისევე როგორც დასავლეთ ევროპული ბენეფიციუმი, ვასალური ურთიერთობის აუცილებელი და არსებითი თვისება იყო. შეწყალებაში იგულისხმებოდა აგრეთვე „სახარაჯო" ქვეყნების თუ ციხესიმაგრეების მიცემაც. სახარაჯო იმიტომ ეწოდებოდა, რომ შეწყალებულს ნაწყალობები ადგილებიდან მხოლოდ „ხარჯით", ანუ დაწესებული გადასახადით, შეეძლო ესარგებლა — ან სახახევროდ, ანდა მთლიანად. შეწყალებას თან ახლდა „დალოცვა" (მოხელეობის ბოძების დროს); მოხელეობასთან ერთად აძლევდნენ „საპატიო" მამულს. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ საქართველოში შეწყალებული ადამიანის „დალოცვის წესი" მტკიცედ იყო შემუშავებული და დალოცვილ მოხელეს წყალობა-ხელდასმულს უწოდებდნენ.[11] ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ფაქტებს მოგვითხრობს „ისტორიანი და აზმანი"-ს ავტორი: „შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე, და უბოძა გაგი ქურდევაჴრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთ-უხუცესობა, ხელი შინაური და საპატიო... და სხვათა მრავლითა სახარაჯითა ქალაქითა და ციხითა. შეიწყალნეს და დალოცნეს სხუანიც დიდებულნი მრავალნი".[12]

„მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისა...და ჵიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ყიხვახი, ქალაქი და ციხე... და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი, ...— შეიწყალნეს თვითოეულნი თვისითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა".[13]

„წავიდეს მხარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვარამისნი, მოყმენი პირწალმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზაქარია დალოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი"...[14]

---

[10] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 39, 55; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, 1928, გვ. 82.

[11] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[12] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 54.

[13] იქვე. გვ. 55.

[14] იქვე, გვ. 39.

აქ გარკვევით ჩანს არსებული განსხვავება დალოცვილ და დაულოცველ ყმებს შორის.

„და წყალობა ყო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა“...[15]. „ისტორია და აზმანის“ ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ დალოცვა დაკავშირებული იყო, წყალობის ბოძებასთან და წყალობა თავის მხრივ გამოიხატებოდა დალოცვით[16].

გარკვეული თანამდებობის ბოძების დროს „დალოცვილი“ პირი ღებულობს ძოხელეობის საგახგებო ნიშანს: „და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა, და ძისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა, და შთააცუეს ტანსა მისსა სკარამანგი“...[17].

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მოლარეთ-უხუცესს ბეჭედი ეძლეოდა დალოცვის დროს, ხოლო ამირსპასალარს შესაძლოა ხმალს უწყალობებდნენ საგახვებო ნიშნად. მესხიერი ვარაუდობს, რომ „თაყვანება“, რომელიც თან სდევდა დალოცვას, შესაძლებელია ყოფილიყო ის ფიცი, რომელსაც შეწყალებული და მოხელედ დასალოცავი პირი წარმოსთქვამდა მეფის წინაშე.[18]

ქართულ „შეწყალებას“ თან ახლდა მთელი რიგი ცერემონიებისა, რაც დამახასიათებელი იყო დასავლეთ ევროპული კომენდაციისათვის[19] — ვასალური ხელშეკრულებისათვის. ევროპაში ვასალურ ხელშეკრულებას თან ახლდა ცერემონია, რომელიც სამი აქტისაგან შედგებოდა, აქედან თითოეულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

პირველ აქტს ეწოდებოდა „ომაჟი“[20], რომლის საფუძველზედაც ფორმდებოდა ვასალური დამოკიდებულება. ცერემონია ასეთი იყო: ვასალი ქუდმოხდილი, უიარაღოდ, დაიჩოქებდა მუხლებზე სენიორის წინაშე, გაიშვერდა მისკენ ხელებს, და წარმოსთქვამდა საზეიმო სიტყვას; ის ამ მომენტიდან თავის თავს აცხადებდა სენიორის კაცად. ამის შემდეგ სენიორი ხელებს თავზე დაადებდა ვასალს, ააყენებდა ფეხზე და აკოცებდა. მერე ფორმდებოდა ერთგულების აქტი-hommage et foi[21]: ვასალი სენიორის ერთგულებაზე იფიცებდა ეკლესიაში.

ცერემონიის მესამე აქტით სენიორი ვასალს გადასცემდა ინვესტიტურის ნიშნებს: იარაღს, დროშას, ბეჭედს და სხვა.[22]

ამ ცერემონიებთან ერთად ფორმდებოდა სათანადო ხელშეკრულება სი-

---

[15] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 33.

[16] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[17] ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი, გვ. 33.

[18] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

[19] კომენდაცია—პირადი ურთიერთობის გამომხატველი ფორმა, ფრიად გავრცელებული მოვლენა საფრანგეთში, რომელიც შენარჩუნებული იქნა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. კომენდაციის მიღებით პიროვნება აღიარებდა მფარველის ერთგულებას ნებაყოფლობის საფუძველზე, კისრულობდა მის სამსახურს სიკვდილამდე, რისთვისაც ღებულობდა მიწას. იხ. Ф ю с т е л ь д е - К у л а н ж. История общественного строя древней Франции, т. V, С. Петербург, 1910, გვ. 406—8; Б. Ф. П о р ш н е в, Очерк политической экономии феодализма, М., 1956, გვ. 57—58; Н. К а р е е в, Поместье, Государство и сословная монархия средних веков, Очерк развития социального строя и политических учреждений в Западной Европе, СПб., 1906, გვ. 112.

[20] ომაჟი—ფრანგ. hommage—პატივი, პატივისცემის გამოხატვა.

[21] foi—ფრანგ. ნიშნავს ერთგულებას, ნდობას, სიტყვის მიცემას.

[22] ინვესტიტურა—investitura—in u vestis—შემოსვა, აღჭურვა.

გელის სახით[23]. სიგელში აღნიშნული იყო სენიორსა და ვასალს შორის ორმხრივი ურთიერთობის ნორმები. ვასალი სენიორის წინაშე კისრულობდა ვალდებულებას ყოფილიყო მისდამი ერთგული და გაეწია მისთვის სამხედრო სამსახური.

ფეოდალური ხელშეკრულების მიხედვით, სენიორი თავის მხრივ ვალდებული იყო დაეცვა თავისი ვასალი გარეშე მტრებისაგან, მიეცა გარანტია მისთვის „ფიეფის“ მფლობელობაზე.

ფეოდალურ ვალდებულებათა დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ვასალი კარგავდა მიწაზე საკუთრების უფლებას.[24]

საქართველოში „შეწყალების“ (კომენდაციის) გზით ყმობა (როცა ყმა საბატონყმო გადასახადებით დაბეგრილი არ იყო, არამედ სამხედრო სამსახური და ერთგულება ეკისრა) არსებითად განსხვავდებოდა ფეოდალური რენტით დაბეგრილ მწარმოებელთა ყმობისაგან. ანუ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „მწყალობელი „პატრონი“ „შეწყალებული“ ყმისაგან ქონებრივ გამორჩენასა და სარგებლობას კი არ ელოდა, საყმო გადასახადებს კი არ ითხოვდა, არამედ „ერთგულად სამსახურს“.[25] შეწყალებულ ყმებს სამხედრო სამსახური ეკისრებოდათ.[26] ყმებს მეფის ხლება ევალებოდათ. მათი გარკვეული ნაწილი პატრონის ამალაში შედიოდა („აზნაური თანამყოლნი“, ჟამთააღმწერელი...). შეწყალებული ყმის ეს მოვალეობა ასახული იყო „წყალობის სიგელში“[27].

ამრიგად, საქართველოშიც, შეწყალებული ყმა კისრულობდა ვალდებულებას ყოფილიყო პატრონისადმი ერთგული და გაეწია მისთვის სამხედრო სამსახური.

პატრონიც, თავის მხრივ, ყმის ერთგულების ნაცვლად „ქვეყნებს“ უწყალობებდა — მამულობით (მემკვიდრეობით) ან პირადად, ან სახარჯოდ ან მისცემდნენ შეუვალობის სიგელს („მატიანე ქართლისა“).

საქართველოში შეუვალობა, როგორც მეფის წყალობა, გამონაკლის შემთხვევაში გაიცემოდა და ეხებოდა მხოლოდ საგადასახადო სფეროს.[28]

დასავლეთ ევროპული შეუვალობა ანუ იმუნიტეტი პიროვნებას განუსაზღვრელ უფლებებს ახიჭებდა თავის ტერიტორიაზე. იმუნიტეტი უკრძალავდა მეფის მოხელეებს იმუნისტის ტერიტორიაზე შესვლას, გადასახადების აკრეფას, სასამართლო-იურისდიქციის წარმოებას, ჯარიმების აღებას და სხვა. ყოველივე ამას, საკუთარ ტერიტორიაზე, ახორციელებდა თვითონ იმუნისტი თავისი მოხელეების საშუალებით. ერთადერთი პიროვნება, რომელიც არ იყო შეზღუდული იმუნისტის მიმართ, ეს იყო თვითონ მეფე. მეფე, რომელსაც მხოლოდ თვითონ, პირადად უნდა მიეცა იმუნიტეტი ქვეშევრდომისათვის და შემდეგ ყოველივე ეს გამოეცხადებინა სახელმწიფოში ბრძანების სახით. ამ-

---

[23] Н. -Кареев, დასახ. ნაშრომი. გვ. 119, A. Esmein, დასახ. ნაშრომი, გვ. 183. Dr. Richard Schröder, Lehrbuch der Deutschen Rechtsgeschichte, Leipzig, X, 1898, გვ. 156; შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II., განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI-XV სს.) შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962., გვ. 7, 8, 9 და შემდ.

[24] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XIX, изд. II, 1961, გვ. 504—507

[25] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

[26] იქვე, გვ. 83.

[27] იქვე, გვ. 91.

[28] იქვე, გვ. 100.

რიგად, მეფე იმუნიტეტის საშუალებით ათავისუფლებდა პიროვნებას სახელმწიფო მოხელეებისაგან და საკუთარი მფარველობის ქვეშ აჰყავდა იგი.[29]

მეფე ფიქრობდა, რომ იმუნიტეტი გამოიწვევდა მისი ძალაუფლების გაძლიერებას. სინამდვილეში მოხდა პირიქით: მეფემ იმუნიტეტის საშუალებით მეტი ძალაუფლება მიანიჭა მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ.

ამგვარად, ქართული შეუვალობა განსხვავდებოდა ევროპული იმუნიტეტისაგან და ეს განსხვავება ძირითადად გამოიხატებოდა იმაში, რომ საქართველოს ერთიანობის ხანაში სასამართლო შეუვალობა არ არსებობდა. ასეთი შეუვალობა გამონაკლის შემთხვევებში დასაშვები იყო შედარებით გვიან პერიოდში, როცა საქართველოში სათავადოები გაჩნდნენ და შეუვალობა გაძლიერდა.[30]

IX ს-ის მიწურულიდან ევროპაში ბენეფიციუმები თანდათანობით იქცეოდნენ სამემკვიდრეო ფეოდებად (ლენებად), რაც საგრძნობლად ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას. მართალია, ცენტრალური ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობს შეაჩეროს ვასალურ-ლენური დამოკიდებულება, აღადგინოს და გააძლიეროს ბენეფიციალურ-ვასალური ურთიერთობა, არ დაუშვას თანამდებობათა ფეოდალიზაცია და სხვა, მაგრამ ობიექტური პროცესი მის წინააღმდეგ მოქმედებს. ვასალები ძლიერდებიან და ერთგული სამსახურისათვის ხშირად სახელმწიფოებრივ თანამდებობებსაც ღებულობენ ჯილდოდ. IX ს-ის მიწურულიდან უკვე შეიმჩნევა ამ თანამდებობების მემკვიდრეობითად გადაქცევის ტენდენცია.[31]

ანალოგიური ვითარებაა საქართველოში, სადაც ევროპისაგან განსხვავებით ვასალური დამოკიდებულების შემოსვლა თითქოს უფრო ადრე იწყება. არსებული მწირი მასალები გარკვეული თარიღის დადგენის საშუალებას, ჩვენი აზრით, თითქმის არ იძლევა.

ნ. ბერძენიშვილის შეხედულებათა მიხედვით, ქართლში ვასალური დამოკიდებულების ფორმები ყალიბდებიან VI-VII საუკუნეებში, უფრო რელიეფურად კი—VIII საუკუნეში.

VIII საუკუნიდან ქართლში ვასალური დამოკიდებულება „ბენეფიციური" (საკარგავი) მიწისმფლობელობის საფუძველზე ყალიბდება, თუმცა გამორიცხული არაა სამამულო-სამემკვიდრეო მიწათმფლობელობაზე დამყარებული (ვასალურ-ლენური) ურთიერთობა პატრონსა და ვასალებს შორის. ყოველ შემთხვევაში განვითარების ტენდენცია აქეთკენ მიდიოდა. ერისთავები მნიშვნელოვნად ძლიერდებიან, ისინი უკვე ახერხებენ საერისთაო ქვეყნების საშვილიშვილოდ დამკვიდრებას და სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ემორჩილებიან ქართლის ერისმთავარს. გაძლიერებულ, გამთავრებულ ერისთავს ემორჩილებოდნენ აგრეთვე შედარებით სუსტი მთავრები.

„მცირე მთავარი" თავისი სასახლით, ციხით და მიწებით უფრო ძლიერი მფლობელის, „დიდი მთავრის" „მფარველობაში" შედიოდა. ეს მცირე მთავრები ამიერიდან „დიდ მთავარს" ახლდნენ, მის ამალას შეადგენდნენ. იქმნე-

29 Фюстель де-Куланж, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 425—537.

30 ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946, გვ. 302.

31 Н. Кареев, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—115.

ბოდა სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია, საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ წარმატებით გამკლავებოდა როგორც საკუთარ გლეხობას კლასობრივ ბრძოლაში, ისე მეზობელი მთავრის მტაცებლურ ზრახვებს".[32]

VIII ს-ში ერისთავების სიძლიერე საქართველოში დიდი იყო. ეგრისის სამეფოს ყოფილმა ერისთავმა ლეონმა დასავლეთ საქართველოში გამეფება მოახერხა (746-791 წწ.).

მატიანე ქართლისაში დადასტურებულია აფხაზეთის ერისთავის ლეონის გამეფების ფაქტი.[33] ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა, ერთი მხრივ, ბერძენთა სახელმწიფოა დასუსტებული, ხოლო, მეორე მხრივ, დაცემის გზაზეა ეგრისის ცენტრალური ხელისუფლება. გარდა ამისა მემატიანე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლეონს მხარი დაუჭირეს ხაზარებმა, რადგან მისი დედა ხაზართა მეფის ასული იყო.[34]

როგორც ვხედავთ, ეგრისის მეფის ყოფილი ერისთავი (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დროის ერისთავები შეიძლება განვიხილოთ როგორც ვასალები ცენტრალური ხელისუფლებისა) აღწევს სრულ დამოუკიდებლობას არა მარტო საშინაო სფეროში, არამედ საგარეო პოლიტიკურ სფეროშიც. და ხდება მეფე. მაგრამ მეფეც შეიძლებოდა ყოფილიყო მასზე უფრო ძლიერი მეფის ვასალი. ლეონ აფხაზთა მეფე ეგრისის ვასალურ დამოკიდებულებაში მაინც რჩებოდა.

აღნიშნული ფაქტიდან ჩანს, აგრეთვე, რომ საგარეო ძალა (ხაზარები) საქართველოს ფეოდალ-მთავართა გაძლიერებას ხელს უწყობდა, ეს კი თავის თავად აძლიერებდა ფეოდალიზაციის პროცესს საქართველოში.

VIII ს-ის დასასრულისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს ოთხ სამთავროს: 1. თბილისის საამირო მისი მიდამოებით (საქართველოს შუაგული); 2. აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი, რომელიც კახეთის მთავრის (ქორეპისკოპოსის) მფლობელობაში იყო; 3. დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთი მხარე, რომელიც აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა; 4. და სამხრეთ საქართველო, რომელიც აშოტ კურაპალატსა და მის მემკვიდრეებს ეპყრათ.[36] ერისთავთა „მთავრის" ხელისუფლება ამ მომენტისათვის არ ჩანს. იგი არაბმა დამპყრობლებმა გააუქმეს.

ამ დროის სამთავროებს შორის მიუთითებენ, აგრეთვე ჰერეთს, რომელიც კახეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა.[37]

ამგვარად, VIII ს-ის მიწურულს და IX ს-ის დამდეგს საქართველოში უკვე არსებობდნენ კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის სამთავროები და თბილისის საამირო. მიმდინარეობდა ამ სამთავროებს შორის პირველობისათვის ბრძოლა, რომელიც X ს-ის მიწურულში ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებით დასრულდა.

IX-X საუკუნეებში აზნაურობა, როგორც ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასი, უკვე დაყოფილი იყო სხვადასხვა კატეგორიად.[38] ამ დროს

[32] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958, გვ. 120.

[33] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

მატიანე ქართლისა, გვ. 251.

იქვე.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 91.

[37] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, I, გვ. 122—123.

[38] იქვე, I, გვ. 126—127.

უკვე არიან „დიდი აზნაურები“ („დიდებული აზნაური“), „მემამულე აზნაურები“, „ტაძრეული აზნაურები“, „მოსაკარგავე აზნაურები“ და სხვა[39], „დიდებული აზნაურები“ IX-X საუკუნეებში აზნაურთა უმაღლეს კატეგორიას შეადგენენ, მათ უმაღლესი თანმადებობები ეპყრათ[40].

IX ს-დან „დიდებულმა აზნაურმა“ თანდათან „მთავრის“ ადგილიც დაიჭირა[41].

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ კარგად არის დახასიათებული IX ს-ის ფეოდალური ზედაფენის სოციალ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა. თხზულებაში მოხსენიებული გიორგი ჩორჩანელი, არის ვრცელი ტერიტორიების მფლობელი დიდი მთავარი. მას ჰყავს არა მარტო საერო მსახურები, არამედ სასულიეროც და განაგებს მათ საქმეებს. მისი ტაძრები და სასახლეები განფენილი იყო ჩორჩანისა და ზანავის მიდამოებში.[42] ამ თხზულებაში მეფე არ ჩანს. ქვეყნის სათავეში ფეოდალური კლასი დგას, რომელიც სხვადასხვა ფენად იყოფა: დიდი მთავრების გარდა სამცხეში არიან სხვა წვრილი მთავრებიც, რომლებიც ვასალური დამოკიდებულებით ემორჩილებიან დიდ მთავრებს. არიან აგრეთვე, როგორც პროფ. კორნ. კეკელიძე აღნიშნავს, მესამე კატეგორიის მთავრებიც. „დიდ მთავარს გიორგის თავის ამალაში ჰყავს დაახლოვებული კაცები, შემსრულებელნი მისი ნებისა და სურვილისა, ესენი არიან არა უბრალო პერსონები, არამედ „მთავარნი და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი“[43]. მაშასადამე, გიორგი ჩორჩანელი, როგორც დიდი მთავარი არის უმაღლესი ხელისუფალი თავის სამფლობელოში. დანარჩენი მთავრები კი ამ დიდ მთავარს ემორჩილებიან, როგორც წვრილი ვასალები და მათ ძირითად მოვალეობას დიდი მთავრის ხლება, მის ამალაში ყოფნა წარმოადგენს.[44]

დიდ მთავარსა და წვრილ მთავარს შორის მორჩილების ასეთი ფორმა „წინაშედგომით“ და „საკუთრით“ აღინიშნებოდა. ყველა მთავარი, რომელსაც თავისი „წინაშემდგომელნი“ და „საკუთარნი“ ჰყავდა, თავის მხრივ, უფრო ძლიერი მთავრის მიმართ ასეთსავე როლს ასრულებდა.

როგორც ვიცით, ვასალური დამოკიდებულების საფუძველი ცალმხრივი არაა და არ გამოიხატება მხოლოდ ვასალის სამსახურში სიუზერენისადმი. სიუზერენიც, თავის მხრივ, ვალდებულია მფარველობა გაუწიოს ვასალს და დაიცვას იგი გარეშე მტრებისაგან თუ სხვა ძლიერი ფეოდალებისაგან.

ამრიგად, ეს წვრილი მთავრები (ვასალები) დიდ მთავრის (სიუზერენის) მფარველობაში არიან შესული. აქედან გამომდინარე, „წინაშემდგომელი“ და

---

[39] ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, 1961, გვ. 101.

[40] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს.), თბ., 1963, გვ. 89.

[41] ა. ბოგვერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 33.

[42] ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვ. I, კორნ. კეკელიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1935, გვ. 154).

[43] ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 125.

[44] შ. ბადრიძე, სენიორალური ხელისუფლების ზოგიერთი პოლიტიკური ნიშნისათვის ადრეფეოდალურ ქართლში (საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. I, 1970, გვ. 142).

„საკუთარი" წარჩინებულთა საზოგადოების შიგნით არსებული „მფარველობითი" დამოკიდებულების ტერმინებსაც წარმოადგენდნენ".[45]

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებული დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი და მისი სამფლობელო, რომელიც სამცხეში მდებარეობდა, შეიძლება მივიჩნიოთ იმდროინდელი საქართველოს მსხვილ სამთავროებში გაბატონებული კლასის იერარქიული სტრუქტურის გამოხატულებად. IX ს-ის საქართველო მოფენილი იყო ასეთი სამთავროებით.

როგორი იყო მდგომარეობა განსახილველი ეპოქის დასავლეთ ევროპაში?

დასავლეთ ევროპაში ფეოდალური საზოგადოების უჯრედი ფეოდალური მამული იყო. ყოველი მამული იყო თავისებური სახელმწიფო — სენიორია.[46] შუა საუკუნეების საფრანგეთი ასეთი სენიორების და სამთავროების არამყარ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში ედგა ყველაზე დიდი სენიორი — მეფე. X ს-ის დასასრულისათვის სამთავროების რაოდენობა საფრანგეთში 50-ს აღწევდა.[47]

В настоящей феодальной монархии, бывшей лишь федерацией отдельных сеньорий, король был только одним из сеньеров, которого другие помещики-государи признавали своим главою, «первым между равными», отнюдь не неограниченным монархом, каких мы видим в государствах Запада в более поздние времена».[48]

შეუძლებელი იყო ყველა სენიორი ერთნაირად მდიდარი და ძლიერი ყოფილიყო მაშინ, როცა ცალკეული სენიორები, რომლებიც გრაფის ან ჰერცოგის ტიტულებს ფლობდნენ, პოლიტიკური უფლებებით იყვნენ აღჭურვილი. იქმნება სენიორებს შორის იერარქიული მორჩილება. წვრილი სენიორები უფრო მსხვილ სენიორებს ემორჩილებიან. ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი მეთაური, სიუზერენი, მეფე ან იმპერატორი იყო.

გერმანიაში საქმე გვაქვს სამხედრო-ლენურ ურთიერთობასთან. X-XII საუკუნეების „გერმანია, ამ პერიოდის დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, შედარებით მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა. გერმანიის სახელმწიფოს მეთაურობდა ძლიერი მონარქიული ხელისუფლება, რომელიც ასე თუ ისე ვრცელდებოდა მთელი გერმანიის ტერიტორიაზე"[49].

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში IX საუკუნიდან იწყება ციხე-დარბაზების ინტენსიური მშენებლობა. ეს ციხე-კოშკები „გახდა ფეოდალური მფლობელობის (სენიორიის) შუაგული".[50] ციხე-დარბაზის მფლობელი სენიორი ბატონობდა მთელი ოლქის ათეულ სოფლებზე. ამ სოფლის მცხოვრებლები, დამოკიდებული გლეხები, ვალდებული იყვნენ თავიანთი ბატონის წინაშე ლაშქარში სამხედრო სამსახურით. მათთვის ბატონი (სენიორი) იყო მოსამართლეც და სამხედრო მეთაურიც.

---

[45] ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 22.

[46] სენიორია (ფრანგ. seigneurie)—ფეოდალური მიწისფლობელობის მთელი კომპლექსის აღმნიშვნელი ტერმინი, ფართო გაგებით—რუსული „ვოტჩინის" სინონიმი.

[47] Н. Ф. Колесницкий, Феодальное государство (VI—XV вв.) М., 1967, გვ. 67—70.

[48] Н. Кареев, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

[49] Н. Ф. Колесницкий, Исследования по истории феодальных государств Германии IX—XII веков, М., 1959, გვ. 61.

[50] М. А. Коган, Раннее средневековье, в сборнике «Очерки истории Германи с древнейших времен до 1918 г.» М., 1959, გვ. 39.

„ფეოდალი (სენიორი), სამემკვიდრეო მამულის, გარკვეული ტერიტორიის უმაღლესი მესაკუთრე იყო“.[51] მისი მიწები დასახლებული იყო დამოკიდებული, სხვადასხვაგვარად დაბეგრილი არათავისუფალი გლეხებით[52]. მაგრამ სეხიორის ტერიტორიაზე, გარდა გლეხებისა, ცხოვრობდნენ სხვადასხვა რანგის მოხელეები და ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირები, რომლებიც სეხიორის ზედაფეხას წარმოადგენდნენ და ასევე ემორჩილებოდნენ სეხიორს.

როგორც აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების სენიორი, იყო თავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ბატონი, მაგრამ, ამასთანავე, ეს სენიორი მასზე უფრო ძლიერი სენიორის ერთ-ერთი ვასალი იყო. იერარქიული კიბის სათავეში იდგა მეფე, რომელსაც სენიორი არ ჰყავდა. სენიორალურმა სისტემამ მსხვილ მიწათმფლობელთა ხელში მოაქცია სახელმწიფოს მართვის უფლებები, შემდეგ კი ფეოდალებმა იმუნიტეტიც მოიპოვეს. ყოველივე ამან გამოიწვია სახელმწიფოებრივ თანამდებობათა და მიწების სამემკვიდრეო მფლობელობად გადაქცევა.[53] ასეთი ვითარება შეიქმნა ფრანკების სახელმწიფოში კაროლინგების (751-987) დროს.[54]

ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენდა ცალკეულ სენიორთა და მათ უშუალო ქვეშევრდომთა იერარქიულ კავშირს.[55]

ევროპაში ვასალიტეტის ჩამოყალიბების საწყის სტადიაზე, სენიორსა და ვასალს შორის ურთიერთობა მყარდება პირადი ერთგულების, სამსახურისა და მფარველობის (სენიორის მხრიდან) საფუძველზე. თავდაპირველად ასეთი ურთიერთობა შეიძლებოდა გაფორმებულიყო მიწის ბოძების გარეშეც. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ვასალი თავისი მიწით შედიოდა სენიორის მფარველობაში და თავის მიწას უკვე ბენეფიციუმის სახით ღებულობდა სენიორისაგან. ამგვარად, ნებით თუ უნებლიეთ, ვასალიტეტის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ პირად ურთიერთობას ემატებოდა აგრარულიც.[56]

საქართველოში ვასალური დამოკიდებულების გაფორმების ასეთი ტიპიური ნიმუში კარგად ჩანს ლიპარიტ ბაღვაშის მიერ დავით I (876-881 წწ.) კურაპალატის თავის პატრონად გამოცხადებაში.

ამის შესახებ მატიანე ქართლისას ავტორი წერს: „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“[57]. პატრონი „იპატრონა“ ამ შემთხვევაში გამოხატავს მფარველს.

აღნიშნული ფაქტი ნათლად მიუთითებს ფეოდელურ-ვასალურ დამოკიდებულებაზე. ერთი მხრივ, ტაო-კლარჯეთის შედარებით დიდი მთავრის მემკვიდრესა და, მეორე მხრივ, ახლად გაძლიერებულ ფეოდალ ლიპარიტს შო-

---

[51] ვასალის ვასალი არ იყო უმაღლესი მესაკუთრე. ასეთი უფლება მხოლოდ სენიორს ჰქონდა. სენიორი ვასალის გლეხებზედაც ავრცელებდა თავის უფლებას (А. Я. Г у р е в и ч, Проблемы генезиса феодализма в Западной Европе, М., 1970, გვ. 51).

[52] А. И. Н е у с ы х и н, Проблемы европейского феодализма, Избранные труды. М., 1974, გვ. 229.

[53] Н. К а р е е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

[54] А. И. Н е у с ы х и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

[55] А. Г у р е в и ч, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[56] Р.- Б у т р ю ш, Сеньория и феодальный строй, Первый период в развитии личных связей (XIV Международный конгресс исторических наук, Материалы к конгрессу .VII, Проблемы феодализма, ч. I, М., 1975, გვ. 212).

[57] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 258.

რის. გაძლიერებულ ფეოდალს სჭირდება ძლიერი მფარველი იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს თავისი სამფლობელო — მინატაცები მიწა-წყალი, ლიპარიტი აღიარებს თავის ვასალურ დამოკიდებულებას პატრონისადმი — დავითისადმი. იგი ვალად იღებს სამხედრო სამსახური გაუწიოს თავის მფარველს, მხარი დაუჭიროს მას, ეახლოს სამთავრო კარზე და სხვა. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, „ლიპარიტმა თავისი საკუთარი (ხმლითშოებული) ქვეყნით დავით ბაგრატიონის ყმობა იკისრა".[58]

ყმობა ანუ „ყმადნაფიცობა" მაშინ უდრიდა ვასალობას. ყმადნაფიცი ის იყო, რომელიც თავისი სამემკვიდრეო მიწით ეყმობოდა მეფეს და აღიარებდა მეფისავე სუვერენულ უფლებებს. ყმადნაფიცი საშინაო დამოუკიდებლობის მქონე ვასალია. ლიპარიტ ერისთავი, როგორც მსხვილი ფეოდალი, დაინტერესებული იყო, რომ სწორედ ყმადნაფიცობის საფუძველზე ჰქონოდა ურთიერთობა ბაგრატიონებთან. მაგრამ ბაგრატიონი მეფეები ლიპარიტს უყურებდნენ როგორც სამეფოს მოხელეს, ერისთავს და არა ყმადნაფიცს. ძირითადად ამ ნიადაგზე მიმდინარეობდა ხანგრძლივი ბრძოლა მსხვილ ფეოდალებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის.

ვიდრე ბაგრატიონთა ხელისუფლება სუსტი იყო, ისინი ურიგდებოდნენ მსხვილი ვასალების ასეთ დამოუკიდებლობას. მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისთანავე მეფე ცდილობდა, რომ ყველა, როგორც ერისთავები ისე ყმადნაფიცები, გადაექცია მოსაკარგავე მოხელეებად. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი. „საქართველოს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანა ისე ჩათავდა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ არ გადაჭრილა"[59].

ყმადნაფიცი ვასალების გარდა, იყვნენ აგრეთვე ისეთი ვასალები, რომლებიც მეფისაგან ღებულობდნენ მიწებს სამამულოდ ან საკარგავად. ასეთი ვასალები ფეოდალური იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ.

XI საუკუნეში ცენტრალურ ხელისუფლებასა და ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელ ლიპარიტს შორის ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდა: ლიპარიტმა მოინდომა თავისი საერისთაო ქვეყნის გაფართოება, რომელსაც სამემკვიდრეო საკუთრებად თვლიდა. ამისათვის მან ენერგიული ბრძოლა წამოიწყო თბილისის საამიროს წინააღმდეგ, რომელიც კლდეკარის საერისთაოს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა. მაგრამ ბაგრატ IV-მ (1027—1072) ამ წამოწყებაზე ლიპარიტს ხელი აიღებინა და თბილისის საამიროს მოშლაზე უარი განაცხადა. „მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავის პატრონისაგან"[60].

ლიპარიტ ბაღვაში მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა და აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ცენტრალურ ხელისუფლებას, მან ბაგრატ IV-ის ტახტიდან ჩამოგდება და მის ნაცვლად ბაგრატის ნახევარ ძმა დემეტრეს გამეფება მოიხდომა. ლიპარიტს და ქართლის აზნაურებს დემეტრეს გამეფება სურდათ, რადგან დემეტრე, როგორც ვასალთა ნებით დასმული მეფე, ვასალთავე ნების აღმსრულებელი სიუზერენი იქნებოდა.

მაგრამ ბაგრატს საკმაო ძალა აღმოაჩნდა, რომ მოღალატე ვასალისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

[58] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 12.
[59] იქვე, გვ. 11—12.
[60] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 298.

ბოლოს და ბოლოს, მეფე და ლიპარიტი დაზავდნენ. მიუხედავად ამისა, ბაგრატი იმდენად დაუძლურდა, რომ თავის მოწინააღმდეგე ლიპარიტს, მისი გულის მოგების მიზნით, ქართლის ერისთაობა უბოძა.[61]

როგორც ვხედავთ, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პერიოდში მეფეს არ შესწევს უნარი დასაჯოს ურჩი ვასალები და მათი დამორჩილებისათვის სხვა ხერხებს მიმართავს.

აღნიშნულ მოვლენათა ანალოგიებს ვპოულობთ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში; 919 წელს ჰენრიხ I-მა (919—936 წწ.) გაილაშქრა ბურკგარდ შვაბიელის წინააღმდეგ, რომელიც აუჯანყდა მეფეს. მაგრამ ბურკგარდ შვაბიელი დანებდა ბრძოლის დაწყებამდე და აღიარა მეფის ხელისუფლება მანამდე, სანამ ჰენრიხ I მოასწრებდა შვაბიაში შეჭრას. ამ აღიარებისათვის მეფემ შვაბიელ ჰერცოგს მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა; კერძოდ, ბურკგარდ შვაბიელმა მიიღო საეკლესიო პატრონატის უფლება იმ მონასტრებზე და სააბატოებზე, რომლებიც მის საჰერცოგოში შედიოდა.[62] ასევე მოიქცა ჰენრიხ IV (1056—1106 წწ.), როდესაც მან დაამარცხა მის წინააღმდეგ აჯანყებული გრაფი ჰენრიხ ლიმბურგელი. მეფემ, გარდა იმისა, რომ აჯახყებულ ვასალს დაუბრუნა ყველა მისი სამფლობელო, დამატებით ლოტარინგიის საჰერცოგოც უბოძა. მეფე ამით ცდილობდა ურჩი ფეოდალების მოსყიდვას და მათ გადაქცევას ერთგულ ვასალებად[63].

შემდგომი ურთიერთობა ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის კვლავინდებურად რთულ ვითარებაში მიმდინარეობს. ბოლოს, როგორც მატიანე ქართლისას ავტორი მოგვითხრობს, ლიპარიტს აუჯანყდნენ მესხი აზნაურები, სულა კალმახელის მეთაურობით, რომელთაც არ სურდათ ლიპარიტის პატრონობა, „შეიპყრეს დღივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე“ და წაიყვანეს კალმახს, ხოლო შემდეგ მიჰგვარეს ჯავახეთში მყოფ ბაგრატ მეფეს.[64]

ურჩი ვასალი მეფემ მკაცრად დასაჯა და ჩამოართვა კლდე-კარის ციხე, არტახუჯი, ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი. სამაგიეროდ სულა კალმახელი ღირსეულად დაასაჩუქრა: „ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდო-კლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღდელთ-მოძღურონი, და რაცა უნდა“[65].

როგორც ვხედავთ, XI ს-ის საქართველოში ურთიერთობა მეფესა და ვასალებს შორის, ისევე როგორც ვასალთა ვასალებს შორის, საგრძნობლად მწვავდება. ეს კი იმით აიხსნება, რომ გამაერთიანებელი მეფეები ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის იბრძვიან.

სულა კალმახელი, როგორც ვიცით, ლიპარიტის ვასალია, ხოლო ლიპარიტი მეფის ვასალი. აქ ჩვენ საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც სულა კალმახელი, ლიპარიტის ყმა-ვასალი, ეხმარება მეფეს საკუთარი პატრონის დამარცხებაში. ასე რომ, ბაგრატ მეფე თავისი ურჩი ვასალის ლიპარიტის დამარცხებას, ლიპარიტისავე ვასალის საშუალებით ახერხებს. გამორიცხული არაა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ვითარებაში მეფე დაკავშირე-

---

[61] იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 2, 1929 გვ. 126.

[62] А. И. Н е у с ы х и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 240.

[63] Н. Ф. К о л е с н и ц к и й, Исследование по истории феодальных государств Германии IX—XII веков, გვ. 132.

[64] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 304—305.

[65] იქვე, გვ. 305.

ბოდა თავისი ვასალის ვასალს, სულა კალმახელს, და გარკვეული დაპირებებით მოეხერხებინა მისი გადმობირება. მატიანე ქართლისას ავტორი ამბობს, რომ „აძის მსახურებისა ნაცვლად მეფემან“ დაასაჩუქრა სულა კალმახელი. კალმახის ერისთავი ცდილობდა, რათა განთავისუფლებულიყო ლიპარიტის ვასალური დამოკიდებულებისაგან და უშუალოდ მეფის, უმაღლესი სიუზერენის, ვასალი გამხდარიყო, რაც მისი შემდგომი გაძლიერების საწინდარი იქნებოდა. ეს ასეც მოხდა. სულა ეწია თავის საწადელს.

დასავლეთ ევროპაში, ძლიერ სენიორს მის მფარველობაში შესული სუსტი სენიორის ვასალების მიმართ მხოლოდ არაპირდაპირი უფლებები ჰქონდა.[66] თითქოს ძალაში იყო პრინციპი: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არის“. ფეოდალურ იერარქიაში, ფეოდალური პრინციპის თანახმად, ყველა ვასალს ჰქონდა განსაზღვრული ვალდებულება და მოვალეობა მხოლოდ თავისი უშუალო სენიორის მიმართ. ვასალის პირად სენიორს შეეძლო მოეთხოვა მისგან რაიმე უმაღლესი სიუზერენისათვის, თუმცა ასეთი ურთიერთობა მყარი არ ყოფილა. დროთა განმავლობაში მდგომარეობა იცვლებოდა. უმაღლესი სენიორი ვასალებს შორის, საჭიროების შემთხვევაში, განხეთქილებას სთესდა და ვასალთა ვასალებთანაც ამამდა მჭიდრო ურთიერთობას.[67]

დავით აღმაშენებლის (1089—1125) გამეფებიდანვე საქართველოში იწყება ვასალური ურთიერთობის სრულიად ახალი ეტაპი, რაც გამოწვეული იყო იმ რეფორმების შედეგად, რომლებიც მან განახორციელა.

მეფის ხელისუფლებასა და ვასალებს შორის ურთიერთობის გარკვევისათვის აუცილებელია ვიცოდეთ გარკვეული ეპოქის სამეფო ხელისუფლების ფარგლები და მისი ხასიათი. რამდენადაც ძლიერი იყო სენიორი — მეფე, იმდენად ანგარიშს უწევდნენ მას მისი ვასალები. საკუთრივ ვასალების უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოში დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ძლიერია მეფის ხელისუფლება.

საქართველოში პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ ყალიბდება საკმაოდ ძლიერი მონარქია. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს რამდენად ახორციელებს მეფე თავის ხელისუფლებას ქვეყნის პროვინციებში, რამდენად ერევა იგი ცალკეული ვასალების საშინაო საქმეებში.

დავით მეფე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ურჩი ერისთავებისა და ვასალების წინააღმდეგ. საერთოდ, დავით აღმაშენებლის პოლიტიკა ვასალების მიმართ კარგად ჩანს მისივე ისტორიკოსის სიტყვებიდან: „მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს, ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრა და წუართნა“. [68] ე. ი. მეფე ღირსეულებს წყალობას აძლევდა, ხოლო ურჩებს, ყოველგვარი შეცოდების და პატიების გარეშე, სათანადოდ სჯიდა.

დავით აღმაშენებელი ვასალებთან ბრძოლაში პირველი გამოვიდა გამარჯვებული და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. მეფე თავისი წინაპრებივით „გზა-დაბნეული“ კი არ მოქმედებდა, არამედ აზნაურთა შეერთებული წინააღმდეგობის გასატეხად, გარკვეულ ტაქტიკურ ბრძოლას მიმართავდა[69]. „მეფე ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რომ დიდებული და თავგასული მო-

[66] A. Esmein, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

Н. Ф. Колесницкий, Исследование по истории..., გვ. 62.

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339.

ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 135.

ხელეებისათვის თანამდებობანი ჩამოერთმია და მათ ადგილას დაბალი წოდების წარმომადგენლები ანუ როგორც მათ აზნაურები ეძახდნენ, „ვინმე უგვაროხი“, დაეხიშხა“[70]. ე. ი. დავით აღმაშენებელი წარმატებით იბრძოდა თანამდებობის ლენად გადაქცევის ანუ მოხელეობის ფეოდალიზაციის წინააღმდეგ, რითაც აბრკოლებდა სამთავრო-სათავადოების შექმნას. ამით მეფე ცენტრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის ძლიერებისათვის აუცილებელ პირობას ქმნიდა.

როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ ფეოდალთა სამემკვიდრეო უფლებებზე დამყარებული სამოხელეო წყობილების პირობებში ცენტრალური ხელისუფლება ვერ გაძლიერდებოდა.

წვრილსა და მსახურეულ აზნაურობაზე, საქალაქო-სავაჭრო წრეებზე და ნაწილობრივ თავისუფალ წვრილ მწარმოებლებზე დაყრდნობით, მეფე ახერხებდა ფეოდალთა უფლებების თანდათანობით შეზღუდვას.[71]

„დავით აღმაშენებელმა გაანადგურა მთავრების ინსტიტუტი და ახალ დიდებულთა მოსწრაფედ მორჩილ-მოსაკარგავეთა ინსტიტუტი შექმნა. მაგრამ, დავითისდა უხებურად, საქართველოს ფეოდალური მეურნეობის განვითარების შესაბამისად, ეს ახალი ფეოდლები ჩქარა მემამულე-მებატონის სულისკვეთებით გაიჟღინთნენ. [72]

ამიერიდან, ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის მეფის ხელისუფლებას უნდა ეზრუნა ისე, რომ მებატონეებს გათავადების საშუალება არ მისცემოდა.[73]

XII-XIII საუკუნეებში მეფესა და ვასალებს შორის ბრძოლა სწორედ ამ ნიადაგზე მიმდინარეობდა.

დასავლეთ ევროპაში, ბენეფიციალურ-ვასალური სისტემის შეცვლა ვასალურ-ლეხურით იურიდიულად წარმოადგენდა სენიორზე დამოკიდებულების ფორმის შეცვლას. ფეოდალური სახელმწიფოს მდგომარეობაც განისაზღვრებოდა იმით, თუ როგორი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა არსებობდა გაბატონებულ ფეოდალ-მიწისმფლობელთა კლასის შიგნით.[74]

როგორც საქართველოში, ისე დასავლეთ ევროპაში ცენტრალური ხელისუფლება თავგამოდებით ცდილობს შეაჩეროს ვასალურ-ლენური დამოკიდებულების ზრდა, აღადგინოს და გააძლიეროს ბენეფიციურ-ვასალური ურთიერთობა, მაგრამ ობიექტური პროცესი მის წინააღმდეგ მოქმედებს. ვასალები ძლიერდებიან და ერთგული სამსახურისათვის ხშირად სახელმწიფოებრივ თანამდებობასაც სამემკვიდრეოდ ღებულობენ ჯილდოდ. ევროპაში IX ს-ის მიწურულიდან უკვე შეიმჩნევა ამ თანამდებობების მემკვიდრეობითად გადაქცევის ტენდენციაც. ამავე პერიოდში, ბენეფიციუმს, რომელიც მემკვიდრეობითი ხდება, ხშირად ფეოდსაც უწოდებენ. ფეოდი საბოლოოდ XI ს-ში მკვიდრდება.[75] ეს პროცესი საქართველოშიც სინქრონული მოჩანს.

[70] ივ. ჯავახიშვილი, ქართულ სამართლის ისტორია, გვ. 135.
[71] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 426.
[72] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტ. საკითხები, VII, გ- 236.
[73] იქვე, გვ. 237.
[74] А. Н. Неусыхин, დასახ. ნაშრომი, გვ. 231; Н. Ф. Колесницкий, Исследования по истории феодальных государств Германии IX—XII веков, გვ. 64.
[75] Н. Кареев, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—115.

თამარ მეფის დროს საქართველოში მსხვილი ფეოდალების უფლებები კვლავ გაიზარდა.[76] მეფეს მათ დაუკითხავად რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა უკვე აღარ შეეძლო[77]. დიდებული აზნაურები სარგებლობენ მეფის ძალაუფლების შესუსტებით და აშკარა ბრძოლით ახერხებდნენ თავიანთი უფლებების გაფართოებას.

ფეოდალური არისტოკრატიის წარმატება საქართველოში, ამ დროს, ძირითადად გამოიხატებოდა იმაში, რომ მსხვილი ფეოდალები მეფისაგან ღებულობდნენ გაძლიერების ისეთ საშუალებას როგორიცაა „დიდება"; დიდების მოპოვება ნიშნავდა დიდი ხელისუფლების, ანუ პოლიტიკური უფლებების მოპოვებასაც.[78] ხდება მეფის უფლებების დანაწილება ცალკეულ ფეოდალებზე, რაც ხელს უწყობს ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებას.[79] ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე გერმანიის ფეოდალური არისტოკრატიის მაღალ წრეებში XII ს-ში.[80]

თამარის დროინდელი დიდგვაროვანი აზნაურები, ცენტრალური ხელისუფლების ძიერ დანიშნული მოხელე-ვასალები არიან და, თუ ყველა არა, მათი უმრავლესობა მაინც მიწებსა და მოხელეობას მემკვიდრეობით ფლობს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში უკვე ძირითადად დასრულებულია პროცესი ფეოდალიზაციისა. მომხდარა არა მარტო მიწისმფლობელობის, არამედ თანამდებობათა ფეოდალიზაცია. ამით მოშლილა მეფის ხელისუფლების ძლიერება. რაკი ცენტრალიზაცია ვერ განხორციელდა და ვასალური დამოკიდებულება, ნაცვლად შეზღუდვისა, გაძლიერდა, მეფის ხელისუფლებაც დაკნინდა. მოსაკარგავე ვასალები ლენ-ფეოდის მფლობელმა ვასალებმა შესცვალეს. ნაცვლად ცენტრალიზაციის გაძლიერებისა თავი იჩინეს პოლიტიკური დაშლის წანამძღვრებმა.

გ. მელიქიშვილის დასკვნით, XI-XII სს. საქართველოს სოციალური განვითარების „ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა განვითარებული ფეოდალიზმზე გადასვლაში"[81]. მეცნიერი ამ დროისათვის გულისხმობს სამამულო სისტემის საბოლოო გამარჯვებას.

დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილმა „მოსწრაფედ მორჩილ-მოსაკარგავეთა ინსტიტუტმა" მარცხი განიცადა. საქართველოში ფეოდალური მეურნეობის გახვითარებამ ეს მოსაკარგავე ფეოდალები მებატონეებად აქცია.[82]

დიდგვაროვანთა ასეთი წარმატების შედეგი იყო ის, რომ XIII ს-იდან კიდევ უფრო ძლიერდება სამამულოდ შეწყალების, სამოხელეო თანამდებობათა და სახელო ქვეყნების საშვილიშვილოდ გაცემის ტენდენცია.

გაძლიერებული დიდებულები გახელმწიფება-გამთავრებისათვის იწყებდნენ ბრძოლას და თავისი სამმართველო ქვეყნისათვის საგადასახადო და სა-

---

[76] ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 428.

[77] ქვეყნის მართვა-გამგეობაზე, თამარის დროს, უდიდეს გავლენას აწღევს დარბაზი, ანუ მეფის საბჭო (ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 428).

[78] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, თბ., 1928, გვ. 41.

[79] რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბ., 1973, გვ. 111.

[80] Н. Ф. Колесницкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

[81] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 105—106.

[82] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 236.

სამართლო შეუვალობის მოპოვებასაც ცდილობდნენ. ეს უკვე, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ნიშნავდა სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოქმნას, სადაც მეფესა და დიდმოხელეს შორის ურთიერთობა ყმადნაფიცობის პირობით იქნებოდა განპირობებული.[83]

დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, საერთოდ, ეკონომიკური განვითარების უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცათ, რაშიც დიდი როლი ეკისრა უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორებს. კერძოდ, საფრანგეთი რამდენადმე უფრო ადრე ეზიარა იმ პროცესებს, რასაც საქართველოში XI-XII საუკუნეებში ჰქონდა ადგილი.

IX-XI სს. საფრანგეთი, ფორმალურად ერთიანი სახელმწიფო, დაყოფილი იყო ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებად—საგრაფოებად და საჰერცოგოებად, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო წვრილ-წვრილი ფეოდალური ერთეულებისაგან შედგებოდა. მათზე ცენტრალური ხელისუფლების გავლენა სუსტი ჩანდა. ამავე საუკუნეებში სრულდება ფეოდალიზაციის პროცესი საფრანგეთში[84].

მეფის უშუალო ვასალები საფრანგეთში (გრაფები, ჰერცოგები, აბატები) ფაქტიურად დამოუკიდებელნი იყვნენ, სარგებლობდნენ ომის, ზავის თუ სასამართლო უფლებებით, ჭრიდნენ საკუთარ ფულს და ხშირად მეფესაც კი ტოლს არ უდებდნენ. მათვე მრავლად ჰყავდათ დამოუკიდებელი ვასალები, შედარებით წვრილი ფეოდალები — ბარონები, ბარონებს კი, თავის მხრივ, ექვემდებარებოდნენ კიდევ უფრო წვრილ-წვრილი მიწისმფლობელები — — ფეოდალ-რაინდები. ასეთი ვასალური კიბის უკანასკნელ საფეხურზე იდგა ისეთი რაინდი, რომელსაც ვასალი არ ჰყოლია.

IX-XI საუკუნეების ვასალურ დამოკიდებულებაში ფეოდალიზაციის დასრულებასთან დაკავშირებით, ადგილი ჰქონდა არსებითი ხასიათის გარდატეხას. თუ წინათ ვასალი სენიორისაგან იღებდა ბენეფიციუმს ერთგული სამსახურის პირობით, ახლა უკვე ვასალი იღებს სენიორისაგან ფეოდს, რომელიც როგორც წესი, მამიდან შვილზე გადადიოდა, მაგრამ ეს ერთგული სამსახურის პირობას არ გამორიცხავდა. სამემკვიდრეოდ მიღებული მიწისმფლობელი ვასალი ამიერიდან შედარებით უფრო ნაკლებად დაემორჩილებოდა თავის სენიორს, სუსტდებოდა მისი დამოკიდებულება დიდი ბატონისადმი—მეფისადმი.

საფრანგეთში XI ს-ის დასასრულიდან სასაქონლო-ფულადი მეურნეობა ვითარდება, იწყება ქალაქების აღორძინება, ფართოვდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, იზრდება საწარმოო ძალები. ყოველივე ეს ფეოდალური დაშლილობის ლიკვიდაციასა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ამზადებდა[85].

საქართველოში ფეოდალიზაციის დასრულების პროცესი თითქოს უფრო სინქრონული იყო გერმანულ სინამდვილესთან.

ფეოდალიზაციის პროცესი გერმანიაში XI ს-ის მიწურულსა და XII ს-ის დასაწყისში დასრულდა. ამ დროისათვის იზრდება მსხვილი მიწათმფლობელო-

---

[83] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1973, გვ. 94.

[84] Всемирная история, т. III, М., 1957, გვ. 167; История средних веков, I, под редакцией акад. Е. А. Косминского и члена-корр. С. Д. Сказкина, М., 1952, გვ. 148, 149.

[85] История средних веков, т. I, გვ. 158, 159.

ბა და ფეოდალთა უფლება დამოკიდებულ გლეხობაზე. გრაფები, ჰერცოგები და სხვა მსხვილი ფეოდალები პოლიტიკურ დამოუკიდებლობას აღწევენ. მძაფრდება ბრძოლა მეფის ხელისუფლებასა და დიდ ფეოდალებს შორის. ფორმდება ფეოდალური იერარქია. ქვეყნის სათავეში დგას მეფე (იმპერატორი) — სიუზერენი თავისი პირდაპირი ვასალებით, რომელთაც აგრეთვე, ვასალები ჰყავთ.

მეფის ხელისუფლების სისუსტე თუ სიძლიერე ევროპის ფეოდალურ სინამდვილეში ხშირად ცვალებადი იყო. არსებითად მაინც მეფე, რომელიც კლასთა შორის წონასწორობას იცავდა, როგორც უმაღლესი მომრიგებელი მოსამართლე, ფეოდალურ-ვასალურ სეპარატიზმს თავისი დომენით უპირისპირდებოდა. რა თქმა უნდა, იგი ხშირად ეყრდნობოდა არა მარტო საქალაქო თავისუფალ ფენებს, არამედ წვრილმფლობელ ფეოდალებსაც, რომლებიც მეფეში უმაღლეს მფარველს ხედავდნენ და მსხვილ ფეოდალთა ძალადობას მეფის მხარეზე გადასვლით უპასუხებდნენ.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება და ახალი სოციალური ძალების წარმოქმნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ამზადებდა ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოქმნასა და ვასალიტეტის ლიკვიდაციას. ევროპის რიგ ქვეყნებში დაშლის პროცესს თან სდევდა ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობა და ცენტრალიზაციის მასაზრდოებელი ახალი სოციალური ძალების წარმოქმნა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს თავისთავადი განვითარების პროცესი შეფერხდა საგარეო ფაქტორის წყალობით. XIII ს-ის 20-30-იანი წლებიდან იწყება შეფერხება. რასაც შემდეგში ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითება მოჰყვა. ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა, ვასალიტეტი გახანგრძლივდა.

М. М. ДУМБАДЗЕ

# ВАССАЛИТЕТ В ГРУЗИИ X—XII В.В.

## (Опыт сравнительного изучения)


Резюме

Вассалитет представлял собой иерархическую структуру, возникшую в период зарождения феодализма и служившую интересам класса феодалов.

В своей классической форме вассалитет был представлен во Франции VIII—IX вв. Аналогичное положение было и в Грузии, где вассалитет, так же как и у франков, возник в VI в., но более заметно сложился в VIII—IX вв.

По данным грузинских источников подтверждаются в основном идентичные формы вассальной зависимости в Грузии, во Франции и в Германии. Различие имеется лишь в терминологии, обозначающей конкретные проявления этой зависимости. Примечательно, что термин «патрон» (покровитель, сюзерен, сеньор) является общим для грузинского и европейского регионов.

Сходными являются также основные мотивы, скрепляющие отношения между сеньорами и вассалами: временные или потомственные

пожалования дружинникам за верную службу, права и обязанности договаривающихся сторон, посвящение вассала, его инвеститура и т. д.

Наряду с основной формой коммендации (по груз. термонологии «щецкалеба») с пожалованием вассалу бенефиция или феода, в Грузии имелись случаи т. н. добровольного вступления под покровительство большого сеньора независимых владетелей со своими владениями с целью упрочения своего положения (Клдекарский владетель объявляет своим патроном Давида Багратовича, IX в.).

В истории поземельной зависимости лично-свободных вассалов в Европе начинается определенный перелом с IX в., когда бенефициальное землепользование (условное, срочное пожалование — по-груз. «сакаргави» или «нацкалобеви»), уступает место потомственному землевладению — феоду (по-груз. «мамули»), что вызывает ослабление центральной власти. В Грузии феод доминирует позднее.

С конца X в. начинается период политического объединения Грузии, усиливается феодальная монархия (XI—XII в.в.). Этот период характеризуется непрерывной борьбой между крупными вассалами и центральной властью. Энергичному Давиду IV удается одержать победу (1089—1125). Царь добивался ограничения усилившихся вассалов, давая предпочтение условному земельному пожалованию, но он не мог остановить объективный процесс развития потомственной собственности, ослабляющей мощь государства.

Обнаруживаются общие черты борьбы центральных властей в Европе и Грузии против крупных вассалов. В этой борьбе, как правило, субвассалы добиваются непосредственного подчинения царской власти.

В XII в. в Грузии еще более усиливается феодальное землевладение. Не только земля, но и должности окончательно становятся наследственными владениями. Развивается иммунитет.

В Европе, на примере Франции, сравнительно быстрее, чем в Грузии шел процесс социально-экономического развития. Там феодализация была завершена в IX—XI в.в., после чего заметно возросли товарно денежные отношения, подготавливающие почву для усиления центральной власти и ликвидации вассалитета. В Грузии окончательное завершение процесса феодализации (примерно к XII в.) и ослабление центральной власти совпадают с резко отрицательными изменениями внешнеполитического положения страны (с 20-х годов XIII в.), обусловившими длительный упадок экономической жизни.

Вассалитет в Грузии сохранился на протяжении почти всего феодального периода.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. სტორიის, არქეოლოგიისა და ეთნორაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

ოთარ ცქიტიშვილი

# არაბეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (X—XI სს.)

წინამდებარე წერილის ავტორს მიზნად არ დაუსახავს განეხილა ადრეული შუა საუკუნეების (VII-X სს.) არაბთა სახალიფოსა და საქართველოს შორის არსებული კულტურულ ურთიერთობათა ყოველი მხარე.

როცა ამ მრავალმხრივ ურთიერთობათა შესახებ საკითხს სავარაუდოდ, ვაყენებთ, მხედველობაში გვაქვს ის დიდი ხარვეზი, რომელიც პრობლემის შესწავლაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს წყაროთა (როგორც ქართული, ასევე არაბული) სიმცირის გამო.

როგორც ცხობილია, ფართო დაპყრობითი ომები არაბებმა წამოიწყეს ომარ I იბნ ალ-ხატაბის დროს (634—644 წწ.). მახლობელ აღმოსავლეთში (ერაყი, ირახი, სირია, პალესტინა...) წარმატებით ჩატარებული საომარი ოპერაციების შემდეგ არაბთა ლაშქარი ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენაც გამოემართა და VII ს-ის ორმოციანი წლების პირველ ნახევარში არაბები საქართველოს ტერიტორიაზეც გამოჩდნენ. მაგრამ ამჯერად, უნდა ვიფიქროთ, აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ჯარის ლაშქრობის მიზანი იყო ქვეყნის დაზვერვა და მისი გაძარცვა. ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით მომდენო ათი წლის მანძილზე არაბები საქართველოს საზღვრებზე აღარ გამოჩენილან.

ხელმეორედ არაბთა სამხედრო რაზმები საქართველოს მოადგა ხალიფა ოსმან იბნ აფანის ზეობის დასასრულს (644—656 წწ.)[1]. აღებული ხანის აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) მესვეურები, როგორც ჩანს, მეზობელ ქვეყნებში დატრიალებული პოლიტიკური ამბების საქმის კურსში იყვნენ. ეტყობა, მათ კარგად იცოდნენ, რომ ახლად გამოჩენილი მარბიელი ძალის წინაშე, რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადში ისეთი ძლევამოსილი, მაღალი კულტურის მქონე და ეკონომიკურად დაწინაურებული იმპერია დაამხო, როგორიც სასანიანთა ირანი იყო, საქართველო ვერაფერს გახდებოდა და არაბებთან მშვიდობიანი გზით მოლაპარაკება და მათთან დაზავება გადაწყვიტეს. იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა, ჩანს, ისიც იცოდნენ, რომ არაბები ნებით დამორჩილებულ, ეგრეთ წოდებულ სულჰის პირობით,

---

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა პირველი ლაშქრობის საკითხზე, როგორც ცნობილია, დღემდე ერთიანი აზრი არ არსებობს (იხ. ე. სიხარულიძე, საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", 1, 1961, გვ. 185—195; ბ. სილაგაძე, ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, №1, 1971, გვ. 68—85). მაგრამ ამჯერად ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმ ტრადიციულ თვალსაზრისს ვიზიარებთ, რომელიც ჯერ კიდევ მიღებული ჩანს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში (შდრ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. II, თბ., 1973, გვ. 286).

დაპყრობილ ქვეყნებში შედარებით ნაკლებად მკაცრ პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ ღონისძიებებს ატარებდნენ, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომელთა დაქვემდებარება მათ სამხედრო იარაღით, ძალით (ანვათან), უხდებოდათ[2].

ასეთ ვითარებაში უნდა შექმნილიყო არაბი მხედართმთავრის ჰაბიბ იბნ მასლამას (614—დაახლ. 662 წწ.) სახელით ცნობილი „დაცვის სიგელი". მის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია და იგი შემონახულია მეტ-ნაკლები სხვაობით არაბი მწერლების ა ბ უ-უ ბ ა ი დ ი ს (770—838 წწ.), ა ლ-ბ ა ლ ა ზ უ რ ი ს (გარდ. 892 წ.), ა ტ-ტ ა ბ ა რ ი ს ა (838—923 წწ.) და ი ა კ უ თ ა ლ-ჰ ა მ ა ვ ი ს (1179—1229 წწ.) თხზულებებში.[3]).

ამ ერთადერთ არაბულ საბუთზე დაყრდნობით აკად. ივ. ჯავახიშვილს შესაძლებლობა მიეცა აღედგინა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უფლებრივი ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი ისტორიული სურათი არაბთა სახალიფოსა და საქართველოს, დამპყრობელ და დაპყრობილ ხალხებს შორის ამ ურთიერთობის დასაწყისში[4].

VII ს-ის ორმოცდაათიანი წლების შუა ხანიდან იწყება არაბთა სახალიფოს ბრძოლა, გარდამავალი წარმატებით, აღმოსავლეთ საქართველოში მტკიცედ ფეხის მოკიდებისათვის, აქ საბოლოოდ გაბატონებისათვის. ჩანს, არაბთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული აქტიური პოლიტიკის მიზანს ემსახურებოდა ომაიანი ხალიფა ალ-ჰიშამ იბნ აბდ ალ-მალიქის დროს (724—743 წწ.) ოთხგზის ჩატარებული სამხედრო ლაშქრობა ჯერ ჯარაჰ იბნ აბდ ალაჰ ალ-ჰაქიამის (გარდ. 730 წ.) მეთაურობით VIII ს-ის ოციანი წლების შუა ხანებში, ხოლო შემდეგ იმავე ოციანი წლების მეორე ნახევარში 728—729 წწ. და ოცდაათიანი წლების დასაწყისში 731—732 წწ. არაბი სამხედრო სარდლის, ხაზარეთში სალაშქროდ მიმავლის, მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქის (683—737/8—740/1 წწ.) ხელმძღვანელობით და, ბოლოს, მომავალი უკანასკნელი ომაიანი ხალიფას მარვან იბნ მუჰამადის (744—750 წწ.) მხედართმთავრობით იმავე საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში (736—738 წწ.).

განსაკუთრებით მძიმე იყო ქართველი ხალხისათვის არაბთა ეს ბოლო სამხედრო ოპერაცია. თუ, მაგალითად, ჯარაჰ იბნ აბდ ალაჰ ალ-ჰაქამის ლაშქრობისას აღმოსავლეთ საქართველო შედარებით იოლად გადაურჩა აწიოკება-გაპარტახებას ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის" წარდგინებითა და მისი განახლებით, მარვან იბნ მუჰამადს ქართველებმა მურვან ყრუ უწოდეს მის მიერ ჩატარებული უმკაცრესი ღონისძიებების გამო.

როგორც ქართული წყაროდანაა ცნობილი (ჯუანშერი), მარვან იბნ მუჰამადის ჯარს დასავლეთ საქართველოშიც გაულაშქრია და იქაურობა აუოხრებია. მაგრამ დასავლეთ საქართველოში არაბებმა ისეთ სასურველ წარმატებას ვერ მიაღწიეს, როგორიც მათ აღმოსავლეთ საქართველოში მოიპოვეს.

ქართლი იძულებული შეიქნა საბოლოოდ დამორჩილებოდა დამპყრობელს და მის ნება-სურვილს დაჰყოლოდა. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა არაბთა სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზმი თბილისის საამიროს სახით. თბილისის ამირა თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე აბასიანთა

---

[2] З. М. Б у н и я т о в, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, გვ. 85.

[3] იხ. ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" აბუ უბაიდის თხზულებაში, „მაცნე", ისტორიის სერია, № 1, 1976, გვ. 187—199.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 2, თბ., 1965, გვ. 73—84.

ახალი დინასტიის (750—1258 წწ.) მორჩილი იყო და მისი ეკონომიკური თუ კულტურულ-იდეოლოგიური პოლიტიკის განუხრელი გამტარებელი აღმოსავლეთ საქართველოში.

ამდენად, არაბთა მფლობელობის ხანას საქართველოში ჩვეულებრივ სამ პერიოდად ჰყოფენ: პირველი მოიცავს პერიოდს არაბთა შემოსვლიდან საქართველოში VII ს-ის 50-იან წლებში, ვიდრე VIII ს-ის 30-იან წლებამდე; მეორე პერიოდი (VIII ს-ის 30-იანი წლებიდან IX ს-ის 30-იან წლებამდე) არის ხანა, როცა თბილისის ამირა წარმოადგენდა არაბთა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების ადგილობრივ მოხელეს; ხოლო მესამე პერიოდში თბილისის ამირები აქტიურად იბრძვიან ბაღდადის სახალიფოსაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობისათვის. თბილისის საამირო აღებული ხანისათვის (ვიდრე თბილისის განთავისუფლებამდე დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წ.) უკვე წარმოადგენს დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს და არაბთა ცალკეულ დამსჯელ სამხედრო ექსპედიციებს საჭირო შედეგები ვეღარ მოაქვს (მაგალითად, ბუღა თურქისა და აბუ ალ-კასიმ იბნ იუსუფ აბუ ას-საჯის ლაშქრობები საქართველოში 853 წ. და 914 წ.)[5].

სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას VIII ს-ის შუა წლებში უკვე აღარ აკმაყოფილებს საუკუნის წინათ აღმოსავლეთ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების პირობები და ვალდებულებანი „დაცვის სიგელის“ მიხედვით. იგი უგულებელყოფს სულჰის პირობით დამორჩილებულ ქვეყანაში ოდესღაც ჩატარებული პოლიტიკის პრინციპებს[6]. ფეოდალიზაციის პროცესში ჩართული არაბთა სახელმწიფო აღმოსავლეთ საქართველოში თავისთვის სასურველი პოლიტიკური ინსტიტუტის შექმნისა და მძიმე ეკონომიკური საგადასახადო სისტემის გატარებასთან ერთად, ჩანს, ცდილობდა ქართველ ხალხში საკუთარი იდეოლოგიის—ისლამის — გავრცელება-დანერგვასაც, მის გამაჰმადიანებასაც. იგი საბოლოოდ უარს ამბობს ტოლერანტული, შემწყნარებლური, ლმობიერი პოლიტიკის გატარებაზე ქართლში.

როგორც ცხობილია, ქართულ ისტორიულ წყაროებს აღებული ხანის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის საკითხზე არაბთა სახალიფოსთან თითქმის არავითარი ცნობები არ შემოუნახავს. სამაგიეროდ ჩვენს ხელთ არის ისეთი უტყუარი და, ვიტყოდით, ზედმიწევნით სარწმუნო წყარო, როგორიცაა მოვლენათა თვითმხილველისა და თანადამხვდურის იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება“, თუმცა ამ ძვირფასი ლიტერატურული ძეგლის ავტორის მიზანი სულ სხვა იყო.

იოანე საბანისძის ამოცანას შეადგენდა ქართული საეკლესიო წრეების დავალებით (სამოელ კათალიკოსი) შეექმნა მაღალი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მხატვრული ნაწარმოები, რომელიც აღამაღლებდა ტომით არაბი და დაბადებით მუსლიმი, შემდგომში გაქრისტიანებული და ამიტომ სიკვდილით დასჯილი აბოს თავდადებას ქართველთა თვალში. ამას, რა თქმა უნდა, ხე-

[5] იხ. ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 378 შემდეგ.; მ. ლორთქიფანიძე, არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 73; შდრ. ქსე, I, 1975, გვ. 524—525.

[6] ბაღდადმა ამ პრინციპებზე უარი თქვა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ სახალიფოს სხვა პროვინციებშიც (მაგალითად, ხორასანი).

ლი უხდა შეეწყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და ეროვნული თვითშეგნების გახშტკიცებისათვის ძნელბედობის იმ პერიოდში.

აშდეხად გასაგებია, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანმა ძეგლმა იმთავითვე მიიპყრო ქართველ მკვლევართა ყურადღება და იგი არაერთხელ გამხდარა დეტალური ახალიზისა და საგანგებო მსჯელობის საგანი[7].

რარიგ გაზვიადებულიც უნდა ჩანდეს არსებული სინამდვილე, აღწერილი იოანე საბანისძის მიერ, VIII ს-ის დასასრულის საქართველოში (ს. ჯანაშია), ერთი ცხადია, არაბთა ხანგრძლივ ბატონობას და მათ სასტიკ სოციალურ-ეკონომიკურ და სარწმუნოებრივ პოლიტიკას, რომლის გატარებასაც განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა აბასიანთა დინასტია საერთოდ დაპყრობილ ქვეყნებში, შეუძლებელია თავისი შედეგები არ გამოეღო, თუნდაც ნაწილობრივ გარკვეული დროის მანძილზე, ქართველი ხალხის ყოფასა და ცხოვრებაში.

თვით იოანე საბახისძეც, ქართველი ხალხის ნიჰიერი შვილი, მოჰირნახული და უთუოდ თავდადებული პატრიოტი, თავის ფართო ისტორიული შინაარსით ძდიდარ მხატვრულ ტილოში ერთი ხელისმოსმით როდი გვისურათებს, რომ ქართველობა ერთთავად განუდგა მამა-პაპის მიერ საუკუნეების წინათ აღიარებულ ქრისტიანულ რელიგიას. პირიქით, თუ იოანე ძე საბანისი აღწერს, რომ არაბებმა“ ...საცტიკებისა-გან და სივერაგისა, მანქანებითა მით საცთურებისაჲთა, ზედამდგომელთა, ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოხლურებისაჲთა,, თჳთ თავითთჳსით შჯულის-დებისაჲთა, განდგომილთა ქრისტჱს-გან, მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისა-გან სიმართლისა; ... რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით“, იგი იქვე გახაგრძობს და აღხიშნავს, რომ „და სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულხი, ვითარცა რკიხითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართა-გან ძლიერთა; არამედ ქრისტჱს სიყვარულითა და შიშითა, ჩუელებისაებრ მამულისა სლვისა, ჰირთა მოთმინებითა, არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა“[8].

არსებული ვითარების უკეთესი აღწერა, ალბათ, შეუძლებელია. იოანე საბანისძის დროინდელი ქართული საზოგადოება ორ ნაწილად გაყოფილა. როგორია თითოეული მათგანის ხვედრითი წონა, ძნელი სათქმელია[9]. ქართველთა

---

[7] იხ., მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 85—91; მისივე, ისტორიის მიზანი წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 76—85; ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ. 393 შმდგ.; ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, ტფ., 1935; კ. კეკელიძის ამ წიგნში, როგორც ცნობილია, იოანე საბანისძის თხზულება უკვე მესამეჯერ იქნა გამოცემული. პირველი ორი გამოცემა ეკუთვნით მ. საბინინსა (იხ. „საქართველოს სამოთხე“, ტფ., 1882, (გვ. 333—350) და პ. კარბელაშვილს (იხ. „წმიდა მოწამე აბო ტფილელი“, ტფ., 1899).

[8] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 58

[9] ამდენად, გაზვიადებული ჩანს იაკუთ ალ-ჰამავის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ გაცემის შემდეგ თბილისის მოსახლეობა გამუსლიმანდა, უნდა ვიფიქროთ, მთლიანად (იაკუთ ალ-ჰამავი, გეოგრაფიული ლექსიკონი, ფ. ვიუსტენფელდის გამოცემა, I, გვ. 858).

ერთ ნაწილს სხვადასხვა მიზეზის გამო, „რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით“, ქრისტეს სჯულისათვის უღალატნია და ისლამი მიუღია. „სასტიკებისაგან და სივერაგისა, მანქანებითა მით საცთურებისაჲთა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებისაჲთა, თჳთ თავითთჳსით შჯულის-დებისაჲთა, განდგომილთა ქრისტჱს-გან, მრავალხი შეაცთუნხნეს და გარდადრიკნეს გზისა-გან სიმართლისა“-ო, აღნიშნავს იოანე.[10]

ხოლო მძიმე განსაცდელის წინაშე მდგარი და ტანჯულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ქართული საზოგადოების მეორე ნაწილი „მძლავრებასა ქუეშე დამორჩილებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი“, შედგრად იდგა და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული რჩებოდა. თუმცაღა „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართა-გან ძლიერთა“-ო, წერს იოანე საბანისი.

სახალიფოს ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ აღებულ ხანაში ქართლისა და სომხეთის მკვიდრი მოსახლეობა დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიურ ფორმებთან ერთად მიმართავდა მათთან პასიური ბრძოლის ისეთ ფორმასაც, როგორიც იყო დაფუძნებული ადგილებიდან აყრა და სხვაგან გახიზვნა-გადასახლება. სომხებმა თავშესაფარად ბიზანტიის იმპერიას მიაშურეს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს იმ ქართველობამ, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა ქრისტიანული რწმენა, დასავლეთ საქართველოსაკენ იწყო ლტოლვა.[11]

ამავე დროს აბასიანების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ არაპთა სახალიფომ მიაღწია თავისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მაღალ საფეხურს. დინასტიის ფაქტიური დამაარსებლის მეორე აბასიანი ხალიფას აბუ ჯაფარ ალმანსურის მეფობის ხანაში (754—775 წწ.) და მისი თაოსნობით დაარსებული 762 წ. იმპერიის ახალი სატახტო ქალაქი ბაღდადი მუსლიმური სამყაროს ადრე დაწინაურებულ ქალაქებთან ერთად (დამასკი, ფუსტატი, ბასრა, ქუფა და სხვ.) ძალზე მალე იმდროინდელი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი და წამყვანი ცენტრი გახდა. მართალია, სახალიფოს პოლიტიკური დაქუცმაცებადახაწევრების პირველმა ნიშნებმა ადრევე იჩინა თავი (დამოუკიდებელი აღლაბიანთა დინასტიის გაბატონება შორეულ იფრიკიაში, ალჟირსა და სიცილიაში 800 წ. ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის დროს (786—809 წწ.), ხოლო ხორასანში ტაჰირიანთა საგვარეულოსი 821 წ. ხალიფა ალ- მამუნის ზეობისას

---

[10] რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ იქნას მიღებული მხედველობაში აკად. ს. ჯანაშიას მიერ თავის დროზე მართებულად გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „საჭირო იყო უფრო განვითარებული ბატონყმური ურთიერთობა, ვიდრე ამას იმდროინდელ ქართლში ვხედავთ (ანუ VIII—IX სს-ში,—ო. ც.), რომ ისლამის პროპაგანდას ღარიბ-ღატაკთა წრეებში სათანადო ნაყოფი გამოეღო. ამით აიხსნება, ალბათ, ის გარემოება, რომ მიუხედავად არაბების მრავალსაუკუნოვანი მფლობელობისა ქართლში, ისლამმა აქ ვერავითარი შესამჩნევი კვალი ვერ გაავლო. მაჰმადიანობა ქართულ პროვინციებში მასიურ გავრცელებას პოულობს მხოლოდ XVII საუკუნიდან სულ სხვა ისტორიულსა და სოციალურ გარემოში“ (ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ., 385).

[11] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 88; А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, Ереван, 1977, გვ. 116—118

(813—833 წწ.), შემდგომში არაბთა ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა-რღვევისა და ამის საფუძველზე დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა, მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ IX—X სს-ში შეიქმნა ეგრეთ წოდებული არაბული კულტურის (რამდენადაც ამ კულტურის შექმნაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ არაბები, არამედ დაპყრობილი ქვეყნების მრავალი ხალხი და პირველ რიგში სპარსელები) საუკეთესო ნიმუშები. დიდი იყო არაბთა სახალიფოში ფართოდ წარმოებული მუშაობის შედეგები საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა და ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (მათემატიკა, ასტროლოგია, ასტრონომია, მექანიკა, მინერალოგია, მედიცინა), ისტორია და გეოგრაფია, ფილოსოფია და ლიტერატურა (პროზა, პოეზია), არქიტექტურა, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, სამართალი, მუსიკა და სხვა.[12]

ამიტომ გასაგები უნდა იყოს, თუ ცნობილმა შვეიცარელმა მეცნიერმა ადამ მეცმა IX-X სს-ის არაბთა სახელმწიფოს კულტურულ მონაპოვარს, რა თქმა უნდა, პირობითად, მუსლიმური რენესანსი უწოდა. ეს მოხდენილი გამოთქმა შემდგომში მრავალმა აღმოსავლეთმცოდნე მკვლევარმა აიტაცა. კონკრეტული მაგალითისათვის კი ისიც კმარა, რომ აკად. ეგნატე კრაჩკოვსკის აზრით, X ს-ის ნიჭიერ არაბ გეოგრაფთა მთელი პლეადა შეადგენს არაბული სამეცნიერო გეოგრაფიის კლასიკურ სკოლას.

ამდენად, თუ ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოსა

---

[12] აღებული ხანის არაბული კულტურის შესწავლა ყოველთვის იდგა აღმოსავლეთმცოდნეთა ყურადღების ცენტრში, მასზე ბევრი სქელტანიანი ნაშრომიც დაწერილა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაბული კულტურის კვლევის თანამედროვე მეცნიერული დონე მაინცდამაინც ვერ პასუხობს დღევანდელი დღის მოთხოვნებს. ეს კი მრავალი მიზეზით შეიძლება აიხსნას. ერთ-ერთი პირველთაგანი მიზეზი, ალბათ, არის ის, რომ სადღეისოდ დაგროვილია ძალზე მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომლის დამლევა-გადამუშავება, მისი განზოგადება და სათანადოდ გააზრება აღემატება ერთი სპეციალისტის შესაძლებლობებს, რა დიდი გაქანებისა და უნარის მქონეც არ უნდა იყოს იგი. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ადრეული შუა საუკუნეების არაბული საზოგადოებრივი აზროვნების ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა არაბული ისტორიოგრაფია, მსოფლიო ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი მდიდარი შემადგენელი ნაწილი, როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივად (იხ. ჩვენი რეცენზია: D. M. Dunlop, Arabic Civilization to A. D. 1500, London-Beyrouth, 1971, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, 1976, გვ. 180—184). ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ნაშრომზე მითითებით დავკმაყოფილდებით: გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო სესია (2—4, III, 1946), მოხსენებათა კრებული, 1947; ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთის კულტურული შუბლი, „მნათობი", 4, 1978; ქ ს ე, ტ. I, გვ. 526—531; И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, тт. I—VI, М.-Л., 1955—1960; И. М. Фильштинский, Арабская классическая литература, М., 1965; Б. Веймар, Т. Кантерева, А. Подольский, Искусство арабских народов, т. 2, кн. 2, М., 1961; Ханна аль-Фахури, История арабской литературы, I, М., 1959; 2, М., 1961; Х. А. Р. Гибб, Арабская литература, М., 1960; А. Мец, Мусульманский ренессанс, М., 1966; R. A. Nickolson, A Literary History of the Arabs, Cambridge, 1930; K. A. C. Creswell, Early Muslim Architecture, II, Oxford, 1940; მისივე, A Short Account of Early Muslim Architecture, Oxford, 1958; F. Rosenthal, A History of Muslim Historiography, London, 1952; L. O'Leary, Arabic Thought and its place in History, London, 1954; R.J. Forbes, Studies in Ancient Technology, I, Leiden, 1955; Eckhard Neubauer, Musiker am Hof der frühen Abbasiden, Frankfurt am Main, 1965; D. M. Dunlop, Arabic Civilization to A. D. 1500.

და არაბთა სახალიფოს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათს გავითვალისწინებთ, ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის არაბთა სახელმწიფოს კულტურული განვითარების დონეს, სავსებით შესაძლებელი ჩანს მუსლიმურ კულტურულ-სამეცნიერო ცენტრში ბაღდადში, რომელიც იმავდროს არაბთა იმპერიის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრიც იყო, საქართველოდან ისლამს ნაზიარები ქართველთა ლტოლვა სწავლა-განათლების მისაღებად და კულტურულ-სამეცნიერო სარბიელზე (და, ალბათ, არა მხოლოდ ამ სარბიელზე, თუმცა საამისო მასალა საკმაო რაოდენობით ჯერჯერობით არ მოგვეპოვება) მათი დაწინაურება და თვალსაჩინო, ადგილის დაკავება.

აღებული ხანის ქართველობას, რომელიც, მართალია, არაბთა მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა, არა თუ ბრძოლა არ შეუწყვეტია დამპყრობელთა წინააღმდეგ, არამედ იმის უნარიც შესწევდა, რომ მაღალი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული იშვიათი მხატვრული ნაწარმოებებიც შეექმნა, ისეთი, მაგალითად, როგორიც არის იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამება". მაშასადამე, იმდროინდელი საქართველო თავისი კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა, იგი ღირსეულად განაგრძობდა ქართველი ხალხის მდიდარ ისტორიულ ტრადიციებსა და მისი სწრაფვა სწავლა-განათლებისაკენ კვლავინდებურად უპირველეს მოთხოვნილებად რჩებოდა.

არაბთა სახალიფოსა და აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა შედეგები კარგად ჩანს ას-სამანის (1113—1167 წწ), მერველი არაბი ავტორის, თხზულებაში „ქითაბ ალ-ანსაბში" („წიგნი წარმომავლობათა შესახებ") შემონახული და ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ ქართულ საღმოსავლეთმცოდნეო კრებულში დღის სინათლეზე გამოტანილი მასალის მაგალითზე[13].

მართალია, აღნიშნულ მასალაში ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხი ერთნაირი სისრულით არ არის წარმოდგენილი, ანდა სრულიადაც არ არის მოცემული, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ნისბით, წარმომავლობის სახელით, „ათთაფლისით" ნახსენებ ოთხ პირთან მუჰამად იბნ ისმაილ იბნ ბითუნ იბნ სარი ათ-თანლისი, აბუ აჰმად ჰამიდ იბნ იუსუფ იბნ ალ-ჰუსაინ ათ-თაფლისი, მუჰამად იბნ ბაიან იბნ უმრან ალ-მადაინი ათ-თაფლისი და უბაიდ ალაჰ ათ-თაფლისთან ერთად, რომლებიც შესაძლებელია არ იყვნენ ქართველები, თუმცა როგორც ნისბა მიუთითებს, უეჭველად თბილისიდან იყვნენ წარმოშობით[14], იხსენიება კიდევ ერთი პირი აბუ ალ-ჰასან ფირუზ იბნ აბდ ალაჰ ალ-ქურჯი, როგორც ვხედავთ „ალ-ქურჯის" („ქართველის") ნისბით. „ქრჯი" დამწერლობით მოცემული ნისბის „ალ-ქურჯის" სახელით წაკითხვა მით უფრო სარწმუნოა, რომ მის გახმოვანებას თვით ას-სამანი იძლევა, ხოლო

---

[13] იხ. ე. სიხარულიძე, ას-სამანის ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 45—53.

[14] „თაფლისი" ნისბით კიდევ ორ პირს აბუ აჰმად ჰამიდ იბნ იუსუფ იბნ აჰმად იბნ ალ-ჰუსაინ ათ-თაფლისისა და აბუ ბაქრ მუჰამად იბნ ისმაილ ათ-თაფლისის იხსენიებს იაკუთ ალ-ჰამავი და ამავე დროს თავისი გეოგრაფიული ლექსიკონის თავში თბილისზე იმასაც აღნიშნავს, რომ მრავალი თბილისელი მეცნიერი არის ცნობილი (იხ. იაკუთ ალ-ჰამავი, I, გვ. 859, II, გვ. 874; III, გვ. 881, 891).

იბნ ალ ასირი (1160—1234 წწ.), ცნობილი არაბი ისტორიკოსი, ას-სამანის „ქითაბ ალ-ანსაბის“ შემოკლებული რედაქციის ავტორი სათაურით „ალ-ლუბაბ“ („გაწმენდილი“), ასწორებს კიდეც ას-სამანის მიერ მოცემული ნისბის „ალ-ქურჯის“ განმარტებას და აღნიშნავს, რომ სახელი „ქურჯ“ არის არა გეოგრაფიული ნომენკლატურა, არამედ იგი არის იმ სახელგანთქმული ხალხის სახელი, რომლის ქვეყანა აზერბაიჯანსა და არანს შემდეგ მდებარეობს[15].

„ქრჯჲ“ ნისბით კიდევ ოთხ სახელს ჩვენ მივაკვლიეთ XI ს-ის ცნობილი არაბი ტრადიციონალისტის ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის (1002—1071 წწ.) თხზულებაში „ბაღდადის ისტორია“ („თარიხ ბაღდად“), რომელიც 1931 წ. გამოიცა კაიროში თოთხმეტ ტომად. არსებობს აგრეთვე ბეირუთის 1968 წ. სტერეოტიპული გამოცემა.

ეს სახელები შემდეგია: 1. აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაზიდ აბუ ალ-აბას ალ-ფაკიჰ ალ-ქრჯჲ; 2. აჰმად იბნ მუჰამად იბნ აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაჰია აბუ ალ-აბას ალ-კადი ალ-ქრჯჲ; 3. მუჰამად იბნ ალ-ჰასან იბნ ალ-აბას აბუ იალა ალ-მუტარიზი, ცნობილი სახელით იბნ ალ-ქრჯჲ; 4. აჰმად იბნ აჯლავაიჰ იბნ აბდ ალაჰ აბუ ალ-აბას ალ-ქრჯჲ[16].

სამწუხაროდ, ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, მსგავსად ას-სამანისა და მრავალი სხვა არაბი ავტორისა (მაგალითად, იაკუთ ალ-ჰამავისა) არ იძლევა „ქრჯჲ“ ნისბის გახმოვანებას. „თარიხ ბაღდადის“, ამ ვრცელი არაბული თხზულების ავტორი ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, რომელსაც თავის ნაშრომში მოტანილი აქვს 7831 პირის ბიოგრაფიები, ძირითადად მაინც ტრადიციონალისტად გვევლინება და არა ბიოგრაფად, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, იაკუთ ალ-ჰამავი და იბნ ხალიქანი (1211—1282 წწ.). ამდენად, ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ამოცანას არც შეადგენდა მოეტანა ვრცელი და ამავე დროს ჩვენთვის საღლეისოდ საინტერესო ბიოგრაფიული მასალა ამა თუ იმ პირზე. ამითვე აიხსნება, ალბათ, ის გარემოებაც, რომ მას პირთა ბიოგრაფიები ზუსტი ანბანური გახლაგებით მოცემული არა აქვს, არც დასახელებულ პირთა სახელების (საკუთარი, ნისბა, ქუნია) გახმოვანება უცდია. ზემოჩამოთვლილ პირთა შორის მხოლოდ ერთადერთის, კერძოდ, პირველის აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაზიდ აბუ ალ- აბას ალ-ფაკიჰ ალ-ქრჯჲ-ს ნისბაში ასო „ქაფს“ „ფათჰა“ უზის თავზე, რაც, უნდა ვიფიქროთ, ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ნაშრომის გამომცემლის გაკეთებული უნდა იყოს, თუმცა საამისო უტყუარი საბუთი მას, როგორც ჩვენ მოგვაჩნია, რა თქმა უნდა, არ გააჩნდა.

მთელი ეს მსჯელობა „ქრჯჲ“ ნისბაზე და მისი მხოლოდ თანხმოვნებით მოტანა ჩვენ მიერ გასაგები უნდა იყოს. ნისბა „ქრჯჲ“ რამდენიმენაირად შეიძლება გახმოვანდეს. მათ შორის, ალბათ, პირველ რიგში, იგი შეიძლება გავახმოვანოთ, როგორც „ალ-ქარაჯი“, იმ გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდების მიხედვით, რომლებიც ირანში მდებარეობდა.[17]

---

[15] ე. სიხარულიძე, იქვე, გვ. 49, შენიშვნა 11.

[16] ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, ბაღდადის ისტორია, II, გვ. 217—218; IV, გვ. 238, 368; V, გვ. 120.

[17] იაკუთ ალ-ჰამავის თავის გეოგრაფიულ ნაშრომში აღნიშნული აქვს ამ სახელწოდების სამი გეოგრაფიული პუნქტი (იაკუთ ალ-ჰამავი, IV, გვ. 250—251). ქალაქი ქარაჯ აბი დულაფის, რომელიც, ალ-ქარაჯის მეორე სახელწოდებაა, მიღებული არაბი მხედართმთავრის

ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ჩვენ ისეთივე უფლება გვაქვს, თუ მეტი არა, „ქრჯ“ თანხმოვნებით მოცემული ნისბა „ქურჯად“ გავახმოვანოთ, როგორც სხვა ნებისმიერ მკლევრებს „ქრჯ“ ნისბა სხვაგვარად გაახმოვანონ. და ამდენად ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ნაშრომში წარმოდგენილი პირები შორეულ ბაღდადში სწავლა-განათლების მისაღებად გადახვეწილი და დამკვიდრებული გამაჰმადიანებული ქართველების შთამომავლებად მივიჩნიოთ.

როგორც ჩანს, ას-სამანის სრული საფუძველი ჰქონდა აღენიშნა, რომ „ქურჯის“ ნისბით ბევრი ცნობილი და გამოჩენილი მეცნიერია.[18]

ვინ იყვნენ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით ზემოთ აღნიშნული პირები?

ცნობილია, რომ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის, როგორც ტრადიციონალისტის, ამოცანას შეადგენდა გადმოეცა ბაღდადთან დაკავშირებულ იმ პირთა ბიოგრაფიები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ეგრეთ წოდებულ ჰადისებს, ანუ მოთხრობებს მუსლიმთა ტრადიციებზე, კონკრეტულად რომ ვთქვათ, გადმოცემებს პირველ რიგში საკუთრივ მუჰამად წინასწარმეტყველისა და მისი თანამებრძოლების შესახებ, თუმცა თხზულებაში მრავლად არის მოცემული აგრეთვე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა, მაგრამ ასევე ჰადისის მეტ-ნაკლებად მცოდნეთა, ბიოგრაფიები[19].

„ბაღდადელი მქადაგებლის“ ნაშრომში ხსენებული ოთხივე პირი ჰადისის მეცნიერების წარმომადგენლები, ჰადისების სანდო და სარწმუნო მცოდნენი, მუჰადისები ყოფილან.

---

ალ-კასიმ იბნ ისა ალ-იჯლის (გარდ. 840—843 წწ. შორის) ქუნიას (შერქმეული სახელის) აბუ დულაფის მიხედვით, ზუსტი ადგილმდებარეობა დღემდე არ არის დადგენილი. როგორც ჩანს, იგი მდებარეობდა სადღაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰამადანსა და ისბაჰანს შორის შუა გზაზე. ქარაჯი წარმოადგენდა ადგილობრივი დულაფიანთა დინასტიის ცენტრს. ამ საგვარეულომ თავისი არსებობა დაასრულა 897 წ. დულაფიანთა კარის მრავალი სტუმარი პოეტი იხსენიებს ქალაქს. იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის (903 წ.) აღწერით, ქარაჯი იყო ვიწრო (ქუჩებიანი), ჭუჭყიანი და ღარიბი ქალაქი (იხ. იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანი, BGA, V, გვ. 237, 261; იაკუთ ალ-ჰამავი, იქვე, აგრეთვე I, გვ. 717, EI, NE, IV, გვ. 598, 718—719). ამ ქალაქიდან იყო წარმოშობით ცნობილი არაბი მათემატიკოსი და ინჟინერი აბუ ბაქრ მუჰამად იბნ ალ-ჰასან ალ-ქარაჯი (გარდ. 1019 წ. შემდეგ). (იხ. EI, NE, იქვე, გვ. 600). ამავე სახელწოდების ერთი გეოგრაფიული პუნქტი სოფელი ქარაჯი მდებარეობდა რეისთან, ხოლო მეორე ჰამადანსა და ნეჰავენდს შორის. ორივეთაგან ქალაქი ალ-ქარაჯი დაშორებული იყო შვიდი ფარსახით (49 კმ) (იაკუთ ალ-ჰამავი, IV, გვ. 251)

[18] ე. სიხარულიძე, იქვე, გვ. 51.

[19] ასეთ პირთა რიცხვს განეკუთვნებიან, მაგალითად, არ-რაბი იბნ იუნუს იბნ აბდ ალაჰ იბნ აბი ფარვა აბუ ალ-ფადლი (730—786 წწ.), ხალიფა ალ-მანსურთან (754—775 წ.) ერთ-ერთი დაახლოებული პირი, მისი ჰაჯიბი (იხ. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, VIII, გვ. 414), ალ-ფადლ იბნ არ-რაბი იბნ იუნუს იბნ აბი ფარვა (757/8-—822/3 ან 823/4 წწ.), ხალიფების ჰარუნ არ-რაშიდისა (786—809 წწ.) და მუჰამად ალ-ამინის (809—813 წწ.) ვეზირი (იხ. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, XII, გვ. 343—344), ალ-მუსაიაბ იბნ ზუჰაირ იბნ ამრ აბუ მუსლიმ ად-დაბი (გარდ. 792/3 წ.), ბაღდადის შურტას უფროსი ხალიფების ალ-მანსურის, ალ-მაჰდის (775—785 წწ.) და ჰარუნ არ-რაშიდის დროს, აგრეთვე ერთხანს ხალიფა ალ-მაჰდის ზეობაში ხორასნის გამგებელი (იხ. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, XIII, გვ. 137), მუჰამად იბნ აბდ ალ-მალიქ იბნ აბან იბნ აბი ჰამზა აზ-ზაჲათი, ცნობილი მეტსახელად იბნ აზ-ზაიათი (გარდ. 847 წ.), ხალიფა ალ-მუთასიმის დროს პირველად დაწინაურებული ვეზირის თანამდებობაზე (იხ. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, II, გვ. 342—344), ალ-ჰასან იბნ საჰლ იბნ აბდ ალაჰი (გარდ. 850 წ.) ხალიფა ალ-მამუნის (813—833 წწ.) მარჯვენა ხელი (იხ. ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, VII, გვ. 319-323). და მრ. სხვ.

ოთხიდან სამი პირის გარდაცვალების თარიღებს იძლევა ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი.

აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაზიდ აბუ ალ-აბას ალ-ფაჰიკ ალ-ქრჯჲ გარდაცვლილა ჰიჯრით 321 წ. ჯუმადა ალ-ულას უკანასკნელ კვირა დღეს. ეს თარიღი ემთხვევა ევროპული წელთაღრიცხვის 933 წ. 26 მაისს. აჰმად იბნ მუჰამად იბნ აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაჰია აბუ ალ-აბას ალ-კადი ალ-ქრჯჲ-ს გარდაცვალების თარიღად ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის მოტანილი აქვს 405 წ., რომელიც 1014—1015 წ. უდრის. ხოლო იბნ ალ-ქრჯჲ-ს სახელით ცნობილი მუჰამად იბნ ალ-ჰასან იბნ ალ-აბას აბუ იალა ალ-მუტარიზი ახალგაზრდა, ოთხი ათეული წელი რომ არ ჰქონია დასრულებული დაბადებიდან და სრულიად გაჭაღარავებული, გარდაცვლილა 427 წ. 27 რამადანს შაბათ ღამით, რაც შეესაბამება 1036 წ. 27 ივლისს[20]. დაუკრძალავთ ბაბ ად-დაჲრის სასაფლაოზე[21]. უნდა დავუშვათ ვარაუდი, რომ მეოთხე პირიც აჰმად იბნ აჯლავაიჰ იბნ აბდ ალაჰ აბუ ალ-აბას ალ-ქრჯჲ-ც იმავე ხანის, X—XI სს-ის, მოღვაწე იყო, თუმცა მისი გარდაცვალების თარიღს, როგორც აღვნიშნეთ, ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი არ იძლევა.

ოთხივე პირი, რა თქმა უნდა, ბაღდადის მცხოვრები იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი თავის ნაშრომში არ შეიტანდა. მხოლოდ აჰმად იბნ მუჰამად იბნ აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაჰია აბუ ალ-აბას ალ-კადი ალ-ქრჯჲ-ზე აქვს აღნიშნული ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ,რომ იგი ერთხანს ბაღდადში ცხოვრობდა, შემდეგ მექაში გადასულა და იქ დასახლებულა, სადაც, როგორც ჩანს, გარდაცვლილა კიდეც.

როგორც წესი, ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის დასახელებული ჰყავს პირები, რომლებთანაც ჩვენი მუჰადისები სწავლობდნენ ჰადისებს, ვისაც მათთვის მოუსმენია და. ამავე დროს, ვისგანაც ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის მათ შესახებ ცნობები მიუღია. აქა-იქ მოცემულია ანეკდოტური ხასიათის მასალა. მას, რა თქმა უნდა, არავითარი ისტორიული ღირებულება არ გააჩნია.

კულტურული მოღვაწეობის გარდა ჰადისების შესწავლასა და მათი პოპულარიზაციის დარგში დასახელებული ბაღდადელი მუჰადისები, ეტყობა, პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდნენ და იურიდიული მეცნიერების თეორიაშიც მუშაობდნენ.

ვფიქრობთ, ეს კარგად ჩანს ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის მიერ მოტანილი სახელების ვრცელი გენეალოგიიდან. ერთი მათგანი — აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაზიდ აბუ ალ-აბას ალ-ფაკიჰ ალ-ქრჯჲ, როგორც ვხედავთ, ფაკიჰად არის მოხსენიებული, მეორე — აჰმად იბნ მუჰამად იბნ აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაჰია აბუ ალ-აბას ალ-კადი ალ-ქრჯჲ-ყადად, მესამე—მუჰამად იბნ ალ-ჰასან იბნ ალ-აბას აბუ იალა ალ-მუტარიზი, ცნობილი სახელით იბნ ალ-ქრჯჲ,-ალ-მუტარიზად. მეოთხე მუჰადისის სახელში ასეთი რამ აღნიშნული არ არის, ისევე როგორც არაა მოცემული მისი გარდაცვალების წელი .აჰმად იბნ აჯლავაიჰ იბნ აბდ ალაჰ

---

20 ჩვენი დაანგარიშებით 427 წ. 27 რამადანის ღამე იყო არა შაბათი, არამედ სამშაბათი.

21 ბაბ ად-დაჲრის სასაფლაო (მაკბარა ბაბ ად-დაჲრ) მდებარეობდა ბაღდადში, მის დასავლეთ ნაწილში, მდ. ტიგროსისა და ბასრის კარიბჭის შორის, ჩანს, ას-სარათის არხის გაყოლებით (იხ. G. le Strange, Baghdad during the Abbaside Caliphate, from Contemporary Arabic and Persian Sources, Oxford, 1900, გვ. 98—100; J. Lassner, The Topography of Baghdad in the Early Middle Ages, Detroit, 1970, გვ. 112, 253, შენიშვნ. 22, გვ. 286, შენიშვნ. 6).

აბუ ალ-აბას ალ-ქრჯჲ-ზე ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის, ჩანს, ყველაზე ნაკლები მასალა ჰქონდა ხელთ. ამ მიზეზით უნდა ავხსნათ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის მიერ მის შესახებ შედარებით მწირი ცნობების მოტანა.

გაურკვეველი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იურიდიული სკოლის წარმომადგენელი იყო ფაკიჰად მოხსენიებული ბაღდადელი მუჰადისი აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაზიდ აბუ ალ-აბას ალ-ქრჯჲ.

როგორც ცნობილია, აბასიანთა ეპოქაში ტრადიციულ თეოლოგიასა და კანონიკურ სამართალთან ერთად (ილმი) საფუძველი ეყრება ფიკჰს. მისი წარმომადგენლები ცდილობენ ჩასწვდნენ ილმის დებულებების არსს და თავიახთი ხააზრევი დაუკავშირონ არსებულ სინამდვილეს, ადამიანთა შორის იმ დროისათვის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს. მათი ახსნა-განმარტება არსებითად შეუძლებელი აღმოჩნდა არსებული კანონიკური სამართალის მიხედვით.

წარმოშობილ მრავალრიცხოვან იურიდიულ სისტემებს შორის ცხოველმყოფელი აღმოჩნდა მხოლოდ ოთხი იურიდიული სკოლა—ჰანიფიანთა, რომლის სახელი დაკავშირებულია ცნობილი არაბი კანონთმცოდნის, წარმოშობით ირანელის, აბუ ჰანიფა იბნ საბითთან (699—767 წწ.), მალიქიანთა, ამ იურიდიული სისტემის მამამთავრის მალიქ იბნ ანასის სახელის მიხედვით (გარდ. 795 წ.), შაფიიანთა იურიდიული სკოლა, მუჰამედ იბნ იდრის აშ-შაფიის მიერ დაარსებული (767—820 წწ.), და ჰანბალიანთა იურიდიული სკოლა, რომლის ფუძემდებელია აჰმად იბნ ჰანბალი (780—855 წწ.), აშ-შაფიის მოწაფე. დასარჩენმა იურიდიულმა სკოლებმა ვერ ჰპოვა გავრცელება და საკმაოდ მალე შეწყვიტა არსებობა.

საფიქრებელია, რომ აჰმად იბნ მუჰამად იბნ იაზიდ აბუ ალ-აბას ალ-ფაკიჰ ალ-ქრჯჲ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი იურიდიული სკოლიდან ერთ-ერთი სისტემის მიმდევარი და თეორეტიკოსი იყო. ეწეოდა თუ არა იგი პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობას, დაბეჯითებით ძნელია ითქვას, ცნობილია, რომ ფაკიჰები ჩვეულებრივად თავს არიდებდნენ სასამართლო ორგანოებში მუშაობას (აბუ ჰანიფა იბნ საბითის მაგალითი, როცა იგი არაფრით არ დაეთანხმა ხალიფა ალ-მანსურს ბაღდადის სასამართლო წარმოებას ჩასდგომოდა სათავეში და ამის გამო დაისაჯა კიდეც).

აჰმად იბნ მუჰამად იბნ აჰმად მუჰამად იბნ იაჰია აბუ ალ-აბას ალ-კადი ალ-ქრჯჲ კი, ჩანს, ყადის მოვალეობას ასრულებდა .მაგრამ აქაც გაურკვეველია, თუ რომელი იურიდიული სისტემით უძღვებოდა იგი სასამართლო საქმეებს.

იბნ ალ-ქრჯჲ ალ-მუტარიზი(المطرز) ქსოვილის მომქარგველი, მისი მომხატველი, იერისა და სილამაზის მიმცემი, მოკლედ რომ ვთქვათ, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ხელოსანი ყოფილა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ განათლებული მუჰადისის მიერ ანდა მისი ხელმძღვანელობით, ალბათ, გემოვნებითა და ლამაზად მოქარგულ-დამზადებული ქსოვილი პასუხობდა აღებული ხანის ბაღდადის ფართო და მაღალ მოთხოვნილებებსა და ბაზარზე საკმაოდ ძვირად ფასობდა[22].

---

[22] უნდა აღინიშნოს, რომ განათლებულ პირთა მიერ ხელოსნობით დაინტერესება არაბულ საზოგადოებაში უცხო არ უნდა ყოფილიყო. იაკუთ ალ-ჰამავის დასახელებული ჰყავს ორი პირი, რომლებიც მუტარიზები იყვნენ. ესენი არიან აბუ სად მუჰამად იბნ აბი აბდ ალაჰ ალ-მუტარიზი და კასიმ ალ-მუტარიზი, ჰადისების მცოდნენი (ი ა კ უ თ ა ლ-ჰ ა მ ა ვ ი, III, გვ. 532, IV, გვ. 188).

ასეთია დღეისათვის მიკვლეული ადრეული შუა საუკუნეების არაბთა სახალიფოსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის შესახებ არსებული მცირე მასალის შინაარსი და ხასიათი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მეტი და უტყუარი ცნობები დაგვიგროვდება და ქართველ აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა კვლევა-ძიება ამ მიმართებით მეტ სიცხადესაც შეიტანს საკვლევ საკითხში. ამით დაძლეული იქნება ის მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომლის შესახებ ამ წერილის დასაწყისში აღინიშნა. ამჯერად კი მოტანილი მასალით დავკმაყოფილდეთ.

О. В. ЦКИТИШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИИ АРАБО-ГРУЗИНСКИХ КУЛЬТУРНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ (X—XI вв.)

Резюме

В статье рассмотрены вопросы политических и социально-экономических взаимоотношений арабского халифата и Грузии в период раннего средневековья. Особое внимание уделено арабо-грузинским культурным взаимоотношениям. По данным известного арабского автора XI в. ал-Хатиба ал-Багдади о четырех лицах, так называемых мухаддисах, имевших нисбу (имя, происхождения) «крджй» (курджи — грузин?), высказывается предположение об их возможном грузинском происхождении. Изложены кратко биографии этих лиц и охарактеризована их культурная и практическая деятельность.

Высказана надежда, что в обозримом будущем многостороннее и глубокое изучение арабо-грузинских культурных взаимоотношений восполнит пробел, имеющий место в грузинской советской историографии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. გაბაშვილმა.

მარინა ჩხარტიშვილი

# მეტაფრასი, „წმ. ნინოს ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის შესახებ

„წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციას ერთვის ანდერძმინაწერი, რომელიც ასე იწყება: „წმიდანო მამანო და ძმანო, ესე ნეტარისა ნინოჲს „ცხორებაჲ“ შეუწყობელად და განბნეულად „ქართლისა მოქცევასა“ თანა და „ჰანბავსა მეფეთასა“ თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით, რომელიმე თჳთ მის წმიდისაგან მითხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისგან, სხუაჲ იაკობ მღდელისაგან, სხუაჲ აბიათარისგან, სხუაჲ კუალად სიდონიაჲსგან, გარნა წინ უკუანა და უკუანა წარ, იგივე და ერთი პირი. და ამისთჳს საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უჴმარ და ვერ საცნაურ...“[1].

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, აღნიშნულ ანდერძმინაწერში „შეუწყობელობა“, „განბნეულობა“ და „აღრეულობა“ თანაბრად ეხება ორივე დასახელებულ რედაქციას და, ამრიგად მოტანილი ნაწყვეტი გაგებულია, როგორც მეტაფრასის მიერ „მოქცევისეული“ და „ქართლის ცხოვრებისეული“ „ცხოვრებების“ ერთნაირი დახასიათება[2]. ტექსტის ასეთივე გაგებითაა შესრულებული რუსული თარგმანიც: «Святые отцы и братья, сие житие блаженной Нины в **Обращении Картли** и в **Повестях о царях,** как о том ведомо вам самим, писано нескладно, путанно и разрозненно, одни как повествования самой святой, другие—царя Мириана, кое-какие Якова Священника, затем—Абиатара, и. наконец, прочие—Сидонии, да все равно шиворот на выворот. И потому для читателей было весьма огорчительно, а для слушателей неподручно и непознаваемо...»[3]

ანდერძ-მინაწერის აღნიშნული ინტერპრეტაცია არ უნდა იყოს სწორი. მეტაფრასი „შეუწყობელად“ და „განბნეულად“ სიტყვებს „ქართლის მოქცევასა“ თანა“-ს წინ უმძღვარებს და ამით გვაგრძნობინებს, რომ ეს დახასიათება „მოქცევისეულ“ „ცხოვრებას“ შეეხება. „აღრეულად“ „ჰანბავსა მეფეთასა“

---

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1971, გვ. 51.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977, გვ. 187, 188; მისივე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979 გვ. 219; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 240; ს. ჯანაშია, ფსევდო-არსენი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 6, 1940, გვ. 480; ც. ქურციკიძე, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის წყაროს საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. მოამბე, XLVI, № 1, 1967, გვ. 274; ივ. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978, გვ. 74, 75.

[3] Г. В. Цулая, Житие св. Нины как источник по истории народов Кавказа, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 3, გვ. 98.

თანა“-ს შემდეგ წერია და აშკარაა, რომ მისი გავრცელება „ქართლის ცხოვრებისეულ“ რედაქციაზე შეიძლება მარტოოდენ. ორივე რედაქციის ერთად და ერთგვარად დახასიათება რომ სდომებოდა, ავტორი „შეუწყობელად“, „განბნეულად“ და „აღრეულად“ სიტყვებს ერთად დააჯგუფებდა. ტექსტის ტრადიციულ გაგებას თუ გავიზიარებთ, ანდერძ-მინაწერის ეს პირველი წინადადება გაუმართავი გამოვა. მთელი „წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის და ამ ანდერძის მიხედვით მეტაფრასი ხელოვანი მწერალია, მისი „ძალი სიტყჳსაჲ და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად“ წარმოთქმული, გვხიბლავს დახვეწილი ოსტატობით. და ამიტომ თუნდაც ის ფაქტი, რომ ანდერძ-მინაწერის ტრადიციული ინტერპრეტაცია ტექსტში გაუმართავი წინადადების არსებობას იწვევს, სერიოზული არგუმენტია მის უარსაყოფად. მეორე მხრივ, სრულიად ბუნებრივი ჩანს, რომ მეტაფრასული „ცხოვრების“ ავტორს „მოქცევისეული“ და „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციები ცალ-ცალკე და არაერთნაირად დაეხასიათებინა, ისინი ხომ თვალსაჩინოდ განსხვავდებიან.

„წმ. ნინოს ცხოვრება“ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ორი რედაქციითაა წარმოდგენილი: პირველი მცირეა და ისტორიულ ქრონიკაშია ჩართული, მეორე ვრცელია და ქრონიკას ბოლოში ერთვის. აღნიშნულ რედაქციებს შორის სხვაობას მარტოოდენ მოცულობა როდი წარმოადგენს. ზოგჯერ ისინი საპირისპირო შინაარსის ინფორმაციას გვაწვდიან და ეს იმდენად ხელშესახებია, რომ მითითებული „ცხოვრებების“ განსხვავებული წარმომავლობის შესახებაც კი შეიძლება საუბარი“[4]. ამგვარად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში განმანათლებლის შესახებ ცნობების შეუთანხმებლობა ფაქტია. სწორედ ამას უნდა აღნიშნავდეს ტერმინი „შეუწყობელობა“. ამასთან, მცირე და ვრცელი რედაქციები ერთმანეთისაგან ქრონიკითაა გამოყოფილი და ე. ი. ნინოს შესახებ ცნობები ერთად კი არაა დაჯგუფებული „მოქცევაჲ“-ში, არამედ მოცემულია დაფანტულად, „განბნეულად“. რომ ტერმინები „შეუწყობელობა“ და „განბნეულობა“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული შინაარსისანი არიან, ამას კარგად გვიდასტურებენ მეტაფრასის მიერ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სთან შედარებით კაკეთებული ცვლილებანი. მაგალითად, ამ რედაქციაში მთიელთა მოქცევის ეპიზოდი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „წარვიდა ნეტარი ესე და თანა წარიყვანა იაკობ მღდელი და მთავარ-დიაკონი და ერის-მთავარი ერთი ერით მისითურთ და დადგა წობენს. და მოუწოდა ყოველთა მთეულთა, ჭართალელ-ფხუენელთა და უქადაგა მათ სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისაჲ, ხოლო იგინი მოხედვითა მათ ზედა მადლისა ღმრთისაჲთა ლმობიერ იქმნნეს, და დალეწნეს კერპნი მათნი და მოიქცეს. და ნათელ-იღეს ჴელითა იაკობ მღდელისაჲთა ფრიადმან სიმრავლემან ერისამან და ჰრწმენა ქრისტე. ამისა შემდგომად წარვიდა ერწოს და ჟალეთს და უქადაგა და ნათელ-სცა ერწო-თიანელთა. და მერმე შთავიდა კახეთად და დადგა კაწარეთს და მოიყვანა სარწმუნოებად კუხნი და სუჯნი. და გარდავიდა ქველ-დაბას და მოუწოდა მთავართა კახეთისათა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტესი, ხოლო მათდა პირველვე უწყებულ იყო ყოველი იგი სასწაული, რომელი იქმნა, და ნათლის-ღებაჲ მეფისაჲ და მთავართა და ერისა მისისაჲ. და სიხარულით შეიწყნარეს სწავლაჲ მისი და მოიქცეს და ნათელ-იღეს ჴელითა მისვე იაკობ მღდელისაჲთა. და მუნით მივიდა

[4] მ. ჩხარტიშვილი, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციები (ურთიერთმიმართების საკითხისათვის), „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1980, გვ. 96—106.

კხუეთს, დაბასა რომელსა ეწოდების ბოდისი და მოვიდა მისა დედოფალი კახეთისაჲ სუჯი, და მისთანა მთავარნი და მხედრები და მონათა და მჴევალთა სიმრავლე“...[5].

მოტანილ ნაწყვეტში შეერთებულია მცირე და ვრცელი „ცხოვრებების“ მონაცემები. მთიელთა მოქცევის შესახებ დაწვრილებითი ცნობები აქვს მხოლოდ მცირეს: „და წარიყვანეს მათ თანა მთავარეპისკოპოსი და მღდელნი და ერისთავი, და წარვიდეს და დადგეს წობენს და მოუწოდეს მთიელთა ყოველთა, ჭართალელ-ფხოელთა, წალკასნელთა და შემოკრიბა ერი ურიცხჳ. მაშინ აღდგა წმიდაჲ და სანატრელი და განმანათლებელი ნეტარი ნინო, დედაჲ ჩუენი, აღაპყრნა ჴელნი ღმრთისა მიმართ. და მოუწოდა შემწედ წმიდასა ღმრთისა მშობელსა. და კუალად განერთხა ჴელი ერისა მიმართ და უქადაგა სარწმუნოებაჲ ძისა ღმრთისაჲ. ხოლო მათ პირუტყუ-სახეთა ვითარცა ესმა ქადაგებაჲ, უცხოდ განუყარნეს თავნი, და პირნი გარემოიქცივნეს და ილრეჭნდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოჲსთჳს, ხოლო ეშინოდა დედოფლისაგან. ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რაჲთა წარმართოს მცირედ მახჳლი მათ ზედა...“[6]. ვრცელ რედაქციას ძალიან ზოგად ხაზებში აქვს გადმოცემული აღნიშნული ეპიზოდი: „ხოლო დაუტევა წმინდამან ნინო მცხეთაჲ ქალაქი და წარვიდა მთიულთა ხარებად პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა და შემუსვრად კერპთა მათთა“[7]. ასე რომ, მცირე „ცხოვრების“ მონაცემების გამოყენება მეტაფრასის მიერ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ვრცელითაც რომ უსარგებლია და ისე შეუდგენია მითითებული ეპიზოდი, ამაზე მიგვითითებს სუჯი დედოფლის შესახებ ცნობის არსებობა მეტაფრასულ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“, რაც მცირეს არ მოეპოვება. მეტაფრასს ნაკლად[8] ჩაუთვლია არა მარტო ის, რომ ტექსტში ერთი და იმავე ეპიზოდის შესახებ ცნობები ცალ-ცალკე იყო მოცემული. მისი აზრით, უმართებულოა ისიც, რომ ნინოსთან დაკავშირებული ამბების თხრობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში სხვა მოვლენების შესახებ თხრობით (ისტორიული ქრონიკით) არის დანაწევრებული. სწორედ ამიტომ მოკლე ისტორიული ექსკურსი მას მოუთავსებია ბოლოში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნინოს ბიოგრაფიის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი აღნიშნული იყო. ზემოთქმული გვიდასტურებს, რომ სწორედ ამ ნაკლს, რომლის არსია ცნობების დაფანტულობა, აღნიშნავს ანდერძ-მინაწერის ტერმინი „განბნეულობა“. ამ მიმართულებით („განბნეულობის“ დაძლევა) მომუშავე რედაქტორისათვის იქნებოდა განსაკუთრებით თვალსაჩინო ის ფაქტი, რომ მცირე და ვრცელი „ცხოვრებების“ მონაცემები ერთმანეთს არ უთანხმდებიან ზოგჯერ. მეტაფრასი უდავოდ ნაკლად თვლიდა აღნიშნულსაც, რადგან უცდია მისი გამოსწორება. როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითიდან ჩანს, მცირე „ცხოვრების“ მიხედვით მთიელთა მოქცევა გაძნელდა და იარაღის გამოყენება საჭიროდ ჩათვალეს. ვრცელ „ცხოვრებაში“ დაცული წმინდა ნინოს წერილი მირიან მეფისადმი კი ვითარებას სხვაგვარად გვიხატავს: „აჰა ესერა მე მოვლე სანახები ქართლისაჲ, ზოგადი ადგილი მთათა და ბართაჲ, და აღვასრულე სახარებაჲ ჩემი

---

[5] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 41, 42.

[6] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 88, 89.

[7] იქვე, გვ. 152.

[8] „ნაკლი“, რა თქმა უნდა, პირობითია და აღნიშნავს არა მაინცდამაინც მეტაფრასის მიერ „მოქცევისეული“ რედაქციის უარყოფით დახასიათებას, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ ამ მიზეზის გამო აღნიშნული „ცხოვრება“ ეკლესიებში ხმამაღლა საკითხავად გამოუსადეგარია.

და ვპოვე შეწევნაჲ უფლისამიერი და შეიწყნარეს ყოველთა ქადაგებაჲ ჩემი, და მისცნეს კერპნი მათნი ცეცხლსა დასაწუველად და მოიქცეს ცთომათა მათთაგან“[9]. „განბნეულობის“ დაძლევის მსურველ რედაქტორს, ცნობების შეერთებისას თავიდან აუცილებია აღნიშნული წინააღმდეგობაც. ამას მეტაფრასი ამ შემთხვევაში აღწევს იმით, რომ ირჩევს უკანასკნელ ვარიანტს. და ამგვარად, თუმც დაწვრილებითი ცნობები ამოღებული აქვს მცირე „ცხოვრებიდან“, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთიელნი „მოხედვითა მათ ზედა მადლისა ღმრთისაჲთა ლმობიერ იქმნნეს“ და „სიხარულით შეიწყნარეს სწავლაჲ“[10]. აშკარაა, რომ სწორედ ესაა ანდერძმინაწერში მითითებული მეორე ნაკლის „შეუწყობელობის“ რეალური შინაარსი. მაშასადამე, მოცემულ კონტექსტში სიტყვები „შეუწყობელობა“ და „განბნეულობა“ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთეულებს შორის ურთიერთმიმართებას გვიჩვენებენ და ამიტომ, ცხადია, არ შეიძლება „ქართლის ცხოვრებისეულ“ რედაქციას ახასიათებდნენ. ინტერესმკლებული არაა აღინიშნოს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში წარმოდგენილი „წმ. ნინოს ცხოვრების“ „შეუწყობელობის“ და „განბნეულობის“ დაძლევის პირველი ცდა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ეკუთვნის სწორედ „წმ. ნინოს ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის ავტორს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ მაგალითებს: ა) „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის ერთ-ერთ თავს „თქმული მისივე აღშენებისათჳს ეკლესიისა“ საფუძვლად უდევს ვრცელი „ცხოვრების“ შესაბამისი „თავი Ⴚ, მისივე აღწერილი აღშენებისათჳს ეკლესიათაჲსა“. „ქართლის „ცხოვრებისეული“ წმ. ნინოს ცხოვრების“ ავტორს თავის რედაქციაში შეუტანია მირიან მეფის სიტყვა, რომელიც მან აბიათარისგან „კუართის“ მცხეთაში ყოფნის შეტყობის გამო წარმოთქვა[11] („კურთხეულ ხარ უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო; რამეთუ პირველითგანვე გინდა ჴსნა ჩუენი ეშმაკისაგან“...) და წმ. ნინოს სიტყვა ქრისტიანობის შესახებ[12] („კურთხეულ არს უფალი ღმერთი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ზეცითგან მაღალთათ...) ორივე მათგანი ამოღებულია მცირე „ცხოვრებიდან“[13]. ვრცელის აღნიშნულ თავში კი არ არის; ბ) „ქართლის ცხოვრებისეულ“ რედაქციაში, რომლის ძირითადი წყარო ვრცელი „ცხოვრებაა“, ჩართულია ფრაზა: „რამეთუ იტყოდა ჴმა-მაღლად, ვითარმედ: „გპოვენ მკჳდრნი ჩრდილოსანი ცდომასა შინა“[14], რომლის ამოკითხვა მის ავტორს მხოლოდ მცირე რედაქციაში შეეძლო. შდრ.: „და იწყო თქუმად ქრისტე ღმერთი და შჯული და „მე ვპოვე ცდომასა შინა ჩრდილოჲსა ესე ქუეყანაჲ“[15]; გ) „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ვკითხულობთ: „მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მღდელთმოძღუარი, მღდელნი და დიაკონი და იწყეს ნათლის-ცემად, ვითარცა ზემოწერილ არს, ყოვლისა ერისა“[16]. მცირე „ცხოვრებას“ კი ამ ამბის შესახებ შემდეგი ცნობა აქვს:

[9] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 100.

[10] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები; III, გვ. 41, 42.

[11] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 118.

[12] იქვე.

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურს ძეგლები, I, გვ. 87, 88.

[14] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 102.

[15] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 84.

[16] იქვე, გვ. 144.

„მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი"[17]. „ქართლის ცხოვრებისეულში" კი წერია: „და წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი"[18]. ავტორმა ჯერ ერთი, დასძლია „განბნეულობა" და მონაცემები გააერთიანა, ამავე დროს არსებული გარკვეული წინააღმდეგობა და თავისებურდ აიცილა თავიდან.

მას შემდეგ რაც ნაჩვენები იქნა, რომ „შეუწყობელობა" და „განბნეულობა" ანდერძმინაწერის მიხედვით მიეწერება მხოლოდ „მოქცევისეულს" და პრინციპულად შეუძლებელია იგივე „ქართლის ცხოვრებისეული" რედაქციის მიმართაც ითქვას, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ტერმინი „აღრეულად" მიუთითებს აგრეთვე მხოლოდ ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ ნიშანზე. ამიტომ ეს სიტყვა მოცემულ კონტექსტში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს „არეულ-დარეულს". „მოქცევისეულთან" შედარებით „ქართლის ცხოვრებისეული" რედაქცია სულაც არ გამოირჩევა დაულაგებლობით. პირიქით, პირველისაგან განსხვავებით, აქ თხრობის ქრონოლოგიური პრინციპი დაცულია და ეპიზოდების „წინ უკუანა და უკუანა წარ" განლაგება გასწორებული.

ძველ ქართულში სიტყვა „აღრევა" პოლისემიურია და „არევ-დარევა"-ს გარდა ნიშნავს აგრეთვე „თანა-აღრევა"-ს, „შერევა"-ს[19], „ერთმანეთში შერევნა"-ს, „ერთმანეთში შერთვა"-ს[20]. ამრიგად, გამოდის, რომ მეტაფრასი მიგვითითებს, „წმ. ნინოს ცხოვრების" ერთ-ერთი რედაქცია „მეფეთა ჰანბავთან" შერეულად წერია. ეს, მართლაც, „ქართლის ცხოვრებისეული" „ცხოვრების" ინდივიდუალური ნიშანია: „ქართლის ცხოვრების" კრებულში აღნიშნული ორი თხზულება ისეა წარმოდგენილი, რომ „ჰანბავი" ყოველმხრივ შემოსაზღვრავს „წმ. ნინოს ცხოვრებას".

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნეთ, რომ ანდერძ-მინაწერის განხილული წინადადების მიხედვით მეტაფრასი სხვადასხვაგვარად უდგება „მოქცევისეულ" და „ქართლის ცხოვრებისეულ" რედაქციებს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ავტორი უარყოფითად არ ახასიათებს ამ უკანასკნელს. იგი აღნიშნავს მის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს „მეფეთა ჰამბავთან" ორგანულ კავშირს, განუცალკევებლობას ამ თხზულებისაგან, რის გამოც ამ რედაქციის გამოყენება ეკლესიებში საკითხავად მოუხერხებელია.

ანდერძ-მინაწერის არც შემდეგი ნაწილი იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ მეტაფრასს „ქართლის ცხოვრებისეული" წმ. ნინოს ცხოვრების" უარყოფითი შეფასება მივაწეროთ: „რომელიმე თჳთ მის წმიდისაგან მითხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისგან, სხუაჲ იაკობ მღდელისაგან, სხუაჲ აბიათარისგან, სხუაჲ კუალად სიდონიაჲსაგან, გარნა წინ უკუანა და უკუანა წარ, იგივე და ერთი პირი" გვეუბნება ავტორი. მაგრამ „ქართლის ცხოვრებისეულში" ვრცელი „მოქცევისეული" რედაქციისაგან განსხვავებით, როგორც ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა მიუთითა, იაკობი არავითარი მოთხრობის ავტორი არაა, მირიანსაც არაფერი

---

[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 86.
[18] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 115.
[19] ი ლ ი ა  ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 19.
[20] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 60.

მიეწერება[21], აბიათარს ერთის მაგიერ ორი თავი ეკუთვნის[22], როგორც ითქვა, სიუჟეტების განლაგების თანმიმდევრული ქრონოლოგია დაცულია (ვრცელ „მოქცევისეულ“ „ცხოვრებაში“ თხრობა ნინოს გარდაცვალებით იწყება და ამის შემდეგ იშლება მისი ცხოვრების სურათები, „ქართლის ცხოვრებისეულში“ კი განმანათლებლის დაბადების და ყრმობის ამბებია მოთხრობილი უწინარესად), გამეორებებიც დაძლეულია (მაგალითად, ამ რედაქციიდან ამოღებულია ე. წ. „მირიანის წიგნი“, რომელიც ადრეთქმულის მოკლე გამეორებაა.). ასე რომ, მეტაფრასი ფაქტობრივად აქაც არაფერს ამბობს უარყოფითს „ქართლის ცხოვრებისეული“ „წმ. ნინოს ცხოვრების“ შესახებ. მის მიერ განხილული რედაქცია „მოქცევისეულია“. ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: ავტორი იწუნებს არა იმას, რომ „ცხოვრება“ სხვადასხვა პირთა, ნინოს თანამედროვეთა მონათხრობების კრებულია, არამედ იმას, რომ ქრონოლოგიური თანამიმდევრობა დარღვეულია და გამეორებებიც შეინიშნება. ამაზე კარგად მიგვითითებს მაპირისპირებელი კავშირი „გარნა“. ასეთი საკითხის შესახებ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ცხადი გახდეს: აქ მეტაფრასი არაპირდაპირაც არ ახასიათებს „ქართლის ცხოვრებისეულ“ „წმ. ნინოს ცხოვრებას“ უარყოფითად. ასე კი შეიძლებაოდა გვეფიქრა, რადგან თანამედროვეთა მონათხრობები აღნიშნულ რედაქციაშიც არის.

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ანდერძმინაწერში „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის უარყოფითი შეფასება არაა მოცემული, ხოლო ის გარემოება, რომ მეტაფრასმა მის მიმართ არ გამოიყენა „შეუწყობელად“ და „განბნეულად“ სიტყვები, გვაფიქრებინებს, რომ ამ მხრივ აღნიშნულ „ცხოვრებას“ გამართულ ნაწარმოებად თვლიდა.

ც. ქურციკიძემ აჩვენა, რომ მეტაფრასს გამოყენებული აქვს მხოლოდ „მოქცევისეული“ და არა „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციაც, როგორც მანამდე ეგონათ[23]. შემდგომში ეს მოსაზრება განმტკიცდა იმით, რომ დაზუსტდა: მეტაფრასსმა გამოიყენა ე. წ. პროტოპელიშური „ცხოვრება“[24]. ამრიგად, მოულოდნელი როდია, რომ ანდერძ-მინაწერში მხოლოდ „მოქცევისეულის“ დაწვრილებით დახასიათებას ვხვდებით. საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ მიმართა ავტორმა შედარებით ნაკლებდამუშავებულ და გაუმართავ წყაროს, ძნელია კატეგორიული მსჯელობებით განიმარტოს. წინამორბედ მკვლევართა წინაშე ამგვარი პრობლემა არ იდგა: ითვლებოდა, რომ მეტაფრასმა ორივე გამოიყენა. ც. ქურციკიძე კი მიიჩნევს, რომ ავტორს დასახელებული „ცხოვრებანი“ ერთნაირად წარმოუდგენია და მეტაფრასის არჩევანს პირველწყაროს გამოყენების სურვილით ხსნის[25]. მიზეზი მართლაც ეს უნდა იყოს, მაგრამ არა იმის გამო, რომ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციაც „მოქცევისეულის“ მსგავსად „შეუწყობელია“ და „განბნეულია“ და ორი უარესიდან მწერალი პირველწყაროს ირჩევს, როგორც მიუთითებს მკვლევარი, არამედ იმიტომ, რომ მეტაფრასმა იცის, „ქართლის ცხოვრებისეულ“ რედაქციას სწორედ ეს

---

21 ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, ტფ., 1891, გვ. XVIII.

22 იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 95, 97.

23 ც. ქურციკიძე, დასახ. ნაშრომი.

24 მ. ჩხარტიშვილი, „წმ. ნინოს ცხოვრების“ პროტოპელიშური რედაქცია—მეტაფრასული რედაქციის წყარო, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1978, გვ. 97—106.

25 ც. ქურციკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

თვისებები არ ახასიათებს, ე. ი. ნარედაქტირებია, ე. ი. პირველწყარო აღარ არის.

წინამდებარე სტატია მეტაფრასული რედაქციის ანდერძ-მინაწერის დასაწყისი ნაწილის ინტერპრეტაციას ეხება. გ. წულაიას მიერ შესრულებული რუსული თარგმანიდან აღნიშნული ცნობის ჩვენგან განსხვავებული გაგება გამოსჭვივის. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დავუბრუნდეთ მას აქვე მით უმეტეს, რომ მსჯელობა მისი დაზუსტების შესახებ მჭიდროდ უკავშირდება უკვე დასმულ საკითხებს. აღნიშნულის მიმართ ჩვენი შენიშვნები შემდეგია: ა) სიტყვას „შეუწყობელად“ გ. წულაია თარგმნის როგორც „нескладно“ —მკვლევარს ჰგონია, რომ ანდერძ-მინაწერის ავტორი საერთოდ „ცხოვრებას“ ახასიათებს. მეტაფრასს კი სურს გვითხრას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთეულების შეუთანხმებლობის შესახებ. შესაბამისად თარგმანში უნდა იყოს სიტყვა «несогласованно»; ბ) გ. წულაიას, სხვა მკვლევართა მსგავსად, მეტაფრასის მიდგომა დასახელებული რედაქციების მიმართ დაუნაწევრებელი ჰგონია, ამიტომ სიტყვები ნებისმიერად აქვს გადაადგილებული და „მოქცევისეული“ და „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციები მის თარგმანში ერთგვარადაა დახასიათებული. ამასთან დაკავშირებით არასწორადაა გაგებული სიტყვა „აღრეულად“. აქ მას აქვს, როგორც ითქვა, არა რუსული «путанно»-ს, არამედ «смешанно»-ს მნიშვნელობა: გ) ანდერძ-მინაწერში მეტაფრასს მთხრობელები მათი მნიშვნელობების მიხედვით ჰყავს ჩამოთვლილი (ჯერ განმანათლებელი, მერე მეფე, მერე საბერძნეთიდან მოსული მღვდელი იაკობი, შემდეგ აბიათარი—მცხეთაში მცხოვრები ებრაელთა მღვდელი და ბოლოს სიდონია, აბიათარის ასული). ავტორი არ მიუთითებს მათ მიერ მოთხრობილი თავების რაიმე თანამიმდევრობის შესახებ. გ. წულაიას თარგმანში ეს მნიშვნელოვანი ნიუანსი დაკარგულია: „სხუაჲ აბიათარისგან“ გადმოღებულია, როგორც «затем Абиатара», „სხუაჲ კუალად სიდონიაჲსგან“ მთარგმნელის მიერ გაგებულია, როგორც «наконец прочие Сидонии». ამგვარად, გ. წულაიას მიხედვით გამოდის თითქოს მეტაფრასი „ცხოვრების“ ისეთი რედაქციის შესახებ ლაპარაკობს, რომელშიც აბიათარის მონათხრობი იაკობისას მოსდევდა, ხოლო სიდონიას „აღწერილები“ ბოლოში იყო მოქცეული. ეს კი შეცდომაა; დ) დედანში გვაქვს „რომელიმე თჳთ მის წმიდისაგან მითხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისგან“. ე.ი. აღნიშნულთა მონათხრობი თავები თითო-თითოდაა ნაგულისხმები („რომელიმე“ მხოლობითი რიცხვია). ასევე ერთ თავს მიაწერს მეტაფრასი იაკობ მღვდელსაც: „სხუაჲ იაკობ მღდელისაგან“. გ. წულაია თარგმნის შემდეგნაირად: «одни как повествования самой святой, другие—царя Мириана, кое-какие Якова Священника». მკვლევარი ყურადღებას არ აქცევს რომ მეტაფრასი ლაპარაკობს რედაქციის შესახებ, რომელშიც აღნიშნულ პირებს თითო-თითო თავი ეკუთვნოდათ, მას კი რამდენიმეს აღმწერლად გამოჰყავს ისინი; ე) გ. წულაიამ გამოტოვა სიტყვა „საეკლესიოდ“, ხოლო „მკითხველი“ გადმოიღო როორც «читатель». მისთვის, ცხადია, გაუგებარია, რაღა საჭიროა სიტყვა „საეკლესიოდ“, რადგან „მკითხველი“ არასწორად ესმის. იმ გაგებას, რომელიც ამ შემთხვევაში ქართულ „მკითხველ“-შია ჩადებული შეესაბამება, რუსული «чтец». სიზუსტის დაცვას აქაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს: მეტაფრასი გარკვეულ რედაქციას იწუნებს არა საერთოდ (ვთქვათ, ინდივიდუალურად საკითხავად), არამედ ეკლესიაში ხმამაღლა საკითხავად და მოსასმენად;

ვ) სიტყვა „საწყინო“, რომელიც „მოსაბეზრებელს“, „მოსაწყენს“ ნიშნავს[26], გ. წულაიას „საწყენში“ ერევა და თარგმნის მას სიტყვით «огорчительно».

ამ წერილის ბოლო სიტყვად კი შეიძლება ითქვას შემდეგი: წმ. ნინოს ცხოვრების ციკლის თხზულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულის „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის შეფასება ძველ ქართულ მწერლობაში სულაც არ ყოფილა უარყოფითი, როგორც აქამდე თვლიდნენ. ზემოთქმულის გარდა ძველთაგანვე მის აღიარებას მოწმობს თუნდ ის ფაქტი, რომ XII ს-ში სვეტიცხოვლის დღესასწაულთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვისათვის სწორედ „ქართლის ცხოვრებისეული“ „წმ. ნინოს ცხოვრება“ გამოიყენა ქართლის კათალიკოსმა, დიდი ლიტერატურული გემოვნების და ერუდიციის მქონე პიროვნებამ ნ. გულაბერიძემ.

М. С. ЧХАРТИШВИЛИ

## МЕТАФРАС О РЕДАКЦИИ «ЖИТИЯ СВ. НИНО» СБОРНИКА «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Резюме

В отличие от высказанного в специальной литературе мнения, автор статьи на основании выяснения конкретного содержания древнегрузинских слов „შეუწყობელად“ (шеуцкобелад), „განბნეულად“ (ганбнеулад), „აღრეულად“ (агреулад) приходит к выводу, что отрицательная характеристика, приведенная в приписке метафрасного «Жития св. Нино», не относится к редакции «Жития» сборника «Картлис цховреба».

[26] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი, გვ. 382.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

Академик Ш. Я. АМИРАНАШВИЛИ

# НЕКОТОРЫЕ ЗАМЕЧАНИЯ О ПРОИСХОЖДЕНИИ ХУДОЖЕСТВЕННО-ЖИВОПИСНЫХ ПРИЕМОВ ПИСЬМА ФРЕСОК НЕРЕДИЦЫ*

Фрески Нередицы дают богатый материал для изучения древней живописи и приемов ее исполнения. Многообразие видов техники и стиля придают им большую историческую ценность. Прекрасное издание этих фресок[1] воспроизводит самые интересные из них с точки зрения искусства. Оно указывает нам на наиболее значительные аспекты как стиля, так и техники исполнения. Анализ исторической и художественной ценности этих фресок был дан во многих работах, с воспроизведением отдельных частей росписи, однако изучение мастерства исполнения стало возможным только лишь в настоящее время, благодаря фототипиям необычайной ясности, которые дают возможность рассматривать их как произведение живописи.

Полное и всестороннее изучение Нередицы и связанное с ней решение сложных художественных и исторических проблем должно стать одной из основных задач, стоящих перед русской наукой, которая, несомненно, с этим справится.

В краткой статье[2] В. К. Мясоедов дал сжатую, но прекрасную характеристику исторической и художественной ценности произведения. В результате исследований он пришел к выводу, что в стиле и манере исполнения фресок можно различить два главных художественных течения: одно из них кавказское, восточное, другое — западное. В то же время он справедливо отмечает, что как в целом, так и в деталях, эту живопись можно сравнивать с живописью Малой Азии,

* В 1198 г. близ Новгорода был сооружен выдающийся памятник русской архитектуры — церковь Спаса Преображения на Нередице. Архитектура здания и фрески, сплошь покрывавшие его стены, представляют собой один из ярких примеров богатого искусства Новгорода раннего периода — древнерусского национального искусства, которое в процессе всего развития, естественно, находилось в определенных связях и контактах с византийским искусством, а также с искусством других соседних стран. Сейчас, в годовщину 35-летия Победы в Великой Отечественной войне 1941—1945 гг. особенное значение приобретает трагическая судьба этого памятника, разрушенного, как и многие другие, немецко-фашистскими захватчиками. Ныне этот шедевр русского зодчества восстановлен. В связи с этим вполне понятен интерес ко всем тем специальным трудам, которые в свое время были посвящены изучению этого памятника. Одной из таких работ и является статья ныне покойного чл.-корр. АН СССР Ш. Я. Амиранашвили, которая была опубликована на французском языке в Париже в 1932 г. в сборнике, посвященном памяти Ф. И. Успенского. Поскольку работа является библиографической редкостью, считаем целесообразным ее издание именно в русском переводе, чтобы она могла стать достоянием широкого круга читателей. (Ред.).

[1] Фрески Спаса-Нередицы (Государственный Русский Музей). Ленинград, 1925.

[2] Фрески Спаса-Нередицы, с. 11—18.

Сирии и Кавказа, но не с памятниками сугубо византийской традиции. Следует отметить и другой факт: западное влияние, проявляющееся в иконографии, по стилю и орнаменту значительно слабее восточного, что вызывает особый интерес к этому произведению. Отношения между Русью и Кавказом, в частности, Грузией, о которых нам позволяет говорить и данный памятник, подтверждаются русскими летописями и грузинскими историческими источниками. Они свидетельствуют о том, что у Грузии были определенные отношения не только с Киевской Русью, но также и более отдаленными районами Северной Руси.

Вопрос о роли Кавказа, Грузии и Армении в истории христианства в Северо-Восточной Руси был поставлен еще Пятым конгрессом археологов, состоявшимся в Тифлисе[3]. Изучение некоторых произведений русского искусства, как, например, архитектуры собора св. Софии в Киеве и некоторых деталей кафедрального собора св. Дмитрия во Владимире позволили специалистам сделать вывод о том, что Кавказ имел некоторое влияние на формирование древнерусского искусства.

Но окончательное решение целой серии значительных вопросов, касающихся связей древнерусского и грузинского искусства, станет возможным только лишь в том случае, если произведения будут изданы должным образом и научное их изучение будет опираться не на простые предположения общего характера, а на сравнительный исторический и художественный анализ.

Точная оценка и сравнительный анализ древней русской живописи многое теряет из-за отсутствия подробной информации о грузинской живописи, которая пока более изучена с иконографической точки зрения, чем со стороны стиля и приемов письма. Поэтому большая часть работ, посвященных сравнительному изучению древнерусской и грузинской живописи, касается очень важных вопросов искусства, но не выходит за пределы иконографических сравнений[4].

Прежде, чем приступить к систематическому анализу стиля, мы рассмотрим те иконографические особенности живописи Нередицы, которые сходны с обильным материалом того же порядка в грузинских фресках.

Прежде всего, алтарная роспись церкви содержит цикл жития Иоакима и Анны, цикл, который ограничивается древней протоевангельской версией представленной, как замечает Мясоедов, на колоннах кивория в соборе святого Марка в Венеции.

Нет никакого сомнения в том, что большинство произведений искусства, предшествующих X веку, которые содержат апокрифические сюжеты юности Марии, восточно-сирийского или палестинского происхождения. Факт, что нам не известен большой византийский цикл юности богоматери до X века. И, наоборот, мы находим довольно распространенную редакцию этого цикла на диптихах Мурано[5], в коллек-

---

[3] Пятый археологический съезд в Тифлиси, Москва, 1882, с. XXXII.

[4] Ф. Шмидт, Заметки о поздневизантийских храмовых росписях, (Византийский Временник, т. XXII, с. 62—126); Д. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году, с. 69—76, (Известия Кавказского Историко-Археологического института, т. I, Петроград, 1923).

[5] Д. В. Айналов, Эллинистические основы византийского искусства, Санкт-Петербург, 1901, с. 205—209; Л. Мацулевич, Византийские резные кости собрания М. П. Боткина, Сборник (Государственный Эрмитаж), II с. 43—72.

ции Барберини[6], Эчмиадзина[7] и Парижа[8], на кресле Максимиана[9] и на других предметах, но всегда на произведениях искусства, в восточном происхождении которых нет сомнения.

Большие циклы композиции, представляющие житие богоматери, появляются в Византии только в X и XI вв. Самые значительные из них, как справедливо считают, это рукописи — Парижская (1208) и Ватиканская (1162); (два манускрипта омилий монаха Якова Кокинобафоса, которые относятся к середине XII века)[10].

Первая из этих рукописей является копией второй[11]. Житие богоматери иллюстрировано 67 миниатюрами, часть из которых, конечно, происходит из Сирии и Палестины (например, испытание богоматери водой обличения). Произведения византийской монументальной живописи до эпохи Палеологов характеризуются малым количеством сцен и отсутствием сюжетов сирийского и палестинского происхождения. Церковь Успения в Дафни[12] (XI—XII вв.) содержит всего пять сюжетов: Благовещение Анне и Иоакиму, Рождество богоматери, Благословение Марии первосвященниками, Введение девы в храм и Благовещение. В церкви св. Софии в Киеве[13] находится восемь сцен, представляющих житие богоматери: Встреча Иоакима и Анны у золотых ворот, Рождение девы, Введение св. девы во храм, обручение Марии и Уосифа, Передача Марии пурпура, Благовещение у колодца, Благовещение дома и встреча Марии с Елизаветой. Сцены испытания водой обличения нет. Этот сюжет, как доказал профессор Айналов[14], палестинского происхождения и встречается в более ранних произведениях искусства, например, на диптихе в Париже[15] и в Эчмиадзине[16], на кресле Максимиана[17], на пикседе из Керчи[18]. В византийской монументальной живописи этот сюжет появляется только лишь в эпоху Палеологов и встречается на Афоне[19]. Грузия сохранила большое количество фресок, представляющих житие богоматери. В древней Грузии поклонение богоматери имело огромное значение: можно хорошо понять наличие апокрифического цикла из жизни бо-

---

[6] G. Schlumberger, L'Epopée byzantine, II, с. 37.

[7] J. Stzzygowski, Das Etschmiadzin—Evangeliar, (Byzantinische Denkmaler, I), Vienne, 1891, pl. I; Е. Редин, Диптих Эчмиадзинской библиотеки (Записки Императорского Русского Археологического общества, т. V, 1892, с. 215—229).

[8] Garrucci, Storia dell'arte cristiana, VI, pl.. CCCCLVIII, 2.

[9] Там же, VI, табл. CCCCXII, 2.

[10] H. Bordier, Description des peintures et autres ornements contenus dans les manuscrits de la Bibliotheque Nationale, Paris, 1883, e. 147—172.

[11] Ch. Diehl, Manuel d'art byzantin, t. II. Paris, 1926, c. 639—640.

[12] G. Millet, Le monastère de Daphni, Paris, 1899, c. 77—78.

[13] Д. В. Айналов и Е. К. Редин, Киевский Софийский Собор (Записки Русского Императорского Археологического общества, т. IV, 1890, с. 302); Н. Кондаков и И. Толстой, Русские древности, IV, Санкт-Петербург, 1892, с. 111—162.

[14] Д. В. Айналов, Три древнехристианских сосуда из Керчи, Записки Русского Императорского Археологического общества, V, 1892, с. 204—208).

[15] Там же, рис. 2, с. 207.

[16] Там же, рис. 3, с. 207.

[17] Там же, рис. 1, с. 206.

[18] Там же, табл. 1.

[19] Г. Милле. Памятники Атоса, I, рис. 78, 3.

гоматери в грузинской живописи, зная, что культ богоматери был очень популярен и что, по древней легенде, Грузия была предоставлена ей в удел для распространения христианства.

В живописи Атени (IX и X вв.)[20] мы находим самые древние сцены из жития богоматери: Жертвоприношения Иоакима и Анны и Отвержение даров. Порицание Анны Иоакимом. Благовещение Анне, Благовещение Иоакиму, Встреча у золотых ворот, Рождество богоматери, Первые семь шагов богоматери, Введение во храм, Благовещение. Встреча с Елизаветой, Испытание водой обличения, Явление ангела Иосифу. Поклонение волхвов, Успение богоматери.

Фрески Бертубани[21], которые относят к концу XII или началу XIII века, содержат протоевангельский цикл со следующими сюжетами: Отвержение даров Захарием, Возвращение Иокима и Анны, Благовещение Иоакиму, Благовещение Анне, Встреча у золотых ворот, Рождество богоматери (купание ребенка изображено отдельно). Введение девы в храм, Обручение с Иосифом и Благовещение Марии.

В этой живописи нет сцены испытания богоматери водой обличения. Этот сюжет появляется заново в фресках XIV века, например, в Зарзма[22], на живописном триптихе из Убиси. По своему стилю и иконографии этот сюжет Убиси очень близок к живописи Зарзма и стоит в одном ряду с композициями, которые появляются только лишь в начале XIV века, как, например, сцена Ласкания девы Иоакимом и Анной.

Наряду с циклами, в которых можно вновь найти древние традиции, восходящие к искусству Сирии, Палестины и Каппадокии (пример Атени), в Грузии также существовал краткий цикл жития богоматери, который по своему содержанию напоминает традиции византийского искусства, представленные в мозаиках Дафни; произведением такого порядка можно считать живопись северного нефа Мгвиме[23] (середина XIII века). Нужно отметить, что такая живопись характерна именно для Западной Грузии, в то время как в Восточной Грузии в росписях Атени и Бертубани произведения искусства по стилю и иконографии сохраняют более древние художественные традиции и мотивы, которые сходны с сирийскими и палестинскими и чужды византийской художественной и иконографической традиции. Этот вопрос нельзя считать полностью изученным, так как нет сравнительного исследования довольно богатой, но пока что неизданной, апокрифической литературы о богоматери. Тем не менее нужно отметить, что цикл Бертубани является наиболее близким к циклу Нередицы, так как его формы отличны от византийской и близки к восточной живописи.

---

[20] Gagarine et Stackelberg, Le Caucase pittoresque, Paris, 1847, pl. LVII; И. Джавахов. К вопросу о времени построения грузинского храма в Атени по вновь обследованным эпиграфическим памятникам (Христианский Восток, т. I, вып. 3, Санкт-Петербург, 1912, с. 277—297).

[21] Д. П. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд, с. 92—93.

[22] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, I, Тифлис, 1905, с. 56.

[23] Г. Церетели, Археологическая прогулка по Квирилскому ущелью (Материалы по археологии Кавказа, т. VII, Москва, 1898, с. 95—96); С. Какабадзе, К вопросу о ктиторах Мгвиме в Имеретии (Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе, т. IV, Тифлис, 1926, с. 126—127); Д. Гордеев, Деревянная дверь из Мгвиме (Бюллетень музея Грузии, т. III, 1927, Тифлис, с. 199—205).

Живопись Нередицы в композиции Деисуса (табл. X) представляет еще совсем молодого Христа с маленькими усами и бородой, с очень короткими волосами и тонзурой, которая была необходима для служителей церкви, дьяконов, священников, епископов. Подобное изображение Христа (мозаика) находится, как утверждает Д. В. Айналов, в кафедральном соборе св. Софии в Киеве, на восточной арке под куполом. Мясоедов справедливо установил связь между этим изображением и легендой о священнослужителе Христе, который, судя по апокрифической книге, сохранившейся в грузинской рукописи X века, был известен уже в VIII веке. Аналогичное изображение Христа находится в Бертубани (трапезной).

Любопытно констатировать тот факт, что в диакониконе Нередицы среди жен находится изображение св. Рипсимии, культ которой был распространен в Грузии и Армении. В грузинской живописи Рипсимия часто изображена одна или вместе со святой Ниной[24], так как их жизни были связаны. В нашей живописи среди святых жен нет изображения святой Нины, так как иконографически тип святой, проповедовавшей христианство в Грузии таким, каким выработало его грузинское искусство, представляет ее в позе оранты, ввиду чего она и не могла входить в группу святых жен, изображенных в диакониконе. Если святая Нина и находилась на стенной росписи Нередицы, то ее изображение должно было быть отдельно и на месте, соответствовавшем ее иконографическому типу. Судя по схеме $VI_2$ публикации, на которую мы ссылаемся, над северным проходом поперечного нефа (№ 1) находится изображение святой в позе оранты, а над южным проходом поперечного нефа помещено изображение св. Марии Египетской (№ 4), также в позе оранты[25]. К сожалению, первое изображение не сохранило подписи и его тип не имеет никаких особенностей, которые позволили бы установить личность.

Для того, чтобы лучше понять основные художественные традиции, влияние которых чувствуется в живописи Нередицы, необходимо остановиться на анализе различных приемов письма фресок. Основных спо-

---

24 Самое древнее изображение молящейся святой Нины в грузинском искусстве находится в Ошки на рельефах капители и точно датируется X веком. Анализ этого иконографического типа и изучение литературных источников касательно святой Нины позволяют нам сделать заключение о том, что для прототипа этого изображения использовано изображение молящейся святой. Известно также, что Н. П. Кондаков (Иконография богоматери, т. I, с. 60—100; см. также С. А. Жебелев, Оранта, О происхождении типа, Seminarium Kondakovianum I, Прага, 1927, с. 1 — 7) доказал, как этот тип был создан под влиянием образа диакониссе, принятого в восточной церкви. Этот иконографический тип святой Нины сохранился в грузинском искусстве до конца XVI века. Действительно, в церкви Сепиэти находится изображение молящейся св. Нины (Е. Такайшвили, Церкви и церковные древности Мегрелии, Известия Кавказского Историко-Археологического института в Тифлисе, т. II, 1917—1925). Святая Нина была племянницей патриарха Иерусалима: она посвятила себя богу, осталась девой и отправилась проповедовать христианство в Грузию, т. е. в страну, которая по легенде X века (К. Кекелидзе, Эпизод из истории грузинской агиографии, Бюллетень Тифлисского Университета, I, Тифлис, 1919—1920, с. 43—44), была уделом богородицы. Интересно просмотреть и грузинскую церковную литературу XII века для того, чтобы попытаться объяснить, почему бог выбрал именно женщину для того, чтобы приобщить Грузию к христианской мере (К. Кекелидзе, История грузинской литературы, т. I, Тифлис, 192?, с. 325—329).

25 Фрески Спаса-Нередицы, табл. VII.

собов немного, однако можно выделить некоторое число вариантов, отличных по манере письма. Полное единство живописных приемов можно встретить лишь там, где работал только один художник.

Один из основных способов написания отличается удивительным архаизмом — он очень напоминает технику исполнения иконы Спасителя, написанную восковыми красками и хранящуюся в монастыре св. Екатерины на Синае[26]. Характерной особенностью этого способа письма является широкая манера исполнения и применение довольно резко обозначенных бликов, которые выделяются на глубоких тенях. Так, например, написаны апостолы[27], ангелы[28], пророк Аарон[29] и другие лица в куполе. Нимб и лик покрыт слоем охры одного тона и окаймлены коричнево-красным тоном; под глазами, на теневой стороне носа и лица, находятся глубокие тени зеленоватого тона; лики высветлены очень густыми белыми бликами.

Надо отметить, что эта манера исполнения характерна для многих «рук». Это дает нам возможность предположить, что в одной и той же манере работало несколько художников. Ангелы в куполе, стоящие по сторонам богоматери, несомненно, были написаны разными живописцами, хотя они исполнены в одной манере письма. Один из них изображен более ясно, он стройнее, с живой светотенью; другой написан грубее, слоями густых красок, формы определены плохо, вид более тяжелый.

Эту манеру исполнения, более близкую к манере исполнения образа Спасителя монастыря св. Екатерины на Синае, академик Н. П. Кондаков считает сирийско-каппадокийской и датирует VII—IX вв.

Такой же архаизм встречается в грузинской живописи, особенно в Восточной Грузии; самой характерной является живопись маленькой часовни, расположенной на уединенной горе около монастыря Шио-Мгвиме[30]. Фрески этой часовни были написаны в первой половине XII века; они интересны приемами исполнения, которые напоминают приемы письма Нередицы. Расположение фигур соответствует тому, что видим в грузинской живописи. В конце абсиды алтаря находится фреска, изображающая Деисус: спаситель представлен благославляющим сидя, с раскрытой книгой в левой руке; справа от него стоит богоматерь, слева предтеча. Во втором ряду находятся поясные портреты двенадцати апостолов в три четверти, с развернутыми свитками в руках. Надписи — имена и текст исполнены древнегрузинским письмом. С обеих сторон свода в арках и на стенах написаны евангельские сюжеты в следующем порядке: Благовещение, Рождество Христово и Сретение — на южной стороне свода; Крещение и Преображение — в тимпане западной стены; Воскресенье Лазаря, Вход в Иерусалим и Распятие — на северной стороне свода; Сошествие во ад — на южной стене, под Сретением; Вознесение и Сошествие святого духа — на западной стене. На южной стене представлен святой столпник; на западной — святые воины Георгий и Федор; другие фигуры почти бесследно утрачены. Нижняя часть занята геометрическим орнаментом в шахматном порядке. С точки зрения техники исполнения, эта

[26] V. N. Benesevic, Monumenta Sinaitica archeologica et paleographica, facc. I, Petropoli, 1925, c. 16—27, pl. 17.

[27] Фрески Спаса-Нередицы, табл. VIII, 2.

[28] Там же, Табл. VI, 1—2, XXVIII, 1—2.

[29] Там же, табл. XII, 2.

[30] Г. Чубинашвили, Шио-Мгвиме, Лавра, Вклад в историю архитектуры Грузии, Бюллетень Тифлисского Университета, V. Тифлис, 1925, с. 209—253.

живопись очень схожа с живописью Нередицы, довольно широкими и густыми мазками и последовательным расположением цветов, формой светотени. Сравнение голов апостолов в двух фресках вызывает особый интерес: например, голова апостола Петра в Шио-Мгвиме (см. рис. 1) и в Нередице (см. рис. 2)[31].

Фактура лица, форма и расположение светотени, деление волос, глубокие тени под бровями, грубо очерченный внешний контур, форма носа, бороды и другие детали говорят об общности приемов исполнения этих росписей. Некоторые фигуры апостолов, к примеру Фома, одинаково моделированы и в Нередице[32] и в Шио-Мгвиме.

Вторая манера письма в Нередице выделяется удивительной рельефностью моделировки лиц, исполненных с большим искусством. Высветление ликов написаны густым слоем; они не гладки и подчеркивают строение лица. Именно таким способом написана в Нередице, например, голова евангелиста Иоанна, которая выделяется своей необычной выразительностью. Этот прием письма, несомненно, происходит из Константинополя, потому что очень напоминает манеру письма лика евангелиста Иоанна в грузинском евангелии XII века, происходящем из Константинополя[33], хотя в принципе прием написания фрески отличается от приема исполнения миниатюры. Можно поразиться сходству способа исполнения, сравнивая голову святого Иоанна в Нередице[34] и миниатюры грузинского евангелия. Подобный прием исполнения еще никогда не встречался в грузинской монументальной живописи.

Изучение фактуры письма ликов фресок Нередицы позволяет различить третий прием исполнения. Для последнего характерно то, что светотени не выглядят как пятна, а нанесены кистью в виде длинных мазков, с попыткой оригинальной стилизации. Так, к примеру, написано лицо предтечи (см. рис. 3)[35], тип которого носит ярко выраженный восточный характер. На слое прокладки из охры, на которой написаны нимб и лицо, контур обозначен темно-коричневым; тени зеленовато-черным тоном; под бровями светотень серовато-белого цвета, нос и правая щека одного и того же тона, и длинный мазок приобретает орнаментальный характер. Аналогичную технику мы находим в живописи маленькой церкви Шио-Мгвиме. Эта манера характерна для исполнения лиц святителей и других служителей церкви, изображенных в абсиде алтаря; лицо святого Харлампия последовательностью слоев (см. рис. 4) и колоритом обнаруживает самое большое сходство. В Нередице этот прием характерен для многих фигурных изображений и дает, если так можно выразиться, отличные друг от друга варианты. Например, голова пророка Ильи[36] исполнена по тому же принципу, но она отличается более теплым колоритом, и затененные части лица написаны красно-коричневыми, а не зеленовато-черными красками.

Фактура лица в живописи Нередицы позволяет заметить совер-

---

[31] Фрески Спаса-Нередицы, табл. VIII, I, XXVIII, 1.

[32] Там же, табл. VIII, 2.

[33] Е. Такайшвили, Церковь Ване в Имеретии и ее древности (Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе, т. II, 1917—1925, Ленинград, 1927, с. 94—108).

[34] Фрески Спаса-Нередицы, табл. XVII, 1.

[35] Там же, табл. XXXVIII, 1.

[36] Фрески Спаса-Нередицы, табл. XXXVII, 2.

шенно особую манеру исполнения, которую можно было бы назвать графической. Голова Петра Александрийского (см. рис. 8)[37] очень характерна для этой манеры, которая особенно близка двум грузинским фрескам XII века в росписи Бетании и Ахтала. Голова св. Зосима (см. рис. 7), в композиции, представляющей причащение Марии Египетской, в Бетании[38], очень напоминает манеру исполнения Петра Александрийского в Нередице. Тонкая линейная манера, например, в исполнении волос, создает характерную для этого метода оригинальность рисунка.

Этот прием, как мы постараемся доказать, является типичным в исполнении грузинских фресок, особенно в Восточной Грузии. Живопись Бетании представляет нам все элементы этого приема. Другой прием, в той же живописи, связан с очень древней традицией, но я на нем не остановлюсь, так как анализ, который я намереваюсь сделать, не относится к теме, которой я слегка коснулся. Роспись западной стены в Ахтала еще в большей мере напоминает графический прием фресок Нередицы; например, голова св. Иллариона Грузина, представленного среди других грузинских деятелей на Афоне, Георгия и Ефимия, на западной стене, в верхнем ряду, между входной дверью и северным пилястром центрального нефа, очень напоминает Петра Александрийского из Нередицы.

Этот типичный прием исполнения грузинских фресок встречается не только в XII веке, но также в более древней живописи, например, в Атени (начало X века). В этой живописи голова Иосифа в сцене Явления ангела Иосифу написана в той же манере. В грузинской живописи этот прием часто превращается в орнаментальную стилизацию. Лучшим примером этого является живопись алтарной абсиды в Ахтала[39]. Голова Якова (см. рис. 5), представленного в нише абсидного окна южной стены, является лучшей сохранившейся частью: детали лица, тени, светотени и, особенно, волосы обработаны в орнаментальном стиле.

---

[37] Фрески (паса — Нередицы), табл. XXXIV, 2.

[38] Gagarine et Stackelberg. Le Caucase pittoresque, табл. XXXVI, XXXVII, XXVIII, XXXIX; Фото Ермакова, №№№ 4779, 5625, 4785, 4783, 4782, 5628, 5617; Д. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд, с. 11—12. Эта живопись—произведение, имеющее большое значение в грузинском искусстве; она исполнена в конце XII века и интересна иконографией и стилем. Грузинское общество истории и этнографии приступило к ее изучению и полной публикации.

[39] Муравьев, Грузия и Армения, II, Санкт-Петербург, 1848, с. 313—331; П. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Ахталы, Тифлис, 1850, с. 29—32; Ерицов, Монастырь Ахтала, Тифлис, 1872, с. 20—22 (Кавказская Старина, I, 1872); Д. П. Гордеев, Об экспедиции КИАК в район Дебеда-чая в конце 1925 и начале 1926 гг. (Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе, с. IV, Тифлис, 1926, с. 127—131).

Живопись Нередицы не предлагает нам ни ярко выраженный орнаментальный стиль в фактуре лица, ни такую же оригинальную стилизацию; голова епископа Амфилохия (см. рис. 6) немного напоминает этот прием техникой исполнения, орнаментальной стилизацией, которая получила большое развитие. Надо выделить целую серию лиц живописи Нередицы, особенно несколько лиц, написанных гладко, в чрезвычайно мягком колорите. К примеру — голова архангела Уриэля[40], святого Кириака (которая не опубликована), и некоторые другие. Живопись тонкая, очень гладкая и поражает нас мягким колоритом, она очень близка к двум произведениям грузинского искусства: живописи Кинцвиси XII века, где, как и в Бетании, находятся портреты царицы Тамар, ее сына Лаша Георгия и отца Георгия, и живописи Тимотэсубани[41], более позднего периода. Первая напоминает Нередицу своим светлым колоритом и цветом фона. Ее основные части, за исключением более поздней живописи кафедры и западной паперти, исполнены тем же способом и сохранились без реставрации.

Архангелы Михаил и Гавриил[42] в Нередице исполнены с изощренной изысканностью и строгостью, способом, который вне всякого сомнения, происходит из Константинополя. Хотя эта манера не чужда и исполнению грузинских фресок, но она не является характерной.

Наконец, живопись Нередицы предлагает еще один прием, для которого характерны слишком белые лица, фактура которых напоминает некоторые произведения романского стиля, но мы не можем судить о них.

Итак, живопись Нередицы по иконографическим особенностям и стилю представляет довольно сложное явление. Приемы исполнения фресок показывают, что одна из основных восточных традиций тесно связана с произведениями монументальной живописи, которые находятся в Восточной Грузии.

Князь Ярослав Владимирович, основатель церкви Нередицы, был женат на сестре жены Всеволода Большое Гнездо, которая была осетинкой[43].

Религиозное искусство и письменный язык Осетии издревле носили грузинский характер. Если вспомнить, что у осетин высшие слои общества и царская фамилия были наполовину грузинскими даже по крови, станет понятным, что история может объяснить, почему по ряду приемов исполнения росписи Нередица близка к росписям Восточной Грузии.

---

40 Фрески Спаса-Нередицы, табл. XLIX, 2.

41 Д. П. Гордеев, Краткий отчет о командировках в Кахию и Горийский уезд летом 1917 года, с. 27—29; фото Ермакова, 15571, 15573, 15587; П. С. Уварова, Кавказ, путевые заметки, Москва, 1887, с. 282—283.

42 Фрески Спаса-Нередицы, табл. XXII.

43 Фрески Спаса-Нередицы, с. 17; П. Г. Бутков, О браках князей русских с грузинскими княгинями в XII веке (Северный Архив, 1825, IV).



Рис. 1. Апостол Петр. Часовня монастыря Шио-Мгвиме.



Рис. 2. Апостол Петр в куполе Нередицы (По фрескам Спаса-Нередицы).



Рис. 3. Предтечата в абсиде Нередицы. (По фрескам Спаса-Недреицы).



Рис. 4.Святой Харлампий.



Рис. 5. Святой Яков, брат господня. Причащение апостолов. Ахтала, роспись.



Рис. 6. Святой Амфилохий. Роспись церкви Спаса-Нередицы.



Рис. 7. Святой Зосим. Роспись монастыря в Бетании.



Рис. 8. Петр Александрийский, Нередица. (По фрескам Спаса-Нередицы).

ლუიზა გვრიტიშვილი

# სოფელი ყორანთა

სოფელი ყორანთა ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე მოთავსებულია მაშავრის ხეობაში ველკეთილსა და დისველს შორის[1]. ასევეა იგი დასახელებული იოანე ირაკლისძის 1797 და 1799 წწ. ქართლ-კახეთის სოფლების აღწერაში[2].

სოფლის სახელი ყორანთა, როგორც დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, „ტოტემური" წარმოშობისაა და იგი პირველყოფილი თემური საზოგადოების დროს უნდა გაჩენილიყო. ნიშანდობლივია, რომ „ყორანთა" ბოლნისის რაიონში ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის „გორაა" დადასტურებული[3].

ყორანთა წყაროებში პირველად იხსენიება 1392 წ. ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. მცხეთის საკათალიკოსოს სხვა საქონებელთან ერთად მოხსენიებულია „სოფელი ყორანთა, თჳსითა მამულითა"[4].

XV ს-ში იგი ქაჩიბაძეთა მფლობელობაში გვხვდება. ისინი ამ დროს ინტენსიურად იკიდებენ ფეხს მაშავრისა და ალგეთის ხეობებში[5]. როგორც ს. ჯანაშია ფიქრობდა, ქაჩიბაძენი საქართველოს ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში, ან მის უშუალოდ წინამორბედ პერიოდში (X — XIII სს) სხვა ლიხთ-იმერელ „მოახალშენეებთან" ერთად უნდა იყვნენ ქართლში გადმოსულნი და ბაღვაშ-ორბელთა ნაოხარზე გაბატონებული[6]. ამ გვარის წარმომადგენელმა ბარათამ საფუძველი ჩაუყარა ქართლის ერთ-ერთ უძლიერეს სენიორიას — საბარათაშვილოს.

როდის უნდა გადასულიყო სოფელი ყორანთა ქაჩიბაძეების მფლობელობაში? ამ კითხვაზე პასუხს ნაწილობრივ ბარათა ქაჩიბაძის მცხეთის ეკლესიისადმი ბოძებული მამულის შეწირულების სიგელი გვაძლევს. აღნიშნული საბუთი ს. კაკაბაძეს 1447 — 1459 წწ. აქვს დათარიღებული[7]. თ. ჟორდანია კი მას 1428 წლით ათარიღებს[8]. გ. ჯამბურია იზიარებს ჟორდანიასეულ თა-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდი H—2079.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S—3729.

[3] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 71—72.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1970, გვ. 171-72.

[5] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955. გვ. 9.

[6] ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 481.

[7] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ.., 1913, გვ. 36—37.

[8] თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1897, გვ. 232.

რიღს. ჩვენი აზრითაც, იგი უფრო მისაღები ჩანს, ყოველ შემთხვევაში, საბუთი 1447 წელზე ადრე უნდა იყოს შედგენილი, რადგან 1447 წ. 25 დეკემბრის სიგელის მიხედვით ყორანთა უკვე საკათალიკოსო მამულად არის დასახელებული[10].

თუ ზემოხსენებული საბუთის ყორდანიასეულ თარიღს,[9] ე. ი. 1428 წელს მივიღებთ, და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბუთის შედგენის დროისათვის სოფ. ყორანთა უკვე ქაჩიბაძეების „მკვიდრი" მამული ყოფილა, ცხადი გახდება, რომ სოფელი ახალი მფლობელის ხელში XV ს-ის დასაწყისშივე გადასულა.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც შემდეგდროინდელი დავით ქაჩიბაძის სვეტიცხოვლისადმი ბოძებული სიგელიდან ჩანს, ყორანთა მოუპოვებია თვით ბარათასა და მის მეუღლეს თინათინს;[11] „ყუარანთა" მათი „ნაღუაწი" — ნაშოვარი სოფელი ყოფილა[12]. 1428 წელს კი იგი მცხეთის სვეტიცხოვლისათვის შეუწირავთ თავიანთი „სულის საკსრად" და „ორი დღე კარგაღებული აღაპი" გაუჩენიათ.

ბარათას მემკვიდრეებს ყორანთა უკანვე გამოუწირავთ საკათალიკოსოსათვის: „...ჩუენ ჩუენისა სივაჟისა მიუმხდრობითა და ავთა და მზაკვართა კაცთა ენითა და შემობეზღებითა ცოტასა რასმე ხანსა ჩუენვე უკუგიჭირეთ სოფელი ყუარანთა"-ო წერენ დავით და გერმანოზ ქაჩიბაძენი[13]. ეს ამბავი იმ პერიოდის საქართველოში უჩვეულო არ ყოფილა. ქვეყნად შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მეფე და კერძო ფეოდალები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ეკლესიის მამულების გამოწირვას[14].

ქაჩიბაძეები სვეტიცხოველს 1448 წელზე ადრე ვერ წაართმევდნენ ამ სოფელს, რადგან, როგორც აღნიშნული იყო, 1447 წლის 25 დეკემბრის საბუთით ყორანთა საკათალიკოსოსია. თანაც წართმეული სოფელი მცირე ხანს ყოფილა ქაჩიბაძეთა მფლობელობაში: „უკუუჭირავთ ცოტასა რასმე ხანსა". აქედან გამომდინარე, კი ეს ამბავი უნდა მომხდარიყო XV ს-ის 60-იან წლებში, 1466 წლამდე, როცა იგივე პირნი უკანვე უბრუნებენ საკათალიკოსოს მას.

ამის შემდეგ ყორანთა 1529 წლის აბაში ბარათაშვილის მცხეთისადმი ბოძებულ წიგნშია დასახელებული როგორც ნასოფლარი: „სოფელი ყორანთა ამოწყუედილიყოვო" — ვკითხულობთ საბუთში. ყორანთის გაპარტახება უნდა მომხდარიყო სადღაც 1466 — 1529 წლებს შორის. თარიღს უფრო აზუსტებს წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ჯვრის ისტორია.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, „ყორანთას არს ეკლესია, საჴვენი ატოცის წმიდის გიორგის ჯუარისა". ამ ჯვრის შესახებ კი ამბობს: „ჯუარი დიდ ფრიად მდებარეობს მას შინა ბეჭი მთავარმოწამისა წმიდის გიორგისა, მარადის სასწაულმოქმედი. ეს ჯუარი პირველ იყო ყორანთას, შემდგომად სამცხეს, მერმე ატოცს და აწ აქა (ე. ი. ჩხარში — ლ. გ.")[15].

---

[9] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[10] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 38—39.

[11] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 38—39.

[12] სულხან-საბა ორბელიანი „ნაღუაწში" გულისხმობს ღვაწლით ნაშოვნს, ნაშოვარს (ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 578).

[13] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

[14] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 747.

[15] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 755—756.

როგორც ი. აბულაძემ და ქ. შარაშიძემ დაადგინეს, XV ს-ის მიწურულში ხსენებული ჯვარი უკვე მესხეთშია[17]. ჯვრის გახიზვნა, ცხადია, საგანგებო მდგომარეობას უნდა გამოეწვია, რასაც აგრეთვე ყორანთის გაპარტახებაც მოჰყოლია.

XV ს-ის ბოლო მეოთხედი თურქმენული ტომების განუწყვეტელი შემოსევების ხანაა. მათი ბრძოლების ასპარეზი ხომ პირველ რიგში ქვემო ქართლი იყო. უზუნ-ჰასანის ლაშქრობებმა „მრავალი ოჴრება და ჭირი შეამთხჳა“ ამ მხარეს[17]. 1477 წ. იგი 35—40000-ანი ლაშქრით შემოიჭრა საქართველოში. მას წინ მიუძღოდა 5000 მეომარი, რომლებსაც ევალებოდათ ხეებისა და ყოველგვარი ნაგებობის გადაწვა, რათა ავარდნილი ალისა და კვამლის კვალზე უკან მიდევნებულ ჯარს გზა გაეკვლია[18].

არანაკლები ზიანი მიაყენეს ამ მხარეს იაკუბ-ყაენის შემოსევებმაც. 1486 წ. იგი სამხრეთიდან შემოიჭრა საქართველოში, დაარბია მესხეთი, აიღო აწყური და „წარმოავლინა აწყურიდან სპანი, ესენი დაესხნენ დბანისს და ქუეშის ჴევს, მოსტყუევნნეს და წარვიდნენ“[19].

1490 წლების შემოსევების დროსაც ბრძოლების ასპარეზი პირველ რიგში ქვემო ქართლი იყო. სწორედ ამიტომაც, ქართველთაგან გააფთრებულ წინააღმდეგობას ბარათაშვილები უწევდნენ მტრებს[20].

ამგვარად, ყორანთა 1477—1490 წლებს შორის თანდათან უნდა გაპარტახებულიყო. მისი საბოლოო მოსპობა უკანასკნელ თარიღს უახლოვდება, რადგან როგორც აღნიშნული იყო ამ საუკუნის მიწურულს წმ. გიორგის ჯვარი უკვე მესხეთშია. მართალია, ამ დროს სოფელი გაპარტახებულია, მაგრამ მის სახნავ-სათეს ფართობებზე მეურნეობის წარმოება არ შეწყვეტილა. 1529 წლის სიგელიდან ჩანს, რომ პარტახი სოფლის მიწები კათალიკოსის მიერ „სალალეთ“ გაიცემოდა. სახნავი მიწის „სალალეთ“ გაცემა მიწის იჯარით გაცემის ყველაზე გავრცელებული სახე იყო საქართველოში. როგორც ნ. ქანთარია ფიქრობს, მიწის „სალალეთ“ გაცემის დროს მიწის დამმუშავებელი მიწის პატრონს ლალას იმგვარი რიგით უხდიდა, როგორც ყმა გლეხი თავის ბატონს[21]. ჩანს მოიჯარადრეებს ამ ლალის გადახდაც შეუწყვეტიათ სვეტიცხოვლისათვის: „სალალოვე მიწებს აღარავინ რას გაამებდაო“,—წერია საბუთში.

ყორანთის გაპარტახების დროს უნდა არეულიყო მისი და მოსაზღვრე სოფლის რატევნის საზღვრები. კათალიკოზსა და რატევნის მფლობელ გერმანოზ ბარათაშვილს სასაზღვრო დავა ჰქონდათ, რასაც ლუარსაბ I განჩინება მოჰყოლია. განჩინება ს. კაკაბაძეს ლუარსაბ I ზეობის წლებით (1527—1558 წწ.) აქვს დათარიღებული. 1646 წ. კი ყორანთელები ედავებიან ვინმე ალიხანსა და მის ძმისწულს შაჰყულის საწისქვილოს თაობაზე. ამ საბუთებიდან ისიც ჩანს, რომ XV ს-ის დასასრულისათვის გაპარტახებული სოფელი XVI ს-ის 30-იან წლებიდან

---

16 И. В. Абуладзе и Х. Г. Шарашидзе, К вопросу об имени и родине Руставели, საქართვ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 7, 1941, გვ. 683—684.

17 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 341.

18 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 118.

19 ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 386—387.

20 იქვე, გვ. 386—389

21 ნ. ქანთარია, იჯარა XVIII ს-ის საქართველოში, მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, თბ., 1957, გვ. 69.

უკვე აშენებულია. XVII ს-ის დასასრულისათვის ნიკოლოზ კათალიკოზი უკვე ფართო მშენებლობას ეწევა ყორანთაში. ეს ის დროა, როცა ქართლის სამეფოს შედარებით მშვიდობიანი პერიოდი დაუდგა, ირანის სამეფო მის მიმართ კომპრომისის გზას დაადგა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას: გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა, ვაჭრობა, ინტენსიურად მიმდინარეობდა გაპარტახებული სოფლების აშენება. მცხეთის სახლთუხუცესმა პაპუა მაღალაძემ 12 გაპარტახებული სოფელი ააშენა და ხელახლა დაასახლა, გაიყვანა რუები, ააგო წისქვილები, მარნები და სხვა. ყაფლან ბარათაშვილმა 40 წლის მანძილზე (1627-1671 წწ.) ააშენა და დაასახლა 61 დაცარიელებული სოფელი[24].

მცხეთის კათალიკოსს ამილახორის შვილს ნიკოლოზსაც დიდად უღვაწია საკათალიკოსო მეურნეობის აღდგენა-გაფართოებისათვის. 1678—1687 წლებში მას ხელახლა აუშენებია 5 ნაოხარი სოფელი; აუგია 4 საყდარი, 1 ხიდი, 4 სასახლე, 5 მარანი, 7 საწნახელი; გაუშენებია 3 ზვარი, 2 ბაღი; მოუძებნია და დაუბრუნებია ადგილებზე 69-მდე დაკარგული გლეხი და სხვა. სამეურნეო სამუშაოები ჩაუტარებია სოფელ ყორანთაშიც. ამის შესახებ საბუთში აღნიშნავს: „ყორანთის თავს ერთი სოფელი ავაშენე და ყორანთას კაი მარანი დავდგი მისის მორთულობითა და ქვევრებითა და კაი საწნახელიც ავაშენე“[25].

1720 წლის ვახტანგ VI ოქმით ყორანთაში კათალიკოსს 12 ყმა ჰყოლია[26]. 1721 წ. საყაფლანიშვილოს აღწერის დავთარში ეს სოფელი მოხსენიებული არ არის[27]. მთელი XVIII ს-ის მანძილზე ყორანთის შესახებ რაიმე წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. მხოლოდ XVIII ს-ის დასასრულს იოანე ირაკლის ძე ქართლ-კახეთის სოფლების აღწერაში ყორანთასაც იხსენიებს, მაგრამ იმ დროს იგი სოფელია თუ ნასოფლარი აღწერის მიხედვით არ ჩანს, რადგან მასში დასახელებულია როგორც „შენი“ ისე „უშენი“ სოფლები სათანადო აღნიშვნების გარეშე და შეუძლებელია მარტო ამ ცნობის მიხედვით გარკვევა რომელი სოფელია „შენი“ და რომელი გაპარტახებული.

გიულდენშტედტს, რომელიც XVIII ს-ის 70-იან წლებში მოგზაურობდა ამ მხარეში, ნახსენები აქვს oranta, რომელსაც „მოგზაურობის“ მთარგმნელი და გამომცემელი გ. გელაშვილი, სამართლიანად, ყორანთასთან აიგივებს[28]. „1/2 საათის სავალზე ზევით, მაშავერის ჩრდილოეთ მხარეზე იყო სიმაგრე ორანტა, სად არის აგრეთვე ქვის ხიდი“ — წერს მოგზაური. რუკაზე ყორანთასთან (oranta) მას დატანილი აქვს გაპარტახებული ციხესიმაგრის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი — Δ, ჩანს მისი მოგზაურობის დროს სოფელი ყორანთა უკვე დიდი ხნის გაპარტახებულია. იგიც ისეთივე მსხვერპლი გახდებოდა ოსმალურ-ყიზილბაშური ბატონობის მძიმე უღლისა თუ ლეკთა მოთარეშე რაზმების განუწყვეტელი ძარცვა-რბევისა, რამაც იავარყო მთელი საბარათიანო.

---

[22] ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 42—43.

[23] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1449, № 1769.

[24] გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

[25] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 589—591.

[26] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის I, თბ., 1940, გვ. 183.

[27] იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV, ტფ., 1938, გვ. 128-129

[28] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 8.

XIX ს-ის I ნახევარში, კერძოდ, 1822 წ. აქტით, ყორანთის მიწები რომლებიც მანამდე მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნოდა, გადავიდა ვიურტემბერგელი გერმანელი კოლონისტების განკარგულებაში[29].

XX ს-ის 30-იან წლებში, როცა ლ. მუსხელიშვილი მოგზაურობდა ბოლნისის რაიონში, სოფელი ყორანთა ადგილობრივ უკვე აღარავის ახსოვდა[30]. მაგრამ მიუთითებდნენ ციხე-გალავანში მოქცეულ ეკლესიაზე, რომელიც დაჰყურებს დაბა ბოლნისს მის ჩრდილოეთით აღმართულ მთის მწვერვალიდან. ეკლესია და ციხე-გალავანი აღწერილი და შესწავლილია ხელოვნებათმცოდნე ი. გომელაურის მიერ და დათარიღებულია XIII ს-ის დასასრულითა და XIV ს-ის დასაწყისით. ეკლესია მცირე ზომის, დარბაზული ტიპისაა, სამხრეთიდან მინაშენი აქვს. კედლები უხეშად გათლილი სხვადასხვა ზომის ქვითაა ნაგები. ინტერიერი შელესილი ყოფილა, თუმცა მხატვრობის კვალი არ ჩანს. ეკლესიის პერანგი თლილი ქვისაა. კარ-სარკმელი მოჩუქურთმებულია. გალავანი განსხვავებული სიდიდის 13 ბურჯითაა გამაგრებული. ბურჯები თავიდანვე ყრუ ყოფილა. გალავანში შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაა. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით გალავანზე მიდგმული ნაგებობის კვალი ჩანს. მთელი ეს კომპლექსი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა[31]. მართლაც, გალავანი საკმაოდ დიდ სოფელს დაიტევდა საშიშროების დროს. ასეთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა ბევრ სოფელში არ არის, რაც ყორანთის რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ეგებ კათალიკოსის წარმომადგენელი იჯდა აქ დმანისის ხეობაში შემავალი საკათალიკოსო მამულების სამართავად?.

ნასოფლარი, როგორც აღვნიშნეთ, არავის ახსოვს. მაგრამ იგულისხმება, რომ არ უნდა იყოს ეკლესიას დიდად დაშორებული.

დაზვერვებმა გვიჩვენეს, რომ სოფელი ძირითადად განლაგებული ყოფილა ციხის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მთის დამრეც ფერდობებზე მოწყობილ ხელოვნურ ტერასებზე. მწვანე საფარველს ქვეშ დღეს კარგად მოჩანს შენობათა კონტურები. ფერდობის ძირში შემორჩენილია წყალსატევის ნახევრად მიწისზედა ნაგებობა. მართკუთხედის მოყვანილობის აუზი გადახურულია ცილინდრული კამარით. შემოსილი ყოფილა თლილი ქვით. (ქვის პერანგის ნაშთები შერჩენილია სამხრეთ-დასავლეთის კედელზე). ჩრდილოეთი მხარე ჩამონგრეულია. აუზის სამხრეთ-დასავლეთის კედელში თიხის მილია დატანებული თვით აუზი მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარით.

გარდა ტერასებისა, კარგად იკითხება ძველი ნაგზაურები. გზა გალავნის შესასვლელიდან დასავლეთ და ჩრდილო ფერდობით მიდის ორ მთას შუა მოქცეულ უნაგირაზე, შემდეგ აქ იტოტვება — ერთი მიდის დასავლეთით, მოპირდაპირე მთის კალთით, მეორე კი ყორანთის ძირში უხვევს სამხრეთისაკენ და მიემართება ძეგლის გასწვრივ მაშავრის ხეობისაკენ, ე. ი. დღევანდელი დაბა ბოლნისისაკენ. აქ აღრე სადღაც ვახუშტის „აღწერაში“ მოხსე-

---

[29] კოლონიას ეწოდებოდა ეკატერინენფელდი და მდებარეობდა ბოლნისთან, თბილისიდან 60 ვერსის მანძილზე, ცხოვრობდა მასში 116 ოჯახი (გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974, გვ. 30); Акты, т. VI, часть II, გვ., 350.

[30] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 313—314.

[31] ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ყორანთა—შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლი, „მაცნე“, 3, 1966, გვ. 262—264.

წიებული სოფელი სატრედო და მასთან დაკავშირებული ხიდი უნდა ვიგულისხმოთ.

სოფელს მყუდრო მდებარეობა აქვს. მთის აღმოსავლეთი ფერდობი და მთათაშორისი თავდაცვის თვალსაზრისითაც მოხერხებულია.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საბუთების საშუალებით შეიძლება განისაზღვროს სოფელ ყორანთის მეურნეობის ხასიათი. მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი მემინდვრეობა იყო. გლეხებს შეწირული ჰქონდათ მარცვლეულზე დაწესებული გადასახადი — ღალა. დოკუმენტებში მოხსენიებულია ამ გადასახადის ამკრეფი სპეციალური მოხელე მეღალე. XVIII ს-ის დასაწყისის ერთი საბუთის მიხედვით, კათალიკოზი ბატონიშვილი დომენტი მაღალაძეს ზურაბიშვილს სარიდანს აძლევს ყორანთის ნაცვალობასა და მეღალობას[32].

მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა, აგრეთვე, მევენახეობა. 1687 წლისათვის ნიკოლოზ კათალიკოზს ყორანთაში აუგია „მარანი მისის მიწრთულობითა და ქვევრებითა და კაი საწნახელი"[33].

ყორანთელები, ჩანს სელის მოყვანასაც მისდევდნენ. ამ კულტურასთან არის დაკავშირებული ზეთის გამოხდა. ზეთსახდელი იარაღების ნაშთები დმანისიდან არის შემორჩენილი. როგორც წესი, ზეთსახდელების გავრცელების არე საზეთე სელის გავრცელების ზონაში ლოკალიზდება[34], ე. ი. დმანისის რეგიონში სელის კულტურა გავრცელებული ყოფილა. მართალია, ყორანთაში ზეთსახდელი იარაღები არ არის მიკვლეული, მაგრამ საბუთებიდან ჩანს, რომ იქ ზეთის გამოხდას აწარმოებდნენ. 1447 წ. 25 დეკემბრის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში სხვა სოფლებთან ერთად ნახსენებია: „მეზეთედ სომხითს ყორანთა მისითა მზღვრითა"[35]. „მეზეთედ" ე. ი. სვეტიცხოვლისათვის ზეთის მიმწოდებლად გუჯარში მხოლოდ ყორანთაა დასახელებული. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი აკმაყოფილებდა საკათალიკოსოს მოთხოვნილებას ზეთზე. ეს თავისთავად ამ სოფლის მეურნეობაში სელის კულტურისა და მასთან დაკავშირებული ზეთის წარმოების დიდ ხვედრით წონაზე მიუთითებს.

სოფლის მოხელეებიდან საბუთები ასახელებენ ნაცვალს, მეღალესა და მეურავს[36].

Л. Д. ГВРИТИШВИЛИ

## СЕЛО КОРАНТА

### Резюме

Село Коранта впервые упоминается в документе 1392 года как принадлежащее грузинскому каталикосату. В начале XV века село переходит в собственность феодального рода Качибадзе, которые около 1428 года вновь жертвуют село церкви.

---

[32] სცსა, ფ. 1448, № 2770.

[33] ქართული სამართლის ძეგლები., III, გვ. 589-591.

[34] ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, ზეთსახდელები ქვემო ქართლში, ძეგლის მეგობარი, 20, თბ., 1970, გვ. 24.

[35] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ., 191.

[36] სცსა, ფ. 1448, № 2770; ფ. 1449, № 1769.

К концу XV века село вымирает в результате тюркских нашествий, однако в 1529 году вновь обживается.

В середине XVIII века селение Коранта было опустошено, как и весь край Квемо Картли. Гюльденштедт указывает только на существование развалин крепости. В 1822 году бывшие земли Коранта были переданы вюртембергским колонистам — немцам, основавшим на территории современного райцентра Болниси поселок Екатериненфельд.

Местонахождения селища Коранта современное население Болниси не помнит, но под этим названием известны остатки крепости с церковью рубежа XIII—XIV веков на вершине горы севернее Болниси. Полевые разведки показали, что селище было расположено восточнее и северо-восточнее вышеуказанной крепости на террасированных склонах горы и у ее северо-восточного подножья, где, в частности, сохранились остатки средневекового водоема — родника. Отлично прослеживаются также следы древних дорог.

Сохранившиеся остатки крепости с церковью указывают на былое важное значение села Коранта в Квемо Картлийских владениях грузинского католикоса. Об этом же свидетельствует и тот факт, что до конца XV века здесь хранилась одна из святынь грузинской церкви — чудотворный крест св. Георгия.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა

# პუბლიკაცია

დავით ჯანელიძე

## ერთი საბუთი აღმოსავლეთის საკითხის პრეისტორიისათვის

1799 წლის 17 აგვისტოს ნაპოლეონმა ოსმალეთის პირველ ვეზირს გაუგზავნა წერილი, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებოა.

საფრანგეთის მონარქია ყოველთვის დიდად დაინტერესებული იყო ახლო აღმოსავლეთში გავლენის მოპოვებით. XVI—XVIII საუკუნეებში ფრანგმა სოვდაგრებმა აქ ფეხი მოიკიდეს. 1740 წელს მათ საგანგებო საკაპიტულაციო ტრაქტატით დიდი პრივილეგიები მიენიჭათ ოსმალეთის იმპერიაში.[1]

ამ ტრაქტატით საფრანგეთმა დიდი წვლილი შეიტანა ოსმალეთთან ევროპის არათანასწორუფლებიანი ურთიერთობის იმ პრაქტიკაში, რომელსაც ისტორიოგრაფიამ „კაპიტულაციის რეჟიმი" უწოდა. „კაპიტულაციები" ერქვა საიმპერიო დიპლომებს, სიგელებსა და პრივილეგიებს, რომლებსაც ოსმალეთის სულთნები დროდადრო უბოძებდნენ ევროპის ქვეყნებს. ეს დოკუმენტები უფლებას აძლევდა ევროპელებს თავისუფლად ჩასულიყვნენ ოსმალეთის იმპერიაში, იქ უშიშრად გაეჩაღებინათ ვაჭრობა და შეესრულებინათ ეროვნული რელიგიური ცერემონიალი. ეს იყო ცალმხრივი შეღავათები. აქ ნაცვალგების პრინციპი არ მოქმედებდა[2].

მკვლევრის სიტყვით, ოსმალეთის სულთნები მოტყუვდნენ XVII—XVIII საუკუნეებში, როცა გაუჩნდათ სახაზინო შემოსავლის გაზრდის ინტერესი და ამისათვის ევროპული აღებ-მიცემობა წაახალისეს თავიანთ სახელმწიფოში. მაშინ ისინი ე. წ. საკაპიტულაციო ნებართვის გაცემას უბრალო საქმედ თვლიდნენ. მაგრამ შემდეგში, როცა ევროპის კაპიტალისტურმა ქვეყნებმა საჭიროდ ცნეს გაძლიერებული ექსპანსიის პოლიტიკაზე გადასვლა, ეს ნებართვები ოსმალეთისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.[3]

საფრანგეთი საევაჭრო პრივილეგიებს არ დასჯერდა. მისი მმართველი წრეები საუკუნეთა განმავლობაში განიხილავდნენ ეგვიპტის დაპყრობის საკითხს. 1672 წელს დიდმა ლაიბნიცმა ლუი XIV-ს წარუდგინა სათანადო პროექტი. ეგვიპტის დაპყრობის იდეა საფრანგეთში განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ინგლისმა საფრანგეთს წაართვა მრავალი სამფლობელო ინდოეთსა და ამერიკაში. გაჩნდა აზრი, რომ ეს დანაკარგები ფრანგებს ეგვიპტის ხარჯზე ეზღოთ. მაგრამ საფრანგეთის ძველმა რეჟიმმა ეგვიპტეზე გალაშქრება ვერ განახორციელა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა დირექტორიამ. როგორც ცნობილია, მისი სანქციით, გენერალმა ბონაპარტმა 1798 წლის ივლისში 34—40 ათასი მე-

[1] S. Priest, Mémoires sur l'Ambassade de France dans le Levant, Paris, 1877, გვ. 475—523.

[2] К. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, I изд., т. X, გვ. 8—9.

[3] Norbert de Bishoff, La Turquie dans le Monde, Paris, 1936, გვ. 81—83.

ომრით (ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ორივე ციფრს ვხვდებით) ეგვიპტე დაიპყრო.

1789 წლის რევოლუციას დიდი ცვლილებები არ გამოუწვევია საფრანგეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში. მართალია, ოსმალეთის მთავრობამ კარგახანს არ ცნო ახალი საფრანგეთი[4], მაგრამ იგი ხელს არ უშლიდა რევოლუციის პატივსაცემ დემონსტრაციებს, რომლებსაც მართავდნენ ოსმალეთში მცხოვრები ფრანგები[5]. ასეთ პასიურობას და ნეიტრალიტეტს ისტორიკოსები იმით ხსნიან, რომ ოსმალეთის გაბატონებულმა კლასებმა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში თავდაპირველად მათთვის უშუალო საფრთხე ვერ დაინახეს. მდგომარეობა შეიცვალა, როცა ახალი საფრანგეთის გავლენა ბალკანეთში შეიჭრა. იმავე საფრანგეთმა ეგვიპტე დაიპყრო და მის კოლონიზაციას შეუდგა. ეგვიპტე ხომ ოსმალეთს ეკუთვნოდა 1517 წლიდან, როცა ამ ქვეყანას დაეუფლა სულთანი სელიმ I. ამიტომ ოსმალეთმა, ბუნებრივია, ომი გამოუცხადა საფრანგეთს, რომელმაც ეგვიპტეზე თავდასხმით ხელყო ოსმალეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ნაპოლეონ ბონაპარტი ეგვიპტეში დიდ სიძნელეებს წააწყდა. გარედან მას უტევდა ინგლის-რუსეთ-ავსტრია-ოსმალეთის კოალიცია[6]. ასეთ ვითარებაში საფრანგეთის გენერალმა სცადა მტრების გათიშვა და დემაგოგიური აგიტაციის მეთოდებით ოსმალეთთან მშვიდობის აღდგენა და დამეგობრება. ამას ისახავდა მიზნად ოსმალეთის პირველი ვაზირისადმი გაგზავნილი 1799 წ. 17 აგვისტოს წერილი.

ნაპოლეონ ბონაპარტმა წერილს მისთვის საერთოდ დამახასიათებელი დემაგოგიის ხასიათი მისცა. დემაგოგიას ნაპოლეონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის პოლიტიკაში[7]. ნაპოლეონი იყო არამარტო სახელგანთქმული მხედართმთავარი, არამედ თავის დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიპლომატიც[8]. ამ შემთხვევაში მას სურდა ოსმალეთთან კონფლიქტი მშვიდობიანი საშუალებებით თავიდან აეშორებინა და, როგორც ა. დ. ნოვიჩევი წერს, რუსეთ-ოსმალეთის კავშირი აეფეთქებინა[9]. თავისი წერილით ნაპოლეონი აგრძელებს იმ გეზს, რომელსაც იგი დაადგა ჯერ კიდევ მამლუქებზე მანიფესტის გამოცემით (1798 წ. 21 ივლისი)[10]. ცნობილია, რომ მანიფესტშიც მოცემული იყო ცდა, ეგვიპტის ლაშქრობა—ოსმალეთისადმი მეგობრულ მოქმედებად, ხოლო ეგვიპტის მამლუქები—კონფლიქტის ერთადერთ მიზეზად გამოეცხადებინა, „დაემტკიცებინა“ ისლამისადმი ბურჟუაზიული საფრანგეთის ერთგულება, ფრანგთა მიერ მალტის აღება ოსმალეთის წინაშე დირექტორიის დიდ დამსახურებად წარმოედგინა.

ამგვარად, ნაპოლეონის 1798 წ. 21 ივლისის მანიფესტი და მისივე წინამდებარე წერილი ერთმანეთის შემავსებელი საბუთებია. ისინი მოწმობენ, რომ ეგვიპტის ლაშქრობის დროს ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიული საფრანგეთის დიპლომატიური დემარშების მთელ წყებას.

---

4 E. Marcère, Une Ambassade... P. I, 1927.

5 A. D. Novičev, Der Einfalle der Franzosen in Agypten (Zeitschrift für Geschichtswissenschaft, 1971, Heft 9, გვ. 1139.

6 საინტერესოა, რომ რუსეთის დიპლომატიამ კარგა ხნით ადრე გამოიცნო ტულონის ექსპედიციის ჭეშმარიტი მარშრუტი და დანიშნულება.

7 Vie politique et militaire de Napoleon, t. V, 1850.

8 A. З. Манфред, Наполеон Бонапарт, «Мысль», 1971, გვ. 462.

9 A. Novičev, დასახ. ნაშრომი, გვ. 1146.

10 A. Ryme, Egypte sous la domination Fransaise, 1848, გვ. 33—34.

ნაპოლეონის წერილის მეცნიერული მნიშვნელობა უდავოა. ეს საბუთი ერთხელ კიდევ ადასტურებს ფრანგულ ისტორიოგრაფიაში არსებულ იმ შეხედულებას, რომ ეგვიპტის ლაშქრობის მომზადების პერიოდში დირექტორიას არაფერი უღონია ოსმალეთთან წინასწარ მოლაპარაკება-შეთანხმებისათვის[11].

ყურადღებას იქცევს საბუთის თარიღი 1799 წ. 17 აგვისტო. ეს ის დროა, როცა სირიაში აკას (სენ-ჟან დარკის) ციხესიმაგრესთან ნაპოლეონის ჯარი დაამარცხეს და უკუაქციეს ოსმალეთის ახალდანიშნულმა პირველმა ვაზირმა იუსუფ ზიამ (წარმოშობით ქართველმა) და მამლუქმა სარდალმა იბრაჰიმ შინჯიკაშვილმა (წარმოშობით — მარტყოფელმა ქართველმა). ფრანგების ამ დამარცხებამ[12] დააჩქარა ინგლის-ოსმალეთის სამხედრო ოპერაციები ეგვიპტეში. 1799 წ. 5 ივლისს ოსმალეთისა და ინგლისის ფლოტმა აბუკირთან (ეგვიპტის ჩრდილოეთი სანაპირო) გადასხა ოსმალეთის კორპუსი, რომელიც 18000, თუ 20000 მეომრისაგან შედგებოდა. ოსმალეთის ჯარების ძალებმა ალყაში მოაქციეს აბუკირის ფორტი და იქვე მდებარე სოფელი. მათი დამცველი ოთხასი ფრანგი ჯარისკაცი ოსმალებმა ტყვედ იგდეს და ყველას თავები მოჰკვეთეს. ექვსიათასიანი რაზმით ბონაპარტი სასწრაფოდ აბუკირისაკენ გაეშურა. იმის შიშით, რომ ოსმალეთის დესანტის ამბებს კაიროში აჯანყება არ გამოეწვია, ნაპოლეონმა წერილი გაუგზავნა მის მიერვე ჩამოყალიბებულ დივანს. წერილი ფურცლების სახით გაავრცელეს ეგვიპტის სატახტოში. მასში ეწერა, რომ ხომალდებით ეგვიპტეს მიადგნენ რუსები, რომლებიც საყოველთაოდ იყვნენ ცნობილნი, როგორც ერთღმერთიანობისა, ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველების უბოროტესი მტრები. მაგრამ ამ აგიტაციამ კაიროს მოსახლეობაზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მართალია, შემდეგ ნაპოლეონმა თავისი ზემოხსენებული რაზმით ოსმალთა კორპუსი სასტიკად დაამარცხა, მაგრამ იგი მიხვდა, რომ ეს არსებითად არაფერს ცვლიდა და ეგვიპტის ექსპედიცია საბედისწერო შეცდომად რჩებოდა. ამიტომ მან ტყვედ ჩაგდებულ ანატოლიელ ხოზე მუსტაფა-ფაშას სთხოვა ოსმალეთთან შუამავლად დასდგომოდა სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის, თანაც არწმუნებდა, რომ ეგვიპტის ექსპედიცია სულთანთან წინასწარ შეთანხმებით იყო მოწყობილი. ხოზე მუსტაფა-ფაშამ უარყო ნაპოლეონის წინადადება. სწორედ ასეთ ვითარებაში დაწერა ბონაპარტმა თავისი 17 აგვისტოს წერილი ოსმალეთის პირველი ვეზირისათვის გადასაცემად.

ა. ნოვიჩევი შენიშნავს, 17 აგვისტოს წერილი უპასუხოდ დარჩაო[13]. მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაპოლეონი არც დაელოდა წერილის პასუხს — 23 აგვისტოს ეგვიპტიდან საფრანგეთს გაემგზავრა — ჯარს გაეპარა. ექვსი დღე წერილის გაგზავნიდან ნაპოლეონის ეგვიპტიდან წასვლამდე არც თუ ისე დიდი პერიოდია, რომ ვეზირის პასუხის მიღების იმედი გადაწურულად ჩათვლილიყო: ამგვარად, თითქოს გაუგებარი ჩანს, თუ რატომ იჩქარა ასე ნაპოლეონმა ეგვიპტიდან წასვლა და არ დაელოდა იუსუფ ზიას პასუხს. ექვსი დღე წერილის სტამბოლში ჩასაღწევად, შემდეგ მისთვის პასუხის შესადგენად და ნაპოლეონთან გადასაგზავნად სრულიადაც არ იყო საკმარისი პირველ ვაზირს ხომ სტამბოლიდან კონსულტაცია სჭირდებოდა და სულთნის კარის დასტური. ნაპოლეონის აჩქარების მიზეზები ევროპაშია საძიებელი. ვფიქრობთ, ჭეშმარიტებას-

---

[11] E. Marcère, დასახ. ნაშრომი, tt. I—II, P., 1927,

[12] Boulay de la Meurthe, Le directoire et l'expedition d'Egypte, P., 1885, გვ. 68—162, Et Appendice.

[13] A. D. Novičev, დასახ. ნაშრომი, გვ. 1146—1147.

თან ახლოს იყო ბარონი ერნუ, როცა ამტკიცებდა — ნაპოლეონს ეჩქარებოდა საფრანგეთს საქესთან მოქცეოდა და მისთვის ეშველა, ამავე დროს — ნაპოლეონი იმედოვნებდა, რომ ეგვიპტეში მძიმე მდგომარეობით სასომიხდილ „აღმოსავლეთის არმიას“ გარედან დახმარებოდა[14]. ამას გარდა, შესაძლებელია, ნაპოლეონს არც ჰქონდა პირველი ვაზირისაგან დადებითი პასუხის მიღების იმედი.

ეგვიპტიდან ფარულად გაქცევის წინ ბონაპარტმა ორი ღონისძიება გაატარა: **1.** კაიროში საზეიმო მანიფესტაციები გამართა, რათა მიეჩქმალა სირიაში გალაშქრების მარცხი; **2.** წერილით მიმართა კაიროს მოსახლეობას.

წერილში კაიროს მოსახლეობისადმი ბონაპარტი ირწმუნებოდა, რომ სამ თვეში ახალი არმიით ეგვიპტეში დაბრუნდებოდა, იქ თავის ყველა მტერს მუსრს გაავლებდა, წესრიგს აღადგენდა და ეგვიპტეზე საფრანგეთს საბოლოოდ გააბატონებდა. ეს იყო პროპაგანდა. ნაპოლეონს ეგვიპტეში ხელახალი ჩასვლა აღარ ეწერა.

ბონაპარტმა აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდლობა კლებერს გადასცა და რწმუნებაც დაუტოვა — საჭიროების შემთხვევაში ოსმალეთთან ზავი ჩამოეგდო. 1799 წ. მიწურულში დაიდო ელ-არიშის კონვენცია, რომლითაც, როგორც ცნობილია, ფრანგებმა მიიღეს საპატიო ევაკუაციის უფლება. ჩვენი აზრით, ნაპოლეონის 1799 წ. 17 აგვისტოს წერილმა ოსმალეთის პირველი ვეზირისადმი ხელი შეუწყო ელ-არიშის კონვენციის გაფორმებას, იმ წერილს უკვალოდ არ ჩაუვლია.

ფრანგთა არმიამ ეგვიპტე დატოვა 1801 წ. სექტემბერში, მას შემდეგ, რაც სახელოვანი სარდალი კლებერი არაბებმა მოკლეს, ხოლო კლებერის მემკვიდრემ აბდალაჰ მენუმ კანოპის (აბუკირის) კონცხთან 1801 წ. მარტში ინგლისელებისაგან მძიმე დამარცხება განიცადა.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ნაპოლეონის წერილი (1799 წ. 17. VIII) ოსმალეთის პირველი ვეზირისადმი ეგვიპტეში ფრანგთა ექსპედიციის მზის ჩასვენებას მოასწავებდა.

ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ ნაპოლეონის წერილის ფრანგულ ტექსტს ქართული თარგმანითა და შენიშვნებით[15].

## „TENTATIVE DE NÉGOCIATION“

### „AU GRAND VIZIR“

Au grand vizir, grand parmi les grands éclairés et sages, seul dépositaire de la confiance du plus grand des sultans.

J'ai l'honneur d'écrire à Votre Excellence, par l'effendi qui été fait prisonnier à Aboukir et que je lui renvoie, pour lui faire connaitre la véritable situation de l'Egypte et entamer entre la Sublime Porte et la République française des négociations qui puissent mettre fin à la guerre qui se trouve exister pour le malheur de l'un et de l'autre État.

---

[14] **B a r o n E r n o u f i l e**, le General Cleber... Paris, 1867, გვ. 212.

[15] ფრანგული ტექსტისათვის იხილეთ: Correspondance de Napoléon, publièe par ordre de l'Empereur Napoléon III, т. V, Paris, 1850, გვ. 563—566.

Par quelle fatalité la Porte et la France, amies de tous les temps et dès lors par habitude, amies par l'éloignement de leurs frontières, la France ennemie de la Russie et de l'Empereur, la Porte ennemie de la Russie et de l'Empereur, sont-elles cependant en guerre?

Comment Votre Excellence ne sentirait-elle pas qu'il n'y a pas un Français de tué qui ne soit un appui de moins pour la Porte?

Comment Votre Excellence, si éclairée dans la connaisance de la politique et des intérêts des divers États, pourrait-elle ignorer que la Russie et l'empereur d'Allemagne se sont plusieurs fois entendus pour le partage de la Turquie, et que ce n'a été que l'intervention de la France qui l'a empêché?

Votre Excellence n'ignore pas que le vrai ennemi de l'islamisme est la Russie. L'empereur Paul I-er s'est fait grand maitre de Maltes, c'est á-dire a fait voeu de faire la guerre aux musulmans. N'est-ce pas lui qui est le chef de la religion grecque, c'est - à-dire des plus nombreux ennemis qu'ait l'islamisme?

La France, au contraire, a détruit les chevaliers de Malte, rompu les chaines des Turcs qui étaient détenus en esclavage, et croit, comme l'ordonne l'islamisme, qu'il n'y a qu'un seul Dieu.

Ainsi donc la Sublime Porte a déclaré la guerre à ses véritables amis et s'est alliée à ses vèritables ennemis!

Ainsi donc la Sublime Porte, qui a été l'amie de la France tant que cette puissance a été chrétienne, lui a fait la guerre dès l'instant que la France, par sa religion, s'est raprochée de la croyance musulmane!

La Russie et l'Angleterre ont trompé la Sublime Porte; elles ont intercepté nos courriers par lesquels nous lui faisons part de l'expédition d'Égypte, et l'ont représentée comme le commencement de l'envahissement de l'empire musulman: comme si 'je n'avais pas toujours délaré que l'intention de la République francaise était de détruire les Mameluks, et non de faire la guerre à la Sublime Porte, etait de nuire aux Anglais, et non à son grand et fidlèle allié l'empereur Sélim.

La conduite que J'ai tenue avec tous les gens de la Porte qui étaient en Égypte, envers les bâtiments du Grand Seigneur, envers les bâtiments de commerce portant le pavillon ottoman, n'est-elle pas un sûr garant des intentions pacifiques de la République française?

La Sublime Porte a déclaré la guerre, dans le mois de janvier, à la République fransçaise avec une précipitation inouil, sans attendre l'arrivée de l'ambassadeur Descorches, qui déjà était parti de Paris pour se rendre à Constantinople, sans me de-

mander aucune Explication, ni répondre à aucune des avances- que j'ai faites.

J'ai cependent espéré, quoique sa déclaration de guerre me fût parfaitement connue, pouvoir la faire revenir, et j'ai à cet effet, envoyé le citoyen Beauchamp, consul de la République, sur la caravelle. Pour toute réponse, on l'a emprisonné, pour toute réponse, on a crée des armées, on les a réunies a Gaza et on leur a ordonné d'envahir l'Égypte. Je me suis trouvé alors obligé de passer le désert, préférant faire la guerre en Syrie à ce que l'on me la fit en Égypte.

Mon armée est forte, parfaitement disciplinée et approvisionnée de tout ce qui peut la rendre victorieuse des armées, fussent—elles aussi nombreuses que les sables de la mer. Des citadelles et des places fortes hérissées de canons se sont élevées sur les côtes et sur les frontières du désert; je ne rains donc rien, et je suis ici invincible; mais je dois à l'humanité, à la vrai politique, au plus ancien comme au plus vrai des alliés, l'empereur Sélim, la démarche que je fais.

Ce que la Sublime Porte n'atteindra jamais par la force des armes, elle peut l'obtenir par une négociation. Je battrai toutes les armées lorsqu'elles projetteront l'envahissement de l'Égypte, mais je répondrai d'une manière conciliante á toutes les ouvertures de négociations qui me seraient faites. La République Française, dès l'instant que la Sublime Porte ne fera plus cause commune avec nos ennemis, la Russie et l'Empereur, fera tout ce qui sera en elle pour rétablir la bonne intelligence et lever tout ce qui pourrait être un sujet de bésunion entre les deux États.

Cessez donc des armements dispendieux et inurtiles. Vos ennemis ne sont pas en Égypte, ils sont sur le Bosphore, ils sont á Corfou, ils sont aujourd'hui par votre extrême imprudence, au milieu de l'Archipel.

Radoubez et réarmes vos vaisseaux, reformez vos équipages d'artillerie; tenez-vous prêts à déployer bientót l'étendard du Prophéte, non contre la France, mais contre Les Russes et les Allemands, qui rient de la guerre insensée que nous nous faisons, et qui, lorsqu'ils vous auront affaiblis, lèveront la fête et déclareront bien haut les prétentions qu'ils ont déjà.

Vous voulez l'Égypte, dit-on, mais l'intention de la France n'a 'jamais été de vous l'ôter.

Chargez votre ministre á Paris de vos pleins pouvoirs, ou envoyez quelqu'un chargé de vos intentions et de vos pleins pouvoirs en Égypte. On peut, en deux heures d'entretien, tout arranger, C'est le seul moyen de rasseoir l'empire musulman, en lui donnant la force contre ses véritables ennemis, et de déjou-

er leur projet perfide, qui, malheureusement, leur a déjà si fort réussi.

Dites un mot, nous formerons la mer Noire à la Russie et nous cesserons d'être le jouet de cette puissance ennemis, que nous avons tant de sujet de hair, et je ferait tout ce qui pourra vous convenir.

C'est ne pas contre les musulmans que les armées françaises aimeraient à déployer et leur tactique et leur courage; mais c'est, au contraire, réunies à des musulmans qu'elles doivent un jour, comme cela a été de tout temps, chasser leur ennemi commun.

Je crois en avoir assez dit par cette lettre à Votre Excelence. Elle peut faire venir auprès d'elle le citoyen Beauchamp, que l'on m'assure être détenu dans la mer Noire. Elle peut prendre tout autre moyen pour me faire connaitre ses intentions.

Quant á moi, je tiendrai pour le plus beau jour de ma vie celui oú je pourrai contribuer à faire terminer une guerre á la fois impolitique et sans objet.

Je prie Votre Excellence de croire à l'estime et à la considération distinguée que j'ai pour elle.»

## „მოლაპარაკების ცდა“

### დიდვაზირს!

დიდო ვაზირო, ყველა განათლებულთა და ბრძენთა შორის უდიდესო[1]; ყველაზე დიდი სულთნის ერთადერთო ნდობით აღჭურვილო!

მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაახლო წერილი იმ ეფენდის ხელით, რომელიც აბუკირში[2] ტყვედ ჩავარდა. მე მას ვაგზავნი თქვენთან, რათა მან თქვენ გაცნობოთ ეგვიპტის ნამდვილი მდგომარეობა და ბრწყინვალე პორტა და საფრანგეთის რესპუბლიკა შეუდგნენ მოლაპარაკებას, რომელიც ბოლოს მოუღებდა ომს, რომელიც ახლა მიმდინარეობს ორივე სახელმწიფოსათვის საუბედუროდ.

რა ბედუკუღმართობის გამო ეომებიან ერთმანეთს პორტა[3] და საფრანგეთი, რომლებიც ყველა დროში მეგობრობდნენ და, მათი საზღვრების სიშორის მიუხედავად, ჩვეულებრივად მეგობრები იყვნენ. საფრანგეთი და პორტა ერთნაირად მტრები არიან რუსეთისა და იმპერატორის[4]. ამასობაში ისინი ერთმანეთის მიმართ საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან.

განა თქვენი აღმატებულება არა გრძნობს, რომ ყოველი მოკლული ფრანგი პორტასთვის რამდენადმე დასაყრდენს წარმოადგენდა?

განა თქვენმა უდიდებულესობამ, ასე გათვითცნობიერებულმა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკასა და ინტერესებში, შეიძლება არ იცოდეს, რომ რუსეთი და გერმანიის იმპერატორი[5] მრავალჯერ შე-

თანხმდნენ თურქეთის გაყოფაზე[6] და ეს არ მოხდა მხოლოდ საფრანგეთის ჩარევის გამო, რომელმაც ხელი შეუშალა?[7]

თქვენმა აღმატებულებამ კარგად იცის, რომ ისლამის რჯულის ნამდვილი მტერი რუსეთია. იმპერატორმა პავლე პირველმა თავი გამოაცხადა მალტის ორდენის[8] დიდ მაგისტრად, ე. ი. აღთქმა დასდო, რომ მუსულმანებთან ომს ატეხდა[9]. განა იგივე პავლე ბერძნული რჯულის ბელადი არ არის? და ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მეფე ისლამის ყველაზე მრავალრიცხოვან მტრებს მეთაურობს.

საფრანგეთმა, პირიქით, გაანადგურა მალტის რაინდები და გამოიხსნა ამ კუნძულზე ტყვეობაში მყოფი ოსმალები[10] საფრანგეთსაც სწამს, რომ, როგორც ისლამის რჯული ბრძანებს, მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს.

ამგვარად, მაღალმა პორტამ ომი გამოუცხადა თავის ჭეშმარიტ მეგობრებს და შეუკავშირდა თავის ნამდვილ მტრებს.

ამგვარად, მაღალმა პორტამ, რომელიც მეგობრობდა საფრანგეთს, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს, ომი გამოუცხადა მას იმ წუთიდანვე, როცა საფრანგეთი თავისი რელიგიით მუსლიმანთა რჯულს დაუახლოვდა[11].

რუსეთმა და ინგლისმა მოატყუეს მაღალი პორტა. მათ შეიპყრეს ჩვენი შიკრიკები, რომელთაც პორტასათვის მიჰქონდათ ჩვენი ახსნა-განმარტებანი ეგვიპტის ექსპედიციის შესახებ და საქმე ისე წარმოადგინეს პორტას წინაშე, თითქოს ჩვენი ექსპედიცია მოასწავებდეს მუსლიმანთა იმპერიის დაპყრობის დაწყებას[12]. თითქოს მე არასოდეს გამომეცხადებინოს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას მამლუქების მოსპობა ჰქონდა განზრახული და არა ომის გაჩაღება მაღალი პორტას წინააღმდეგ, რომ საფრანგეთს უნდოდა ზიანის მიყენება ინგლისელებისათვის და არა თავისი დიდი და ერთგული მოკავშირის — იმპერატორ სელიმისათვის[13].

ნუთუ თქვენდამი საფრანგეთის რესპუბლიკის მშვიდობიანი განზრახვების მტკიცე დასტური არ კმარა. ის, რაც ეგვიპტეში გავაკეთე პორტას იქ მყოფი ქვეშევრდომების, დიდი სენიორის[14] ხომალდების, ოტომანთა[15] ალმით მავალი სავაჭრო გემების მიმართ?

მაღალმა პორტამ საფრანგეთის რესპუბლიკას ომი გამოუცხადა იანვრის თვეში, გაუგონარი აჩქარებით[16], არ დაელოდა ელჩ დეკორშის[17] ჩასვლას. ეს ელჩი ხომ გზას ადგა კონსტანტინეპოლისაკენ. მაღალმა პორტამ ჩვენგან არავითარი ახსნა-განმარტება არ ითხოვა, არც უპასუხა ჩემს წინასწარ წერილობით წარდგინებებს.

მე მაინც იმედი მქონდა თუმცა ომის გამოცხადება ჩემთვის სავსებით ცნობილი იყო, შემეჩერებინა ეს ომი. ამ მიზნით ოთხიალქნიანი ხომალდით გამოგიგზავნეთ რესპუბლიკის კონსული მოქალაქე ბოშამპი[18]. ოსმალეთის ერთადერთი პასუხი ის იყო, რომ ბოშამპი საპყრობილეში ჩასვა, არმიები ჩამოაყალიბა, თავი მოუყარა მათ ღაზაში[19] და ეგვიპტის დასაპყრობად გალაშქრება უბრძანა. მაშინ მე იძულებული გავხდი, უდაბნო გადამელახა, რადგენაც ვამჯობინებდი, მტერს სირიაში შევბმოდი და მისთვის არ მიმეცა საშუალება ჩემთან ეგვიპტეში ეომა.

სრულყოფილი მხედრული დისციპლინის მქონე, კარგად გაწვრთნილი და შესანიშნავად აღჭურვილი ძლიერი არმია მყავს, შემძლე შემუსროს ზღვის ქვიშაზე უმრავლესი ჯარი. უდაბნოში გამწკრივებულან ზარბაზნებით უხვად მომარაგებული და მრისხანედ გამომზირალი ციხესიმაგრეები. მე არ ვიცი, თუ რა არის შიში და აქ უძლეველი ვარ. მაგრამ კაცთმოყვარეობა, ჭეშმარიტი პოლიტიკა და სულთან სელიმის ძველი და შეუდარებელი მოკავშირეობა მიკარნახებს გადავდგა ეს სამშვიდობო ნაბიჯი.

მაღალი პორტა დიპლომატიური მოლაპარაკებით მოიპოვებს იმას, რასაც იარაღის ძალით ვერასოდეს მიაღწევს. მე გავანადგურებ ეგვიპტის დასაპყრობად შემოჭრილ ყველა არმიას, მაგრამ შემრიგებლური ტონით ვუპასუხებ სამშვიდობოთ მოლაპარაკების ყველა თაოსნობას, რომელსაც შემომთავაზებენ. როგორც კი მაღალი პორტა ჩამოშორდება ჩვენს მტრებს—რუსეთს და იმპერატორს[20], საფრანგეთის რესპუბლიკა ძალღონეს არ დაიშურებს, რათა აღადგინოს კეთილთანხმობა ოსმალეთთან და გზიდან ჩამოიცილოს ყველა დაბრკოლება, რომელიც შეიძლება ხელს უწყობდეს ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის განხეთქილების არსებობას.

მაშ, შესწყვიტეთ ხარჯების გამომწვევი და უსარგებლო შეიარაღება. თქვენ მტრები ეგვიპტეში როდი გყავთ. ისინი არიან ბოსფორთან, ისინი არიან კორფუზე[21], თქვენი მეტისმეტი გაუფრთხილებლობით ისინი დღეს არქიპელაგის[22] შუაგულში დამკვიდრებულან.

შეაკეთეთ და საომრად ხელახლა აღჭურვეთ თქვენი ხომალდები, გადაახალისეთ არტილერისტების რაზმები. მზად იყავით, სულ მალე გაშალოთ წინასწარმეტყველის ბაირაღი[23], მაგრამ არა საფრანგეთის, არამედ რუსებისა და გერმანელების[24] წინააღმდეგ, რომლებიც ახლა დაგვცინიან ამ უაზრო ომისათვის, ხოლო შემდეგ, როცა თქვენ დაგასუსტებენ, ისინი თავს მაღლა ასწევენ და ხმამაღლა გამოაცხადებენ უკვე ახალ პრეტენზიებს.

ჩვენ ბრალს გვდებენ, თითქოს განზრახული გვქონდეს ეგვიპტეზე გაბატონება. მაგრამ საფრანგეთს არასოდეს არ განუზრახავს, რომ ეგვიპტე თქვენ წაგართვათ[25].

პარიზში მყოფ თქვენს მინისტრს[26] გაუგზავნეთ სათანადო რწმუნებანი, ანდა ეგვიპტეში ჩემთან მოავლინეთ მოხელე, რომელიც გამაცნობს თქვენს განზრახვებს და წარმომიდგენს რწმუნების სიგელებს. შეიძლება ყველაფერზე შევთანხმდეთ ორი საათის განმავლობაში. ეს არის ერთადერთი საშუალება, რომ მუსლიმანთა იმპერია[27] განვამტკიცოთ და მას ახალი ძალები შთავბეროთ ნამდვილი მტრების მოსასპობად, ჩავფუშოთ ამ მტრების მუხანათური პროექტი, რომელიც, საუბედუროდ, მათ უკვე ესოდენ წარმატებით გამოიტანეს სამოქმედო ასპარეზზე.

გვითხარით ერთი სიტყვა და ჩვენ რუსეთს დავუკეტავთ შავ ზღვას და უკვე არ ვიქნებით ამ მტრული სახელმწიფოს სათამაშო საგანი. ჩვენ ბევრი მიზეზის გამო გვძულს რუსეთი[28], და ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შეიძლება თქვენთვის სასარგებლო იყოს.

ფრანგების არმიებს არ ეხალისებათ თავიანთი სამხედრო ხელოვნების და მამაცობის მომარჯვება მუსლიმანთა წინააღმდეგ. მათ,

პირიქით, ევალებათ, მუსლიმანთა მხარდამხარ შეებრძოლონ და განდევნონ საერთო მტერი, როგორც ეს ყოველთვის მომხდარა[29].

ვფიქრობ, რომ თქვენს აღმატებულებას საკმაოდ ბევრი რამ მოვახსენე ამ წერილით. შეგიძლიათ მიიღოთ მოქალაქე ბოშამპი, რომელიც, როგორც მარწმუნებენ, შავი ზღვის რაიონში დაკავებული. შეგიძლიათ, ყველა სხვა საშუალებითაც მაცნობოთ თქვენი განზრახვები.

რაც შემეხება მე, ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ დღედ ჩავთვლიდი იმ დღეს, როცა ამ არაპოლიტიკური და უსაგნო ომის დასრულების საქმეში წვლილს შევიტანდი.

ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, ერწმუნოს ჩემი მხრიდან უაღრეს პატივისცემას და დაფასებას“.

## შენიშვნები

1. მაშინ ოსმალეთში პირველ ვაზირად (სადრაზამად) იყო იუსუფზია (იოსებ ელამი). იგი ამ თანამდებობაზე დანიშნეს 1798 წ. შემოდგომაზე, ოსმალეთის მიერ საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების წინა დღეებში. ფრანგი მოგზაურისა და დიპლომატის ა. ჟობერის ცნობით, იუსუფზია წარმოშობით ქართველი იყო, სულთნის სასახლეში აღიზარდა, სელიმ III-თან (იხ. ქვემოთ, შენიშვნა № 13) სიყრმის მეგობრობა აკავშირებდა. იუსუფ ზიას უხვი საბოძვარის გაცემა უყვარდა და ჯარის გულის მონადირება, პატივს სცემდა საფრანგეთის კულტურას (ა. ჟ ო ბ ე რ ი, მოგზაურობა სომხეთსა და ირანში, პარიზი, 1821, გვ. 93—99, ფრანგულ ენაზე). რუსული საარქივო წყაროების ცნობებით, იუსუფ ზიას 1801—1806 წლებში ოსმალეთის ჯარისკაცთა და მაღალ მოხელეთა ჯგუფი ებრძოდა, მაგრამ ვერაფერი დააკლეს.

2. ელ-აბუკირი ნავსადგურია ეგვიპტის ჩრდილოეთ სანაპიროზე. აქ ინგლისელებმა ორჯერ დაამარცხეს ფრანგები: 1798 წლის ივლისში სამხედრო-საზღვაო ფლოტი გაანადგურეს, ხოლო 1801 წლის მარტში—სახმელეთო ჯარი.

3. მაღალი პორტა—ოსმალეთის მთავრობისა და სასახლის კარის ევროპული სახელწოდებაა XVI—XIX საუკუნეებში. რუსები ოსმალეთის მთავრობის აღსანიშნავად იყენებდნენ სხვა ტერმინსაც: „ბრწყინვალე პორტა“.

4. აქ იგულისხმება ავსტრიის მეფე, რომელსაც რუსული წყაროები „ავსტრიის ცეზარს“ უწოდებდნენ.

5. გერმანიის იმპერატორად აქ ისევ ავსტრიის მეფეს გულისხმობს ნაპოლეონ ბონაპარტი.

6. ნაპოლეონს მხედველობაში უნდა ჰქონდეს: ფელდმარშალ მინიხის პროექტები ოსმალეთის გაყოფის და რუსთა ჯარებით სტამბოლზე იერიშის მიტანის შესახებ, აგრეთვე—ე. წ. „საბერძნეთის პროექტი“, რომელსაც საფუძვლად დაედო რუსეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ბეზბოროდკოს მემორანდუმი, მკაცრად რედაქტირებული ეკატერინე II-ის მიერ 1782—1783 წლებში. როგორც ცნობილია, ეკატერინე II-ისა და ავსტრიის იმპერატორის იოსებ II-ის საიდუმლო შეხვედრამ მოგილევში (1780 წ.) დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის კონტინენტზე. „მოგილევის პაემანმა მთელი მსოფლიო განაცვიფრაო“, შენიშნავდა ალექსანდრე ტრაჩევსკი (იხ. მისი „რუსეთის ისტორია“, სპბ., 1895, ნაწ. II, გვ. 230—231, რუსულ ენაზე). ნაპოლეონი უთუოდ იცნობდა ევროპული პრესის გამოხმაურებას ეკატერინეს გეგმებზე, აგრეთვე მაქსიმილიანე რობესპიერისა და ბ არერის სიტყვებს, რომლებიც წარმოითქვა საფრანგეთის ნაციონალურ კრებაზე და შეიცავდა ეკატერინე II-ის ექსპანსიონისტური პროგრამის მკაცრ კრიტიკას.

7. ნაპოლეონი, კერძოდ, უნდა გულისხმობდეს საფრანგეთის მოქმედებას 1739—1740 წლებში, როცა მარკიზმა ვილნევმა თავისი ენერგიული დემარშებით შეამსუბუქა ოსმალეთის მდგომარეობა და მიაღწია სულთნისათვის ხელსაყრელი საზავო ხელშეკრულების დადებას ავსტრიასა და რუსეთთან. ისტორიკოს ა. ვანდალის სიტყვით, ბელგრადის ზავი (1739 წ.) ლუი XV-ემ იზეიმა, როგორც მოგებული ბრძოლა და საფრანგეთში საგანგებო მედალიც მოჭრეს. მედალზე ადამიანის სილუეტს, რომელიც საფრანგეთს გამოსახავდა, ხელთ ეჭირა ზეთისხილის მცენარის

რტო, როგორც ომზე გამარჯვებისა და მშვიდობის ტრიუმფის ემბლემა (ა. ვ ა ნ დ ა ლ ი, საფრანგეთის საელჩო აღმოსავლეთში ლუი XV-ის დროს, პარიზი, 1887, გვ. 352—353, ფრანგულ ენაზე).

8. მალტის ორდენი—პირველი იმ ორდენთა შორის, რომლებიც წარმოიშვნენ ჯვაროსნული ომების დროს; დაარსდა XI საუკუნეში. მის მფარველად წმინდა იოანე ნათლისმცემელი გამოაცხადეს. აქედან ორდენის სახელწოდებანი—„იოანიტები“, „წმინდა იოანეს ორდენი“ და ა. შ.

9. 1797 წელს გარდაიცვალა მალტის ორდენის მაგისტრი ემანუელ დე როჰანი. მისმა მემკვიდრემ ფერდინანდ ჰომპეშმა პაველ I-ს უბოძა მალტის ორდენის მფარველის უფლებები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთ-მალტის კოალიციის ორგანიზებას, ნაპოლეონი აზვიადებს.

10. გადაჭარბებულია ასეთი მტკიცება. მტკიცების საბაბი, ისაა, რომ ეგვიპტისაკენ მიმავალმა ნაპოლეონმა, მართლაც, აიღო მალტა 1798 წელს, თანაც—სერიოზულ წინააღმდეგობას არ წაწყდომია.

11. ცნობილია, რომ იმ ფირმანით, რომლითაც ოსმალეთმა საფრანგეთს ომი გამოუცხადა, ფრანგები წარმოდგენილი იყვნენ, როგორც ყოველგვარი რჯულის უარმყოფელი ერი. ნაპოლეონის წერილში გაცემულია პასუხი ამ ბრალდებაზე, მაგრამ საამისოდ მომარჯვებულია სინამდვილის შეფერადება. შეფერადებას მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული საბაბი შეიძლება ყოფილიყო ზოგიერთი ფრანგი მოქალაქის გადასვლა ისლამის რჯულზე. მაგალითად, გენერალმა მენუმ მიიღო ეს რჯული, ცოლად შეირთო ეგვიპტელი არაბი ქალი, სახელად „აბდალაჰი“ დაირქვა და აპირებდა სამუდამოდ ეგვიპტეში დამკვიდრებას. აბდალაჰ მენუს ფრანგი ისტორიკოსები ეგვიპტის კოლონიზაციის ფანატიკურად მომხრე დასის ბელადად თვლიან და ამ მხრივ უპირისპირებენ გენერალ კლებერს.

12. ფრანგი მკვლევრები ბრალს სდებენ დირექტორიას, რომ მან ოსმალეთთან სათანადო კონტაქტებით დიპლომატიური ნიადაგი არ შეუმზადა ეგვიპტის ლაშქრობას.

13. ოსმალეთის სულთანი სელიმ III-ს (1762—1808 წწ.) ჰამერ-პურგშტალის ცნობით, დედა ქართველი ჰყავდა.

14. „დიდ სენიორს“ საშუალო საუკუნეებში ეძახდნენ ოსმალეთის სულთნებს.

15. ოტომანები—ოსმალების ჩვეულებრივი ევროპული სახელწოდება. აქედან იხმარებოდა ტერმინი—„ოტომანების პორტა“. . ერეკლე II-ის წერილებში ვხედებით ტერმინს „ათამანის პორტა“.

16. ოსმალეთის მიერ საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების თარიღად ფრანგ მკვლევართაგან ერთნი ასახელებენ 1798 წ. 9 სექტემბერს, მეორენი—იმავე წლის 12 სექტემბერს, მესამენი—8 ოქტომბერს.

17 დეკორში მარი ლუი ჰენრი (1749—1830)—ცნობილი ფრანგი დიპლომატი იყო სრულუფლებიან ელჩად პოლონეთში, ვენეციასა და სტამბოლში. მის კალამს ეკუთვნის ვრცელი მოხსენებითი ბარათი („მემორიალი“) ოსმალეთის იმპერიის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში საფრანგეთის როლის შესახებ.

18. ჟოზეფ ბოშამპი (1752—1801 წწ.)—ფრანგი ასტრონომი, რომელმაც იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში და აღწერა იგი, კერძოდ—შეეხო არზრუმ-ტრაპიზონის და თბილისის მნიშვნელობას საერთაშორისო ვაჭრობასა და პოლიტიკაში.

19. ღაზა—ქალაქი პალესტინაში.

20. იგულისხმება ავსტრიის მეფე.

21. კორფუ—იონიის კუნძულთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი (კეფალონიის შემდეგ). მის მთავარ ქალაქსაც კორფუ ჰქვია. XVIII საუკუნეში სასტიკი ბრძოლების ასპარეზად იქცა.

22. იგულისხმება საბერძნეთის არქიპელაგი, სადაც, ოსმალეთთან დადებული 1799 წლის 3 იანვრის ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი საომარ ოპერაციებს აწარმოებდა ადმირალ თევდორე უშაკოვის მეთაურობით.

23. ნაპოლეონს მხედველობაში აქვს ე. წ. მუჰამედის ბაირაღი—ოსმალეთის საღვთო დროშა. გამოჰქონდათ ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ ომის გამოცხადების დროს და განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში. ასეთ ცერემონიალს ჩვეულებრივ ახლდა მუსლიმანური ფანატიზმის აფეთქება სტამბოლის ქრისტიანი მოსახლეობისა და ევროპის ელჩების საუბედუროდ.

24. გერმანელებში აქ ავსტრიელები იგულისხმებიან.

25. ეს მტკიცება სწორი არ არის (იხ. წინამდებარე სტატიის შესავალი ნაწილი).

26. ელჩს ევროპასა და რუსეთში ხშირად „მინისტრს“ უწოდებდნენ.

27. იგულისხმება თურქეთის მაშინდელი სახელმწიფო.

28. შესაძლებელია, ნაპოლეონისათვის ცნობილი გახდა რუსეთის ელჩის ვასილ ტამარას გეგმა—

ამოფარებოდნენ 1800 წ. თებერვალში დადებულ ელ-არიშის კონვენციას და გზაში ამოეჟლიტათ ფრანგთა დატყვევებული არმია, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაზე გადაელით სამშობლოსაკენ გაეშურებოდა (რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფონდი „რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთთან", 1799, საქმე № 897, ფურც. 65—73).

29. ნაპოლეონ ბონაპარტი, ალბათ, გულისხმობდა ისეთ ფაქტებს, როგორიც იყო ფრანსუა I-ის (1494—1547 წწ.) კავშირი ოსმალეთის სულთანთან და მათ მიერ გერმანიის იმპერატორის წინააღმდეგ ერთობლივად გადახდილი ომი.

Д. В. ДЖАНЕЛИДЗЕ

# ОДИН ДОКУМЕНТ ИЗ ПРЕДЫСТОРИИ ВОСТОЧНОГО ВОПРОСА

## Резюме

В статье публикуется и анализируется письмо Наполеона Бонапарта к турецкому Верховному везирю Юсупу Зия, составленное в период Египетского похода французов. Документ имеет своим назначением склонить Турцию к заключению выгодного для Франции мира и расторжению антифранцузской коалиции. Изучаемый источник подтверждает бытующее в европейской научной литературе мнение о том, что Директория дипломатически не подготовила почвы для Египетского похода. Интересно, что русская дипломатия заколго до этого французского предприятия разгадала подлинное назначение Тулонского лагеря Бонапарта, чего не сумела сделать английская дипломатия (на это указывает любопытный русский источик — см. Архив внешней политики России, фонд «Сношения России с Турцией», д. % 872, л. 12—20).

წარმოადგინა ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის კათედრამ.

# დისკუსია და განხილვა

მამისა ბერძნიშვილი

## ნიკორწმინდელის „დაწერილის“ დათარიღების შესახებ

XI საუკუნის ქართულ საისტორიო წყაროებს შორის თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით გამოირჩევა რაჭის სახელგანთქმული მონასტრის—ნიკორწმინდის—უცნობი წინამძღვრის «დაწერილი»— ამ წინამძღვრის საქმიანობის ანგარიში; ეს ძეგლი უნიკალური წყაროა XI ს-ის საქართველოს შინაური ცხოვრების, სამეურნეო ყოფის, საყოფაცხოვრებო კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური წყობის შესასწავლად.

დედანი ამ საბუთისა დღეს დაკარგულია. იგი ნახა, მისგან სრული პირი გადმოიღო და დაბეჭდა XIX ს-ის ბოლოს თ. ჟორდანიამ. ნუსხა-ხუცურით ნაწერი 11,5×219 სმ ზომის ტყავის ამ საბუთს, თ. ჟორდანიას სიტყვით: «თავი აკლდა და ბოლოც მოწყვეტილი და დაზიანებული» ჰქონია. «პალეოგრაფიული მისი ნიშნები გვიჩვენებს, რომ სიგელი დაწერილია მე-XI საუკუნის ხელით. ამას ეთანხმება თვით შინაარსი სიგლისა, რომელშიაც მოხსენებული არიან იმავე საუკუნის ისტორიული პირნი: იოანე, ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტის ძე, რომელიც სჩანს 1058 წ. და მეფის გიორგი II-ის დროს, კახაბერი, რომლის დროს აშენდა ნიკორწმინდა . . . ვარაზვაჩე, ქველაძსძე და სხვ. . . . »[1]

XX საუკუნის ათიან წლებში ეს საბუთი ნახა და ასევე მისი სრული პირი გადმოიღო ს. კაკაბაძემ. მანაც ეს საბუთი XI საუკუნისად ჩათვალა. XI საუკუნისად მიაჩნდათ ეს დოკუმენტი ივ. ჯავახიშვილს,[3] ნ. ბერძენიშვილს[4] და მის უკანასკნელ გამომცემელს ი. დოლიძეს[5].

თავის დროზე შევეცადე საბუთის ზოგადად XI საუკუნით დათარიღებაში ერთგვარი დაკონკრეტება შემეტანა და ნიკორწმინდელის „დაწერილის“ შექმნა 1071—1080 წლების შუალედით შემოვფარგლეთ, ამასთან ვთვლიდი, რომ თვით საბუთის ავტორის წინამძღვრობა — ნიკორწმინდელობა დაახლოებით 1050-იან წლებში დაიწყებოდა და ე. ი. საბუთში აღწერილი ხანა 1050—1080 წლებს მოიცავდა[1].

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 43.

[2] ეს პირი დაცულია საქ. ცენტრ. არქივში, 1449, № 1563.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, ტფ., 1930, გვ. 101; მ ი ს ი ვ ე, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II. 1965 გვ. 12 და სხვაგან.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 169; მ ი ს ი ვ ე, მოკიდებულისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 122—125.

[5] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., III, გვ. 27.

[6] მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, ნიკორწმიდის „დაწერილი“, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ, თბ., 1979.

ჟურნალ «მაცნეს» ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის 1980 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ილია ანთელავას წერილი «ნიკორწმინდის «დაწერილის» დათარიღებისათვის», რომელშიც უარყოფილია აზრი ამ ძეგლის XI საუკუნისათვის მიკუთვნების შესახებ და მოცემულია ცდა მისი XIII ს-ის ბოლო მესამედით და XIV ს-ის დასაწყისით დათარიღებისა.

ი. ანთელავას არ მიაჩნია საკმარისად ნიკორწმინდელის „დაწერილის“ XI საუკუნით დათარიღებისათვის ჩემ მიერ მოტანილი არგუმენტაცია და აღნიშნავს: «დოკუმენტის დათარიღების შესახებ არსებული მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ გამომცემელთა ერთადერთი სერიოზული არგუმენტი დაწერილის XI საუკუნით დათარიღებისათვის არის იოანე ლიპარიტის ძისა და კახაბერის მოხსენიება, რომლებიც იდენტიფიცირებული არიან იოანე ბაღვაშთან და კახაბერ კახაბერიძესთან. ეს იდენტიფიკაცია ძალზე საეჭვოა» («მაცნე», გვ. 193).

მართლაც, საბუთში იოანე ლიპარიტის ძის მოხსენიება და მისი იდენტიფიკაცია XI ს-ის მოღვაწე იოანე ლიპარიტის ძე ბაღვაშთან ამ საბუთის დასათარიღებელი სერიოზული არგუმენტია.

იოანე ლიპარიტის ძე ნიკორწმინდელის დაწერილში მოიხსენიება იმ „უსასყიდლო“ შემწირველთა შორის, რომლებიც შეწირულების სამაგიეროდ არ იჩენენ არც საუკუნო სახსენებელს და არც აღაპს იდებენ მონასტერში და თავის ქველმოქმედებისას მხოლოდ მონასტრის მატერიალური გაძლიერებით არიან დაინტერესებული. ასეთი ინტერესი კი შეიძლება ჰქონოდა იმ კერძო პირს, რომლის საგვარეულო საკუთრებაშიც შედის ეს მონასტერი. უსასყიდლოდ მონასტერს რაიმეს შესწირავს მხოლოდ მონასტრის მფლობელი, ან მისი მონათესავე საგვარეულოს წარმომადგენელი. ამ მსჯელობიდან გამომდინარე იოანე ლიპარიტის ძე, კიდევაც რომ არ ვიცოდეთ მისი ვინაობა, უეჭველად ჩაითვლება ნიკორწმინდის მონასტრის მფლობელი ან მისი მონათესავე საგვარეულოს წევრად. ამ საგვარეულოებში კი ივანე ლიპარიტის ძე XI—XII საუკუნეებში ერთადერთია—ესაა იოანე ლიპარიტის ძე, შვილი ბაგრატ IV-ის ძირითადი მოწინააღმდეგე ფეოდალის ერისთავთერისთავის ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაშისა[7], ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის თანამედროვე. მისი ბიოგრაფია ძირითადად ცნობილია: როდესაც ბაგრატ IV-ემ 1057 წელს შეიპყრო ლიპარიტი და მისი ძე იოვანე, მეფემ დაიჭირა ლიპარიტის სამფლობელო კლდეკარი, ლიპარიტმა კი «ჩაიცვა ჩოჴანი»—ბერად შედგა და «შეჰვედრა ძე თჳსი ივანე მეფესა. დარჩა არგვეთის მამული ივანეს». ლიპარიტი ბიზანტიას გადასახლდა, ივანე კი არგვეთის მამულში დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ ივანე მამასთან გაიპარება. 1059 წელს[9] ლიპარიტის შუამდგომლობით ბაგრატ IV-მ იო-

---

[7] ბაღვაშთა საგვარეულოში იყო კიდევ ერთი ივანე ლიპარიტის ძე ლიპარიტ ლიპარიტის ძის უმცროსი ძმა, რომელიც გარდაცვლილად მოიხსენიება ლიპარიტ ლიპარიტის ძის 1047 წლის ანდერძ-მინაწერში (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი № 19, გვ. 550—551. ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბ., 1953, გვ. 93). ამ ივანე ლიპარიტის ძის ცხოვრება წინ უსწრებს ნიკორწმინდელის „დაწერილში“ აღწერილ ვითარებას. „დაწერილში“ ნახსენებია ბიზანტიური მონეტები დუკატი და კონსტანტინატი, რომლებიც იჭრებოდა ბიზანტიის იმპერატორების კონსტანტინე X-ის (1059—1067) და მიხეილ VII-ის (1071—1078) დროს, ამ ივანე ლიპარიტის ძეს კი მათ მეფობაზე გაცილებით ადრე ხანაში უცხოვრია.

[8] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ., 1955, გვ. 304, 305.

[9] Ф. Жордания, Описание рукописей Тифл. Церковного Музея, кн. II, Тифлис, 1902, გვ. 50—51.

ვანე საქართველოში დააბრუნა «და უბოძა მამული არგვეთისა და ქართლისა»[10]. 1059 წ. საქართველოში მობრუნებულმა იოანე ლიპარიტის ძემ დიდი კულტურული მოღვაწეობა გააჩაღა არგვეთში: კაცხის მონასტერს შესწირა 1053 წელს კალიპოსს გადაწერილი ოთხთავი, წმ. გიორგის თვალმარგალიტით შემკობილი ოქროს ხატი, ვერცხლის საცეცხლური[11] და სხვა საეკლესიო ნივთები (საფიქრებელია, ამავე ხანებში შესწირავდა ივანე ლიპარიტის ძე თავის შესაწირავს ნიკორწმინდას). ბიზანტიიდან დაბრუნებული ივანე ლიპარიტის ძე ერთხანს მეფის ერთგული რჩება. გიორგი II-ეს კი ივანე რამდენჯერმე განუდგა, ხოლო როცა სულთანი მალიქშაჰი საქართველოს შემოადგა, ივანემ «მიაგება ძე მისი ლიპარიტ წინა». სულთანმა სიხარულით «შეიწყნარა» ლიპარიტი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ლიპარიტ (ივანეს ძე) იქიდან გამოიპარა. მაშინ სულთანი «მოადგა სამშვილდესა და წარუღო სამშვილდე და ტყვე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილიშვილითა»[12]. ივანე ლიპარიტის ძე 1074 წელს დატყვევდა[13]. ამ ფაქტის შემდეგ იგი ისტორიაში აღარ ჩანს.

ივანეს შეწირულება ნიკორწმინდის მონასტერში მოხდებოდა ბიზანტიიდან დაბრუნების —1059 წლის—შემდეგ, მაგრამ 1074 წლის —მისი დატყვევების— უწინარეს. ამ შეწირულების შესახებ ნიკორწმინდელის «დაწერილში» ვკითხულობთ: «იე ლიპარიტის (ძემან) შე(მოსწირა ს) ტაერაჲ ლომოანი ბერძ(ული) და უკიდავს». ბიზანტიიდან ჩამოტანილი «სტაერაი ლომოანი ბერძული»—ე. ი. ისეთი სახიანი სტავრა (აბრეშუმის მძიმე ქსოვილი), რომელზედაც წრეში ჩასმული ლომის თავები იყო გამოხატული[14], ივანე ლიპარიტის ძეს მონასტრისათვის შეუწირავს საკურთხეველზე ან აღსავლის კარზე ფარდად ჩამოსაკიდად. ქსოვილის ასეთი დანიშნულებით შემოწირვა ხშირად არის დადასტურებული XI — XII სს ქართულ საისტორიო წყაროებში. მაგ., დავით აღმაშენებელმა სინას მთის მონასტერს შესწირა «მოსაკიდელნი ოქსინონი» (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 353), მელქისედეკ კათალიკოსი მოიხსენიებს «რომელ ეზონი (—ფარდანი) ჩემნი დაკიდულნი არიან, . . . დავჰკიდენ ოქსინონი:გ: სუნდუსნი: გ: (ქართული სამართლის ძეგლები, III,გვ. 21), თამარ მეფემ ათონის ივერთა მონასტერს გამოუგზავნა «ორნი დიდნი სტავრანი» (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, გვ. 259), ათონის წინამღვარმა პავლემ «მოიგო ეზოჲ დიდთა კართა ეკლესიისათა აბრეშუმისა» (იქვე, გვ. 271).

ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშის ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენიებული ივანე ლიპარიტის ძესთან გაიგივება ი. ანთელავას «ძალზე საეჭვოდ» მიაჩნია და იმისათვის, რომ ეს იდენტიფიკაცია «ძალზე საეჭვოდ» და საერთოდ მიუღებლად აქციოს, იგი მიმართავს მეტად თავისებურ ხერხს—«ი ო ა ნ ე ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ძ ე» საბუთისა წარმოადგინა ი ო ა ნ ე დ,

---

[10] მატიანე ქართლისა, გვ. 305.

[11] ივანე ლიპარიტის ძის ეს შეწირულებანი ჩაწერილია ხელნაწერი ოთხთავის A—484-ის ფურც. 315-ის r-სა და v-ზე (Ф. Жордания, Описание.... II, 50—51) სრულად ეს მინაწერი დაბეჭდილი აქვს ვ. ბერიძეს: კაცხის ტაძარი. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1950, გვ. 69.

[12] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316—317 (იეანე ლიპარიტის ძის შვილიშვილია რატი ლიპარიტის ძე, რომელიც 1103 წელს მოკვდა. მისი სიკვდილით „დასრულდა სახლი ბაღვიაშთა", იქვე, გვ. 266).

[13] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 59.

[14] ი.ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 180.

კახაბერის ძმად და ცდილობს საისტორიო წყაროებში მონახოს ისეთი იოანე, რომელიც კახაბერთან ერთად მოიხსენიება, ასეთად ის თვლის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულ იოვანეს და კახაბერს. «იოვანე და კახაბერ . . ჩამოლოცვითა შემოსწირა მონასტერსა ორი ათასისა დრამა დიდსა დაჭირებასა შინა მონასტრისა»[15]. რაკი ეს აღაპი XIII ს-ის ბოლო მეოთხედით აქვს დათარიღებული ე. მეტრეველს[16], ამიტომ ნიკორწმინდელის «დაწერილში» ნახსენები იოანე ლიპარიტის ძე და კახაბერი XIII ს-ის ბოლო წლებში მცხოვრებ იოანედ და კახაბერად მიიჩნია («მაცნე», გვ. 195); ამ მოულოდნელი და უცნაური იდენტიფიკაციის ე რ თ ა დ ე რ თ საფუძვლად ი. ანთელავას ამ ორი პირის (იოანეს და კახაბერის) ერთად მოხსენიება მიაჩნია. ერთად მოხსენიებული იოანე და კახაბერი ყველა დროის საბუთებში შეიძლება მოინახოს, მაგრამ განა შეიძლება ყველა მათი გაიგივება ნიკორწმინდელის «დაწერილში» ნახსენებ პირებთან? მაგალითისათვის დავასახელებთ «სვანეთის სულთა მატიანეს», სადაც ერთად იხსენიებიან იოანე და კახაბერ გურსელიანები.[17] ვინ არიან ჯვარის მონასტრის აღაპებში ნახსენები იოვანე და კახაბერი, ან რა კავშირი აქვთ მათ ნიკორწმინდის მონასტერთან, ამით ილ. ანთელავა არ ინტერესდება. იგი სრულიად ივიწყებს, რომ ი ო ა ნ ე ნიკორწმინდელის საბუთისა არის ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ძ ე და ე. ი. სრულიად გარკვეული პიროვნება — XI ს-ის შუა წლებში მცხოვრები იოანე ლიპარიტის ძე ბაღვაში. სხვადასხვა საგვარეულოში ი. ანთელავა, თუ მოისურვებს, მონახავს იოანეებსაც, კახაბერებსაც, ლიპარიტებსაც,—მაგრამ იოანე ლიპარიტის ძეს ბაღვაშთა გარდა ნიკორწმინდის მონასტრის ახლოს მდგომ ვერც ერთ საგვარეულოში ვერსად იპოვის[18].

ი. ანთელავამ კახაბერი იოანეს ძმად გამოაცხადა (გვ. 196) და კახაბერს დააკისრა იოანეს «სულზე» ზრუნვა. ამიტომ «დაწერილისეული» «იოანე ლიპარიტის (ძემან) შე(მოსწირა ს)ტავრაჲ ლომოანი ბერძული» შეცვალა ახალი ვარიანტით, რომელსაც «აზრობრივადაც და გრამატიკულადაც გამართულს» უწოდებს: «იოანე ლიპარიტის (ძისა სულისათვის») სტავრაჲ ლომოანი ბერძ(ნული) დაუკიდავს კახაბერსა» («მაცნე», გვ. 194). რამდენად .«გამართულია» ეს წინადადება «აზრობრივად და გრამატიკულად», ეს მკითხველმა განსაჯოს. ანთელავას კი შევახსენებთ, რომ წინადადების აღდგენა-გამართვისათვის უნდა გაითვალისწინოს ის, რაც ტექსტშია მოცემული. ტექსტში კი შემორჩენილია ასოთა კომპლექსი «შე», რაც მის ამომკითხველს საშუალებას აძლევდა სრული უეჭველობით აღედგინა სიტყვა «შემოსწირა»[19]. აქედან: ი. ანთელავას მიერ შემოთავაზებულ აღ-

---

[15] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 80.

[16] იქვე, გვ. 118.

[17] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941, გვ. 148.

[18] დავითის ისტორიკოსთან ნახსენები ივანე ორბელი, რომელმაც 1110 წელს სამშვილდე „სიმარჯვით მოიპარა“ (ქცა, 1, გვ. 331), სტ. ორბელიანის თქმით, ლიპარიტ აფხაზისშვილი იყო. ორბელთა საგვარეულოში ივანე ლიპარიტის ძე XIII ს-ში ჩანს ორი, დემნა უფლისწულის განდგომილების მონაწილე ორბელთა ჩამომავალნი, ერთი ირანში დარჩენილი, მეორე განძის ამირასთან შეკედლებული. ამ ორბელებს ნიკორწმინდის მონასტერთან, ცხადია, არაფერი ჰქონიათ საერთო.

[19] ასეა მოცემული ეს სიტყვა ს. კაკაბაძის მიერ შესრულებულ პირში. სამწუხაროდ, ეს დეტალი არაა გათვალისწიებული საბუთის არც ჩვენსა და არც ი. დოლიძის გამოცემაში.

დგენას—«ძისა სულისათვის»—და მასზე დამყარებულ ტექსტის ინტერპრეტაციას საფუძველი ეცლება.

საბუთის მონაცემების თვითნებურად გადასხვაფერების არნახულ მაგალით იძლევა ი. ანთელავა ნიკორწმინდის „დაწერილის“ შემდეგი წინადადების წაკითხვაში: ტექსტისეული „კახაბერსა...| ... ს ცოლმან ზაზი შე[მოსწირა]|[ბა]ღდადური აფი:ა: და შევკ[ერ]|ენ კუართი: ა: და სასთაული : ბ: |,“ შეცვლა ამგვარად. „...ს ცოლმან ზეზი შემოსწირა ბაღდადური. ალაფი: ა: და შევკერენ კუართა ა და სასთაული ბ.“ („მაცნე“, გვ. 194—195). ამ ერთ წინადადებაში ი. ანთელავას სამი შესწორება შეაქვს. 1. „კახაბერსა“ გადააქვს წინა წინადადებაში; 2. ქალის სახელს „ზაზი“ — ცვლის ქსოვილის აღმნიშვნელი სიტყვით „ზეზი“, 3. ქსოვილის სახელწოდება „აფი“ — მისთვის უცნობი — შეცვლილია მისთვის ნაცნობი სიტყვით „ალაფი“.

საბუთში ნახსენები „ბაღდადური აფი“ კონტექსტით ჩვენ განვმარტეთ როგორც „ქსოვილი ერთდაგვარი“[20].

ი. ანთელავას არ აკმაყოფილებს სიტყვის გასაგებად მხოლოდ კონტექსტის მოშველიება და რაკი „ხანგრძლივი ძიების მიუხედავად ვერც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ქსოვილს ამ სახელწოდებით“ (გვ. 194), ამავე დროს მისთვის ცხადი იყო, რომ მონასტრისათვის შეუწირავთ ქსოვილი, რომლისგანაც ერთი კვართი და ორი სასთაული შეუკერიათ, ამიტომ დოკუმენტის ხსენებულ წინადადებაში ქსოვილის აღმნიშვნელ სიტყვას სხვაგან დაუწყო ძებნა. ასეთად მან მიიჩნია „ზაზი“. ზაზი ქალის სახელია — (ეტყობა ი. ანთელავასთვის უცნობი), დადასტურებული XI ს-ნის დასაწყისის ფიქალწერილსა[21] და სვანეთის სულთა მატიანეში“[22]. ი. ანთელავას თქმით კი „ზაზი უნდა იყოს ის ქსოვილი, რომელიც გვხვდება „ზეზი“, „ზეპეზის“ სახელწოდებით. „ზაზი“ „ზეზის“ ვარიანტული სახელი უნდა იყოს“ (!) (გვ. 194).

მას შემდეგ რაც ი. ანთელავამ ნიკორწმინდის მონასტერს ამგვარად მოუპოვა შემოწირული ქსოვილი—ზაზი (?), ახლა მისთვის ასახსნელი გახდა «აფის» მნიშვნელობა. ამისთვის გაუგებარი სიტყვა «აფი» შეცვალა მისთვის გასაგები სიტყვით «ალაფი». საინტერესოა, თუ კი საქმე სიტყვის შეცვლაზე, ანუ სიტყვაზე ახალი მარცვლის მიმატებაზე იყო, რატომ არ შეცვალა «აფი» ისე, რომ მისი გაგება ისევ ქსოვილის მნიშვნელობისა დარჩენილიყო, მაშინ ხომ აღარ იქნებოდა საჭირო ახალი ქსოვილის—«ზაზის» ძებნა? მაგალითად, ჩაეწერა «ბაღდადური ბაფი»[23], მაგრამ ი. ანთელავას სჭირდებოდა «ალაფი», რათა იგი ბაღდადის მონ-

---

[20] მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმიდის „დაწერილი“, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 41.

[21] „ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩ ნ ზაზი და თომან“. გ. ბოჭორიძე, ორი ფიქალწერილი, „საისტორიო მოამბე“, 1, 1925, გვ. 102.

[22] გეგოდანი ზაზი, ათარიანი ზაზი, ქარჩიანი ზაზი, არნიანი ზაზი, ფინთიანი ზაზი, გაგლიანი ზაზი და სხვ. (პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 13, 137, 139, 143, 152

[23] სპარსული بافتن (ქსოვა) ზმნის ფუძე باف აწარმოებს კომპოზიტს (زربفت) (ზარბაფ) —ოქრომკედი, ოქროქსოვილი ფარჩა. (Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1953, გვ. 259).

ღოლების მიერ 1258 წ. აღებასა და აქედან ალაფის წამოღებასთან დაეკავშირებინა და ამით ხელოვნურად საბუთიც XIII ს-ის ბოლოსად გამოეცხადებინა. «ზეზისა» და «ალა-ფის» შემოტანით—ამ ორმაგი მანიპულაციით იგი ადგენს შინაარსობრივად საკმაოდ გაუმართავ და ნიკორწმინდელის სხარტი და მკაფიო სტილისათვის სრულიად შეუფერებელ წინადადებას: «(ვიღაცის) ცოლმან ზეზი (ქსოვილი) შემოსწირა ბაღდადური ალაფი ერთი და შევკერენ კვართი ერთი და სასთაული ორი». «დაწერილის» ავტორი ნიკორწმინდელი კი მის წინამძღვრობაში მომხდარ შეწირულების ყოველ ფაქტს ალაგებს ერთნაირი თანმიმდევრობით: ჯერ ასახელებს შემომწირველ პიროვნებას, შემდეგ შემოწირვას («შემოსწირა»), შემოწირულების რაობას და ბოლოს რა უყო მონასტერმა შეწირულებას.

1. ნუშ შემოსწირა კუბასტი ბერძნული: ა: და კუართად შევკერეთ

2. წორბელმან შემოწირა ზნაკუას გლეხი: ბ: და მიწანი და მისთვის ალაპი გარდაექდების...

3. ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათვის ფუთს გლეხი: ბ:..

4. ი˜ე ლიპირიტის ძემან შემოსწირა სტავრაჲ ლომოანი ბერძნული ა: როგორც ვხედავთ ყველა ეს წინადადება ერთნაირი კონსტრუქციისაა და მათ ანთელავასეული ვარიანტი ფრაზისა სრულიად არ ეთანხმება.

კიდევაც რომ ვერასდროს ვერ გავიგოთ «აფი»-ს ნამდვილი მნიშვნელობა, მაინც ეს გარემოება ამ სიტყვის შეცვლის ნებას არავის აძლევს. («დაწერილში» გვხვდება კიდევ სხვა ისეთი სიტყვა, რომლის მნიშვნელობა დღეს ჩვენთვის უცნობია და მის აზრს მხოლოდ კონტექსტით ვგებულობთ, მაგრამ ამისათვის მისი სხვა სიტყვით შეცვლა არავის მოსვლია აზრად. ასეთი სიტყვაა ცილოფი. კონტექსტი ამ სიტყვის ხმარებისა «შევქმენ სახლი ცილოფისა და მუხისა» (V, 3), «შევქმენ . . . სხვაჲ სახლი ცილოფისა: ა:» (XVIII, 2) გვაფიქრებინებს, რომ ცილოფი საამშენებლო მასალაა).

ი. ანთელავას მხედველობიდან გამორჩენია, რომ ნიკორწმინდელის «დაწერილის» ტექსტის დასაწყისი ნაწილი თ. ჟორდანიას გამოცემაში მოცემულია სტრიქონების დამთავრების ნიშნისა და ნაკლულ ასოთა ადგილის ტირეებით ჩვენებით. სიტყვა «აფი» დედანში მოთავსებული ყოფილა სტრიქონის შუა გულში, ისეთ ადგილას, სადაც მას არც მარცხნივ და არც მარჯვნივ არაფერი აკლია, ჩვენამდე დაუზიანებელი სახითაა მოღწეული: «(ბა)ღდადური აფი:ა: და შევკე(რე)ნ . . .“ ამიტომ ვერ დავუშვებთ, რომ 1. სიტყვა «აფი-»-ს აკლია დასაწყისი ნაწილი «ალ»; 2; შეუძლებელია «აფი» დაქარაგმებული «ალაფი» ყოფილიყო. 3. ძნელი წარმოსადგენია და ალბათ შეუძლებელიც, რომ 1258 წ. ბაღდადში ნაშოვნი ალაფიდან ერთი ნაჭერი ქსოვილი, სადღაც გადანახული 50—60 წლის შემდეგ შეეწირა ნიკორწმინდისათვის ვიღაცის ცოლს. 4. როცა ი. ანთელავამ ნიკორწმინდელის «დაწერილში» შემოიტანა სიტყვა «ზეზი» ქსოვილის აღმნიშვნელად, ის უნდა დაკვირვებოდა შემდეგ გარემოებასაც. შემოწირული ქსოვილისაგან ნიკორწმინდაში კვართი და სასთაული შეკერეს. შეიძლებოდა კი ზეზისაგან კვართის შეკერვა? ზეზი ხომ ოქრომკედია, ანუ ძაფთან «ოქროსთმა» შერთული ქსოვილი (სჭბა), რომლისგანაც, როგორც თვითონ ამბობს, იკერებოდა ბისონი[24]. განა შეიძლებოდა ერთი და იმავე ქსოვილისაგან შეეკერათ ბისონი (სამღვდელმსახურო გარესამოსელი) და კვართი (სამღვდელმსახურო შიდა სამოსელი)? კვა-

[24] ზეზის ამგვარი გაგება ი. ანთელავას მოაქვს ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ი ს წერილიდან „ბისონი“, ქსე, II.

რთი — (ПОДРИЗНИК) იკერებოდა შედარებით უფრო მსუბუქი აბრეშუმის ქსოვილისაგან და არა იმ ქსოვილისაგან, რომლისგანაც ბისონს ჰკერავდნენ:[25].

ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადია, ი. ანთელავასეული გადაკეთება „დაწერილის“ ხსენებული წინადადებისა შეუძლებელია ტექნიკურად, სტილისტურად, შინაარსობრივად და აზრობრივადაც. ეს წინადადება ისევე უნდა დარჩეს, როგორც თ. ჟორდანიას გამოცემაში და ს. კაკაბაძის მიერ შესრულებულ პირშია. ამ გამოცემით კი ცხადია, რომ შემწირველი არის ზაზი, ვიღაცის ცოლი (კახაბერისაძის ცოლმან, ან კახაბერისა ე̃ესა ცოლმან, ან კახაბერის ძის რატის ცოლმან). ხოლო ის გარემოება, რომ ზაზი სახელობით ბრუნვაშია მოცემული, ეს ისევე დამახასიათებელია ნიკორწმინდელის „დაწერილისათვის“, როგორც საერთოდ ძველი ქართულისათვის.

...ზაზი შემოსწირა...
ნუშ შემოსწირა
ვარაზვაჩე შემოსწირა
ე̃ე მან მ ქ ლ შემოსწირა.

რაც შეეხება „აფს“ — კონტექსტით რომ ბაღდადიდან შემოტანილი ქსოვილის სახელწოდებას აღნიშნავს, მისი მნიშვნელობის გასარკვევად რამდენიმე საშუალება გაგვაჩნია.

ბერძნულში ქსოვას ὑφαίνω ეწოდება, ხოლო ნაქსოვს, ქსოვილს— ἡ ὑφή, რომელიც საშუალო ბერძნულში—ბიზანტიურში გამოითქმოდა როგორც იფი[26]. სიტყვის დასაწყისში უმახვილო ი (ამ შემთხვევაში გრაფემა υ-ით იფსილონით წარმოდგენილი) ზოგჯერ გამოთქმაში გადადის α-ში. მაგ., ὑψηλός → ἀψηλός (უფსელოს—აფსელოს—მაღალი).[27] ასეთივე მოვლენა უნდა წარმოვიდგინოთ აფის შემთხვევაშიც: საშუალო ბერძნულის იფი (ქსოვილი) გამოითქმოდა როგორც აფი. «დაწერილისეული» «ბაღდადური აფი»—ყოფილა «ბაღდადური ქსოვილი»[27]

თუშურ დიალექტში შემონახულია სიტყვა აფი — მწვანეს, მწვანე ძაფის ან მწვანე ქსოვილის მნიშვნელობით[28]. ეს სიტყვა „აფე“-ს ფორმით, მწვანეს მნიშვნელობით მოცემულია თუში პოეტის ეთერ თათარაიძის ლექსში[29].

თუ „ბაღდადურს“ გავიგებთ ბაღდადში დამზადებული ქსოვილის მნიშვნელობით (ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ბაღდადი, მარანდი, ბუხარა, ქაშანი, იეზდი, ალაბი, ბადახშანი, გილანი... და სხვა მრავალი ქალაქ-ქვეყნების სახელები ამ ადგილებიდან შემოსულ ნაწარმოებთა სინონიმებად იქცნენ ან კიდევ ასეთ ნაწარმოებთა დამზადების წესის შემცველი ცნებები წარმოშვეს“[30]). მაშინ „ბაღდადური აფი“ იქნება ბაღდადში დამზადებული ან ბაღდადიდან შემოტანილი მწვანე ქსოვილი.

ქსოვილის ან ქსოვილის ნაწარმის ფერის აღნიშვნა ქართულ საბუთებში მოულოდნელი არ არის. მელქისედეკის დაწერილში მაგ., ნათქვამია: „მაზარა ნივანდარი:ა:, მწუანე:ა: და კუერცხის გული...: ა:“[31].

---

[25] მიგვითითა ბ. ლომინაძემ.
[26] მიგვითითა თ. ყაუხჩიშვილმა.
[27] G. Hatzidakis, Einleitung in die neugriechische Grammatik, Leipzig, 1892, გვ. 326.
[28] გ. ბოჭორიძის ჩანაწერები, სცსა, ფ. 1758, საქმე № 116 (მიგვითითა ლ. მოლოდინმა)
[29] ეთერ თათარაიძე, იმედის გვირილაო, თბ., 1979, გვ. 7, „კაპრაშა ფერითა-დ აფე წერტილებით რა კოხტებ გამოვიდ ჩითებს“—(კაპრაშა—ყვითელი, აფე—მწვანე. რედ. შენიშვნა).
[30] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 10—11.
[31] ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1970, გვ. 21.

ორივე გაგება აფის მნიშვნელობისა (აფი-ქსოვილი, აფი-მწვანე) აფს ქსოვილის სამყაროში ტოვებს. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული ჰქონდა, რომ „XI ს. საქართველოში გავრცელებულ ქსოვილთა შორის აფი-ც ყოფილა, რომელიც ეტყობა სხვადასხვა ქვეყანაში უკეთებიათ. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ნიკორწმიდის XI ს. საბუთში ნათქვამია—ამა და ამ პირმა „შემოსწირა ბაღდადური აფი ერთი“. ბაღდადს გარდა რომ სხვაგან არსად ექსოვათ აფი, მაშინ მისი ბაღდადურობა დასახელებული არ იქნებოდა“[32].

„ბაღდადური“-ს ხმარება სრულიად არ არის უცხო ქართული ისტორიული სინამდვილისათვის.

ბაღდადური ქსოვილი ნახსენებია „ვისრამიანის“ XII-ს-ში შესრულებულ ქართულ თარგმანში: „ოცდაათ-ოცდაათი თავი სტავრა ...ყუელა ოქროქსოვილი, ჩინური, **ბაღდადური ოქსინო** და ყუელასთანა ყუელა ერთმანეთისა მჯობი“[33]. საინტერესოა, რომ სპარსულ ტექსტში შესაბამის ადგილას წერია „ქსოვილი რუმისა და ჩინისა“[34] — რუმის — ე. ი. ბიზანტიური ქსოვილის ნაცვლად მთარგმნელმა იხმარა ბაღდადური ოქსინო.

ი. ანთელავას მოჰყავს კიდევ ერთი საბუთი შესამტკიცებლად თავისი დასკვნის —რომ ნიკორწმიდის «დაწერილი» XIII ს-ის ბოლოსა და XIV ს-ის დასაწყისშია შედგენილი. მისი აზრით, ნიკორწმიდის «დაწერილში» მოხსენიებული ერისთავთერისთავი მიქელ უნდა იყოს დავით ნარინის შვილი მიქელ. ცნობილია, რომ როდესაც გარდაიცვალა დავით ნარინი, დას. საქართველოში გამეფდა მისი უფროსი ძე კონსტანტინე. ჟამთააღმწერელს ნათქვამი აქვს რომ ამ კონტანტინეს «მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი მიქელ და დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგვეთი და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო ... და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს, რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან»[35]. მიქელისა და კონსტანტინეს ცილობა იმერეთის ტახტისათვის გრძელდებოდა კონსტანტინეს სიკვდილამდე. 1327 წ. გარდაცვლილი კონსტანტინის «წილ დაჯდა მეფედ ძმა მისი მიქელ»[36]. აი ამ მიქელს ი. ანთელავამ ერისთავთერისთავობა მისცა. თუმცა არც ერთ წყაროში მიქელ დავით ნარინის ძე ერისთავად არ იხსენიება. ჟამთააალმწერლისათვის ის «მეფის ძმა მიქელია», ვახუშტისათვის მიქელ მეფე (ქცა, IV, 260, 802). სინას მთის სულთა მატიანეში კი, ეს პიროვნება შემდეგი კონტექსტით მოიხსენიება: «მოხსენებისათჳს და განსუჱნებისათჳს: დავითისთ῀ის და ძისა მთისა კონსტანტინესთ῀ს და ძმისა მისისა მიქელისათჳს ვთქ῀ჳთ ყ῀ლ თა»[36]. მიქელ დავით ნარინის ძე მიქელ მეფის სახელით იხსენიება 1326 წლის მიქელაძეთა სასისხლო სიგელში[37].

მეფობის მაძიებელი უფლისწულისათვის ერისთავთერისთავობა ვერაფერი პატივი იქნებოდა. ეს შემთხვევა მსგავსია იმ კურიოზისა, როცა ილ. ანთელავამ

---

[32] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 179.

[33] ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მ. თ ო დ უ ა მ. თბ., 1962, გვ. 183 [14] [16].

[34] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასლები... გვ. 171.

[35] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ., 1959, გვ. 295.

[36] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ., 1973, გვ. 257, 801.

[37] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 242.

[38] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 33.

გამოსაცდელი ვადით ერისთავობა მისცა დავით სოსლანს[39]. მიქელ რომ მართლაც ერისთავთერისთავი ყოფილიყო, მაშინ რაღა იქნებოდა საცილობელი მასა და მის ძმა მეფე კონსტანტინეს შორის? თუ კი მიქელი ერისთავთერისთავობას დასჯერდებოდა, მაშინ გაუგებარია ისტორიკოსის სიტყვები „არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს“.

ი. ანთელავასთვის ის გარემოება, რომ მიქელი წინაღუდგა მეფე კონსტანტინეს და რაჭა-არგვეთი დაიპყრა, ხსნის იმას, „რომ ნიკორწმიდელის დაწერილში არსად არ ფიგურირებს მეფე და უმაღლეს პირად დოკუმენტში მოხსენებულთა შორის ერისთავთერისთავი მიქელ მოჩანს“ („მაცნე“, გვ. 196). მაგრამ მიქელი რომ კიდევაც ყოფილიყო ერისთავთერისთავი რაჭისა, ეს განა გამორიცხავს კონსტანტინეს მეფობას? ესეც რომ არა, ი. ანთელავამ ხომ არ იცის ნამდვილად ნახსენებია თუ არა დოკუმენტში მეფე. დოკუმენტის იმ ნაწილს, სადაც მეფე უნდა ყოფილიყო მოხსენიებული, ჩვენამდე ხომ არ მოუღწევია.

ი. ანთელავას მსჯელობით მიქელ დავით ნარინის ძე რაჭის ერისთავთერისთავია 1293—1327 წლებში. მაგრამ ეს ხომ ის დროა, როცა მეფემ გააუქმა რაჭის საერისთავო და ერისთავთა სამფლობელო სახასო მამულად გამოაცხადა[40]. რაჭის საერისთავო XIV ს-ს მიწურულს იქნა აღდგენილი[41]. განა მიქელ რომ რაჭის ერისთავი ყოფილიყო, ვახუშტი იტყოდა — „შემდგომად კახაბერისა მოწყვეტისა ეპყრა (რაჭა) მეფეთა“?[42] აი ასეთი არარსებული საერისთავოს არარსებულ ერისთავთერისთავ მიქელს გვთავაზობს ი. ანთელავა ნიკორწმინდელის დაწერილში ნახსენებ ერისთავთერისთავის მიქელის ვინაობის დასადგენად.

ერისთავთერისთავი მიქელ ნიკორწმიდის მონასტრის «უსასყიდლო» შემწირველია და ამიტომ ადგილობრივი საგვარეულოს წევრი. იგი მონასტერს სწირავს ზნაკვაში ნასყიდ ტყიან მიწას და სვინაქსარს და არც ერთი ამ შეწირულების სამაგიეროდ საუკუნო სახსენებელს არ იჩენს მონასტერში. იგი ჩვენ წარმოგვიდგება «დაწერილის» ავტორის წინამძღვრობაში რაჭა-არგვეთის ერისთავთერისთავად. ასეთი პიროვნება კი მართლაც არის დადასტურებული XI ს-ის შუაწლებში. ტყიბულის რაიონის სოფელ ძმუისის ე. წ. მთა საყდრის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული ყოფილა XI ს-ის ოქროს ჯვარი (125X56 სმ ზომისა) წარწერით. ამ წარწერაში იხსენიებიან «ბაგრატ კურაპალატი და ერისთავთერისთავნი კახაბერ და მიქელ»[43]. ამ წარწერის მიქელის შესახებ გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავდა, რომ «მიქელ ერისთავთერისთავი იხსენიება XI საუკუნის შუახანების ნიკორწმიდის სიგელშიც»[44]. ცხადია, XI ს-ში ორჯერ მოხსენიება ერისთავთერისთავ მიქელისა, გამორიცხავს ამ სახელით წოდებული სხვა პიროვნების XIII თუ XIV სს-ში ძებნის საჭიროებას.

---

[39] ი. ანთელავა, თამარ მეფის 1188 წ. სიგლის ზოგიერთი მონაცემებისათვის. „ცისკარი“, 1979 წ. №1, გვ. 131. თამარ მეფის ამ სიგელს სხვა პირებთან ერთად ამტკიცებს „ერისთავი დავით“, რომელიც ანთელავამ დავით სოსლანად ჩათვალა. იგი ფიქრობს, რომ სოსლანისათვის „მეფის წოდება არ მიუციათ. მომდევნო პერიოდში, როცა მან დაამტკიცა, რომ „უკეთური“ მიდრეკილებები არ ჰქონია, იგი ამ ტიტულით აღჭურვეს“ (გვ. 131). ასეთი შორსწასული „მიხვედრა“—დავით სოსლანის გაერისთავება-მას არ დასჭირდებოდა, საბუთის დედანში რომ ჩაეხედა. საბუთის დედანს კი სხვა პირებთან ერთად ამტკიცებს „დავით მეფეც“.

[40] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დას. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 71.

[41] იქვე, გვ. 73.

[42] ვახუშტი, აღწერა.... გვ. 162.

[43] Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 527.

[44] იქვე, გვ. 527. სქ. I.

ი. ანთელავას ნიკორწმინდის „დაწერილის“ გადასათარიღებლად კიდევ ერთი „საბუთი“ მოაქვს. „დაწერილში“ იხსენიება სახელი „შუშან“. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს „სახელი შუშან არ არის პოპულარული დასავლეთ საქართველოში. შუა საუკუნეების წყაროებში ჩვენ მას ვერსად წავაწყდით“ (გვ. 196) და რაკი შუშანა ნახსენებია XIII ს-ს ბოლოს შედგენილს გაბრიელ ლაბეჭინელის საბუთში, ამიტომ ლაბეჭინელის შუშანა და ნიკორწმინდელის შუშან ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოსო და ე. ი. ორივე ეს საბუთიც ერთმანეთის თანადროული. მაგრამ შუშანი ხომ სხვაც იხსენიება „შუა საუკუნეების წყაროებში“, თუმცა ი. ანთელავა „მას ვერსად წააწყდა“ („მაცნე“, გვ. 196). ასეთია მაგ., „ტბეთის სულთა მატიანის“ შუშანი[45], ერთ-ერთი ხელნაწერის მომგებელის დავით ჯიბისძის დედა შუშანი[46]. საინტერესოა, რატომ მათი იდენტიფიკაცია არ შეიძლება ნიკორწმინდელის შუშანთან?

როგორც ვხედავთ, ყველა ის «ზოგიერთი საყრდენი» (ი. ანთელავას სიტყვით რომ ვთქვათ), რომელიც ნიკორწმიდელის «დაწერილს» XIII ს. ბოლოსა და XIV ს-ს დასაწყისს მიაკუთვნებს, ხელოვნური და დაუსაბუთებელია. საკითხავია, თუ ი. ანთელავას თავის არსენალში მხოლოდ ასეთი ნაძალადევი არგუმენტები ჰქონდა, რაღად ღა შეეცადა ის ნიკორწმიდელის «დაწერილის»—საბუთისა, რომელიც აგრე ძვირფასია ჩვენი საისტორიო მეცნიერებისათვის, გადათარიღებას?

ეს საბუთი კი სრული უეჭველობით XI საუკუნეს მიეკუთვნება. მასში იოანე ლიპარიტის ძის მოხსენიება, როგორც „დაწერილის“ ავტორის მოღვაწეობის თანამედროვესი, დოკუმენტის შექმნას XI ს-ის მეორე ნახევარი ათარიღებს. საბუთში იხსენიება ბიზანტიური ფულები: კონსტანტინატი — იპერატორ კონსტანტინე X-ის (1059—1067) და დუკატი — იმპერატორ მიხეილ VII-ის (1071—1078) დროს მოჭრილი ნომისმები. აქედან — საბუთი ვერ დეიწერებოდა 1071 წელზე ადრე. ამავე დროს საბუთის შემდგენი ნიკორწმიდელის სამოღვაწეო ასპარეზი — რაჭა, ოკრიბა, არგვეთი — წარმოგვიდგება ერთობ დაწინაურებულ, ეკონომიკურად ძლიერ, მშვიდობიანი ცხოვრების მხარედ, სადაც მოსახლეობა ეწევა აღმშენებლობას, მამულების გაზრდა-გაფართოებას, ინტენსიური სოფლის მეურნეობის გაშლას. ცხადია, ამ მხარეს ჯერ არ განუცდია სელჯუკიან თურქთა ამაოხრებელი ლაშქრობანი, კერძოდ ე. წ. „დიდი თურქობა“ 1080 წლისა, რის შედეგადაც მრავალი წლის განმავლობაში „არა იყო მათ ქამთა შინა თესვა და მკა. მოოჴრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა. და ნაცვლად კაცთა მჴეცნი და ნადირნი დაემკვიდრნეს მას შინა“[47]. კვალი ასეთი საზარელი აოხრებისა ნიკორწმინდელის „დაწერილში“ არსად ჩანს. ამიტომ ეს დოკუმენტი შედგებოდა 1080 წლის უწინარეს. „დაწერილის“ შედგენის ხანა 1071—1080 წწ. შუალედით უნდა განისაზღვროს.

„დაწერილში“ აღწერილია ნიკორწმიდელის მოღვაწეობის მთელი ხანგრძლივობა, რაც ალბათ ორ ან სამ ათეულ წელს მოიცავდა. საბუთის ავტორი

---

[45] „სულსა გუიანისასა, მარიამისა, ივანესასა, შ უ შ ა ნ ი ს ა ს ა, ახალასასა და მათისავე გუიანისასა, შ ს ღ ნ“. (ტბეთის სულთა მატიანე, გამოსცა თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1979, გვ. 88 № 224).

[46] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A კოლექციისა, ტომი $I_2$. № 135.

[47] დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319—320.

არ არის ნიკორწმიდის მონასტრის პირველი წინამძღვარი (ამაზე მიგვანიშნებს ტექსტის გამოთქმა „მე დამხვდა იადგარი ნახევარწერილი და გავასრულე..“), ხოლო რამდენადაც ნიკორწმინდა აშენდა 1010—1014 წლებში[48], ჩვენი „დაწერილის“ ავტორის ნიკორწმიდელობა დაახლოებით 1050 წლიდან უნდა ვიგულისხმოთ.

ნიკორწმიდელის «დაწერილის» ტექსტი შეიცავს უამრავ მინიშნებას მისი სიძველის—XI საუკუნისათვის მიკუთვნების ცხადსაყოფად. (მაშინ, როცა მასში არაფერია XIII ს-ის ბოლოსათვის დამახასიათებელი). ასეთებია, მაგ., 1) «ჴელის»—როგორც საბუთის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ტერმინის—ხსენება. დოკუმენტის ადრე გავრცელებულ ზოგად სახელს «ჴელს» XI საუკუნის შემდეგ აღარ ვხვდებით და მას ამ დროიდან «დაწერილი» ენაცვლება.[49] XI საუკუნეში კი «ჴელი» საბუთის მნიშვნელობით გვხვდება ნიკორწმიდელის «დაწერილის» გარდა ბაგრატ IV-ის სიგელში[50]. და ზემო კრიხის ეკლესიის წარწერაში;[51] 2). «ძოლოს»-ს ხმარება პატარა ხალიჩის მნიშვნელობით. «ძოლო» ნიკორწმიდელის «დაწერილს» გარდა გვხვდება მხოლოდ ძველ ებრაულიდან ნათარგმნ ძეგლებში. X—XI ს-დან სახელი «ძოლო» თანდათან ქრება და მის სამაგიეროდ შემოდის სიტყვა ნოხი;[52] 3). ბიზანტიური წვრილი ვერცხლის ფულის ზეპირად შეთვისებული სახელწოდება აჟურა. აჟურა იხსენიება მხოლოდ XI-ს-ის ძეგლებში—ნიკორწმიდელის «დაწერილში», გიორგი მცირის შრომაში «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა»[53], XI საუკუნეში ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ თხზულებაში «უწყება და თხობა აღშენებისათვის აია სოფიის ტაძრისა»[54]. 4). ნიკორწმიდელის «დაწერილში» ნახსენებია ტერმინი «კაბალა» —ვალდებულების მნიშვნელობით. ამ ტერმინს ამ დროისათვის ჯერ არა აქვს საბატონო გამოსაღების მნიშვნელობა, როგორრიც მან მიიღო XIII—XIV საუკუნეებში.[55]

ყველა ეს მომენტი ნიკორწმიდელის «დაწერილს» XI საუკუნეს მიაკუთვნებს.

---

[48] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, V, ტფ., 1933, გვ. 195; Г. Чубинашвили, Памятники грузинской архитектуры, Кумурдо и Никорцминда. М., 1947, გვ. 23.

[49] ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1969, გვ. 179—180.

[50] ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძეს გამოც., თბ., 1965, გვ. 8,

[51] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII, 1933, გვ. 236.

[52] ი. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965, გვ. 12.

[53] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით. საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, თბ., 1901, გვ. 335.

[54] ამ თხზულების ქართულად თარგმნილი ტექსტი შეტანილია XIII ს-ის ხელნაწერში (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი A, № 70, გვ. 184—194). გამოქვეყნებულია XIX ს-ის პირის მიხედვით ე. თაყაიშვილის მიერ Е. Такайшвили, Описание рукописей общества распространения граммотности среди грузинского населения, I, გვ. 590.

[55] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, № 1347, XIII—XIV სს. მინაწერები (ამ მინაწერებს, ამოკითხულს ქ. შარაშიძის მიერ, გამოსაცემად ამზადებს დ. მეგრელაძე).

М. М. БЕРДЗНИШВИЛИ

# ВОКРУГ ДАТИРОВКИ «ДАЦЕРИЛИ» НИКОРЦМИНДСКОГО НАСТОЯТЕЛЯ

## Резюме

Среди грузинских документальных источников выделяется особый вид документов — отчеты о хозяйственно-церковной деятельности руководящих духовных лиц. Одним из образцов этого вида документов является «дацерили» неизвестного настоятеля Никорцминдского монастыря. Подлинник документа ныне утрачен, по упоминаемым в нем лицам и некоторым историческим реалиям, содержащимся в тексте, он датируется XI веком. Лица, успевшие ознакомиться с подлинником документа (Ф. Д. Жордания, С. Н. Какабадзе), по палеографическим данным также относили его к XI веку.

В первом номере исторической серии журнала «Мацне» 1980 г. напечатана статья И. Антелава «К датировке писанья Никорцминдели», в которой автор предлагает датировать этот документ последней четвертью XIII в. — началом XIV в.

В настоящей статье показаны несостоятельность аргументации И. Антелава и необходимость придерживаться прежней датировки.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

ალექსი რობაქიძე

# ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის" მნიშვნელობისათვის*

ბოლო ათეული წლების მანძილზე სპეციალურ ლიტერატურაში შეინიშნება ინტერესის აქტივიზაცია ეთნიკური პროცესების კანონზომიერებათა საკითხისადმი. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია ისტორიკოსთა დისკუსია ერის თეორიის პრობლემებზე, რომელიც მოაწყო ჟურნალმა „Вопросы истории" 1966—1968 წწ[1]. დისკუსიის პროცესში გამოვლინდა აზრთა სხვადასხვაობა პრობლემის ზოგი ასპექტის შესახებ, მაგრამ ამასთან ერთად შემუშავდა რიგი პოზიტიური დებულება. მათ შორის აღსანიშნავია თეზისი, რომლის მიხედვით ერი ეთნიკური ერთობლიობის ერთ-ერთი ისტორიული ფორმაა, რომელიც განიხილება ეთნიკურ ერთობლიობათა სხვა ძირითადი ფორმების, საკუთრივ ტომისა და ხალხის კომპლექსში. ეთნოსის პრობლემის ამ მიმართულებით დამუშავებაში, როგორც სამართლიანად აღინიშნა დასახელებული ჟურნალის ფურცლებზე, გარკვეული ღვაწლი ეთნოგრაფებსაც მიუძღვით[2].

მართლაცდა საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიღწევაა ეთნოსის მარქსისტული თეორიის საფუძვლების შექმნა, საკუთრივ ისეთი ძირითადი საკითხების გაშუქება, როგორიცაა ეთნიკურ ერთობლიობათა ტიპოლოგია მათი სხვადასხვა ტაქსონომიური დონის მიხედვით, შინაეთნიკური და მეტაეთნიკური წარმონაქმნების ხასიათი, სხვადასხვა ტიპის ეთნიკურ ერთობლიობათა კომპონენტების თავისებურება და სხვა. ცალკეა აღსანიშნავი საკითხი ეთნიკური თვითშეგნების როლის შესახებ ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში, რომელმაც ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებში ორიგინალური განვითარება მიიღო.

ეთნოსის პრობლემების ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგები, რომელთაც უცხოურ ლიტერატურაში ფართო რეზონანსი მოიპოვეს, გამოქვეყნებულია ი. ბრომლეის განმაზოგადებელ მონოგრაფიაში „ეთნოსი და ეთნოგრაფია" და სხვა მრავალ გამოკვლევაში[3].

---

* წაკითხულია მოხსენებად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საკავშირო სესიაზე ქ. უფაში (1980 წ.); იხ. ВСИПЭАИ: Тезисы докладов, г. Уфа, 1980, 17 და შმდ.

[1] К итогам дискуссии по некоторым проблемам теории нации, «Вопросы истории» 1970, № 8, გვ. 86 და შმდგ.

[2] А. Г. Агаев, Нация, ее сущность и самосознание, «Вопросы истории» 1967, № 7, გვ. 87.

[3] Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, М., 1973. 1973 წლის შემდეგ: Ю. В. Бромлей, В. И. Козлов. К изучению современных процессов в сфере духовной культуры народов СССР, СЭ, 1975, № 1; И. Брук, Н. Н. Чебоксаров, Метаэтнические общности, РН, 1976, № 6; Н. Н. Грацианская, Этнографические группы Моравии, М., 1975; И. С. Гурвич, К вопросу о влиянии Великой Отечественной войны 1941—1945 гг. на ход этнических процессов в СССР, СЭ, 1976, № 6, Т. Д.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ეთნოსის საბჭოთა თეორია, ისევე როგორც ყოველი შემოქმედებითი და ჯანსაღ მეთოდოლოგიურ საფუძველზე განვითარებადი თეორია, ახალი საკითხების დასმას გულისხმობს. ერთ-ერთი ამ რიგის საკითხია შიდაეთნიკურ დანაყოფთა ხასიათისა და ეთნოსის განვითარებაში მათი ადგილის საკითხი.

უახლეს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის შენიშნული, რომ „სამწუხაროდ, ასეთი ჯგუფების გამოყოფის ერთიანი პრინციპი ჯერ არ არის შემუშავებული და მათი გამოყენება ეთნოსთა კლასიფიკაციის მიზნით შესაბამისად მათი შიდაეთნოგრაფიული დანაწევრებისა, მეტისმეტად გაძნელებულია“[4]. შიდაეთნიკური ჯგუფების კლასიფიკაციის ერთიანი პრინციპის უქონლობა უარყოფითად მოქმედებს შესატყვისი ტერმინოლოგიის მეცნიერულ სიზუსტეზე. ჩვენ დღემდე არ გვაქვს მტკიცედ დადგენილი ნომენკლატურა იმ შიდაეთნიკური ჯგუფების აღსანიშნავად, რომლებიც გამოირჩევიან როგორც წარმოქმნის დროითა და პირობებით, ასევე მათი ადგილით ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში. ტერმინოლოგიური დაზუსტების აუცილებლობა განსაკუთრებით იგრძნობა ისეთი ცნებების ხმარებისას როგორიცაა „ეთნიკური ჯგუფი“ და „ეთნოგრაფიული ჯგუფი“. თანამედროვე ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ორივე ეს ტერმინი იხმარება ხშირად სინონიმების მნიშვნელობით, მაგრამ ზოგჯერ ყოველი მათგანი სხვადასხვა ავტორთა შრომებში გამოხატავს არაადეკვატურ ცნებებს.

ჯერ კიდევ 1971 წელს, ცნება ეთნოსის დახასიათებისას, ი. ბრომლეი წერდა იმ მცირე და უმცირესი წარმონაქმნების შესახებ, რომლებიც არც ისე უმნიშვნელო როლს ასრულებენ ეთნიკურ ერთობლიობათა დეტალიზაციის საქმეში[5]. ამავე წერილში წარმოდგენილი იყო ეთნიკურ ერთობლიობათა ტიპოლოგია მწყობრი სისტემის სახით სხვადასხვა დონის მიხედვით, რომლის ნულოვან ჰორიზონტზე მოთავსებული იყო ეთნოგრაფიული ჯგუფი, როგორც ეთნოსის უმცირესი დანაყოფი[6].

ეთნიკურ ერთობლიობათა ტიპოლოგიის შემდგომი დეტალიზაციის პროცესში, ბუნებრივია, მომწიფდა საკითხი „ეთნიკური“ და „ეთნოგრაფიული“ ჯგუფების შინაარსობრივი გამიჯვნის შესახებ. ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად მიღებული იყო თვითშეგნება[7]. ეთნოსის თეორიის სრულქმნის პროცესში ლოგიკურად აღმოცენებულმა ამ იდეამ, რომელმაც გარკვეული დაზუსტება შეიტანა ეთნიკურ ერთობლიობათა ზემოთ აღნიშნულ სისტემაში, შემდგომი განვითარება განიცადა ფუნდამენტურ გამოკვლევაში „თანამედროვე ეთნიკური პროცესები საბჭოთა კავშირში“. ამ ნაშრომის პირველ თავში,

---

Златковская, Об этнических общностях и этнических процессах в доклассовую и раннефеодальную эпохи, «Вопросы, древней истории», 1974, № 2; С. Т. Калтахчян, Ленинизм о сущности нации и пути образования общности людей, М., 1976; В. И. Козлов, О классификации этнических общностей, «Исследования по общей этнографии», М., 1979; М. И. Крюков, Эволюция этнического самосознания и прсблема этногенеза, РН, 1976, № 6; Г. Е. Марков, Этнос, этнические процессы и проблема образа жизни, РН, 1977, № 7; Современные этнические процессы в СССР, М., 1977 და სხვ.

[4] В. И. Козлов, О классификации этнических общностей, გვ. 12.

[5] Ю. В Бромлей К характеристике понятия «этнос», РН, 1971, № 1, გვ. 33.

[6] Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, გვ. 126.

[7] იქვე.

რომელიც ეკუთვნის ი. ბრომლეისა და ვ. კოზლოვს, საუბარია რუსი ხალხის შიგნით არსებული ეთნიკური ან ეთნოგრაფიული ჯგუფების შესახებ. ეს ჯგუფები განმარტებულია როგორც „...ხალხის ან ერის ტერიტორიული ნაწილი, რომელიც გამოირჩევა სამეტყველო ენის, კულტურისა და ყოფის ლოკალური სპეციფიკით (განსაკუთრებული კილოკავი ან თქმა, მატერიალური კულტურის თავისებურებანი, რელიგიური განსხვავება და ა. შ.); ზოგჯერ მათ აქვთ თვითსახელწოდება და თითქოს ორმაგი თვითშეგნება (ეთნიკური ჯგუფები). ასეთი ჯგუფები ხშირად თავის წარმომავლობით დაკავშირებულნი არიან ხალხში ან ერში შემოსულ ტომობრივ (ან უცხოეთნიკურ) კომპონენტებთან"[8]. ზემოთ დასახელებული კოლექტიური ნაშრომის მესამე თავში, რომელიც დაწერილია ტ. ჟდანკოს მიერ, ნათქვამია, რომ შიდაეთნიკურ დანაყოფებს, ჩვეულებრივ, უწოდებენ „ეთნოგრაფიულს ა ნ ეთნიკურ ჯგუფებს", მაგრამ ამასთან ავტორს შეაქვს დაზუსტება განმარტებაში, რომლის მიხედვით საკუთრივ ეთნოგრაფიული ჯგუფი შეიძლება იყოს ლოკალური ან გენეტური[9]. ეს დამოკიდებულია მისი გენეზისის თავისებურებაზე, ე. ი. იმაზე თუ რა წარმოადგენს მის ამოსავალ პოზიციას—ტომი, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემული ეთნოსის ჩამოყალიბებას, თუ ამ ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში ცალკე ჯგუფად გახვითარებული მისივე ნაწილი.

ამ საკითხზე ი. ბრომლეის შეხედულებათა რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვთ მოცემული ი. ბრუკსა და ნ. ჩებოკსაროვს — განსხვავება ეხება შიდაეთნიკური დანაყოფის წარმომავლობის მნიშვნელობის საკითხს[10].

ამგვარად, დასახელებულ ლიტერატურაში ტერმინები „ეთნოგრაფიული ჯგუფი" და „ეთნიკური ჯგუფი" მოიხსენიება ცალ-ცალკე, ხოლო საკუთრივ „ეთნიკური ჯგუფის" განმარტებისას აქცენტირებულია მისი ეგზოგენური წარმომავლობა. ამ რიგის ძირითადი ტერმინების დაუხვეწელობის შედეგია, რომ მათთან პარალელურად და ამავე მნიშვნელობით იხმარება ისეთი ტერმინები როგორიცაა „ლოკალური ჯგუფი", „ტერიტორიული ჯგუფი", „საოლქო ჯგუფი" და სხვა.

ტერმინების ხმარება ხშირად შეთანხმების საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი დაკავშირებულია, ერთი მხრით, ეთნოსის განვითარების ზოგად კანონზომიერებასთან, ხოლო, მეორე მხრით, კონკრეტული ხალხის ეთნიკურ ისტორიასთან, იმ მნიშვნელოვან ადგილთან, რომელიც უჭირავს ამ რიგის ჯგუფებს ეთნოსისა და ეთნიკური კულტურის განვითარების პროცესში.

ისტორიული ეთნიკური პროცესების შესწავლის შედეგად დადგენილია ეთნოგამაერთიანებელი ტენდენციების სამი ძირითადი და თავისი ხასიათით განსხვავებული მიმართულება საკუთრივ, კ ო ნ ს ო ლ ი დ ა ც ი ა, ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა დ ა ი ნ ტ ე გ რ ა ც ი ა. ამ ტენდენციების მიმართულების განსხვავებულობას განაპირობებს, გარკვეულ ნაწილში, ეთნოსის შინაგანი სტრუქტურა, მისი შიდადანაყოფების ხასიათი[11]. ამასთან, ჩვენი აზრით, სავსებით საძარ-

[8] Современные этнические процессы в СССР, გვ. 17.

[9] იქვე, გვ. 56.

[10] С. И. Брук, Н. Н. Чебоксаров, Метаэтнические общности, გვ. 76, შენ. 4.

[11] Ю. В. Бромлей, В. И. Козлов, Ленинизм и основные тенденции этнических процессов в СССР, СЭ, 1970, № 1, გვ. 12, 13.

თლიანად არის შენიშნული არსებითი განსხვავება ეთნოგრაფიულ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ეთნოსის სტრუქტურაში მათი ადგილის მიხედვით, იმდენად რამდენადაც განსხვავებულია თვით ეთნიკური პროცესები, ერთი მხრით, იმ შემთხვევაში როდესაც განვითარების საფუძველს წარმოადგენენ ახლომონათესავე ე თ ნ ო გ რ ა ფ უ ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი, ხოლო, მეორე მხრით, იმ შემთხვევაში როდესაც ეთნოსის განვითარების პროცესს საფუძვლად უდევს ე თ ნ ი კ უ რ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი[12].

თანამედროვე ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კონსოლიდაციის პროცესი გულისხმობს ენითა და კულტურით ახლო მონათესავე ტომებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების შერწყმას, ხოლო ასიმილაციის პროცესი—სხვადასხვა წარმოშობის ჯგუფთა ერთ ეთნოსში გაერთიანებას. ინტეგრაცია ნიშნავს ენითა და კულტურით არსებითად განსხვავებული ტომების, ხალხების, ერების ურთიერთზემოქმედებას და ამის შედეგად. რიგი საერთო ეთნიკური ნიშნის ჩამოყალიბებას[13].

განსხვავებული შინაარსითაა წარმოდგენილი ეს ორი ტერმინი ისეთ საერთო საცნობარო ლიტერატურაში, როგორიცაა დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, რომელშიც „ეთნიკური ჯგუფი“ რამდენიმე მნიშვნელობას ატარებს, ხოლო „ეთნოგრაფიული ჯგუფი“ განმარტებულია როგორც მოცემული ეთნოსის შემქმნელი ტომის რელიქტი ანდა განსაკუთრებულ პირობებში განვითარებული ამ ეთნოსის განტოტება, რომელმაც ამის გამო ლოკალური ნიშნები გამოიმუშავა.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ამათუიმ ხალხის ეთნიკური ისტორიის განხილვისას ზოგჯერ, მიაჩნიათ რა შიდაეთნიკურ დანაყოფთა არსებობა ჩამორჩენილობის ნიშნად, ერიდებიან ამის შესახებ ლაპარაკს, რაც ე. წ. „ეთიკური ნეიტრალიტეტის“ ერთ-ერთ გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს. ზოგი აიგივებს ამ ორ არსებითად სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ტერმინს იმავე „ნეიტრალიტეტის“ მიზნით. მართალია, შიდაეთნიკურ დანაყოფთა არსებობა კარგად თავსდება მაღალი ეთნიკური კონსოლიდაციის დონესთან, მაგრამ თვით ეს დონე მუდამ არ უპასუხებს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. ამის მაგალითია თუნდაც თანამედროვე ამერიკა, რომელსაც საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით კაპიტალისტურ სამყაროში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ ეთნიკური კონსოლიდაციის მხრივ ბევრად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს.

ამიტომაა, დღეს არ მოიძებნება არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა, რომელსაც აქამდე არ ჰქონდეს მეტ-ნაკლებად შემონახული სხვადასხვა სახის შიდაეთნიკური დანაყოფის ნაკვალევი. ასეთია გერმანიის „მიწები“, საფრანგეთის „პროვინციები“, ინგლისის „საგრაფოები“, შვეიცარიის „კანტონები“ და სხვ.

ამგვარად, საკითხის დასმა ამ რიგის დანაყოფების აღმნიშვნელი ტერმინების ხმარებაში მეტი სიცხადის შეტანის შესახებ გამართლებულია არა მარტო ეთნიკურ ერთობლიობათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ინტერესე-

---

12. И. С. Г у р е в и ч. Некоторые проблемы этнического развития народов СССР, СЭ, 1967, № 5, გვ. 63.

13. Ю. В. Б р о м л е й, Этнос и этнография, გვ. 157—158.

ბის თვალსაზრისით, როგორც ეს შენიშნულია ლიტერატურაში[14], არამედ ცალკეული ხალხების, ერის ეთნიკური ისტორიის ინტერესების თვალსაზრისითაც.

ამ მხრივ ყველაზე ეფექტურ გზად უნდა ჩაითვალოს დასახელებული ტერმინების განხილვა კონკრეტული მასალის შუქზე.

ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესების ძირითადი ეტაპების საკითხი ჩვენს ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად არის შესწავლილი. ქართველ ტომთა კონსოლიდაციის პროცესი, ნ. ბერძენიშვილის აზრით, უნდა დაწყებულიყო იმ დროს „როცა ქართლი „სამხედრო დემოკრატიის“ ვითარებაში იყო... ხოლო დასრულდა მაშინ, როცა ფეოდალურმა ურთიერთობამ საბოლოოდ გაიმარჯვა“[51]. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით უკვე გვიანი ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. II ათასწ. ბოლო და I ათასწ. პირველი საუკუნეები), როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს პირველყოფილთემური საზოგადოების დაშლის პროცესი, აქ იქმნება მტკიცე ტომობრივი კავშირები, რომელთაც დაუდეს სათავე ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებას[16]. ამ პროცესის დაჩქარებასა და გენერალიზაციას, ბუნებრივია, ხელს შეუწყობდა კოლხეთისა (ძვ. წ. VI—IV სს.) და იბერიის (ძვ. წ. III ს.) სამეფოების არსებობა[17]. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით „ეთნიკური განვითარება საზოგადოებრივი განვითარების შესაფერისი მოვლენაა“; ფეოდალიზმამდელი ქართლის ეთნიკურ განვითარებას იგი ხედავდა მის მიერ ჰერეთ-კახეთის, სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონების შემომტკიცებაში[18]. შენიშნულია, რომ „...ქართული საისტორიო ტრადიცია დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს იმთავითვე ერთიან ქვეყნად წარმოიდგენს“[49]. ამ რიგის პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი ერთიანობა ეთნიკური კონსოლიდაციის მძლავრი პირობა უნდა ყოფილიყო, რაც, თავის მხრივ, ეთნიკური თვითშეგნების განვითარების საფუძველს წარმოადგენდა. ეს იდეა ეთნიკური თვითშეგნებისა, ჩანს მწიფდება X ს. ადრე, იქამდე ვიდრე იგი მიიღებდა მკვეთრად ჩამოყალიბებული ფორმულის სახეს „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“[20].

ეს იდეა ერთიანი საქართველოს ხანაში უნდა განმტკიცებულიყო და მძლავრი ფეოდალური მონარქიის პირობებში ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის ქართული ეროვნული ფორმების განვითარების პორცესის შემდგომი გაღრმავების მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

საკითხი ქართველი ხალხის კონსოლიადაციის ამ ეტაპის მნიშვნელობის შესახებ მისი ისტორიის გრძელსა და რთულ გზაზე ისტორიკოსების ინტენსიური კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ კვლევის შედეგად მიღე-

---

[14] В. И. Козлов, О классификации этических общностей, გვ. 12.

[15] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 409.

[16] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 102.

[17] იქვე, გვ. 236 და შმდ, 284 და შმდ.

[18] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 358.

[19] მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 49; შდრ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიური გაერთიანება და და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 27.

[20] ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ТРАГФ, VIII, СПб., 1911, მთ.

ბულ დასკვნებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის საინ-ტერესო საკითხისათვის შიდაეთნიკური დანაყოფების, მათ შორის ეთნოგრა-ფიული ჯგუფების, ბუნების შესახებ. გ. მელიქიშვილის სიტყვით XI—XII სს. ფეოდალური საქართველოს გაერთიანებამ დაასრულა ერთიანი ქართველი ხალ-ხის (ქართველთა ეროვნების) ჩამოყალიბება[21]; ა. აფაქიძემ განავითარა თეზი-სი, რომლის მიხედვით ამ დროისათვის ცნება „ნათესავით ქართველი“ გამოხა-ტავდა ქართველთა ეროვნებას — ქართველ ერს[22]; ი. კაჭარავას აზრით, დასახე-ლებული პერიოდისათვის შეიძლება ვიხმაროთ ცნება „ფეოდალური ერი“[23]; ა. სურგულაძე ვრცლად განიხილავს საკითხზე არსებულ შეხედულებებს და ას-კვნის, რომ ამ დროს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი იმ დონემდე მივი-და, როდესაც იგი თვისობრივად ახალ „მაღალ სოციალურ-ეთნიკურ ერთობა-ში, ე. ი. ერად უნდა გადაზრდილიყო“, მაგრამ „ეს ტენდენციაა მაინც და არა განხორციელებული ფაქტი“.

საყურადღებო ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ჩვენთვის საინტერესო საკითხზე აგრეთვე დ. ჩხიკვიშვილს[25] და გ. ბრეგაძეს[26]. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ცალკეულ ნიუანსებში, ხოლო ზოგჯერ არსებით მხა-რეებში, არის საფუძველი დავასკვნათ, რომ განვითარებული კლასობრივი საზოგადოება ფეოდალური მონარქიის სახით ვერ ითავსებს ტომობრივ სტრუ-ქტურას. ამასთან ფეოდალი თავად ქმნის ახალი ტიპის შიდაეთნიკურ ჯგუფებს, ტომისაგან არსებითად განსხვავებულებს.

ერთიანი საქართველოს დაშლისა და ცალკეული „საქართველოების“ წარ-მოქმნის ზოგად ქართული კულტურის განვითარების პროცესი, ბუნებრი-ვია, შენელდა. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ XIII—XVIII სს. მანძილზე, როდესაც მოიშალა გამაერთიანებელი, მაკონსოლიდირებელი პირობები და, პირიქით, ფართო გასაქანი მოიპოვეს ძალებმა, რომელსაც ქვეყანა პოლიტიკუ-რი დაშლა-დაქუცმაცების გზით მიჰყავდათ... საბოლოოდ გაფორმდა ქართველ-თა მრავალი ეთნოგრაფიული ჯგუფი (ქართლელნი, კახელნი, ხევსურნი, იმერ-ლები, გურულები, ინგილოები, მეგრელები, და სხვ.), „მაგრამ არ დაკარგულა მოპოვებული ერთიანობის შეგნება“, და იქვე დასძენს, რომ არ იქნებოდა სწო-რი ამ რიგის მოვლენები მხოლოდ მონღოლთა შემოსევებით აგვეხსნა, რადგან საქართველოს ერთიანობის ხანაშიც წყაროები ცალ-ცალკე ასახელებენ ჰერ-კახელებს, ქართლელებს, მესხებს, შავშებს, კლარჯებს და სხვ[27].

---

[21] გ. მელიქიშვილი, ფეოდალურ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება..., 128—129.

[22] ა. აფაქიძე, „ნათესავით ქარველი“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966, გვ. 11.

[23] ი. კაჭარავა, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბ., 1966, გვ. 9 და შმდ.

[24] ა. სურგულაძე, ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბ., 1970, გვ. 51 და 40.

[25] დ. ჩხიკვიშვილი, სოციალიზმი და ეროვნული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1964, 84 და შმდ.

[26] გ. ბრეგაძე, ერის ცხება და ერების ტიპები, „მაცნე“, 1967, № 5, 392.

[27] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება..., გვ. 129.

ამ რიგის ეთნოგრაფიული ჯგუფების არსებობის მიუხედავად გვიანფეოდალური ხანის საზოგადოებრივი მოღვაწეების ისტორიული კონცეფციის ქვაკუთხედს ქართველების ერთიანობის იდეა წარმოადგენდა. ამის საუკეთესო მაგალითი ვ. ბაგრატიონია, რომელიც, მართალია, დაწვრილებით აღნუსხავდა საქართველოს ყველა ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის თავისებურებას არა მარტო სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურისა და სოციალური ურთიერთობის სფეროში, არამედ მათი მოსახლეობის ხასიათის განმასხვავებელი ნიშნების მიხედვითაც, მაგრამ ამასთან ერთად ქართველი ხალხის ოდინდელი ერთიანობის საკითხში ლ. მროველის ცნობილ გენეალოგიურ სქემას მისდევდა. ამასთან ერთად „ზნეთა“, „ჩვეულებათა“ და „წესთა“ აღწერისას მან ქართველი ხალხის საერთო ეთნიკურ ნიშნებად მიიჩნია „პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათჳს მჴნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთჳს, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა“...[28].

ქართველობის ერთიანობაზე მიუთითებს მისივე სიტყვები: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა. მესხსა, ჰერკახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს „ქართველი“ (პირველ შემთხვევაში ნახმარი „ქართველი“, ცხადია, „ქართლელს“ ნიშნავს)[29].

როგორც ჩანს, საქართველოს „დაშლილობა“ და „ჩიხი“ პირველყოვლისა მისი პოლიტიკური მთლიანობის რღვევას გულისხმობს; მან ქართველი ერის ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი, მართალია შეაფერხა, მაგრამ ვერ შეაჩერა. ერის კონსოლიდაციის პროცესი შემდეგაც მიმდინარეობდა და ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნული პროცესი დიდი ხნით ადრე დაიწყო, მიმდინარეობდა მონათესავე ტომთა გაერთიანების საფუძველზე, ადრეფეოდალურ ხანაში უკვე შორსწასული იყო და გავლილი ჰქონდა ფეოდალური მონარქიის — მძლავრი ერთიანი საქართველოს საფეხური, რომლის დაშლის დროისათვის მაღალი დონის ისტორიული ერთობლიობის შეგნებით ხასიათდებოდა. შეუნელებელი ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის მომდევნო ხანაში ამ ძველთაგან მომდინარე ეთნიკური ერთობლიობის მაღალი სიმტკიცის მაჩვენებელიც უნდა იყოს.

რუსეთთან საქართველოს შეერთების დროისათვის აღნიშნული ისტორიული რეგიონებისა და მათზე მოსახლეთა სახელწოდებანი ისტორიულად არსებულ ერთეულებს გამოხატავდნენ, თუმცა ყველა ესენი ერთი წარმომავლობისა არ იყო. უთუოდ ამ რიგის თავისებურებებს გულისხმობდა ს. ჯანაშია, როდესაც წერდა აღმოსავლეთ საქართველოში ე თ ნ ი კ უ რ ა დ და ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ა დ განსხვავებული ისეთი ჯგუფების შესახებ, როგორიცაა, ერთი მხრით, ვაინახი, ხოლო, მეორე მხრით, ფშაველი, თუ ხევსური, თუ მთიული[30]. ქართველი ფეოდალური ხალხის წიაღიდან აღმოცენებულ ჯგუფებს, რომელთა უმრავლესობის ჩამოყალიბებას გ. მელიქიშვილი XIII—XVIII სს მიაკუთვნებს, იგი ასევე ეთნოგრაფიულ ჯგუფებს უწოდებს[31]. ქართულ წყაროთმცოდნეობით ლიტერა-

---

[28] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ., IV, თბ., 1973, გვ. 291.

[29] იქვე, გვ. 15.

[30] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „შრომები“, 1, თბ., 1949, გვ. 148.

[31] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება..., გვ. 129.

ტურაში სავსებით სამართლიანად მაგ., სვანეთისა და ლეჩხუმის, თუ სვანეთისა და სამეგრელოს საზღვარს ე ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ს—უწოდებენ, ხოლო სხვა ხალხისა და ეგრისის საზღვარს—ე თ ნ ი კ უ რ ს[32]. ქართველი ხალხის ეთნოსოციალური განვითარების პროცესში ეთნოგრაფიული ჯგუფების ადგილის საკითხი გაშუქებულია გ. მელიქიშვილის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში[33].

ყოველ ეთნოგრაფიულ ჯგუფს განვითარების თავისი გზა აქვს. ამ მხრივ თავისებურად საინტერესოა სვანეთი, რომელმაც დღემდე შემოინახა თავისი ძველი ტომობრივი სახელი, ენა, უძველესი საცხოვრისის ერთი ნაწილი და, რომლის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები. არქეოლოგიური ძეგლები და ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მის ევოლუციას სამი ათასი წლის მანძილზე.

ქართულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ სვანებს ადრებრინჯაოს ხანაში ეჭირათ ისტორიული კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საკმაოდ დიდი ტერიტორია შავიზღვისპირეთის ჩათვლით[34]. ეს იყო მონათესავე ტომების დიდი, მაგრამ არამყარი გაერთიანება, რომელიც იმყოფებოდა ტომობრივი წყობის საფეხურზე. ამ გაერთიანების მატერიალური კულტურა გამოირჩეოდა რიგი თავისებურებით, საკუთრივ სვანეთის დღევანდელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი შრომის იარაღის რიგი ლოკალური ნიშან-თვისებით, რომლებიც მიუთითებენ მესაქონლეობის წამყვან მნიშვნელობას, განსხვავებით კოლხეთის ბარისაგან[35], სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. ძვ. წ. XI—VIII სს. სვანები კონტაქტში შედიან კულხასთან—კოლხეთის ადრეკლასობრივ საზოგადოებასთან, მაგრამ რაიმე არსებით გავლენას არ განიცდიან. კულხას დაცემის შემდეგ სვანებს და კოლხეთის მთიანეთის სხვა ტომებს კოლხეთის დაბლობის მდიდარ რაიონებში თარეშის საშუალება მიეცათ. მათი საზოგადოებრივი ყოფის სამხედრო დემოკრატიული წყობა, ჩანს, ხელს უწყობდა სვანთა შორის ქონებრივი უთანასწორობის განვითარებას.

სტრაბონის ცნობების სხვადასხვა ინტერპრეტაციის კრიტიკული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ დროისათვის სვანეთი იმყოფებოდა გვაროვნული წყობილების დაშლის უმაღლეს საფეხურზე[36].

სტრაბონის მომდევნო ხანაში, ჩვ. წ. II ს. მოყოლებული, ჩრდილოეთ კოლხეთის მოსახლეობის საზოგადოებრივ ყოფაში არსებითი ხასიათის ძვრები ხდება. იქმნება ლაზეთის სამეფო, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ კოლხეთის დიდ ნაწილს, მათ შორის სვანეთსაც[37]. ადრეფეოდალურ ლაზეთთან სვანების კავშირმა პრინციპულად ახალი სახე მიიღო, რაც გამოიხატა იმაში რომ: 1. სვა-

---

[32] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 113 და 117.

[33] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება... გვ. 120 და შმდ.

[34] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 67; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, თბ., 1970, გვ. 371.

[35] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976, გვ. 75.

[36] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის „გეოგრაფია“, შესავალი წერილი, თბ., 1957, გვ. 36—37, 39.

[37] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ეგრისის სამეფოს წარმოქმნა, „შრომები“, I, თბ., 1952, გვ. 318.

ნეთი მოექცა ბიზანტია-ირანის პოლიტიკური ინტერესების ცენტრში და, ჩანს, ამ ურთიერთობაში არ წარმოადგენდა პასიურ ძალას, თავისი ორიენტაცია ჰქონდა და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა[38]. 2. კოლხეთის დაბლობში სვანების სამხედრო თარეშმა ადგილი დაუთმო მათ მეტ-ნაკლებად რეგულარულ ეკონომიურ ურთიერთობას ბართან. ამ დროის ცნობები მიუთითებენ, რომ ლაზთა მეფის სახარკო სიაში აღრიცხული სვანეთის სარდალი იხდიდა ხარკს—„ფუტკრის ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც"[39]. მეორე მხრით: „ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ"[40].

როგორც ჩანს, ლაზეთის სამეფოს აყვავების პერიოდში, კოლხეთში, შესაბამისად მისი ცალკე რეგიონების ბუნებრივ-სამეურნეო პირობებისა, არსებობდა სამეურნეო საქმიანობის ემპირულად ჩამოყალიბებული სპეციალიზაცია, რომლის მიხედვით კოლხეთის მთიანი რაიონები, მათ შორის სვანეთი, გამოირჩეოდა მესაქონლეობის უპირატესი განვითარებით, ხოლო კოლხეთის ბარი—მიწათმოქმედების დაწინაურებით, რისთვისაც ყველაზე უკეთესი პირობები სწორედ ლაზიკაში არსებობდა[41].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი საერისთავოა, რომლის სათავეში დაყენებულია სამეფო კარის დიდი მოხელე, და რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ სვანეთი, ისევე როგორც სხვა საერისთავოები, განკერძოების გზას დაადგა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების დროს ქვემო სვანეთი სამეგრელოს სამთავროს ემხრობა, ზემო სვანეთის ქვემო ნაწილი დადეშკელიანებს უჭირავს, ხოლო ბალსზემო სვანეთი საარქივო მასალაში უფუსდო (უბატონო) სვანეთად იწოდება.

ამ დროისათვის სვანეთი, ისევე როგორც საქართველოს სხვა, განსაკუთრებით მთიანი რაიონები, გამოირჩევა კულტურისა და ყოფის რიგი აშკარად გამოვლენილი თავისებურებით. ასეთია ქართული საეკლესიო არქიტექტურისა და კედლის მოხატულობის სვანური სკოლა; სვანური მურყვამი როგორც ქართული კოშკური კულტურის ლოკალური დერივაცია; სათიბების მორწყვის პრაქტიკა, როგორც ქართული მორწყვის სისტემის მთური ვარიანტი; ლამხუბი — საქართველოში ფართოდ გავრცელებული პატრონიმიული ორგანიზაციის ერთ-ერთი სახეობა; ხოშა ღერბეთ, როგორც ქართული რელიგიური პანთეონის მთავარი პერსონაჟის — ღმერთის — სვანური შესატყვისობა და სხვა მრავალი.

გამოირჩეოდა სვანეთი აგრეთვე ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების განსხვავებული ხასიათით თუმცა ამ რიგის ურთიერთობათა განვითარების საწყისი ფორმები, ქართული ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგად, მთელ სვანეთში, ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაშია მიკვლეული[42].

ამავე პერიოდისათვის ქართულ ლიტერატურულ ენას და დამწერლობას

---

[38] გეორგიკა, III, თბ., 1936; ს. ყაუხჩიშვილის კომენტარი, გვ. 215.

[39] გეორგიკა, III, გვ. 224.

[40] იქვე, გვ. 214.

[41] ს. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოქმნა, გვ. 319.

[42] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 104

კარგა ხანია მოკიდებული აქვს ფეხი სვანეთში — ამის საბუთია XII—XIV ს-ის მრავალრიცხოვანი წარწერები და დოკუმენტები.

სვანეთი ამ შემთხვევაში მოყვანილი იყო როგორც იმ შიდაეთნიკური პროცესების მაგალითი, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს ქართველი ერის ერთ-ერთი ძირითადი ტომის ევოლუციას, მის ადგილს ქართული ეთნოსის განვითარების პროცესში, ზოგადქართული ეთნიკური ნიშნების შემონახვის უნარს და, დაბოლოს, ქართველი ერის ეთნოგრაფიული ჯგუფის ჩამოყალიბების ერთ-ერთ გზას.

მეორე, ასევე ტიპიური მაგალითია ხევსურეთი და ფშავი, რომლებიც უკვე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ჩამოყალიბდნენ ქართული მოდგმის ფხოველთა დანაწევრების შედეგად[43] და რომლებმაც ასევე სათუთად დაიცვეს ქართული ხალხური ტრადიციები კულტურისა და ყოფის სფეროში, ძველი ქართული ენის დიალექტი.

განვითარების თავისებური ნიუანსები ჰქონდათ. ქართლს, კახეთს, იმერეთს (გვიანფეოდალური ხანის სამეფოები), გურიას და სამეგრელოს (გვიანფეოდალური ხანის სამთავროები), მაგრამ ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესში ადგილის მხრივ მათ შორის ეთნიკური განსხვავების არსებობის შესახებ საკითხის დასმისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ყველა ამ რიგის ეთნოგრაფიულ ჯგუფს განვითარების თავისი გზა აქვს, მაგრამ ეთნიკური წარმომავლობა ერთი გააჩნია. ამიტომაა, რომ, ამ ჯგუფების ლოკალური თავისებურება უნდა განისილებოდეს როგორც ზოგად ქართულის კერძო გამოვლინება.

უცხო ადამიანის თვალში ამ ჯგუფებს შორის დიალექტური თუ ყოფითი ეთნოგრაფიული განსხვავებანი, ეთნიკური განსხვავების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო პირველ ყოვლისა უცხოურ ლიტერატურაში სათანადო ტერმინების ხმარების უზუსტობას, საქართველოს ცალკეული რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა ხალხად აღიარების ტენდენციას, რისი შედეგები აქა-იქ ახლაც იჩენს თავს. ჩვენ აღარაფერს ვიტყვით «კოსტუმების თეორიის» ჰავჰავაძისეულ კრიტიკაზე—«თეორიისა,» რომლის ავტორი ამოდიოდა რა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტანსაცმლის თავისებურებებიდან, დაუსაბუთებლად თვლიდა სვანებისა და მეგრელების «ისევე როგორც სხვა მრავალი ტომის» ქართველებად აღიარებას. საკმარისი იქნებოდა იმის აღნიშვნაც, რომ არა მარტო XIX ს-ში, არამედ თანამედროვე ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც გვხვდება ზემოთ აღნიშნული ისეთი ნებსითი თუ უნებლიე დაპირისპირებანი, როგორიცაა «იმერელი და ქართველი», «ქართველი და ხევსური»[44]. სულ ბოლო ხნის ლიტერატურიდან დავასახელებთ ა. აგაევის ნაშრომს, სადაც ანალოგიური შეცდომაა დაშვებული[45]. ესეც არ იყოს ამ რიგის შეცდომებს ქართულ ლიტერატურაშიაც აქვს ადგილი, რამაც სათანადო ასახვა პოვა პრესაში[46].

ზემოთ აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, ამართლებს საკითხის დაყენებას ტერმინების „ეთნოგრაფიული ჯგუფი“ და „ეთნიკური ჯგუფი“ განსხვა-

[43] ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული ტალავარი, მსე, VIII, თბ., 1956, გვ. 89, 90.

[44] А. И. Робакидзе, М. О. Косвен., Материалы по истории этнографического изучения Кавказа, СЭ., 1963, № 4.

[45] А. Г. Агаев, Нация, ее сущность и самосознание, გვ. 87.

[46] ა. ბაქრაძე, დაუდევრობასაც საზღვარი აქვს, „ლიტერატურული საქართველო“, 1978, IV, გვ. 48. შდრ. ა. ჭინჭარაული, რ. თოდუა. ძველი შეცდომების გამეორება, „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წლის 13 ივნისი, № 23 (2200).

ვებული მნიშვნელობით ხმარების შესახებ იმ პირობით, რომ პირველით აღინიშნება ენდოგენური წარმოშობის შიდაეთნიკური დანაყოფი ეთნოსის ფუძისეული ტომის ჩათვლით, ხოლო მეორით — ეგზოგენური წარმოშობისა. ეს იმდენადაა საჭირო, რამდენადაც პირველის წარმოშობა, ევოლუცია და ადგილი ეთნოსის განვითარების პროცესში კონსოლიდაციის ხასიათს ატარებს, ხოლო მეორისა — ასიმილაციის ხასიათის წინასოციალისტურ ფორმაციებში.

საკითხის ასე დაყენება სავსებით უპასუხებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომელზედაც ზევით იყო საუბარი და რომლის მიხედვით „ეთნოგრაფიული ჯგუფი", განსხვავებით „ეთნიკური ჯგუფისაგან", აღნიშნავს ეთნოსის ფუძისეულ ტომს ან მისი განვითარების პროცესში ჩამოყალიბებულ მისსავე განშტოებას.

Л. И. РОБАКИДЗЕ

## О СОДЕРЖАНИИ ТЕРМИНА «ЭТНОГРАФИЧЕСКАЯ ГРУППА»


### Резюме

В статье ставится вопрос о необходимости внесения большей определенности в понимание терминов, обозначающих внутриэтнические образования, в частности таких, как «этнографическая группа» и «этническая группа», в специальной литературе нередко употребляемых в качестве синонимов. Это диктуется интересами дальнейшей детализации типологии этнических общностей и методики изучения этнических процессов в досоциалистических формациях.

Привлекая в качестве примера данные из этнической истории грузинского народа, автор вкратце прослеживает за эволюцией сванов, вместе с картами и мегрело-лазами, легших в основу формирования грузинской этнической общности.

Вышеуказанные материалы дают основание автору выдвинуть тезис, согласно которому под «этнографической группой» следует понимать племя — основу или эндогенную группу, вычлененную внутри одного этноса в процессе развития последнего и приобретшую в зависимости от локальных условий своего бытования особые черты культуры и быта, нивилирование которых носит характер консолидации. «Этническая группа» представляется автору экзогенной групой, инкорпорация которой новой для нее этнической средой и нивилирование особенностей культуры и быта сопровождаются процессами ассимиляции.

Различия в происхождении этнографической и этнической групп и в их месте в этнической истории народа требуют их употребления в раздельном значении.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ

გიორგი მინდიაშვილი

# გორანამოსახლართა სოციალური ბუნებისთვის

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დიდი რაოდენობით მასალა შემატა ამიერკავკასიის მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის საქმეს. ამან შესაძლებელი გახადა დაგვეზუსტებინა ან სხვანაირად გაგვეაზრებინა საზოგადოების განვითარების ე. წ. წინაისტორიულ ეტაპზე მიმდინარე სოციალური პროცესების შესახებ არსებული ზოგიერთი მოსაზრება.

საქართველოში აღმოჩენილი და შესწავლილი გორანამოსახლარები დროის ძალზე დიდ მონაკვეთში (ძვ. წ. VI—I ათასწლეულები)[1] არსებობენ, ამიტომ, ბუნებრივია საქმე გვაქვს ამ ნამოსახლარებზე მიმდინარე სოციალური პროცესების სხვადასხვა ეტაპთან, რომლებიც უმეტესად ძალზე შეუმჩნევლად ცვლიან ერთმანეთს ან უფრო სწორად—შეუმჩნევლად იცვლიან იმ მატერიალურ სახეს, რომლის მიხედვითაც არქეოლოგია ცდილობს მათ შესწავლას.

ჩვენში, გორანამოსახლარების შესწავლის პირველ წლებში, ამ ტიპის ძეგლების დიდი რაოდენობით აღმოჩენამ გამოიწვია ნ. ბერძენიშვილის „გორაების“ თეორიის შექმნა, რომლის მიხედვითაც გორანამოსახლარების გაჩენა უნდა მომხდარიყო ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მათი გამოქვაბულიდან გამოსვლისა და გვაროვნული ერთეულების გორებად დასახლების, გორებზე ასვლის შედეგად[2].

იმ დროისათვის, როდესაც „გორების“ შესახებ მსჯელობა მხოლოდ დაზვერვითი მასალისა და ნაწილობრივად გათხრილი ძეგლების მიხედვით იყო შესაძლებელი, ძნელი იყო რაიმე უფრო კონკრეტული ვარაუდისა თუ თეორიის გაჩენა. მით უმეტეს, რომ განსვენებულ მეცნიერს არ დასცალდა მთლიანად ჩამოეყალიბებინა თეორია „გორაების“ სოციალური ხასიათის შესახებ, რაც გვაიძულებს საარქივო მასალებში არსებული ზოგიერთი წინააღმდეგობა ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე გავარკვიოთ და დავაზუსტოთ.

ჩვენი აზრით, დღეისათვის არსებული მასალიდან გამომდინარე უნდა გაირკვეს იმ მოსაზრების სისწორე, რომლის მიხედვითაც გორაზე ბინადრობა წესადაა მიჩნეული, ყველა სხვა შემთხვევა კი გეოგრაფიული თუ სხვა პირობებით გამოწვეულ სპეციფიკურ მოვლენად და გამონაკლისად[3].

---

[1] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971, გვ. 102; თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976, გვ. 134.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული I, თბ., 1960, გვ. 171—172; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 23—37, 42—60.

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 24.

როგორც პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის მკვლევარნი დღეისათვის ვარაუდობენ, პირველყოფილი ჯოგის დედისეულ გვარად ჩამოყალიბების პროცესს ადგილი უნდა ჰქონოდა ზედა პალეოლითის საწყის ეტაპზე, ზოგის აზრით კი შეიძლება ის მუსტიეს დასასრულისთვისაც კი ვივარაუდოთ[4]. სამწუხაროდ, საქართველოში მეზოლითური ძეგლები ისეთი რაოდენობით არ არის შესწავლილი, რომ მათ ტოპოგრაფიაზე ვიმსჯელოთ. სამაგიეროდ მისი მომდევნო პერიოდის, მწარმოებლური მეურნეობის ანუ ნეოლითის ძეგლები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილიც და შესწავლილიც. ამ უკანასკნელთა შესწავლა და მათ მდებარეობაზე დაკვირვება კი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოსახლეთა გორებისაკენ განსაკუთრებული ლტოლვა დავინახოთ, პირიქით, ამ პერიოდის ნამოსახლარების აბსოლუტური უმრავლესობა ველებზე და შედარებით სწორი რელიეფის მქონე ადგილებზე გვხვდება[5]. ის გარემოება რომ დასავლეთ საქართველოში ისინი ბორცვებზეც გვხვდება სწორედ იმ კონკრეტულ გეოკლიმატურ პირობებს უნდა მიეწეროს, რაც ამ რეგიონშია[6] და არა თავდაცვით ღონისძიებებს. ჩვენ კიდევაც რომ დავუშვათ ამ პერიოდის მოსახლეთა თავდაცვის მიზნით გორებისაკენ განსაკუთრებული ლტოლვა, ეს გვარის გორაზე ასვლის სასარგებლოდ მაინც არ გამოგვადგება, ვინაიდან აღნიშნულ ეტაპზე საქმე უნდა გვქონდეს არა იმ გვართან, რომელიც ეს-ეს არის პირველყოფილი ჯოგისაგან განვითარდა, არამედ მის საკმაოდ განვითარებულ ფორმასთან და ზოგ შემთხვევაში შესაძლოა პატრიარქატულ საფეხურთანაც კი.

მითუმეტეს არ გამოდგება გვარის—გორიდან მომდინარეობის თეორიის საბუთად მომდევნო, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული კულტურის ნამოსახლართა ერთი (დიდი) ნაწილის გორებზე განლაგების ფაქტიც, რაც თავდაცვის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. არ გამოგვადგება იმიტომ, რომ ამ მიზნით ბუნებრივად დაცული ადგილების გამოყენება თითქმის ყველა ეპოქისათვის არის დამახასიათებელი. სხვა საკითხია — თუ რა სახისაა და როგორი მასშტაბის თავდაცვის მიზნით ჩატარებული სამუშაოები. ამ საკითხის გამოკვლევას შეუძლია მოგვცეს გარკვეული ინფორმაცია მისი შემსრულებელი საზოგადოების ორგანიზაციის შესახებ და მისი გათვალისწინება აუცილებელიც კია ამგვარი საკითხების კვლევისას.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანამდე ჩვენში ადამიანი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავდაცვის თვალსაზრისით მის ხელოვნურ მოწყობას. ეტყობა ძვ. წ. XV საუკუნემდე დიდი მასშტაბის სამხედრო თავდასხმები გაცილებით იშვიათი იყო ვიდრე გვიანბრინჯაოს ხანაში, რაც შესანიშნავად აისახა ამ პერიოდის ნამოსახლართა ტოპოგრაფიაში და სამარხეულ ინვენტარში[7].

რაც შეეხება იმას, რომ ზოგმა ნამოსახლარმა ხელოვნური გორის სახე

---

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1970, გვ. 144; მ. კ ო ს ვ ე ნ ი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 40—41.

[5] მხედველობაში გვაქვს აზერბაიჯანის სსრ დასავლეთ და საქართველოს სსრ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ე. წ. გორანამოსახლარები.

[6] ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 12.

[7] К. Н. П и ц х е л а у р и, Восточная Грузия в конце бронзового века, Тб., 1979, გვ. 11.

მიიღო, ეს უნდა ამ ძეგლებზე დამოწმებული სამშენებლო ხერხებითა და მოსახლეთა ცხოვრების წესით ავხსნათ[8]. აღნიშნულ ნამოსახლარებს მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ხელოვნური გორები. ისინი საგანგებოდ, წინასწარი განზრახვით კი არ არიან აგებული, არამედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო სტიქიურად იძენენ ბორცვის ფორმას[9].

გორებზე სახლობის საკითხზე ჩვენ ასე არ შევჩერდებოდით ნ. ბერძენიშვილი რომ მას საწარმოო ძალთა განვითარებასთან არ აკავშირებდეს და არ ამბობდეს, — „გორაებზე ცხოვრება წინაპრების მთელი ეპოქაა და მხოლოდ ამის შემდგომი განვითარება იძლევა დასახლების შემდგომ სახეობას „სოფლობით", „ქალაქებით", რაც გვაფიქრებინებს, რომ განსვენებულ მეცნიერს „გორაებზე" სოფლის არსებობა მისი ამ სოციალური საფეხურისათვის შეუფერებლობის გამო დასაშვებად არ მიაჩნდა[10].

ჩვენი აზრით, ნამოსახლარის სოციალურ ბუნებასა და მის გეოგრაფიულ მდებარეობას შორის დღეისათვის შეუძლებელია რაიმე კონკრეტული კავშირი დავინახოთ. გორანამოსახლარები ჩვენში ძვ. წ. VI ათასწლეულიდან ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე არსებობენ და მოიცავენ რა დროის უზარმაზარ მონაკვეთს, შეესაბამებიან სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურს, რაც არ გამორიცხავს მათზე სოფლების არსებობასაც. ასეთივე აზრისაა თვით ნ. ბერძენიშვილიც აბულეთის გორაზე მსჯელობისას. იგი წერს: „ამ ადგილის სიფართოვეს და მის მოხერხებულობას უნდა მიეწეროს, რომ ამ გორაზე ცხოვრება არ შეწყდა, უწყვეტლად იყო გორის ეპოქიდან დაბის ეპოქამდე და შემდეგაც... დიახ, სწორედ გორის ეპოქიდან და არა მასზე ადრე"[11]. გამოდის, რომ გორანამოსახლარი რიგ შემთხვევაში არ ეკუთვნის გორის ეპოქას, რომელსაც მეცნიერი ნეოლით-ენეოლითში ან მასზე ადრე ვარაუდობდა და რომლის (ნეოლით-ენეოლითის) შემდეგაც მათზე უკვე დაბა-სოფლებია საგულისხმებელი[12] ორი ან რამდენიმე ერთმანეთის გვერდით მოსახლე გვარით.

საჭიროდ მიგვაჩნია დაზუსტდეს აგრეთვე ადამიანის გორაზე ასვლის საკითხიც. ეს პროცესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ნ. ბერძენიშვილს ნეოლით-ენეოლითის ეპოქაში ან მასზე ადრე აქვს ნაგულისხმები, აღნიშნული პერიოდის დღემდე გათხრილი ძეგლების (ნამოსახლარების) ტოპოგრაფია კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იძლევა საშუალებას ვამტკიცოთ მათი მაინცდამაინც გორებისკენ ლტოლვა.

როგორც უადრესი გორანამოსახლარების მაგალითზე ვნახეთ, ადამიანი სამოსახლო ადგილის არჩევისას არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს გორას. ამიტომ, არ უნდა იყოს მართებული მოსაზრება—თითქოს ნეოლით-ენეოლითზე ადრე, ანუ „თავდაპირველად საცხოვრებელი და თავდასაცავი ერთი იყო (ადამიანი ცხოვრობდა სახლად, ციხედ, ჯიხად...)"[13]. განსაკუთრებით საეჭვოდ მოჩანს ეს ვარაუდი იმდროინდელი (წინანეოლითური) საზოგადოების ეკონომი-

[8] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.
[9] იქვე, გვ. 40.
[10] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
[11] იქვე, გვ. 33.
[12] იქვე, გვ. 28.
[13] იქვე.

კურ დონესთან მიმართებაში, ვინაიდან ის საარსებო საშუალებები, რომელსაც ადამიანი მაშინ მოიპოვებდა, იმდენად მინიმალური იყო, რომ ძლივს აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს. ადგილი არ ჰქონდა პროდუქტების ან სხვა სახის ქონების დაგროვებას, რასაც უნდა გაემართლებინა თავდამსხმელთა მიერ გაწეული რისკი. რაც შეეხება გამოქვაბულებს, შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი (მიუხედავად დასავლეთ საქართველოში მათი დიდი რაოდენობით აღმოჩენისა) იმდენად მცირერიცხოვანია მთელი იმდროინდელი მოსახლეობის დასატევად, რომ მხოლოდ დასახლების ერთ-ერთ ტიპად უნდა ჩაითვალოს. აქვე, არ უნდა გავაზვიადოთ მისი თავდაცვითი მნიშვნელობაც, რამდენადაც იგი მხოლოდ ბუნების მოვლენათაგან თავის დასაცავად იყო გამიზნული, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ, ადამიანის უმთავრესი მოწინააღმდეგე იყო.

ზემოთმოტანილი მსჯელობიდან გამომდინარე საეჭვო ხდება ბუნებრივი შემაღლების — გორის (მთის, ბორცვის), როგორც გვარის საცხოვრებელი ადგილის საგანგებო მნიშვნელობა; ეს კი თავისთავად საეჭვოს ხდის ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოს სოციალური ტერმინი — გვარი გეოგრაფიულ ტერმინ — გორიდან მომდინარეობს[14].

ქვევით შევეცდებით ამ სიტყვების ეტიმოლოგიისა და მორფოლოგიური ურთიერთმიმართების გარკვევით დავამტკიცოთ ჩვენი მოსაზრების სისწორე.

სულხან-საბას ლექსიკონში გორა განმარტებულია მცირე ბორცვად, მისი სხვა ფორმები: გორაკა — უმცირეს გორად, ბორცვთ უმცირესად და გორი — ბორცვად[15]. გ. კლიმოვს ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში გორა განხილული აქვს ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დონეზე[16]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა ზოგი მეცნიერის აზრით ინდოევროპულ იერს ატარებს[17].

ზემოთ ვნახეთ, რომ სიტყვა გორა (გორი — ეს ფორმა ნ. ბერძენიშვილის მიხედვით ახლოს დგას სიტყვა გვარი-ს მოხეურ ფორმასთან გორი) საკმაოდ ძველი სიტყვაა და როგორც ხელნაწერებიდან ჩანს, არ განიცდის რაიმე მორფოლოგიურ ცვლილებებს. ვნახოთ ამ მხრივ რა მდგომარეობა გვაქვს სიტყვა გვართან (გორთან) დაკავშირებით.

როგორც ირკვევა, სისხლით ნათესაობის, წარმოშობის აღმნიშვნელი სიტყვა გვარი ჩვენამდე ფორმაშეცვლილი სახით მოვიდა: მისი ადრეული ფორმები კი ყოფილა: გუარი და გოვარი, ამათგან უკანასკნელი, ილია აბულაძის საგანგებო გამოკვლევის მიხედვით, გვხვდება VIII ს-ისა და უფრო ადრეულ წერილობით ძეგლებში. ამან კი საფუძველი მისცა განსვენებულ მეცნიერს მისი უადრინდელესი ქართულობა ევარაუდა[18].

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული მზია ანდრონიკაშვილს: «ილია აბულაძეს ეს სიტყვა მკვიდრ ქართულად მიაჩნია . . . რაც რა თქმა უნდა არ არის სწორი. სიტყვა—გოვარი—გუარი—გვარი ნასესხებია საშუალო სპარსულიდან ქართულშიც და სომხურშიც, რასაც ამტკიცებს სრუ-

---

[14] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[15] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ., 1966.

[16] Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, 1964, გვ. 64.

[17] გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 349.

[18] ი. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, გოვარი-გუარი, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 5—11.

ლი იდენტობა, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური საშუალო და ახალ სპარსულ სიტყვასთან gōhr—gōhar, რომელმაც ქართულში კანონზომიერად მოგვცა გოარი>გოვარი>გუარი>გვარი»..[19]

ამ სიტყვის არაქართველურ წარმოშობაზევე უნდა მიგვითითებდეს ის ფაქტიც, რომ სვანურში მის ნაცვლად სისხლით ნათესაობის გამოსახატავად იხმარება სიტყვა — სამხუბ, რაც ქართულად სამძმოს ნიშნავს[20]. თანამედროვე სვანურში კი სიტყვა გვარი მოგვიანებით ჩანს შემოსული. ამას უნდა ადასტურებდეს ისიც, რომ სიტყვა გვარი სვანურში მსხვილფეხა საქონლის ტყავს აღნიშნავს, რის გამოც გ. კლიმოვს, ქართულ გვარ-თან, რომელიც ნიშნავს სახეს, სახეობას, წარმოშობას, მისი შეჯერება ერთ-ერთ პრობლემატურ შეჯერებად მიაჩნია[21].

თავისთავად ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სვანეთში არა გვაქვს არც წარმოშობის აღმნიშვნელი სიტყვა გვარი და არც მისი თანამედროვე სოციალური შინაარსის შესატყვისი სხვა აღმნიშვნელი, რაც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ეს სიტყვა (გვარი), როგორც წარმოშობის აღმნიშვნელი ტერმინი მოგვიანებითაა გაჩენილი თვით ქართულში და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გვაროვნული საზოგადოების პროდუქტად მივიჩნიოთ.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გვარის შესატყვისად მისი განსხვავებული ფორმის, გორის ხმარებას, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იგი მიღებულია სიტყვა გვარში -ვ-ინის ო-ნით შენაცვლების გზით, რაც ზედმიწევნით აქვს დადგენილი ა. შანიძეს თავის ერთ-ერთ ნაშრომში[22]. ამიტომ ფორმა გვარის პირველადობა გორთან შედარებით, ჩვენი აზრით ,ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამგვარად, ზემოდთქმული შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს—სიტყვა გორა არის გორის კნინობითი ფორმა. იგი არსებობს ქართულ ენაში უძველესი დროიდან და როგორც ეს სულხან-საბას აქვს განმარტებული მცირე ბორცვს აღნიშნავს.

სიტყვა გვარს, რომელიც ქართულში იხმარება წარმოშობის აღმნიშვნელად, აქვს წინა ფორმები: გუარი (VIII ს-ის შემდეგ) და გოვარი (VIII საუკუნეზე წინ), რომლებიც იგივე შინაარსს ატარებენ და საშუალო სპარსულიდან შემოსულად არიან მიჩნეული.

მთიელთა ერთ ნაწილში სიტყვა გვარის ნაცვლად გავრცელებული მისი ფორმა—გორი, ნაწარმოებია მხოლოდ გუარ და გვარ ფორმებიდან, რომელთა მიღება ბორცვის აღმნიშვნელ სიტყვა გორ-იდან, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

როგორც ვნახეთ, სიტყვები გორი და გვარი (გორი) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა დროს არიან გაჩენილი ქართულში და გვაროვნულ საზოგადოებასთან მათი დაკავშირების საშუალებას არ იძლევიან.

---

[19] მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 302.

[20] ეს ცნობა სვანურთან დაკავშირებით რ. ჭკადუამ მოგვაწოდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[21] Г. А. Климов, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[22] ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 12.

ზემოთ, გორანამოსახლართა აღმოცენებისა და მასთან სიტყვა გვარის დამოკიდებულების გარკვევისას ჩვენ უკვე გამოვთქვით აზრი, რომ გორანამოსახლარი მხოლოდ ნამოსახლართა ერთ-ერთი ტიპია. ამდენად, მის მიმართ მიღებული ყოველი ვარაუდი შეიძლება თამამად გავავრცელოთ შესაბამისი პერიოდისა და კულტურის ნებისმიერ ნამოსახლარზეც.

როგორც ზევით არაერთგზის აღვნიშნეთ, გორანამოსახლარები დროის ძალზე დიდ მონაკვეთში ფუნქციონირებენ, რის გამოც მათზე შესაძლებელია დაფიქსირდეს პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების სხვადასხვა ეტაპი. ამ წყობილების საწყისს კი, როგორც ცნობილია, დედისეული გვარის საფუძველზე აღმოცენებული თემი წარმოადგენს, იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მწარმოებლურ მეურნეობაზე დამყარებული გორანამოსახლარების სოციალური განვითარების გზა, საჭიროა გავიხსენოთ ზემოთ უკვე აღნიშნული ის ფაქტი, რომ ბოლო დროის მონაცემების მიხედვით წყვილად ოჯახზე დამყარებული მატრიარქატული გვარი ზედა პალეოლითის დამდეგს ყალიბდება, ზოგი, უფრო თამამი მოსაზრების მიხედვით კი ეს პროცესი მუსტიეს ხანაში დაწყებულადაც შეიძლება იქნას მიჩნეული.

ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, თუ განვითარების რა დიდი გზა გაიარა გვაროვნულმა საზოგადოებამ საქართველოში აღმოჩენილ უადრეს გორანამოსახლარებამდე (ძვ. წ. VI ათასწლეული). ამიტომ, ჩვენი აზრით, გარკვეული ფაქტების მოშველიებით თამამად შეიძლება ვისაუბროთ ადრესამიწათმოქმედო კულტურის გორანამოსახლარებზე გვაროვნული წყობილების არამარტო მაღალ დონეზე, არამედ მისი ცალკეულ ოჯახებად დაშლის პროცესზეც.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის ის გორანამოსახლარები, რომელთა სოციალური ბუნების გარკვევასაც ვაპირებთ, მდებარეობენ ქვემო ქართლის ველზე, კერძოდ, მარნეულის ვაკეზე. აქ გორანამოსახლარები ჯგუფებად არიან განლაგებული. შეგჯუფებასთან ერთად ისიც შეიმჩნევა, რომ ეს ჯგუფები ქედების სისტემით ბუნებრივად შემოზღუდულ ფართობზეა მოქცეული[23]. ისინი წარმოადგენენ ველებზე ამოზიდულ ბორცვებს, რომლებიც ერთ ადგილას ხანგრძლივად ცხოვრების შედეგად არიან გაჩენილი იმ სამშენებლო მასალისა და შენების ხერხების წყალობით, რომელსაც ამ კულტურის მატარებელნი იყენებდნენ. ეს უკანასკნელი კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა ალიზის მოძველებული, დანგრეული შენობების განახლება და თავიდან აგება. ეს კი თანდათანობით წარმოშობდა ნანგრევების ფენებს და სოფელი უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა[24].

ვინაიდან ჩვენი მოსაზრება ამ ნამოსახლართა სოციალური ბუნების შესახებ ჩვენში ამ ძეგლების პირველშემსწავლელთა მოსაზრების განვითარების ცდაა, ამიტომ პირველ რიგში მოვიტანთ მათ აზრს, სადაც ითვალისწინებენ რა შულავერის გორის ნამოსახლარზე დაფიქსირებულ შენობათა გეგმარებას და წინააზიურ ადრესამიწათმოქმედო კულტურებში მიმდინარე მსგავს პროცესებს, აღნიშნავენ, რომ ამ გორის II ფენაში დადგენილი დაგეგმარების „უწესობა“ შემთხვევითი არ არის. შესაძლოა ამ უწესრიგობის შთაბეჭდილე-

[23] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41; ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975, გვ. 9, სურ. 1.

[24] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ბას ის ქმნიდეს, რომ გათხრილ ფართობზე მოექცა რამდენიმე „ერთოთახიანი" საცხოვრებლისაგან შედგენილი „მრავალოთახიანი სახლი-ბლოკის" ნაწილი.

...შულავერის გორაზე გამოვლენილი ნაგებობების ზომები და დანიშნულება უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი მრავალოთახიანი სახლი-ბლოკის ნაწილია და ისეთ საზოგადოებას ეკუთვნის, სადაც უკვე დაწყებულია გვარიდან მრავალოჯახიანი თემის გამოყოფა და მიმდინარეობს შესაბამისი ცვლილებები ბინათმშენებლობაშიც[25]. აქედან გამომდინარე ო. ჯაფარიძე და ალ. ჯავახიშვილი შესაძლებლად თვლიან იმის დაშვებას, რომ შულავრისა და იმირის გორაზე გვარი უკვე დანაწილებული იყო მრავალოთახიან შენობებში მცხოვრებ საოჯახო ჯგუფებად, რაც საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ თითოეული ასეთი კოლექტივი საკუთარ სამეურნეო საქმიანობასაც ეწეოდა[26].

ვიდრე ზემოთმოტანილ მოსაზრებას ჩვენ ვარაუდსაც დავუმატებდეთ, გვინდა მოკლედ შევჩერდეთ ამ კულტურის მატარებელთა მეურნეობის დარგების ხასიათისა და მათი როლის ჩვენეულ გაგებაზე, ვინაიდან საყოველთაოდაა ცნობილი მისი შესწავლის მნიშვნელობა სოციალური პროცესების კვლევისას.

როგორც ქვემო ქართლის ვაკეზე შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლთა გათხრების ანგარიშებიდან და მათთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ჩანს, მეურნეობის ძირითადი, წამყვანი დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა; ამათგან, მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ მიწათმოქმედება—წამყვან, ხოლო მესაქონლეობა დაქვემდებარებულ დარგად არის მიჩნეული[27].

ჩვენი აზრით, ამგვარი დასკვნის გაკეთება იმ მასალის მიხედვით. რაც ნამოსახლარებზეა მოპოვებული ჯერჯერობით დამაჯერებლად არ გამოიყურება. უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ შულავრის გორიდან მომდინარე ოსტეოლოგიური მასალის საფუძველზე ა. ციციშვილის მიერ მიღებულ შედეგებს, რომლის მიხედვითაც შულავერი—შომუ-თეფეს კულტურის განვითარების I საფეხურზევე საქმე გვაქვს შინაური საქონლის ყველა იმ სახეობასთან, რომლებიც მომდევნო საფეხურზეც გვხვდება, ხოლო ამავე ეტაპის სამიწათმოქმედო იარაღები კი, როგორც თ. კიღურაძე აღნიშნავს, მეტად პრიმიტიულია—ირმის რქის თოხები ყველა სატარე ნასვრეტის გარეშეა, ხელსაფქვავები არქაული ტიპისაა და შედარებით იშვიათად გვხვდება; ნამგლები სწორი მოყვანილობისა ყოფილა და ფაქტობრივად სამკელ დანებს წარმოადგენდნენ. ჩასართებად კი გამოუყენებიათ ობსიდიანის ლამელები, ძირითადად მეორადი დამუშავების გარეშე[28], შეიძლება ითქვას, რომ მესაქონლეობის ხვედრითი წონა მიწათმოქმედებასთან შედარებით მეტი თუ არა ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ თვით მიწათმოქმედების წამყვანობის მომხრე მეცნიერებიც, შესაძლოდ მიიჩნევენ, რომ საკვები მარაგის ნაწილი ამ დროს, ჯერ კიდევ შემგროვებლურ საქმიანობას უნდა მიეცა[29].

---

[25] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—63.

[26] იქვე, გვ. 94.

[27] იქვე, გვ. 93.

[28] А. Л. Цицишвили, Костные остатки животных Шулавери, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965—1967 წწ. ანგარიშები), თბ., 1968, გვ. 34; თ. კიღურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[29] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

როგორც ვნახეთ, იმ დროისათვის, როდესაც მიწათმოქმედება ძალზე დაბალ დონეზე იდგა, საქონლის ყველა, შემდეგ ეტაპზე დადასტურებული სახეობა უკვე დიდი ხნის მოშინაურებული ყოფილა. ეს კი არ გვაძლევს საშუალებას კულტურის ამ ეტაპზე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაბარ სამეურნეო ხვედრით წონაზე ვილაპარაკოთ. შესაძლოა ასეთ გათანაბრებას მის მოგვიანო ეტაპებზე მართლაც ჰქონდა ადგილი, რასაც სამიწათმოქმედო იარაღების სრულყოფისაკენ მიდრეკილება აპირობებს[30], მაგრამ საეჭვოა ამ უკანასკნელს პრიმიტიული სახნავი იარაღის ან ასეთივე პრიმიტიული მორწყვის ხერხების გამოყენებამდე მესაქონლეობასთან რაიმე უპირატესობა მოეპოვებინა.

მესაქონლეობის განვითარების გაცილებით მაღალ დონეს ამ კულტურისათვის აღნიშნავს ი. კიკვიძე, — „ახალმოსახლეთა ეკონომიურ ბაზას მიწათმოქმედება კი არ შეადგენს, არამედ მესაქონლეობა...“[31], რასაც უნდა მოწმობდეს აგრეთვე გამთხრელთა მიერ, ამ კულტურის უადრეს ფენებშივე, საწვავად წივის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდი[32], რომელიც დაუსაბუთებლობის გამო ცოტა საეჭვოდ გამოიყურება.

მესაქონლეობის მაღალი დონის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ამ კულტურის ძეგლებზე თითქმის არ გვხვდება ისეთი სანადირო იარაღი, როგორიცაა ისარი და შესაბამისად ცოტაა ნანადირევ გარეულ ცხოველთა ძვლებიც. როგორც ჩანს, მესაქონლეობას ადრევე კარგად დაუკმაყოფილებია მოსახლეობის მოთხოვნა ხორცზეც და ტყავზეც, იმდენად, რომ სანადირო იარაღი აქ მხოლოდ სუსტი გადმონაშთის სახითღა გვხვდება.

ამგვარად, თუ დავუშვებთ, რომ შულავრის გორის ადრეული ეტაპისათვის მესაქონლეობა იმდენად მაღლა იდგა, რომ მოუსავლიან წლებში შეეძლო, შეგროვილ პროდუქტთან ერთად უზრუნველეყო მოსახლეობა საარსებო მინიმუმით, გამოვა, რომ მიწათმოქმედების შედარებით მაღალ საფეხურზე, რაც შედეგად მოჰყვა შრომის იარაღების გაუმჯობესების და გამოცდილების დაგროვებას, შეიქმნა მატერიალური პირობა გვარისაგან ისეთი სოციალური ერთეულის ეკონომიკურად გამოყოფისა როგორიცაა ოჯახი ანუ სახლი.

ცხადია, როდესაც ვუშვებთ ცალკეული ოჯახების საკუთარ სამეურნეო საქმიანობას, ვგულისხმობთ იმასაც, რომ ყოველი მათგანი გვაროვნული თემის შიგნით ფლობდა სახნავ-სათესი მიწის ფართობს, საქონელს, სახლს ეზოკარმიდამოთი და სამეურნეო ნაგებობებით, რაზეც ოჯახს ჰქონდა სრული უფლება, ანუ გვარის სხვა (არა ამ ოჯახის) წევრს არ შეეძლო შეცილებოდა აღნიშნულ საკუთრებაში (მფლობელობაში). ამაზე ნათლად მიგვითითებს იმირისა და ხრამის დიდ გორაზე საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსების გამმიჯნავი ალიზის ღობეების არსებობა[33].

რა თქმა უნდა, როდესაც ამას ვამბობთ, არ ვგულისხმობთ გვარისაგან ოჯახის სრულ გამოყოფას. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ოჯახის მიერ

---

[30] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84; თ. კიღურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57, 67, 77—78.

[31] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 33.

[32] ა. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975, გვ. 14.

[33] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68, 69.

მხოლოდ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან. ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ოჯახი, მიუხედავად დამუშავებულ მიწის ფართობზე ნაგულისხმები გარკვეული საკუთრებისა, დიდად იყო დამოკიდებული ჯერ საგვარეულო, ხოლო შემდეგ, იმირის გორის ეტაპიდან მოყოლებული — სასოფლო თემზე, რომელთანაც ერთად სრულდებოდა განსაკუთრებით შრომატევადი და გადაუდებელი სამუშაოები (მიწის დამუშავება, მოსავლის აღება, ახოს გატეხვა და სხვ.).

ზემოთაღნიშნული, ცალკეული ოჯახების დამოუკიდებელი მეურნეობის არსებობის დაშვება, საშუალებას გვაძლევს ასეთი ოჯახებისაგან შემდგარი გვარის ერთ ადგილზე 500—700 წლის[34] განმავლობაში ცხოვრების შედეგად ამ დასახლებებში სასოფლო თემების ჩამოყალიბება ვივარაუდოთ. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ერთი გვარის, ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახების მომდევნო თაობების ერთმანეთისაგან ბუნებრივ დაშორებასთან, მათი ნათესაური კავშირის შესუსტებასთან. ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო და დაეჩქარებინა იმ დემოგრაფიულ აფეთქებასაც, რომელიც დამახასიათებელია მაწარმოებლურ მეურნეობაზე გადასული კულტურებისათვის და რომელიც კარგად იქნა შემჩნეული გამთხრელთა მიერ შულავრის გორიდან იმისა და სხვა მცირე გორებზე ოჯახთა მთელი ჯგუფების განსახლებაში[35].

შულავრის გორის ქვედა სამშენებლო ჰორიზონტების დროს დაწყებული ოჯახის დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულად გამოყოფის პროცესი სამიწათმოქმედო იარაღების შემდგომ სრულყოფასთან ერთად სულ უფრო ძლიერდება და როგორც ვნახეთ, იმირის დროის ეტაპზე შესაძლებელი ხდება გვაროვნული თემის ნაცვლად სასოფლო თემის არსებობა ვივარაუდოთ. ამ დროისათვის, ჩვენი აზრით, შეიძლება უკვე დავუშვათ ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახებისაგან, სახლებისაგან შედგენილი სასოფლო თემის ასეთი ადრეული, ფუძე-ფორმის არსებობა, რომელიც მეტ-ნაკლებად შეცვლილი სახით განაგრძობს არსებობას სახელმწიფოს აღმოცენებამდე და ზოგ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს წარმოების აზიურ წესზე დამყარებული სახელმწიფოები—მისი აღმოცენების შემდეგაც.

სწორედ ოჯახების დამოუკიდებელმა ეკონომიკურმა საფუძველმა და მასში სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით მომხდარმა ცვლილებამ, დროთა განმავლობაში მათ მეტ-ნაკლებ ეკონომიკურ და სოციალურ დიფერენცირებასთან უნდა მიგვიყვანოს. ამ პროცესის ჩასახვის მაუწყებლად კი, ჩვენი აზრით, იმირის გორაზე ხელოსნის საცხოვრებლის აღმოჩენაც შეიძლება ჩაითვალოს[36].

ამგვარად, თუ ზემოთნათქვამ ჩვენ ვარაუდს დასაშვებად ჩავთვლით, გამოვა რომ შულავერი—შომუ-თეფეს კულტურის ადრეულ ეტაპზე საქმე გვაქვს, მესაქონლე-მიწათმოქმედი ტომების გვაროვნული თემის დაშლისა და დამოუკიდებელი ეკონომიკის მქონე ოჯახების, სახლების აღმოცენების პროცესთან, რომელმაც თავისი ლოგიკური გაგრძელება პოვა ამ კულტურის შემდგომ საფეხურებზე და იმირის ეტაპისათვის სასოფლო თემის სახე

[34] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.
[35] იქვე. გვ. 95.
[36] იქვე. გვ. 72.

მიიღო, რომელშიც ამ დროისთვის ერთი გვარის ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახები ან საერთო წარმოშობის, ასეთ ოჯახებად დაშლილი რამდენიმე გვარი ერთიანდებოდა.

გორანამოსახლარის სოციალური ბუნების განსაზღვრისას შეიძლებოდა აქ შევჩერებულიყავით. მაგრამ ის გარემოება, რომ უფრო გვიანდელ, მტკვარ-არაქსული კულტურის ნამოსახლარებთან დაკავშირებით ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ნამოსახლარის გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად მათ მიმართ ტერმინი „გორა“ უნდა ვიხმაროთ და უნდა ვიხმაროთ იმიტომ, რომ მათზე ნავარაუდებია იმდროინდელი სოციალური უჯრედის გვარის სამოსახლოები,[37] გვაიძულებს დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ პირველყოფილი თემური საზოგადოება არ შეიძლება მთელი თავისი არსებობის მანძილზე გააზრებულ იქნას, როგორც გვაროვნული წყობილება. ეს უკანასკნელი მისი შემადგენელი ნაწილია და ჩვენი აზრით, მოიცავს მხოლოდ პირველყოფილი თემური წყობილების ერთ დიდ მონაკვეთს, მითვისებითი მეურნეობის, ველურობის ეტაპს. როგორც ცნობილია და ზემოთაც ვნახეთ, მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა, გარკვეულ პირობებში, იწვევს გვაროვნული წყობის დაშლას და მის ნაცვლად ჩნდება საერთო წარმოშობის ოჯახებისაგან შემდგარი სასოფლო თემი, რომლის წევრებსაც ნათესაობის ნაცვლად, უკვე მხოლოდ სათემო საკუთრებაღა აერთიანებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ყველა ნამოსახლარის ტერმინ „გორათი“ აღნიშვნა არ შეესაბამება მათზე არსებულ რეალურ სოციალურ სიტუაციას. მით უმეტეს იმ პერიოდის ნამოსახლარებისას, რომელთა დროსაც თამამად შეიძლება ლაპარაკი ხელოსნობის ისეთი დარგების არსებობაზე როგორიცაა მეტალურგია და მეთუნეობა.

არ გამოდგება ამ მოსაზრების საბუთად არც კიკეთისა და სამშვილდის სამაროვნების საგვარეულო სამაროვნებად გამოცხადება, პირიქით, მათზე დადასტურებული ქვით ნაგები საოჯახო აკლდამები, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ალბათ, იმეორებენ სასოფლო თემში არსებულ საზოგადოებრივ სიტუაციას.

რაც შეეხება ნ. ბერძენიშვილის მიერ გორასთან ტერმინ „გვარის“ დაკავშირებას ამაზე ზევით უკვე ითქვა და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „გორა“, ჩვენი აზრით, არ გამოხატავს ნამოსახლარის სოციალურ ბუნებას, რის გამოც მის ნაცვლად შეიძლება ვიხმაროთ ტერმინი ნამოსახლარი ან სამოსახლო. ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ გვინდა მოვიტანოთ ციტატა ი. კიკვიძის ბოლო მონოგრაფიიდან: „სახლი, ივ. ჯავახიშვილის განსაზღვრით, გვარის მნიშვნელობის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინია. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ სახლის, როგორც სოციალური ერთეულის ჩამოყალიბება, დაკავშირებული იყო მიწათმოქმედების ჩამოყალიბებასთან და ბინადარი ცხოვრების განვითარებასთან. „სახლის“ ჩამოყალიბების კავშირი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან მიზეზია იმისა, რომ ეს სიტყვა, ასევე ტრადიციულად, მერმინდელ ხანებშიც

[37] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები თბ., 1977, გვ. 19.

„მიწაზე ჯდომის“, „მკვიდრობის“, „მოსახლეობის“ მნიშვნელობის მომენტს შეიცავდა. შემდეგ ეს „სახლი“ არის, ეთნოგრაფების ენით რომ ვთქვათ, „დიდი ოჯახი“ — ისეთი ერთობა ადამიანებისა, რომელიც ერთ ჭერქვეშ, ერთ ბინაში ცხოვრობს ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ „სახლი“ ადამიანთა საცხოვრებელ შენობასაც დაერქვა“[38].

როგორც ვხედავთ, ტერმინი „სახლი“, რომელიც ეთნოგრაფების ენაზე „დიდ ოჯახს“ აღნიშნავს, სავსებით შეესაბამება ნეოლით-ენეოლითისა და ბრინჯაოს ნამოსახლარებზე არსებულ სოციალურ სიტუაციას, რის გამოც ამ უკანასკნელი ტერმინის (ნამოსახლარი) ხმარება გორასთან შედარებით უფრო მართებული უნდა იყოს.

## Г. М. МИНДИАШВИЛИ

# К СОЦИАЛЬНОЙ ПРИРОДЕ ХОЛМОВ-ПОСЕЛЕНИЙ


### Резюме

Проведенные за последнее двадцатилетие археологические раскопки дали обильный материал для еще более полного изучения отдельных этапов истории первобытного общества, что потребовало пересмотра одной части, на наш взгляд, устаревших положений.

В этой связи следует уточнить некоторые предположения Н. А. Бердзенишвили, высказанные им в теории о холмах, поселениях («гора»), следуя которым родовая единица, оставив пещеры, поднялась, поселилась на холме («гора») и стала жить одним домом («сахлад», «цихед», «джихад»).

То обстоятельство, что это положение противоречит археологическим данным, усомнило нас в правильности еще одного предположения этой теории, в частности — происхождения социального термина «гвари» (род, фамилия) от географического «гора» (холм), несостоятельность которого доказывается и происхождением и этимологией этих слов.

Вышеотмеченные достижения в археологии, благодаря которым были открыты холмы-поселения типа тель-тепе в марнеульском районе ГССР, дали нам возможность вместе с исследователями этих раннеземледельческих памятников под другим углом посмотреть на общественные отношения жителей этих поселений, предполагая выделение больших хозяйственно-независимых от рода семейных единиц, что на позднем этапе раннеземледельческой культуры приводит к образованию сельской общины, где отдельные семьи с жилыми и хозяйственными сооружениями отгорожены от подобных же комплексов сырцовыми стенками-заборами.


---

[38] ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 26.

Исходя из этого предположения, мы считаем, что термин «гора-намосахлари», «гора» (холм) не отражает социальной природы поселения родового строя и поселений вообще. Поэтому следует вместо терминов «гора» или «горанамосахлари» употреблять термин «намосахлари» — поселение.

В пользу такого решения можно привести и предположения И. А. Джавахишвили и С. Н. Джанашиа, в которых говорится, что слово «сахли» — дом является древнейшим грузинским словом, обозначавшим род, а позднее и так называемую «большую семью».

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრის ენეოლითის და ადრე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილებამ

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## საქართველოს გაერთიანების ხანის ისტორია

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ გამოდის რვა ტომად. ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების მეცნიერული ისტორია მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა[1]. მთავარი რედაქტორია აკად. გ. მელიქიშვილი. თითოეული ტომი შესრულებულია გამოჩენილი მეცნიერებისაგან შემდგარი კოლექტივის მიერ. ამიერიდან ჩვენ ხელთ გვაქვს ქართველი ხალხის ყველა პერიოდის მეცნიერულად მაღალ დონეზე შესრულებული ისტორია, რაც ჩვენი ისტორიოგრაფიის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს. ამ ტომებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ პირველი ტომი. იგი საქართველოს უძველეს პერიოდს ეხება, რომლის შესახებ წყაროები, განსხვავებით სხვა ტომებისაგან, ძნელმისაწვდომია, პირველი ტომი შესრულებულია წყაროების ღრმა ცოდნით და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით. გამოქვეყნებული ტომებიდან უკანასკნელად გამოვიდა III ტომი და ჩვენი რეცენზიაც ამ ტომს ეძღვნება.

მესამე ტომი შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან: 1. საქართველოს ისტორია X—XIII საუკუნეების ოციან წლებამდე; 2. საქართველოს ისტორია XIII—XV საუკუნეებში. წიგნი შეიცავს 890 გვერდს.

გაერთიანების პერიოდი, რომლის ისტორიასაც მესამე ტომი ეხება, ძლიერ საინტერესოა მრავალმხრივ: 1. საქართველოს ფეოდალურმა სახელმწიფომ ამ პერიოდში მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს; 2. ქართულმა კულტურამ მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს; 3. ამ პერიოდის სახელმწიფო ფორმის მხრივ მეტად რთულია: შიგნით მსხვილი საფეოდალოებისაგან შედგება. ამასთანავე, სახელმწიფოს ჰყავს ვასალები, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმით საქართველოს სახელმწიფოს ემორჩილებიან; 4. საქართველო ამ პერიოდში საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვანი სახელმწიფოა.

III ტომის პირველი ნაწილის პირველ თავში განხილულია XI—XII სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის საკითხები (გვ. 79—153). ამ თავში დასაბუთებულია, რომ XI—XII სს. სახელმწიფოს ძლიერება შესაფერის სოციალურ-ეკონომიკურ ბაზას ემყარება, ე.ი. ამ პერიოდის საქართველო ეკონომიკურად განვითარებული იყო, განვითარებული იყო ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა, მაღალ დონეზე იყო მიწათმოქმედება და სხვ. ამასთან დაკავშირებით, ამავე თავში გაკრიტიკებულია შეხედულება, რომლის მიხედვით XI—XII სს. საქართველოს ძლიერება ემყარებოდა სამხედრო ნადავლსა და ხარკს და არა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას (გვ. 80).

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI—XV საუკუნეებში“, ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა, 1979.

II თავში განხილულია საქართველოს გაერთიანების საკითხები X ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, ბრძოლა მსხვილ ფეოდალებთან, ბიზანტიასთან და თურქ-სელჩუკებთან (გვ. 153—210). ნაშრომში ნაჩვენებია ის უდიდესი საშიშროება, რაც საქართველოს შეექმნა თურქ-სელჩუკების შემოსევების შედეგად. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა გიორგი II დროს.

მომდევნო III თავში ახსნილია ის მიზეზები, რამაც გამოიწვია საქართველოს თურქ-სელჩუკებთან დამარცხება: 1. საქართველოს მეფეებმა თურქ-სელჩუკების შემოსევებამდე მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლა ბოლომდე ვერ მიიყვანეს; 2. მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლასთან ერთად საქართველოს უხდებოდა ბიზანტიასთან ბრძოლა; 3. საქართველოს გაერთიანება ბოლომდე არ იყო მიყვანილი (თბილისი არ იყო შემოერთებული, ჰერეთ-კახეთი საქართველოს გარეთ იყო); 4. გარეშე მტრის შემოსევისთანავე ამოძრავდნენ მეფის მოწინააღმდეგე ძალები და ქართველ მეფეს გადაუდგნენ; 5. XI-ის 80-იან წლებში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს რანი და შარვანი, XI ს-ში სომხური სამეფო-სამთავროები ბიზანტიამ ჩაიგდო ხელში, ხოლო შემდგომ თურქებმა დაიპყრეს ისინი ბიზანტიასთან ბრძოლაში. საქართველო მედგარ წინააღმდეგობას უწევდა თურქებს, მაგრამ ყოველმხრივ მტრით გარშემორტყმული, ამასთანავე, შინაუთანხმოებით საკმაოდ დასუსტებული, ის დამარცხდა (გვ. 211). ასეთ ვითარებაში მიიღო მემკვიდრეობა დავით აღმაშენებელმა, რომელსაც იმთავითვე გვერდში ამოუდგნენ საქვეყნო საქმისათვის თავდადებული მოღვაწენი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მწიგნობართუხუცესი გიორგი და მოძღვარი არსენი (212).

თურქების საბოლოოდ დასამარცხებლად საჭირო იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება, მსხვილი ფეოდალების დამარცხება, „ნარკვევებში“ აღნიშნულია, რომ დავითმა პირველ ყოვლისა, გაილაშქრა მსხვილი საერო და საეკლესიო ფეოდალების წინააღმდეგ. 1103 წელს მისი ინიციატივით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც განდევნა ეკლესიიდან მეფის მოწინააღმდეგე მსხვილი ფეოდალების წარმომადგენლები და მათ ნაცვლად დანიშნა პირადი ღირსების მიხედვით, მეფის მომხრე პირები (გვ. 214—215). დავითმა ჩამოაყალიბა უმაღლესი სასამართლო ე. წ. „საჯარო კარი“, შექმნა მსტოვართა ინსტიტუტი, რომელიც, სამეთვალყურეო ფუნქციებს ასრულებდა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დავითმა ლაშქრის ორგანიზაციას. მისი სამხედრო აღჭურვილობით მომარაგების საქმეს. მან ჩრდილო კავკასიიდან გადმოასახლა 40000 ყივჩაღთა ოჯახი და მუდმივი ლაშქარი (გვ. 225—229).

დავით აღმაშენებელმა შეძლო თურქების განდევნა და საქართველოს საზღვრების გაფართოება. „ნარკვევებში“ საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ივი დიდი ენერგიით იბრძოდა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის, იმორჩილებდა ერისთავებს, შემოერთებულ მიწებს სამეფოდ სდებდა და იშვიათად იღებდა მიწებს ყმადნაფიცობის საფუძველზე. მან შემოიერთა ჰერეთ-კახეთი, თბილისი.

IV და V თავებში განხილულია დავითის შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხები XII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისამდე მართებულად არის ახსნილი, რომ მეფის ხელისუფლება მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლის პროცესში ფეოდალთა შორის წინააღმდეგობებს იყენებდა. ფეოდალთა ერთ დაჯგუფებაზე დაყრდნობით ის ებრძოდა მეორე დაჯგუფებას. აღნიშნულია ისიც, რომ XII საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მომავალი საზოგადოებრივ-

ეკონომიკური ფორმაციის საწყისები, რომელსაც დაეყრდნობოდა მეფის ხელისუფლება ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. (გვ. 284).

„ნარკვევებში“ არის ცდა იმისა, რომ შეიტანოს ერთგვარი გარკვეულობა დავით აღმაშენებლის მემკვიდრე მეფე დემეტრესა და მისი შვილის დავითის შორის ბრძოლის საკითხებში. (გვ. 287).

1177 წელს გიორგი III წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოეწყო მსხვილი ფეოდალის, ამირსპასალარ ივანე ორბელის თაოსნობით, რომელსაც უნდოდა გიორგი III მაგიერ დავით დემეტრეს ძის—დემნას გამეფება (დემნა ივანე ორბელის სიძე იყო). ამ აჯანყებას მრავალი ფეოდალი უჭერდა მხარს. გიორგი დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლის საქმეში. ამიტომ უკმაყოფილო იყვნენ მისი პოლიტიკით განკერძოებისათვის მებრძოლი მსხვილი ფეოდალები. გიორგი III-ემ დაამარცხა აჯანყებულები და სასტიკად დასაჯა ისინი.

მსხვილი ფეოდალები კიდევ უფრო აქტიურად ებრძვიან მეფის ხელისუფლებას თამარის დროს. თამარი გიორგიმ თავისსავე სიცოცხლეში აიყვანა თანამოსაყდრედ. გიორგის გარდაცვალებისთანავე, ფეოდალებმა თამარის მამიდას — რუსუდანის პირით აცნობეს თამარს, რომ დაეკავებინა ტახტი. რასაკვირველია, საქმე მხოლოდ ტახტზე ასვლის ცერემონიალის ჩატარებაში არ მდგომარეობდა: ამაში უნდა დავინახოთ მსხვილი ფეოდალების პრეტენზია, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრა მათ კომპეტენციაში შედის. თამარმა არ გაამწვავა საქმე და ის ხელმეორედ აკურთხეს მეფედ (გვ. 297—298).

„ნარკვევების“ V თავში განხილულია ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა. მოყვანილია შეხედულებანი, რომლებიც ყუთლუ-არსლანის დასის შეფასებასთან დაკავშირებით არის გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში და გაზიარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობა არსებითად დიდგვარიანთა მოძრაობა იყო (გვ. 308).

„ნარკვევების“ ამ ნაწილის ავტორის აზრით, თამარ მეფე და ყუთლუ-არსლანის დასის წარმომადგენლები შეთანხმებაზე წავიდნენ, შეთანხმების შინაარსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ დასმა „კარვის“ დაწესების მოთხოვნაზე უარი თქვა, ხოლო მეფემ თავის მხრივ დაუთმო იმ მხრივ, რომ გააფართოვა სახელმწიფოს მართვაში მსხვილი ფეოდალების მონაწილეობის უფლებები (გვ. 300—301).

თამარმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. მან შეძლო თავისი მომხრე, გიორგის III ერთგული ვაზირის ანტონ გლონისთავის ძის აღდგენა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობაზე, აგრეთვე სხვა მოხელეების დანიშვნაც (გვ. 311).

თამარის სურვილის წინააღმდეგ ის დააქორწინეს გიორგი ანდრიას ძე ბოგოლუბსკიზე (გვ. 311). მაშასადამე, მსხვილ ფეოდალებს იმდენად დიდი უფლებები ჰქონდათ მოპოვებული, რომ მეფის ქორწინებაზეც კი მიუწვდებოდათ ხელი.

«ნარკვევების» VII თავში განხილულია XI—XIII სს. საქართველოს კულტურის სხვადასხვა დარგის საკითხები (გვ. 369—527).

წიგნის მეორე ნაწილი იწყება VIII თავით, რომელიც მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობას ეხება.

თამარის შემდეგ, (1223 წლამდე), მეფობდა ლაშა გიორგი, რომლის დრო-

საც გრძელდებოდა მსხვილი ფეოდალებისა და მეფის ხელისუფლებას შორის ბრძოლა და ეს ბრძოლა მსხვილი ფეოდალების წარმატებით მიმდინარეობდა (გვ. 344—348).

მონღოლების შემოსევას საქართველოში წინ უძღოდა ხვარაზმელების შემოსევა, რამაც ობიექტურად ნიადაგი მოუმზადა მონღოლების გამარჯვებას საქართველოში.

«ნარკვევებში» მართებულად არის ახსნილი მონღოლების ბატონობის დროის საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური დონის თანდათანობითი დაქვეითება (გვ. 587), საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, მონღოლების დახმარებით მსხვილი ფეოდალების კიდევ უფრო გაძლიერება, საქართველოს ზოგიერთი ნაწილის უშუალოდ მონღოლებისადმი დაქვემდებარება და სხვ. XIV ს-ის 30-იანი წლებიდან მონღოლთა ბატონობა საქართველოში ფაქტობრივად შეწყდა. გიორგი V-ემ შემოიერთა დასავლეთ საქართველო და სამცხეც (გვ. 629). ამრიგად, ერთიანი საქართველო კვლავ აღსდგა გიორგი V-ის დროს. გიორგი V შეუდგა იმ ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების წესების აღდგენას, რომელიც მონღოლთა ბატონობის პერიოდში შერყეული იყო. გიორგი V დროს შედგენილი უნდა იყოს «ხელმწიფის კარის გარიგება», რომელშიც დაცულია ცნობები ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ორგანოებზე. «ნარკვევებში» დახასიათებულია ეს ორგანოები ხსენებული ძეგლისა და სხვა მასალების მიხედვით (გვ. 635—657).

XIV საუკუნის უკანასკნელ ოცეულსა და XV საუკუნის დასაწყისში საქართველოს თავს დაესხა თემურლენგი. «ნარკვევებში» მართებულად არის ნათქვამი, რომ 17 წლის განმავლობაში თემურლენგის დროდადრო შემოჭრები საქართველოში ისეთი უბედურება იყო, რომლის მსგავსი ქართველ ხალხს წინათ არც ენახა.

სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილია კ. მარქსის სიტყვები: თემურლენგის პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, სწერდა კ. მარქსი, რომ ათასობით ქალი, ბავშვი, კაცი და ჰაბუკი ეწამებინა, გაენადგურებინა და ამრიგად ყველგან შიში და ძრწოლა დაემკვიდრებიაო. საქართველოში თემურლენგმა დიდი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა დაატრიალა. რვაჯერ შემოესია თემურლენგი საქართველოს. თემურლენგის შემდეგ საქართველოში მრავალი ნაქალაქარი, ნასოფლარი დარჩა ისე, რომ შემდეგში არ აღდგენილა (გვ. 670—720).

«ნარკვევების» XII თავში გადმოცემულია საქართველოს XV ს-ის პირველი ნახევრის ისტორია, ალექსანდრე დიდის აღდგენითი სამუშაოები, ამასთან დაკავშირებით ალექსანდრეს საგანგებო ზომები და სხვ. (გვ. 720—782).

XV ს-ის მეორე ნახევარში უკვე თავს იჩენს საქართველოს პოლიტიკური დაშლა, უკეთ რომ ვქვათ მსხვილი სამთავროები უკვე იწყებენ გამოყოფისათვის აშკარად ბრძოლას. XV ს-ის დასასრულისათვის საქართველო უკვე დანაწილებულია; ქვეყნის დანაწილების საკითხი კარგად არის გადმოცემული «ნარკვევებში» (თავი XIII, გვ. 733—753); დახასიათებულია XIII—XV საუკუნეების საზოგადოებრივი კლასები (თავი XIV, გვ. 753—808) და ნაჩვენებია უშედეგო ცდები ცენტრალური ხელისუფლებისა, გააძლიეროს მეფის ხელისუფლება, გიორგი V-ის ცდა ამ მხრივ შედარებით შედეგიანი იყო, ხოლო XV საუკუნეში საქართველო სოციალურ-ეკონომიურად მოიშალა და ყოველგვარი ცდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა XV ს-ის II ნახევარში მარცხით დამთავრდა (XV თავი, გვ. 808—819)

«ნარკვევების» უკანასკნელ (XVI) თავში ძლიერ კარგად განხილულია XIII—XV სს. ქართული კულტურის საკითხები: კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საქართველოში და საზღვარგარეთ, ისტორიოგრაფია, ლიტერატურა, კანონმდებლობა და ხელოვნება. (გვ. 819—855).

შენიშვნები:

1. პირველი საკითხი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იქცევს იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი აზრით სარეცენზიო ნაშრომმა ვერ გასცა პასუხი, გაერთიანების პერიოდის დახასიათებისას შემდეგ ძირითად საკითხს: გაერთიანების შემდეგ, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის მეფობისას, საქართველო შედგა ყოველმხრივი განვითარების გზაზე. ერთიან საქართველოში ადგილი აქვს საწარმოო ძალთა განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, კულტურულ აღმავლობას. ამის შემდეგ ასი წელი გავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ისე, რომ გარეშე ფაქტორი არ ჩარეულა, მაშასადამე, ამ ასი წლის განმაელობაში განვითარება ხდებოდა შინაგანი ფაქტორის შედეგად; ამავე დროს სახელმწიფოს შიგნით ეკონომიკური განვითარება ისე მიმდინარეობს, რომ არ იწვევს ქვეყნის ცენტრალიზაციის განმტკიცებას; პირიქით, დავითის შემდეგ მსხვილი ფეოდალები კიდევ უფრო ძლიერდებიან და თამარის მეფობაში მეფის ხელისუფლებას საგრძნობლად ზღუდავენ. რით უნდა ავხსნათ ეს? ეს იმ გარმოებით უნდა აიხსნას, რომ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება არ მიდის ნორმალური აღმავლობის გზით, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ევროპის ქვეყნებში (ევროპის ქვეყნები იმისათვის ვახსენე, რომ ქართული ფეოდალიზმი თავისი ძირითადი ნიშნებით, სწორედ ევროპის ძირითადი ქვეყნების ფეოდალიზმის მსგავსია). ევროპის ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა იწვევდა დაქუცმაცებულობის შემდეგ ქვეყნის ცენტრალიზაციას, წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიას, რომელიც შემდეგში გაიზარდა მეფის ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერებაში — აბსოლუტური მონარქიის სახით. საქართველოში კი ამას ადგილი არა აქვს. სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილია ნ. ბერძენიშვილის დებულება, როგორც სახელმძღვანელო, რომლის მიხედვით XIII საუკუნისათვის ფეოდალური საქართველოს ზრდა-განვითარება ძირითადად დასრულებული იყო. ფეოდალურმა ურთიერთობამ თავისი აღმავლობის უკიდურეს ზღვარს მიაღწია და შემდგომი განვითარება ფეოდალური ურთიერთობის დაშლის ტენდენციებს ზრდის და ახალი საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაციის, ე. ი. ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვის ნიშნით შეიძლებოდა წარმართულიყო (გვ. 81), და თუ საქართველოში არ დადგა „გვიანფეოდალური პერიოდი“, ამის მიზეზი „ნარკვევების“ მიხედვით გარეშე მტრების მიერ საქართველოს დაპყრობები იყო, რომელმაც გამოიწვია ეკონომიკური რეგრესი და ხელოვნურად გაახანგრძლივა „განვითარებული ფეოდალიზმის“ პერიოდი და პოლიტიკური დაშლილობა (გვ. 8).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გაერთიანების ხანაში, XI—XII საუკუნეებში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ისეთი იყო, რომ არ იწვევდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციას, პირიქით, მსხვილი ფეოდალები თანდათანობით ძლიერდებიან, ხოლო თამარის დროს ამ მხრივ დიდ შედეგებსაც აღწევენ, ისე, რომ მეფის ხელისუფლებისა თანაზიარნი მაინც არიან, თუ მეტი არა.

ჩვენი აზრით ამის მიზეზია შემდეგი: ა. საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არ იყო სათანადო დონეზე, არ მიემართებოდა ისეთი აღმავლობის გზით, რომელსაც შეეძლო გვიანფეოდალური პერიოდის დადგომა სათანადო პოლიტიკური ორგანიზაციით—მტკიცე ცენტრალური ხელისუფლებით ეკონომიკის განმსაზღვრავი ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი კი იყო საქალაქო ვითარება, ქალაქების არასაკმაო განვითარება. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ქალაქები (თბილისი, დმანისი და სხვები) არ ემსახურებოდნენ საქართველოს ინტერესებს; მაგალითად, ქალაქ თბილისის ვაჭართა მაღალი ფენის მნიშვნელოვანი ნაწილი არაქართული ელემენტებით იყო წარმოდგენილი; რასაკვირველია, ვაჭართა ეს ნაწილიც დაინტერესებული იყო ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოთი, რომლის ფარგლებში გაუქმებული იქნებოდა ცალკეულ მსხვილ ფეოდალთა ანუ მთავართა საბაჟოები; მაგრამ ვაჭართა ამ ფენას უფრო აწყობდა თუ ეს იქნებოდა ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიც იყო არაბეთი ან თურქ-სელჩუკების სახელმწიფო, რამდენადაც ამ სახელმწიფოებში ვაჭრობისათვის უფრო ფართო ტერიტორიული ასპარეზი იქნებოდა გაშლილი. ამ ფენის არაქართველობასაც ჰქონდა მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების წინ, მემატიანეს გადმოცემით თბილისის, დმანისისა და განძის ვაჭრები, დავითის წინააღმდეგ, ე. ი. საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოუწოდენენ თურქებს სამღვთო ომის საწარმოებლად.

ვაჭართა მაღალი ფენის ძლიერი ნაკადის არაქართველობა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში აფერხებდა საქართველოს ქალაქების ურთიერთკავშირს, ხელს უშლიდა მათ განვითარებას.

ბ. საქართველო დიდი ხნის განმავლობაში ცალკეული სამეფოებისა თუ სამთავროებისაგან შედგებოდა. ამასთანავე, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფა ძირითადად ემთხვეოდა ეთნიკურ დაყოფას. ეთნიკური დაყოფა ზოგჯერ ენობრივი დაყოფითაც ხასიათდებოდა (ქართველური ენები). ყველა ეს გარემოება ერთად აღებული ხელს უშლიდა საქართველოს მტკიცედ გაერთიანებას; გაერთიანების შემდეგაც, ამ სამთავროებს შემორჩათ შემოყოლილი განსხვავებული ჩვეულებანი, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, თავისებური წყობილება, თავისი ენა. გაერთიანების შემდეგ არ მოხდა ამ თავისებურებათა მოსპობა და გაერთიანების ხანაში ამ თავისებურებით განაგრძობდნენ ისინი საქართველოს ერთიან სახელმწიფოში არსებობას, რაც ხელს უშლიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკონომიკურსა და სავაჭრო ურთიერთობას, ასეთი გარემოება აპირობებდა მსხვილი ფეოდალების განკერძოებისაკენ სწრაფვასა და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს.

გ. შეტევითი ომების დროს, განსხვავებით დავით აღმაშენებლისა, თამარი, ომის შედეგად შემოერთებულ მიწებს ძირითადად მსხვილ ფეოდალებს აძლევდა. შეტევითი ომები თურქების წინააღმდეგ აუცილებელი საშუალება იყო თავდაცვისათვის. თამარ მეფემ ერთგვარი კონტაქტი დაამყარა მსხვილ ფეოდალებთან, დააინტერესა ისინი შეტევითი ომების შედეგად აღებული მიწების მიცემით. ამასთანავე, მსხვილი ფეოდალები კარგად ხედავდნენ, რომ შეტევითი ომების წარმოება შესაძლებელი იყო ძლიერი სახელმწიფოს საშუალებით. ამ წონასწორობის შედეგად თამარმა მიაღწია საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერეს, რომელიც არ ემყარებოდა სახელმწიფოს ძლიერ ეკონომიკას.

სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილია ი. ჯავახიშვილის, გ. ნათაძისა და ქ. რაჭველიშვილის მოსაზრება, რომ საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერე XI—XII სს. არ ემყარებოდა შინაგან საწარმოო ძალთა განვითარებას, არამედ სამხედრო ნადავლსა და ხარკს (გვ. 80). შეტევითი ომებიდან მიღებული ნადავლი არ არის გამომხატველი საქართველოს შინაგანი ეკონომიკის, ესეც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ყველა ამ გარემოების გამო საქართველოში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ საწარმოო ძალთა განვითარება შეფერხდა, ეკონომიკურმა განვითარებამ არ მიაღწია ისეთ დონეს, რომ ეკონომიკურად მჭიდროდ დაეკავშირებია საქართველოს სხვადასხვა რეგიონი, რომ ამის საფუძველზე წარმოშობილიყო ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა საქართველოს რეგიონების ცალკეულ თავისებურებათა ნიველირებას.

2. სარეცენზიო ნაშრომში გაერთიანების ხანა იწოდება «განვითარებული ფეოდალიზმის ხანად» (გვ. 5). სანამ ამ დებულებას განვიხილავდეთ, უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის მხოლოდ სარეცენზიო ნაშრომის ამ ნაწილის ავტორის მოსაზრება, არამედ ეს არის ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება, რომელსაც იზიარებენ დიდი მეცნიერები—ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვეთანხმებით ამ შეხედულებას. «განვითარებული» შედარებითი ცნებაა: ფეოდალიზმი, როგორც საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაცია ყველაზე უფრო განვითარებულია მის დასასრულს, როცა მასში ჩაისახება და საკმაო განვითარებას მიაღწევს მომავალი საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაცია (ბურჟუაზიული); საქართველოსათვის ეს არის XIX ს-ის ოცდაათიანი თუ ორმოციანი წლები.

შედარებით, განვითარების მიხედვით ადრეფეოდალურზე უფრო განვითარებულია გაერთიანების ხანის ფეოდალიზმი, ხოლო გაერთიანების ხანის ფეოდალიზმთან შედარებით, როგორც ვთქვით, უფრო განვითარებულია XIX ს-ის ფეოდალიზმი საქართველოში.

კ. მარქსის დახასიათებით იერარქია არის ფეოდალიზმის იდეალური ფორმა[3]. ფეოდალური იერარქია მიწის საკუთრებაზე არის დამყარებული, ფეოდალური საკუთრების დანაწევრება ქმნის ფეოდალურ კიბურს, რომლის სხვადასხვა საფეხურზე განლაგებული არიან ფეოდალები გლეხობის ექსპლუატაციის მიზნით. ეს არის სენიორულ-ვასალური ურთიერთობა. რამდენადაც ფართოა სენიორულ-ვასალური ურთიერთობა, იმდენად სრულია იერარქია, ე. ი. იმდენად ფეოდალიზმი ამ იერარქიის მხრივ მომწიფებულია, განვითარებულია. ჩვენი აზრით, იერარქიის შედარებით სრული ფორმა გვაქვს IX-X საუკუნეებში, როცა ტაო-კლარჯეთი მოფენილია სამთავროებით. ეს არის იერარქიის განვითარება ანუ ფეოდალიზმის განვითარება, მისი მომწიფება. ამ მხრივ IX—X სს. უფრო სრულია იერარქია, ვიდრე გაერთიანების ხანაში: ბაგრატ კუროპალატი არის პირველი სენიორი, მისი ვასალები არიან ადარნასე და გუარამი, უკანასკნელთა ვასალებია გიორგი ჩორჩანელი და გაბრიელ დაფანჩული, უკანასკნელთა ვასალებია მათი «წინაშემდგომელნი» და «საკუთარნი», «ვეფხისტყაოსნით» კი როსტომის ვასალია ავთანდილი, ავთანდილის ვასალია შერმადინი. იქ ოთხი საფეხურია, აქ—სამი. ამიტომ IX—X სს. საქართველოში არის ფეოდალიზმის გაფურჩქვნის, განვითარების, აყვავების ხანა გაერთიანების პერიოდში ფეოდალიზმის როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის გან-

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения. т. III, Издане второе, 1955, გვ. 164.

ვითარება კი ხდება, მაგრამ იერარქიის შეკვეცით, ე. ი. ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნის შესუსტებით.

ამასთანავე, «განვითარებული ფეოდალიზმი» არ უნდა ავურიოთ განვითარებულ კულტურაში XI—XII სს. დროის საქართველოში. კულტურის მიხედვით XI—XII სს. განვითარების მწვერვალს წარმოადგენს ფეოდალური საქართველოსათვის.

ჩვენი აზრით, ადრეფეოდალური პერიოდია IV—VIII სს., განვითარებული ანუ მომწიფებული ფეოდალიზმი IX—X სს., ამას მოსდევს გაერთიანებული ხანის ფეოდალიზმი და ასე შემდეგ. სარეცენზიო ნაშრომის მიხედვით, ისე როგორც ეს მიღებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ადრეფეოდალური პერიოდი IV—X საუკუნეებზე მოდის (გვ. 89—90).

3. სარეცენზიო ნაშრომში წერია: «ფეოდალიზაციის დასასრული ბატონყმობის გამარჯვებას მოასწავებდა» (გვ. 61). ალბათ, ავტორს მხედველობაში აქვს მწარმოებელი კლასის დაყმევების პროცესი. ფეოდალიზაციის პროცესი ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში მიმდინარეობს და დასრულებულ სახეს IV საუკუნეში ღებულობს ე. ი. მაშინ, როდესაც მყარდება საქართველოში ფეოდალური საზოგადოებრივი ეკონომიკური ფორმაცია.

ფეოდალიზმის საფუძველი მსხვილი მიწის საკუთრებაა, რომელიც ართმევს მიწის მუშას წარმოების ძირითად საშუალებას და აპირობებს მის დამოკიდებულ მდგომარეობას ფეოდალისაგან. ფეოდალური საკუთრება თავისი დანაწევრებული ბუნებით წამყვანი და განმსაზღვრავია ფეოდალური საზოგადოების, ამ საკუთრებას მწარმოებელი კლასი მოკლებულია, ხოლო მესაკუთრეა ფეოდალთა კლასი; ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასების ურთიერთობა ამ საკუთრებაზეა აგებული. მარქსიზმის კლასიკოსების განმარტებით, ფეოდალური ექსპლუატაციისათვის აუცილებელი პირობაა პირადი დამოკიდებულება, პირადი არათავისუფლება უშუალო მწარმოებლისა, მაგრამ ეს უშუალო მწარმოებლის „არათავისუფლება“ შეიძლება სრული დაყმევებიდან „შერბილებულ და დაყვანილ იქნეს უბრალო ვალდებულებამდე“[3]. მართლაც თუ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და სხვ.) მწარმოებელი კლასი ძირითადად დაყმევებული იყო, იტალიაში ასეთ აღმავალ ფეოდალიზმს არ გამოუწვევია დაყმევების პროცესის გაძლიერება, ხოლო სკანდინავიის ქვეყნებში, მაგალითად, ნორვეგიაში, სრული დაყმევება არასოდეს ყოფილა.

ყველა ამით იმისი თქმა გვინდა, რომ მწარმოებელი კლასის ძირითადად სრული დაყმევება არ არის ფეოდალიზმის აუცილებელი ნიშანი.

«ნარკვევებში» კი საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ფეოდალიზმის აღმავლობითი განვითარების გზა მწარმოებელი კლასის სრული დაყმევებისაკენ მიდის, სრული დაყმევება კი ბატონყმობაა, რომელიც საქართველოში დასრულებულ სახეს ღებულობს ზოგი მეცნიერის შეხედულებით XII ს-ის მეორე ნახევარში, ზოგისა ——კი XIII ს-ის დასაწყისში.

იმის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს, რომ მწარმოებელი კლასის სრულ დაყმევებას ადგილი ჰქონდა საქართველოში ამ ხანებში, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს არ იყო «აღმავალი» განვითარების გზა. მთელი რიგი ფაქტორების გამო, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი (დაბრკოლებანი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ქალაქების თავისებურებანი, დაპყრობითი ომები,

---

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, წ. II, 1959, გვ. 410.

გაერთიანების არასრულყოფილობა), საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი განვითარება დაბრკოლდა, რამაც შექმნა პირობები მწარმოებლური კლასის დაყმევებულ მდგომარეობაში ყოფნის გახანგრძლივებისა, ამ მხრივ პროგრესისაკენ ძვრებს ადგილი არ ჰქონდა XII—XIII საუკუნეებში, როცა დაიწყო მონღოლების შემოსევა, რამაც კიდევ უფრო დააბრკოლა ქვეყნის განვითარება.

4. „ნარკვევებში“ ნათქვამია, რომ ქალაქები მეფის მხარეზე იყვნენ, მაგრამ ხშირად ირღვეოდა მათი კავშირი. როცა ქალაქს გარეშე საფრთხე არ ელოდა, ან ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებისაგან არ ჰქონდა საშიშროება, მაშინ დამოკიდებულებას არჩევდა და მეფის დამორჩილებაზე უარს ამბობდა. მოყვანილია მაგალითი, როცა თბილისმა წინააღმდეობა გაუწია დავით აღმაშენებელს და დავითს მოუხდა თბილისის ძალით აღება (გვ. 99). ჩვენი შენიშვნა იმაში მდგომარეობს, რომ აქ ავტორი ყურადღებას არ აქცევს თბილისის მაშინდელ ვაჭართა მაღალი და ძლიერი ფენის ეთნიკურ შემადგენლობას, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამავე ნაშრომის მეორე ადგილას მოყვანილია შემატიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის მიერ შევიწროვებულმა თურქმანებმა და თბილისისა, დმანისისა და განჯის ვაჭრებმა საერთო მტრის — დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს სულთანს (გვ. 238). თურქმანებისა და ამ ქალაქების გაერთიანების თხოვნა წიგნში ამგვარად არის ახსნილი: ვაჭრები შეშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ „საქართველოს მისადგომებიდან თურქთა განდევნის გამო კარგავდნენ როგორც მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საშუალებას, ასევე საკუთარ მფლობელობას ქალაქებში, ხოლო, მეორე მხრივ, აქაურმა სელჩუკებმა, საყრდენი პუნქტების დაკარგვის გამო, საერთო ენა გამონახეს და საერთო მტრის წინააღმდეგ დახმარება სულთანს სთხოვეს“ (იქვე). მაშასადამე, თბილისისა და დმანისის ვაჭრები, ე. ი. საქართველოს ქალაქების ვაჭრები საერთო ენას ნახულობენ განძის ვაჭრებთან: სელჩუკები ე. ი. თურქმენები, რომელთაც დავით აღმაშენებელი ერეკებოდა საქართველოდან და საქართველოს მოსაზღვრე ადგილებიდან, თბილისის, დმანისის და განძის ვაჭრებთან ერთად გამოდიან საერთო მტრის წინააღმდეგ და ეს საერთო მტერი საქართველოა, დავით აღმაშენებელი. ამ შემთხვევაში ქალაქების ეთნიკურ შემადგენლობას აქვს მნიშვნელობა. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი კი, სავსებით გვერდს უვლის ქალაქების ვაჭართა ეთნიკური შემადგენლობის მნიშვნელობას. ამავე დროს მან იცის და წერს კიდეც, საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, მრავლად იყვნენ არაქართველებიო (გვ. 253).

კ. მარქსი წერდა პოლონეთის ქალაქების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ: გერმანელებმა, რომლებიც პოლონეთში დამკვიდრდნენ, ხელი შეუშალეს პოლონეთის ქალაქებისა და პოლონეთის ბურჟუაზიის შექმნას, გააძნელეს სახელმწიფოს ცენტრალიზაციის განხორციელება[4]. მაშასადამე, სახელმწიფოში ქალაქების ეთნიკურ შემადგენლობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონია[5].

5. „ნარკვევების“ სარეცენზიო ტომში საუბარია საქართველოს მონათმფლობელური პერიოდის ქალაქებზე (გვ. 101), მაშინ როდესაც ამავე „ნარკვე-

---

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. V, Издание второе, 1956 გვ. 338.

[5] ივ. სურგულაძე, ქალაქების მნიშვნელობა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაში, თსუ შრომები, ტ. 89, 1960.

ვები“ პირველ ტომში, ადრე კლასობრივ საზოგადოებაზეა მსჯელობა და არა მონათმფლობელურზე.

6. «მოურავის ინსტიტუტი ქართულ სახელმწიფო აპარატში, თუ ადრე არა, XI ს-დან მაინც არსებობს.» (გვ. 120). იქვე ნათქვამია, რომ ქართული ტერმინი «მოურავი» არაბულ ტერმინ «ამირასთან» ერთად ქალაქის მმართველის აღსანიშნავად იხმარებოდა. ამის შესახებ სქოლიოში მითითებულია XI საუკუნის ძეგლზე (იქვე). «მოურავი» გვიანფეოდალურ პერიოდში, XV საუკუნიდან იხმარებოდა ქალაქის მმართველის მნიშვნელობით «ამირასთან» ერთად, კიდევ უფრო გვიან, «ამირა» შეცვალა მოურავმა, მოურავი ქალაქის მოხელეც იყო და სოფლისაც: მეფეს თავისი მოურავები ჰყავდა, აგრეთვე ფეოდალებსაც (გვიანფეოდალურ პერიოდში). უფრო ძველ ძეგლებში გვხვდება «საურავი» საზრუნავის და «ურვა» ზრუნვის მნიშვნელობით.

«ხელმწიფის კარის გარიგებით», მონადირენი სასახლეში გამოცხადდებიან მეფის, დედოფლის, მათი შვილების, «ვეზირთა და მოურავთა» წინაშე[6]. თითქოს აქ მოურავი კონკრეტული სახელო ჩანს. ასევეა სარეცენზიო ნაშრომში მოყვანილი საბუთის მიხედვითაც: მეფე წერს, რომ ბრძანება მისი ბოძების შესახებ არავინ დაარღვიოს: «ან ვინც ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ეს ჩუენი საგამგეოსა ჩუენისა მოურავთა, მუხრანის ციხისთავთა, მეზროხეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა» ჩუენი განკარგულება დაამტკიცეთო. აქაც, თითქოს «მოურავნი» კონკრეტული მოხელეებია, მაგრამ ქალაქებთან ამ მოურავებს არაფერი საქმე აქვთ, ე. ი. მოურავი ქალაქის მოხელე არ არის XV საუკუნემდე.

შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ XV ს-ის წინანდელი მოურავები საერთოდ მოხელეებს ეწოდებათ მზრუნველის მნიშვნელობით. აქ ამის შესახებ აღარ გავაგრძელებთ საუბარს, დაწვრილებით ეს საკითხი გარჩეული გვაქვს ჩვენს ნაშრომში.[7]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო ნაშრომში XIII ს-ის მეორე ნახევრისათვის მოხსენიებულია ქალაქის მამასახლისები (გვ. 617). მამასახლისი ძლიერ გავრცელებული ტერმინია, ის გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს, კლასობრივ საზოგადოებაში საქართველოში ის დიდი მოხელეა (ქართლის მამასახლისი ევსტათი მცხეთელის მიხედვით), გაერთიანების ხანაში იყვნენ მონასტრის მამასახლისები, სოფლის მამასახლისები (გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის სიგელი, XIII ს-ის პირველი ნახევარი), მაგრამ ქალაქის მამასახლისი გაერთიანების პერიოდის ძეგლებში დამოწმებული არ არის.

7. ნაშრომში წერია: „გლეხის პატრონი არის იურიდიული პასუხისმგებელი გლეხის მიერ ჩატარებული ყიდვა-გაყიდვის აქტისა“ (გვ. 127), თუ ის პასუხისმგებელია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ის იურიდიულად არის პასუხისმგებელი, სხვა (მორალური) პასუხისმგებლობა აქ არ იგულისხმება. ამიტომ „იურიდიული“ სავსებით ზედმეტია, გარდა ამისა, „იურიდიული“ ენობრივადაც უმართებულოა წინადადებაში (უნდა იყოს „იურიდიულად“).

8. «ძეგლის დადება» XI—XIII სს. სოციალური ვითარების დასახასიათებლად არის გამოყენებული, რაც უმართებულოდ მიმაჩნია, რამდენადაც ძეგლი XIV საუკუნისაა.

---

[6] ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 42, ბ, 20.

[7] იქვე, იხ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ და „დასტურლამალის“ ლექსიკონებში სიტყვა, „მოურავი“.

9. მსახური წარმოშობით და საერთოდ სოციალურად გლეხია, ამიტომ მსახურთა „უმრავლესობა ყმა გლეხების მდგომარეობაშივარდებაო", არ არის მართებული, არაა მართებული იმითაც, რომ მსახური მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მეფისა და მსხვილი ფეოდალებისათვის საჭირო ფენაა და ამდენად ის არსებობს კიდეც რუსეთთან შეერთებამდე.

10. სარეცენზიო ნაშრომის მიხედვით დავით აღმაშენებელი „პირველი და ნამდვილი თვითმპყრობელი მეფე იყო" (გვ. 256—257). ნაშრომის სხვა ადგილას დავით აღმაშენებლის ხანაში „მეფე თითქმის აბსოლუტური მონარქია". (გვ. 349). ქართველი მეფის „თვითმპყრობელად" ან აბსოლუტურ მონარქიად მოხსენიება არ არის მართებული. თვითმპყრობელობა ანუ აბსოლუტიზმი მაშინ მყარდება, როდესაც ფეოდალიზმის წიაღში ბურჟუაზიული წყობილების საწყისები საკმაო განვითარებას ღებულობს. ამიტომ დავითი იყო „ძლიერი" ხელისუფლების მქონე მეფე და არა „თვითმპყრობელი" ან „აბსოლუტური მონარქი".

11. «ნარკვევების» ერთ-ერთი ავტორი ეხება ბაგრატ III მეფობას და წერს, რომ «ქართული საზოგადოება ამ დროისათვის მთლიანად ფეოდალიზებულია» (გვ. 284), გაურკვეველია თუ რისი თქმა სურს ავტორს. ჩვენი აზრით, ქართველი საზოგადოება IV საუკუნიდან XIX -ს-ის მეორე ნახევრამდე მთლიანად ფეოდალიზებულია.

12. „ნარკვევებში" მოყვანილია ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება თამარის მეორედ მეფედ კურთხევის შესახებ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მეორე კურთხევაში „დიდგვარიანი სახლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში საგანგებოდ იყო ხაზგასმული". სარეცენზიო ნაშრომის ავტორი აკრიტიკებს ასეთ მოსაზრებას და მოჰყავს დიმიტრი დავითის ძის მეორედ კურთხევის მაგალითი. დიმიტრი დავით აღმაშენებელმა აკურთხა მეფედ, ხოლო დავითის გარდაცვალების შემდეგ ის ხელმეორედ აკურთხესო. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ასკვნის: „უნდა ვიფიქროთ, რომ თამარის ერთმმართველად კურთხევაც არაფერ განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენდა და არ ნიშნავდა, რომ კურთხევის მომთხოვნელები ეჭვქვეშ აყენებდნენ თამარის, როგორც ქალის უფლებებს" (გვ. 299).

პირველ ყოვლისა, ნ. ბერძნიშვილს თამარის მეორედ მეფედ კურთხევასთან დაკავშირებით ქალის მეფობის ეჭვქვეშ დაყენებაზე კი არ აქვს საუბარი, არამედ მხედველობაში აქვს მსხვილ ფეოდალთა პრეტენზია ტახტზე მემკვიდრის აყვანის უფლებაზე, აი ამ უფლების მიჩემებას ცდილობენ ძირძველი ფეოდალები. გარდა ამისა, დიმიტრი დავითის ძის მეორედ კურთხევა არ გამორიცხავს იმას, რომ დიმიტრის ამ მეორე კურთხევით მსხვილი ფეოდალები ასეთივე პრეტენზიებით გამოდიოდნენ, ე. ი. დიმიტრის მეორედ კურთხევით მსხვილი ფეოდალები ამტკიცებდნენ თავიანთ უფლებებს სახელმწიფოს მმართველობის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებით.

„ნარკვევების" მიხედვით, „ცენტრალიზმის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ, მაგალითად, მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სხვა", განაგრძეს ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, „ამ ჯგუფმა მოახერხა თამარის ქმრად თავისი სასურველი კანდიდატი გამოენახა", ისიც მოახერხა, რომ თამარი მისი სურვილის წინააღმდეგ დაქორწინებულიყო, ჩამოიყვანეს გიორგი ანდრიას ძე და დააქორწინეს ის თამარზე (გვ. 311). გადამეტებული დასკვნებია. აბულასანის მონაწი-

ლეობა სასიძოს გამონახვაში კი ჩანს, მაგრამ დადიანის შესახებ ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ გიორგის გაძევების შემდეგ დადიანი თამარის წინააღმდეგ აჯანყებულთა მხარეზე ჩანს, როდესაც გიორგის გამეფება მოინდომეს.

გარდა ამისა თუ აბულასანი და დადიანი დარბაზის საშუალებით ყველაფერს აკეთებენ, რაც კი მათ უნდოდათ, კიდევ რაღა საჭირო იყო მათთვის „ცენტრალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა? რასაკვირველია, სასიძოს ვინც ჩამოიყვანდა, იმას კი ექნებოდა იმისი საფუძველი, რომ სასიძოს ის გამოიყენებდა ფეოდალთა ურთიერთობაში. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ვიმეორებთ, აბულასანის და დადიანის შეკავშირების შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია.

**13.** ათაბაგობა სარეცენზიო ნაშრომის VI თავში მეჭურჭლეთუხუცესის შემდეგ და მსახურთუხუცესის წინ განიხილება (გვ. 358—359). „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ის მოიხსენიება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის შემდეგ და სარეცენზიო ნაშრომშიც ასევე უნდა ყოფილიყო.

ათაბაგს სარეცენზიო ნაშრომის VI თავის მიხედვით თურქ-სელჩუკების სამეფოში უფლისწულის აღმზრდელის ფუნქცია ჰქონდა, საქართველოში კი არაო (გვ. 348); ავტორი ამაში არ არის მართალი: საქართველოშიც მას ასეთივე ფუნქცია ჰქონდა.

ათაბაგობის სახელო შემოღებულ იქნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის საპირისპიროდ. რამდენადაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის ხელისუფლების, ძლიერების დამცველი იყო, იმდენად, ათაბაგობა, როგორც ამ სახელოს საპირისპიროდ შემოღებული, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას ემსახურებოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ათაბაგი მთავარი იყო პირველ ყოვლისა და მისი ფუნქცია, გარდა უფლისწულის აღზრდისა, ცენტრალურ მმართველობაშიც არ ჩანს.

სარეცენზიო ნაშრომის ერთ-ერთი ავტორის აზრით, „ათაბაგის ვაზირთა რიცხვში შეყვანა უკვე მოწმობს სამეფო ხელისუფლების შესუსტებას და ამ ხელისუფლებაში მხოლოდ აღმასრულებელი ფონქციის არსებობას“ (გვ. 359). ამ წინადადების პირველი ნაწილი სწორია, ხოლო მეორე ნაწილი არა: სარეცენზიო ნაშრომის ამ თავის ავტორისათვის სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლის წყაროდ „ხელმწიფის კარის გარიგებაა“, ამ ძეგლიდან კი არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს, რომ ათაბაგობის შემოღების შემდეგ მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩება; „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ათაბაგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის შემდეგ არის მოხსენიებული, ის უფლებებით, პატივით ხუთი ვაზირიდან პირველ სამეულში მოიხსენიება: ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი.

რაც შეეხება მონღოლების პერიოდს, მაშინდელი ათაბაგები სადუნ მანკაბერდელი, ტარსაიჭ ორბელი და ხუტლუბუღა, (განსაკუთრებით სადუნი), მედროვენი იყვნენ, მეფის ხელისუფლება, მართლაც, ძლიერ იყო შეზღუდული მათ მიერ.

**14.** „დავით რუსუდანის ძის ამბავი დიდხანს აღარ ისმოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსუდანი გარდაიცვალა, ბუნებრივი იყო საქართველოს მესვეურებს

---

[8] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ათაბაგთა ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში (ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“, 1965, გვ. 7—281).

მეფის ახალი კანდიდატის ძებნა დაეწყოთ. მით უფრო, რომ დიდებულ მთავრებს არ სურდათ ეგარსლანის უფროსობა. ამ ჯგუფმა დავით ლაშას ძე რუმის სასულთნოდან ჩამოიყვანა... და თანმხლები დიდებულებით ურდოში გაამგზავრა. მოულოდნელად დავითს იქ რუსუდანის ძე დავით დახვდა" (გვ. 556), — წერია სარეცენზიო წიგნში.

ა. დავით ნარინის მოწინააღმდეგე დიდებულებმა კარგად იცოდნენ, რომ დავით ნარინი ურდოში იყო, ამიტომაც „მოულოდნელად" დავით ნარინის ურდოში დახვედრა, როგორც ეს სარეცენზიო ნაშრომში წერია, არ არის სწორი; ბ. ეგარსლანის უფროსობა მეორე ხარისხოვანი ამბავია დავით გიორგის ძის ჩამოყვანისათვის; გ. ჭეშმარიტება იმაშია, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალთა დაჯგუფება იბრძოდა დავით გიორგის ძისათვის, რამდენადაც მათ მიერ ჩამოყვანილი მეფე მათ ხელში იქნებოდა. ამასთანავე, დავით ნარინს ძლიერი დასაყრდენი დასავლეთ საქართველოს ფეოდალებიდან ჰყავდა (ეს შემდეგი ამბებიდან დადასტურდა, როცა დავითებს შორის მეფობის შესახებ ცილობა შეიქმნა, დადიანი დავით ნარინის მხარეზე აღმოჩნდა).

ამასთანავე, მონღოლები, მეფის ხელისუფლების დასუსტების მიზნით მხარს უჭერდნენ მეფობის ახალ კანდიდატს, საბოლოოდ მონღოლებმა ორთავე დაამტკიცეს მეფედ[9].

15. სწორია ის მოსაზრება, რომელიც დავით გიორგის ძის მონღოლების წინააღმდეგ აჯანყების დამარცხების მიზეზად „ქართველთა განცალკევებულ, შეუთანხმებელ მოქმედებას" თვლის; ხოლო არ მიმაჩნია მართებულად თითქოს აქ შეუთანხმებელ მოქმედებას გზა გაუხსნა „თვით დავით მეფის საქციელმა", მეფემ „არ დაავალდებულა საქართველოს ყველა თავკაცი მონაწილეობა მიეღო აჯანაყებაში, პირიქით მსურველებს ნებაც კი დართო მონღოლთა სამსახურში დარჩენილიყვნენ" (გვ. 572). საქმე იმაშია, რომ დავითს ძალა არ ჰქონდა ასეთი დავალების მიცემისა. ფეოდალებთან ერთად მეფე თბილისიდან ისე გავიდა, რომ დიდებულებს ვერც უთხრა რაიმე აჯანყების შესახებ მონღოლების შიშით. სამცხეს მისვლისას განუცხადა მან ამის შესახებ. თუ დიდებულები სურვილს არ გამოაცხადებდნენ აჯანყებაში მონაწილეობისათვის, მეფეს არ ჰქონდა იძულების საშუალება. გარდა ამისა. ნაძალადევად აჯანყების მონაწილეს ყოველ მომენტში შეეძლო მონღოლთა მხარეზე გადასვლა. ამიტომაც ვერ დააძალა მეფემ მათ, თორემ აჯანყების მოთავე მეფეს, რასაკვირველია, სწორედ ის უნდოდა, რომ მეტი მომხრე ჰყოლოდა. ისიც არის მხედველობაში მისაღები რომ მეფეს არც უნდოდა მონღოლების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა.

16. სარეცენზიო ნაშრომში სწერია „სავაზიროში მსახურთუხუცესს უფლებრივად ყველაზე უმცროსი ადგილი ეკავა, რადგან ის გვიან გამხდარა ვაზირი" (გვ. 697). გვიან ვაზირად გახდომა არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი, ათაბაგი გვიან გახდა ვაზირი, მაგრამ გახდომისთანავე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ პირველი ადგილი დაიჭირა. მსახურთუხუცესის ადგილი სავეზიროში ამ სახელოს ფუნქციებსა და დანიშნულებაში უნდა ვეძიოთ.

სარეცენზიო ნაშრომის მიხედვით „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ვაზირების გავლენა დაფასებულია მათი წარმოშობის სიძველით და სხვ. (გვ. 650).

---

[9] ამ საკითხების შესახებ იხ. ჩვენი ნაშრომი: ათაბაგობის ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან", 1965.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ არის ასეთი ადგილი: მეჭურჭლეთხუცესი „ძველია“, ათაბაგი „ახალია“, მაგრამ ეს ფაქტის კონსტატაციაა ძეგლის ავტორის მიერ, თორემ თუ ამის მიხედვით არის ვაზირები შეფასებული, მაშინ ათაბაგს რატომ აქვს მეჭურჭლეთუხუცესზე მეტი პატივი?

**17.** სარეცენზიო ნაშრომის მიხედვით ამილახორს სათათბირო ხმა აქვს ვაზირობის დროს, საწოლისმწიგნობარს და ამირეჯიბს კი მხოლოდ მოსმენის უფლება აქვთ (გვ. 640). საწოლისმწიგნობარი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის მოადგილეა, ამილახორი — ამირსპასალარის, ხოლო ამირეჯიბი—მანდატურთუხუცესის. ეს სამი მოადგილე ფეხზე დამდგარი ესწრება სავაზირო სხდომას. ამილახორის შესახებ ძეგლში ნათქვამია, რომ მას ვაზირობა „ესმის“, მაგრამ თუ „არა ჰკითხავენ“, ისე ის ვერაფერს იტყვის. ასევე უნდა ვივარაუდოთ საწოლის მწიგნობარსა და ამირეჯიბზეც. ისინიც ისმენენ მხოლოდ, მაგრამ თუ რაიმეს ჰკითხავენ, ისინიც იმას უპასუხოდ ვერ დატოვებენ. ამგვარად აქ ამილახორის რაიმე უპირატესობაზე არ არის საუბარი, მით უფრო, რომ საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის მოადგილეა და მის მოადგილეს ნაკლები უფლებები არ ექნებოდა.

**18.** „დარბაზი მეფის უფლებებს ვერ ზღუდავდა (საქმე პირიქით იყო“, წერია სარეცნზიო ნაშრომში (გვ. 652). სინამდვილეში კი გაერთიანების ხანაში ერთადერთი ორგანო, რომელიც მეფის ხელისუფლებას ზღუდავდა სწორედ დარბაზი იყო. ფორმალურად, თითქოს მეფეს დიდი უფლებები აქვს, ფაქტიურად დარბაზი, მსხვილი ფეოდალების ორგანო იყო, რომელიც მეფის ხელისუფლების შეზღუდვისათვის იბრძოდა და კიდეც ჰყავდა მეფის ხელისუფლება შეზღუდული.

**19.** „საქართველოს პოლიტიკის მესვეურებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ ქრისტიანობისათვის ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული სამამულო სისტემისა და თვით ქართველობის შენარჩუნებასთან“, წერია წიგნში (გვ. 681). ქართველი ხალხი ქართველობისათვის თავწამკვდარი იბრძოდა, მაგრამ „ქართული სამამულო სისტემისათვის“ — არა. ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისათვის ეს სისტემა (ბატონყმური სამამულო სისტემა) მიუღებელი იყო. ქართველი ხალხისათვის მიუღებელი იყო დამპყრობელი თურქების მიერ მეჯოგური, ექსტენსიური მეურნეობის დანერგვის ცდა, ქართული ინტენსიური მეურნეობის ნაცვლად; ამის წინააღმდეგ იბრძოდა ქართველი ხალხი, რამდენადაც ეს მას გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. მაგრამ ქართული სამამულო სისტემისათვის, ე. ი. ქართული ბატონყმობისათვის ქართველი ხალხი არასოდეს არ იბრძოდა.

**20.** „შეიძლება ითქვას, — წერია „ნარკვევებში“, ალექსანდრე დიდის დროს „სავაზირო კარგა ხნის გაუქმებულიცაა“ (გვ. 722). გიორგი V დროს სავაზირო და დარბაზი ნამდვილად არსებობდა, ხოლო XV საუკუნეში არ გვაქვს ცნობები მისი არსებობისა თუ არარსებობის შესახებ.

**21.** მემკვიდრეობითი, პირობითი საკუთრება, სარეცენზიო შრომის მიხედვით „ახლოსაა საკუთრებასთან“ (გვ. 788). პირობითი მამული, ე. ი. სენიორის მიერ გაცემული მამული სამსახურის პირობით საკუთრების ერთი სახეა ე. ი. თვითონ საკუთრებაა და არა მის ახლოს მყოფი საგანი.

**22.** სადაო არ არის, რომ მსხვილი ფეოდალი რამდენადაც მეტ მამულს შეიძენდა, ის კიდევ უფრო დამოუკიდებლად იგრძნობდა თავს მეფისაგან. ეს მოსაზრება მართებულად არის მოცემული სარეცენზიო ნაშრომში დავით ულუსა

და სამცხის მთავარს შორის ურთიერთობის დახასიათების დროს. მაგრამ სარეცენზიო ნაშრომში არ არის გათვალისწინებული ერთი რამ: ბერქა ყაენის წინააღმდეგ ომის დროს ჰულაგუ ყაენმა სამცხის მთავარს უბოძა „კარნუ ქალაქი და მიმდგომი" ქვეყნები (გვ. 798). ჰულაგუ ყაენის მხარეზე ამ შემთხვევაში იბრძოდა დავით ულუ და მისი ვასალი სამცხის მთავარი.

სავარაუდებელი ისიც არის, რომ სამცხის მთავრის დაჯილდოებით მონღოლებს შურის და მტრობის ჩამოგდება უნდოდათ მეფესა და მთავარს შორის. დაჯილდოება მეფისათვის შეურაცხმყოფელიც იყო. ეს გარემოება ნაშრომში არ არის გათვალისწინებული.

**23.** მომთაბარე დამპყრობთა ზემოქმედების ძალა საქართველოში სუსტი აღმოჩნდა, ვკითხულობთ სარეცენზიო ნაშრომში და ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც ამისა დასახელებულია „სრულყოფილი და მყარი ფეოდალური მიწის მფლობელობა" (გვ. 818). მაშასადამე, აქაც, იმავე სამამულო სისტემაზეა საუბარი, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა. მყარი მიწისმფლობელობა აქ მოსატანი არ არის. აქ უნდა იყოს უფრო მაღალი დონის მეურნეობა.

სარეცენზიო ნაშრომი ძვირფასი შენაძენია ჩვენი ისტორიოგრაფიის. ამიერიდან ჩვენ გვაქვს მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული კოლექტიური ნაშრომი გაერთიანებული საქართველოს ისტორიის შესახებ.

**ივანე სურგულაძე**

---

[10] ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, 1965, გვ. 175—180.

## საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1979

მესაქონლეობასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხებისადმი ინტერესი საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში გამოწვეულია იმ როლით, რაც მეცნიერების ამ დარგმა შეასრულა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების საქმეში, მისი ისტორიის მთელ მანძილზე. საკუთრივ, კავკასია მესაქონლეობის ერთ-ერთ უძველეს კუთხედაა მიჩნეული, აქ მის ცალკე სამეურნეო დარგად ჩამოყალიბებას ნეოლითის ხანიდან ვარაუდობენ. აქედანვე ეყრება საფუძველი მესაქონლეობის იმ ძირითადი ფორმების ჩამოყალიბებას, რომელმაც სავსებით სრულყოფილი სახით ჩვენს დრომდე მოაღწია.

საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული გარემო, რომელიც ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონიდან თუ უდაბნოსმაგვარი ველებიდან მაღალმთიან ალპურ ზონამდე ხშირად ერთი ხეობის ფარგლებშია წარმოდგენილი, რთული კლიმატურ-ეკოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება, რაც ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ კომპლექსებს მრავალფეროვან ხასიათს აძლევს. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში აღმოცენდა და ჩამოყალიბდა მეურნეობის რთული ფორმები და სისტემები, რომლებიც დამახასიათებელი იყო არა მარტო საერთოდ კავკასიის, არამედ ზოგადად მსოფლიოს სხვა მთიანი ქვეყნებისთვისაც. ამასთანავე, იშვიათია თვით კავკასიის პირობებშიც კი მეორე ისეთი კუთხე, სადაც ამ სისტემებს ურთიერთშერწყმისა და შეთანაწყობის ისეთი განვითარებული და მაღალკულტურული ფორმები მოეცათ, როგორიც ეს საქართველოს ბარის, შუამთისა და მთის პირობებში გვხვდება. სწორედ ამით უნდა აიხსნას სამეურნეო კულტურის ის თავისებურებანი, რომლებითაც საქართველოს განსაკუთრებული ელფერი შეაქვს კავკასიის ხალხთა აგრალური ცივილიზაციის საგანძურში და დიდ მნიშვნელობას იძენენ ამ პრობლემათა ზოგადთეორიული საკითხების კვლევა-ძიებაშიც.

სამეურნეო-გეოგრაფიული და კლიმატურ-ეკოლოგიური ფაქტორების თავისებურებები ქართულ ისტორიოგრაფიაში კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში განიხილება და განუყრელადაა დაკავშირებული ხალხის სოციალ-პოლიტიკური, მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხებთან. ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილმა ჩვენი ერის მეურნეობის მრავალფეროვან დარგთა და კულტურათა ისტორია საქართველო-კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ფართო კულტურულ-ისტორიულ გარემოში განიხილა და მეურნეობის ფორმათა გენეზისისა და განვითარების თავისებურებათა შუქზე ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გააშუქა. შემდგომში კვლევის ეს შედეგები საფუძვლად დაედო იმ მიღწევებს, რომლებიც ჩვენი ხალხის მიწათმოქმედება-მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, მებოსტნეობა-მებაღეობისა თუ მეურნეობის სხვა ტრადიციულ დარგთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევა-ძიებით იქნა მოპოვებული. ამ ხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოქვეყნდა უკანასკნელ პერიოდშიც. მათ შორის აღსანიშნავია ვ. შამილაძის მონოგრაფია „საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, რომელიც მიმდინარე წელს რუსულ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ“ (რედაქტორი პროფ. ალ. რობაქიძე).

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნებისაგან, ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე, ტერმინთა საძიებლები ტაბულები და სქემატური რუკები. პრობლემის ირგვლივ ჩატარებული ვრცელი მუშაობის მეცნიერული შეფასება, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაშრომის შესავალში, ავტორს საშუალებას აძლევს სწორად განსაზღვროს ქართული მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლის მიზნით, მნიშვნელობა და მეთოდი. აქ კარგად ჩანს შესასწავლი პრობლემის აქტუალობა და ის წვლილი, რაც შეიტანა ამ ნაშრომით ავტორმა პრობლემის მეცნიერულ დამუშავებაში.

ნაშრომში ავტორის მიერ საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ახალი საველე მასალებისა, შესაბამისი არქეოლოგიური მონაცემებისა და ვრცელი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ახლებურადაა გაშუქებული მესაქონლეობის გენეზისისა და განვითარების უმთავრესი საკითხები. კლიმატურ-გეოგრაფიული და ეკოლოგიური ნიშნების ზონალურ თავისებურებათა შესაბამისად, ნაშრომში მეურნეობის დარგთა განლაგება-განვითარების ისტორიული პროცესი ბარის, შუამთისა და მთის ბუნებ-

რივ-ისტორიულ ზონებშია განხილული. ნაჩვენებია, რომ თუ საქართველოს ბარი მემინდვრეობის, მევენახეობა-მეხილეობისა და მებოსტნეობის დაწინაურებული სამეურნეო კომპლექსებით ხასიათდებოდა, შუა ზოლი გამოირჩეოდა მიწათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარების თანაბარი შესაძლებლობით, ხოლო მთამაღალი — მესაქონლეობის უპირატესობით. სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ზონალური თავისებურებანი დიდ გავლენას ახდენდნენ მესაქონლეობის ფორმათა ხასიათსა და მიმართულებაზე, ძირითად და პარალელურ სამეურნეო ბაზებზე, შრომის ორგანიზაციის ფორმებზე და ა. შ. ეს კომპონენტები საფუძვლად დაედო მეურნეობის ამ დარგის ორგანიზაციული გაძღოლის თავისებურებებს და განაპირობა მესაქონლეობის ფორმებისა და მათი ქვესახეობების მრავალფეროვნება, რასაც ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული.

მესაქონლეობის შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დღემდე არსებული ცდების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში მოცემულია საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მესაქონლეობის ფორმათა ორიგინალური კლასიფიკაცია, ნაჩვენებია ბარული, მთური, გადარეკვითი (ე. წ. ტრანსჰუმანსე) და მომთაბარე მესაქონლეობის მრავალფეროვანი ფორმები და სისტემები, მათი გავრცელების არეები და მასშტაბები, განვითარების სამეურნეო-ბუნებრივი პირობები (სათიბები, საძოვრები, პარალელური სამეურნეო ბაზები, საქონლის ჯიშები), საქონლის მოვლა-პატრონობისა და შრომის ორგანიზაციის ფორმები, მესაქონლეობის სამეურნეო ნაგებობები და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მესაქონლეობის ფორმათა განლაგებას საქართველოს ბარის შუამთისა და მთიანეთის ბუნებრივ-ისტორიულ ზონებში, მათი მიწათმოქმედება-მემინდვრეობისა და მეურნეობის სხვა დარგებთან შეთანაწყობისა და განვითარება-გენეზისის თავისებურებებს. მიუხედავად იმისა თუ სიმაღლის ნებისმიერ ზონაში მეურნეობის რომელი დარგი ასრულებდა წამყვან მნიშვნელობას — მიწათმოქმედება თუ მესაქონლეობა, ნაჩვენებია მათი სიმბიოზურობა, რომ ქვეყნის ეკონომიურ საფუძვლებს განსაზღვრავდა მთისა და ბარის ტრადიციული სამეურნეო-ბუნებრივი კომპლექსები, რამაც ასახვა პოვა ჯერ კიდევ იბერიის სტრაბონისეულ დახასიათებაში.

ავტორი ბარული მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ღრმა ანალიზის საფუძველზე, სავსებით დამაჯერებლად დაასკვნის, რომ საქართველოს ბარის მეურნეობაში მესაქონლეობის მნიშვნელობა განსაზღვრული იყო არა მისი ხვედრითი წონითა და მასშტაბებით, არამედ მეურნეობის წამყვან დარგებთან მისი შეთანაწყობის განსაკუთრებული ხასიათით, რაც განაპირობებდა ბარული სამიწათმოქმედო კულტურის დაწინაურებულ მდგომარეობას. და სწორედ მესაქონლეობის წარმოების ეს რთული სისტემა და მისი ორგანული კავშირი ბარულ სამიწათმოქმედო ციკლთან არის მიჩნეული ბარული მესაქონლეობის დამახასიათებელ თავისებურებად.

სარეცენზიო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შუამთის სამეურნეო-კულტურულ კომპლექსებს. ავტორი ახალი ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე აშუქებს საქართველოს შუამთის მესაქონლეობა-მიწათმოქმედების სიმბიოზურ ხასიათს და აღნიშნული ზოლის ბუნებრივ-ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით თანმიმდევრულად გვიჩვენებს მეურნეობის ამ ორი დარგის შერწყმისა და შეთანაწყობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავისებურებებს. შუამთის სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სათანადო ანალიზის შედეგად ავტორი იძლევა მნიშვნელოვან მეცნიერულ დებულებებს, რომლებშიც ახლებურადაა გაშუქებული ამ ზოლის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურისა და სოციალური ურთიერთობის არაერთი საინტერესო საკითხი.

მეურნეობის დარგთა განლაგებისა და განვითარების თავისებურებათა შესახებ მონოგრაფიაში საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალები და შესაბამისი დასკვნებია მოცემული საქართველოს მთიანეთის შესახებაც. ნაჩვენებია, რომ კლიმატურ-ეკოლოგიური ფაქტორებისა და კულტურულ-ისტორიული ვითარების სპეციფიური ხასიათი საქართველოს მთიანეთის სამეურნეო ყოფაში წამყვან მნიშვნელობას მესაქონლეობას ანიჭებდა. ცხადია, საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მთიანეთში, მიწათმოქმედება ტრადიციული და აგროტექნიკური წარმოების თვალსაზრისით უაღრესად დაწინაურებული დარგი იყო. მთიანი რელიეფი და მკაცრი კლიმატური პირობები, აქედან გამომდინარე, მიწის სიმცირე და სიმწირე, ერთი მხრივ, სტიმულს აძლევდა მის ინტენსიფიკაციას, ხოლო მეორე მხრივ, იგივე ფაქტორები და მასთან ერთად, სათიბ-საძოვრების დიდი მარაგი განაპირობებდა მესაქონლეობის უპირატესობას.

მთიანი ზოლის მეურნეობისათვის ყველაზე ტიპური იყო ალპური მესაქონლეობა, რომლის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია მკვეთრად ჩამოყალიბებული ვერტიკალურ-ზონალური სისტემა, ძირითადი და პარალელური სამეურნეო ბაზების ვერტიკალურ

ჭრილში განლაგება და მათი ერთ კომპლექსში ასახვა — სამეურნეო-გეოგრაფიული ერთიანობა, ხეობების დაყოფა მზიან და ჩრდილოვან მხარეებად და მისი სამეურნეო ინტერესებზე დაქვემდებარება და ა. შ. საქართველოს მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული საკითხები ნაშრომში განხილულია ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონითა და ვრცელი შესადარებელი მასალების მოშველიებით, რომელიც ხშირად სცდება კავკასიის ფარგლებს და ევროპისა და აზიის ტიპურ რეგიონებსაც მოიცავს. ამ თვალსაზრისით ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აბორიგენული მოსახლეობის კულტურისა და ყოფის ზემოთ აღნიშნული ელემენტების შედარებით-ისტორიული კვლევა გარკვეული ისტორიული პერიოდიდან საქართველოსა და ამიერკავკასიაში დამკვიდრებულ მომთაბარე მესაქონლეობის შესაბამის ფორმებთან. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი თანმიმდევრულად იკვლევს აბორიგენული და ეგზოგენური კულტურის ინტეგრაციის რთულ პროცესებს და ადგენს ამიერკავკასიის ახალ ბუნებრივ-ისტორიულ გარემოში ველის მომთაბარეობის ტრანსფორმაციის უმთავრეს თავისებურებებს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც რომ კვლევის ამ შედეგებს ავტორი განაზოგადებს მთიან ქვეყნებში ნომადიზმის გენეზისთან დაკავშირებული თეორიული პრობლემების ჭრილში.

საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტების კვლევა მონოგრაფიაში ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო კანონზომიერებასთან. მონოგრაფიის ღირსებაა ის, რომ მეურნეობის ფორმათა განვითარების შუქზე ავტორი ავლენს ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს თავისებურებებს და ადგენს მესაქონლეობის ადგილსა და როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. ამ თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებოა ავტორის შეხედულება გადარეკვითი მესაქონლეობის იმ როლის შესახებ, რომელიც მან შეასრულა XIX ს. მეორე ნახევრიდან საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეჯოგეობისა და მეცხვარეობის ფართო მასშტაბით განვითარებისა და სოფლად ქონებრივი დიფერენციაციის შემდგომი გაღრმავების პროცესში. ნაჩვენებია, რომ ეს პროცესი აჩქარებდა მთიანეთის სუსტი ფეოდალური ურთიერთობის წიაღში შემონახულ სასოფლო და სათემო ტრადიციების გადმონაშთური ფორმების საბოლოო რღვევასა და ხელს უწყობდა კაპიტალისტური ურთიერთობის განმტკიცებას.

სარეცენზიო ნაშრომი გამოირჩევა საქართველოს მესაქონლეობის ფორმათა ჩასახვა-განვითარების ისტორიული კანონზომიერების წარმოჩენისა და დადგენის პერსპექტივებითაც. არქეოლოგიური მასალებისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა მონაცემების მომარჯვებით მკვლევარი, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, მესაქონლეობის ფორმებსა და სისტემებს განიხილავს მათი აღმოცენებიდან, დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ კომპლექსებამდე. გამოვლენილი და დადგენილია, რომ საქართველოს მესაქონლეობის უმთავრეს ფორმათა სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსების გენეზისის ისტორიული გზები, რომლებიც ბარის, შუამთისა და მთიანეთის მეურნეობის გაზრდა-გაფართოებისა და რესურსების ათვისების, მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდის, შინაგანი მიგრაციებისა თუ მეზობელ კუთხეებთან და გარე სამყაროსთან ეთნო-კულტურული ურთიერთობის რთულ პროცესებს მოიცავდა, მტკიცედ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ქართულ-კავკასიურ ეთნიკურ ერთეულთან. ქართველი ხალხის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ამ მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებასთან ერთად, ავტორს თავისი წვლილი შეაქვს საერთოდ კავკასიის, როგორც აგრალური ცივილიზაციის მნიშვნელოვანი კერის ,მწარმოებლური მეურნეობის ტრადიციულ დარგთა გენეზისისა და განვითარების აქტუალური საკითხების კვლევაში, რასაც უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევისას, სარეცენზიო მონოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შესასწავლი პრობლემის სიახლესა და იმ აქტუალურ მხარეებს, რომლებიც განსაზღვრავენ ავტორის მიერ მიღებული შედეგების დიდ მეცნიერულ ღირებულებას საქართველოს ისტორიისა და საერთოდ, კავკასიისმცოდნეობის ხაზით. აქ პირველ რიგში დგება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ამოცანები, რომელიც დღის წესრიგში სვამს მეურნეობის აღნიშნული დარგის შედარებით-ისტორიულ და ტიპოლოგიურ კვლევას ფართო რეგიონალური მასშტაბით. საქართველოს მესაქონლეობის ერთიან ფორმათა კომპლექსური შესწავლა ქვეყნის შიგა, მომიჯნავე და გარე რეგიონებთან კოორდინირებული კვლევითა და პრობლემის ირგვლივ შემუშავებული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენებით, პირდაპირ პასუხობს ატლასთან და-

კავშირებული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის საქმეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ვ. შამილაძის ნაშრომის ზოგადთეორიული მნიშვნელობის შესახებაც. მესაქონლეობის ტრადიციული ფორმებისა და სისტემების რთული და მრავალფეროვანი თავისებურებები და მეურნეობის აღნიშნულ დარგთან დაკავშირებული სამეურნეო-კულტურული კომპლექსების აღმოცენება-ჩამოყალიბებაში ადგილობრივი კლიმატურ-ეკოლოგიური ფაქტორების დიდი როლი, რაც თვალნათლივ ჩანს ნაშრომის შესაბამის თავებში, დამაჯერებლად ასაბუთებს ქართული მესაქონლეობის როგორც სისტემის გენეტიკურ კავშირს ადგილობრივ გარემო პირობებთან და ხაზს უსვამს მწარმოებლური მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის ადგილობრივ ავტოქტონურ საწყისებს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ აბათილებს ბურჟუაზიულ მეცნიერთა დებულებებს ყოფისა და კულტურის, მათ შორის მესაქონლეობის უმნიშვნელოვანეს მონაპოვართა ე. წ. „რჩეული ხალხებისადმი" კუთვნილების შესახებ.

საქართველოს მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული პრობლემების რეგიონალური კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს დიდი წვლილი შეაქვთ ზოგადკავკასიური და საერთოდ, მთიანი ქვეყნების მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მეთოდოლოგიური საკითხების გაშუქებაშიც. სარეცენზიო მონოგრაფიაში მოტანილი მრავალფეროვანი მონაცემები, რომელიც ავტორს საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეში აქვს დადგენილი, ავსებენ და ამდიდრებენ მთიანი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ბარული და მთური ანუ ალპური მესაქონლეობის, მცირე მომთაბარეობისა და მომთაბარე მესაქონლეობის ზოგად ცნებებს და ახალი სიტყვა შეაქვთ მეურნეობის აღნიშნული დარგის კულტურულ-ისტორიული და თეორიული პრობლემების კვლევის საქმეში.

დაბოლოს, საქართველოს მესაქონლეობის ზემოდ აღნიშნული პრობლემების კომპლექსურ შესწავლას დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მეცნიერების აქტიური დამოკიდებულება წარსულის ტრადიციული მემკვიდრეობისადმი საშუალებას იძლევა პრაქტიკულად ათვისებულ და დანერგილ იქნას ხალხის შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების ის საუკეთესო ნაწილი, რომელიც ქართველმა ხალხმა მესაქონლეობის რაციონალური ფორმებისა და სისტემების გაძღოლის საქმეში შეიმუშავა. სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII და XX პლენუმების გადაწყვეტილებებში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის განვითარების X ხუთწლედის პერსპექტიულ გეგმაში დიდი ყურადღება მიექცა მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოების, საზაფხულო და საზამთრო საძოვრების რაციონალური გამოყენების, პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისა და სულადობის ზრდის, საჯიშე-სანაშენო საქმიანობის სრულყოფის, მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების, მექანიზაციის გამოყენებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საქმეს. დასახულია ფართო ღონისძიებები, რომელთა განხორციელების შედეგად საქართველო მეცხოველეობის მაღალგანვითარებულ რესპუბლიკად უნდა გადაიქცეს. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვ. შამილაძის მონოგრაფიაში გამოვლენილი და დადგენილი მესაქონლეობის გაძღოლის მრავალფეროვანი ხერხები და საშუალებები, მისი განლაგებისა და მეურნეობის სხვა დარგებთან შეთანაწყობის ოპტიმალური სისტემები, ბუნებრივი რესურსებისა და საკვები რეზერვების მაქსიმალური გამოყენება, საქონლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმები თუ საქონლის მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა, ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურის ისეთი მონაპოვრებია, რომელთა მნიშვნელობა სცდება ისტორიის წარსულს და დიდ პრაქტიკულ ღირებულებას იძენს თანამედროვე სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარების თვალსაზრისით.

ვ. შამილაძის მონოგრაფია თავისი აქტუალური თემატიკით და სიახლით მეტად საინტერესო და ორიგინალურია. ნაშრომი ხანგრძლივი ნაყოფიერი და დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის შედეგია, შესრულებულია მაღალ თეორიულ დონეზე და უნდა ჩაითვალოს ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევად. ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული ისტორიოგრაფიისა და საერთოდ, კავკასიისმცოდნეობის შემდგომ განვითარებაში, საქართველოსა და კავკასიის სამეურნეო-კულტურული წარსულის შესწავლაში.

**თეიმურაზ მიქელაძე, ბახვა გამყრელიძე**

# ქრონიკა და ინფორმაცია

## რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია დაღესტანში

მიმდინარე, 1980 წლის 11—12 ივნისს დაღესტნის ასსრ დედაქალაქ მახაჩკალაში მოეწყო რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ჩრდილო კავკასიის ხალხებში ფეოდალიზმის გენეზისი, ძირითადი ეტაპები, საერთო გზები და განვითარების თავისებურებები“. კონფერენციის ორგანიზატორი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი გამზატ ცადასას სახ. ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი. კონფერენციის მუშაობის ორგანიზება-დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩრდილო კავკასიის უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ცენტრმა (როსტოვი).

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს და აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები. სტუმრების რიცხვი 70-ს აღწევდა.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ჩრდილო კავკასიურ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონისა და ხასიათის საკითხისადმი. საქმე ისაა, რომ ამ საკითხში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა ჯერ კიდევ დაძლეული არაა. ეს სხვადასხვაობა მოდის რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიიდან. XIX ს. პ. ბუტკოვი, ს. ბრონევსკი, თ. სტალი, ი. ბლარამბერგი, მ. კოვალევსკი, დიუბუა დე მონპერე, დ. ბელი, თ. ლაპინსკი და სხვები ადიღელ ხალხებში ხედავდენ ფეოდალიზმს და მას რუსულ და დასავლეთევროპულ ფეოდალიზმს ადარებდენ. ს. ბურნაშევი, ლეონტოვიჩი და სხვები აღიარებდნენ რა რეფორმამდელ პერიოდში კლასობრივ დაყოფას, უარყოფდნენ მიწაზე ფეოდალური საკუთრების არსებობას.

მაგრამ ჩრდილო კავკასიის ხალხების მიმართ რევოლუციამდელ კავკასიისმცოდნეობაში ძირითადად გაბატონებული იყო თეორია გვაროვნული წყობილების გაჭიანურებული არსებობის შესახებ. თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ, რომელმაც ბევრი გააკეთა დაღესტნის საზოგადოების სოციალური ანატომიის შესასწავლად, იგი უყოყმანოდ გამოაცხადა „გვაროვნულ-ტომობრივ ურთიერთობათა ქვეყნად“.

რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი ჩრდილო კავკასიის საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხში საბჭოთა ისტორიოგრაფიას ერთბაშად არ გადაულახავს. 20—30-იან წლებში კვლავ ბატონობდა აზრი, რომ რევოლუციამდელ ჩრდილო კავკასიაში გვაროვნული წყობილება არსებობდა.

50-იან წლებში ცხარე დისკუსიის შედეგად საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა თეზისი რევოლუციამდელ ყაბარდოში, დაღესტანში და ზოგ სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხში ფეოდალურ ურთიერთობათა ბატონობის შესახებ.

ეს არ ნიშნავს, რომ საკითხი ყოველმხრივ ნათელია და მკვლევართა შორის მასზე სრული ერთსულოვნება იქნა მიღწეული. მათ შორის არაა აზრთა ერთიანობა ჩრდილო კავკასიაში საადგილმამულო ურთიერთობათა საკითხზე. ერთნი საერთოდ უარყოფენ ჩრდილო კავკასიის ხალხებში მიწის საკუთრების არსებობას, სხვებს მიაჩნიათ, რომ რეფორმამდელ ჩრდილო კავკასიაში მიწის საკუთრებამ ჩამოყალიბება ვერ მოასწრო ბევრ ხალხში, მათ შორის ყაბარდოელებშიც. მესამენი, პირიქით, მიწის საკუთრების ინსტიტუტს მიიჩნევენ რეგიონში ჩამოყალიბებული ფეოდალიზმის საფუძვლად.

მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ ასეთმა განსხვავებულმა თვალსაზრისმა განაპირობა ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ტიპოლოგიაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა. ამის მოწმობაა ისეთი სპეციალური ცნებები, როგორიცაა „მთური ფეოდალიზმი“, „ნახევრადფეოდალური-ნახევრადპატრიარქალური წყობილება“, „პროტოფეოდალიზმი“, „ფეოდალიზმი ფეოდალური მიწისმფლობელობის გარეშე“ და სხვ.

ასეთ პირობებში საგანგებო სამეცნიერო კონფერენციის მოწვევა ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ ურთიერთობების გენეზისის, განვითარების გზების და თავისებურებათა შესახებ ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ისტორიკოსებმა შეაჯამეს კვლე-

ვის დარგში მიღებული შედეგები, აღნიშნეს კვლევაში არსებული სუსტი რგოლები და დასახეს სამომავლო მუშაობის ამოცანები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მახაჩკალის რეგიონალურ კონფერენციაზე დიდი ანგარიში ეწეოდა ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა წვლილს ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალური ურთიერთობების შესწავლის საქმეში. მხედველობაში გვაქვს პროფესორების ზ. ანჩაბაძისა და ა. რობაქიძის თეორია კავკასიური მთური ფეოდალიზმის შესახებ და აკად. გ. მელიქიშვილის კონცეფცია კავკასიის მთიანეთის ხალხთა სოციალური წყობილების შესახებ. ზოგ რამეს ამ თვალსაზრისებიდან ისინი არ იზიარებენ, მაგრამ საკითხის გაღრმავებულ შესწავლაში აღნიშნულმა კონცეფციებმა დიდი როლი შეასრულეს და კვლავაც ასრულებენ ასეთ როლს.

კონფერენცია გახსნა ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ჰაჯი გამზატოვმა. პლენარულ სხდომებზე მოისმინეს 6 მოხსენება: ა. რობაქიძის „მთური ფეოდალიზმის ზოგიერთი ნიშანი კავკასიაში", ა. პრონშტეინის „ჩრდილო კავკასიაში ფეოდალურ ურთიერთობათა აღმოცენებისა და განვითარების ზოგიერთი პრობლემა უახლეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში", რ. მაჰომედოვის „ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ დაღესტნის ხალხებში", ტ. კუმიკოვის „ფეოდალიზმის ძირითადი ეტაპები და თავისებურებები ადიღელ ხალხებში", ვ. გაჯიევის „ფეოდალიზმის ისტორიის შესწავლა დაღესტანში", რ. მარშაევისა და შ. მუჰამედიაროვის „ჩრდილო კავკასიაში ფეოდალიზმის პერიოდიზაციის პრობლემები".

ა. რობაქიძემ ხაზი გაუსვა გადმონაშთური მოვლენების შესწავლის დიდ მნიშვნელობას არქეოლოგიურ, წერილობითი ძეგლების, ენის მონაცემებთან კომპლექსში კავკასიის ხალხთა, განსაკუთრებით წარსულში უდამწერლობო ხალხთა, საზოგადოებრივი განვითარების წარსული ეტაპების რეკონსტრუქციაში. სწორედ ამ გზით გახდა შესაძლებელი ცენტრალური კავკასიონის ხალხებში ადრეფეოდალურ ურთიერთობათა არსებობის დადასტურება. ცნება „მთური ფეოდალიზმი" ამ რეგიონის მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობათა აღსანიშნავად იქნა გამოყენებული.

კავკასიური „მთური ფეოდალიზმის" ძირითადი ნიშნები, ა. რობაქიძის აზრით, შემდეგია: ადრეფეოდალური ურთიერთობები ისახება თემური ყოფის რღვევის ბაზაზე, მონათმფლობელური ფორმაციის გვერდის ავლით; აქედან გამომდინარე თემური ყოფის გადმონაშთების განსაკუთრებული როლი დიდი ოჯახის, პატრონიმიის, სასოფლო-სათემო სოციალური ინსტიტუტების სახით; სამხედრო-დემოკრატიული წყობის ზოგიერთი ელემენტი; კარგად შემონახული გადმოცემები სამხედრო რაზმების (დრუჟინების) შესახებ, გარეეკონომიური იძულების გზების შესახებ (უცხოტომელთა პირდაპირი მოტაცება), თანატომელთა შენიღბული ექსპლუატაცია; მონობის სპეციფიკური ხასიათი, რომელიც ფეოდალიზმის ინტერესებს ემსახურებოდა.

ა. პრონშტეინის მოხსენებაში დახასიათებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჩრდილო კავკასიის ხალხებში ფეოდალიზმის გენეზისის საკითხებზე უახლეს პერიოდში შექმნილი ნაშრომები, რომლებშიც განსაზღვრულია სოციალური წყობილების ტიპების, პოლიტიკური ორგანიზაციის მრავალფეროვნება, ჩრდილო კავკასიაში ფეოდალიზმის რიგი საერთო ნიშანი.

ჩრდილო კავკასიელ მთიელთა საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებურებები მკვლევრებს გამოჰყავთ პირველ რიგში მათი ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებებიდან — მაღალგანვითარებული ალპური მესაქონლეობის შერწყმიდან შრომატევად, მაგრამ ინტენსიურ მთურ მიწათმოქმედებასთან. აღნიშნავენ ჩრდილო კავკასიისათვის დამახასიათებელ კლასთწარმოქმნის პროცესის შენელებულობას. მითითებულია ჩრდილო კავკასიის ცალკეულ ხალხთა სოციალურ განვითარებაზე აღმოსავლეთის ფეოდალურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით რუსეთთან კონტაქტების დიდი მნიშვნელობა.

აღინიშნა ისიც, რომ ისტორიკოსები ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს ვიწროლოკალურ და ქრონოლოგიურად შეზღუდულ ჩარჩოებში განიხილავენ, ადგილი აქვს ჩრდილო კავკასიის ზოგ ხალხში ფეოდალიზაციის დონის გაზვიადებას, წინააღმდეგობრიობას ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისის პერიოდიზაციის საქმეში.

რ. მაჰომედოვის მოხსენებაში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დაღესტნის ყველა ხალხი და ეთნიკური ჯგუფი ფეოდალიზაციის გზაზე იყო შემდგარი, მაგრამ ეს სხვადასხვა დროს ხდებოდა. ფეოდალიზმის ხანის დაღესტნის ისტორიული პროცესის უთანაბრობა იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ტერიტორიული ჯგუფი მასში სხვადასხვა დროს ჩაერთონ, თითოეული მათგანისათვის ამ ჩართვის ამოსავალი პირობები სხვადასხვა იყო (მას განსაზღვრავდა მათი წინამავალი ისტორიული განვითარებისა და გეოგრაფიული მდებარეობის თა-

ვისებურება) და აგრეთვე იმაში, რომ ფეოდალიზმის გზაზე დადგომის შემდეგაც ისინი სხვადასხვა ტემპით ვითარდებოდნენ.

დაღესტნის საზოგადოებრივი განვითარების უთანაბრობის შედეგი იყო მრავალწყობიანობა. დაღესტანში ფეოდალიზმის მთელი ეპოქის მანძილზე თეალი ედეენება პატრიარქალურ, პატრიარქალურ-მონათმფლობელურ და ფეოდალურ წყობათა თანაარსებობას. დაღესტნის ცალკეულ ნაწილებში დასახელებულ წყობათა ხვედრითი წონა და კონკრეტული ელემენტები განსხვავებულია, საერთოა მხოლოდ მათი შერწყმის პრინციპი. ამათგან ფეოდალური წყობა შედარებით სწრაფად ვითარდებოდა და ძლიერდებოდა, განმსაზღვრელი გახდა.

ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების პერიოდიზაციის საკითხები კონფერენციაზე დაისვა როგორც სპეციალურ მოხსენებაში (მარშაევისა და მუჰამედიაროეისა), ასევე განმაზოგადებელ და ვიწრო-კონკრეტულ მოხსენებებშიც. უმრავლეს შემთხვევებში (კუმიკოეი და სხვები.) ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვას ახ. წ. I-ათასწლეულიდან ვარაუდობენ. სპეციალურ მოხსენებაში I—VI სს. მიჩნეულია „სამხედრო დემოკრატიის“ აქტიური პროცესების ხანად, V-XII სს. — ადრეფეოდალურ ურთიერთობათა ხანად, XIII—XV სს-ში. ხდება ფეოდალური საკუთრებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა უფრო განვითარებული ფორმების ჩამოყალიბება, ფეოდალური იერარქიის წარმოქმნა. XVI—XVIII სს. ახალი მიჯნაა, გამოწვეული სამეურნეო ცხოვრების ერთგვარი სტაბილიზაციით, მთისა და ბარის ნაწილების ეკონომიური კავშირების გაძლიერებით, გადარეკვითი მესაქონლეობის განვითარებით (ბარის მომთაბარეთა ულლისაგან განთავისუფლების შედეგად). დაიწყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის გაღრმავება. XVIII ს. და XIX ს. დასაწყისი — ესაა დრო საგვარეულო საკუთრების დაშლისა და კერძო მემკვიდრეობითი სამამულო მეურნეობის განმტკიცებისა. საკუთრების ფორმებს: ფეოდალურსა, სახელმწიფოს, კერძო სამამულოს, სასოფლო თემების, თოხუმების, ტაიპების და სხვებს შორის ხდება მკვეთრი გამიჯვნა. რუსეთთან შეერთების შემდეგ და ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართვის შედეგად ფეოდალური ურთიერთობები თავის განვითარების დამამთავრებელ სტადიაში შედიან.

კონფერენციაზე ორი სექცია მუშაობდა: ისტორიოგრაფიის სექცია (ხელმძღვ. პროფ. ა. პრონშტეინი) და ფეოდალიზმის გენეზისის ძირითადი ეტაპების, საერთო გზებისა და თავისებურებების სექცია (ხელმძღვანელი ა. რობაქიძე). სექციებზე მრავალი საინტერესო მოხსენება იქნა გამოტანილი. ისინი შეეხებოდა ფეოდალური საკუთრებისა და საერთოდ მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლის ჩრდილო კავკასიის • სხვადასხვა ხალხში. მიწათმფლობელობისა და მიწითსარგებლობის საკითხებს ჩრდილო კავკასიის ხალხებში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ამავე სამართლის მონაცემების მიხედვით წოდებრივ-კლასობრივ დაყოფას და სოციალური ჯგუფების მდგომარეობას, ჩრდილო კავკასიის ცალკეულ რეგიონში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს.

ბუნებრივია, რომ დაღესტნელი ისტორიკოსები ძალზე ფართოდ წარმოდგნენ კონფერენციაზე. ატალიკობა დაღესტანში, იშკილი (ბარანტა) დაღესტნის მთიელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფეოდალურ ურთიერთობათა ასახვა დაღესტნის მთიელთა საზოგადოებრივ ყოფაში, ფეოდალური ხანის დაღესტნის ზოგიერთი გლეხური სარეწის შესახებ, დერბენტის სამფლობელოს საგადასახადო სისტემა XVIII საუკუნეში, რუსეთის ცარიზმის აგრარული პოლიტიკა დაღესტანში, ფეოდალური საკუთრების წარმოქმნა ჩრდილო-დასავლეთ დაღესტანში, დამოკიდებულებითი ურთიერთობის უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია დაღესტანში, მესაქონლეობის ფორმებთან დაკავშირებული ფეოდალური ექსპლუატაციის ზოგიერთი სახის შესახებ, დაღესტნის ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიის საკითხები და სხვა.

დიდი ადგილი დაეთმო ჩრდილო კავკასიაში ადრეფეოდალური თუ გვიანფეოდალური ქალაქების როლის წარმოჩენას ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. განსაკუთრებული ადგილი ამ მხრივ დერბენტს დაეთმო: „არქეოლოგიური მონაცემები ფეოდალური დერბენტის სოციალური ტოპოგრაფიისა და სტრუქტურის შესახებ“, ახალი არქეოლოგიური მასალები გვიან შუა საუკუნეების დერბენტის სოციალური სტრუქტურის შესახებ“, „დერბენტის ადგილი და როლი ფეოდალიზმის ჩამოყალიბება-განვითარებაში სამხრეთ დაღესტანში“. საგანგებო მოხსენებები დაეთმო ყარაჩაი-ჩერქეზეთის ადრეფეოდალურ ქალაქებს, რუსულ ციხე-ქალაქებს თერგს და ყიზლარს.

კონფერენციაზე საგანგებო მოხსენებები მიეძღვნა ჩრდილო კავკასიაში წარსულში არსებულ პოლიტიკურ წარმონაქმნებს. ამ მოხსენებათა რიგში აღსანიშნავია: „ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ჰუნების საზოგადოებრივი ურთიერთობანი VI—VII სს.“, „ჰუნ-ბულგართა ტომების პირველი გაერთიანების დაცემა“, „რელიგიური რეფორმა ჰუნების ქვეყანაში“,

„ხაზართა სახელმწიფოს წარმოქმნა", „ფეოდალური—ინსტიტუტი „თამა", „ჩრდილო კავკასია ოქროს ურდოს ხანაში".

ისტორიოგრაფიულ სექციაში საინტერესო წყაროთმცოდნეობითი მოხსენებებიც იყო წარმოდგენილი, რამაც სექციის ბიუროს საფუძველი მისცა დაეყენებინა საკითხი იმის შესახებ, რომ მომავალში მას „ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის სექცია" ეწოდოს.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებმაც. გ. გასვიანი მოხსენებით „სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა შუა საუკუნეებში (XI—XVIII სს.)." წარსდგა ფეოდალიზმის გენეზისის სექციაზე, გ. თოგოშვილმა კი ისტორიოგრაფიის სექციაზე გააკეთა მოხსენება თემაზე: „ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალური წყობილების საკითხები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში". მოხსენებებმა მსმენელთა ყურადღება მიიპყრეს.

დასკვნით პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა სექციათა ხელმძღვანელების ა. პრონშტეინისა და ა. რობაქიძის ანგარიშები და მიღებულ იქნა რეკომენდაციები. აღინიშნა, რომ რეგიონალურ სამეცნიერო კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ ურთიერთობათა განვითარების შესწავლის საქმეში მიღწეულ წარმატებათა შეჯამებისათვის, ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი გაღრმავება-სრულყოფისათვის. აღინიშნა, რომ უნდა გაგრძელდეს მუშაობა ჩრდილო კავკასიაში ფეოდალური საკუთრების ჩასახვა-განვითარების, გაბატონებული კლასის ფორმირების წყაროებისა და გზების, დამოკიდებული მოსახლეობის ცალკეული კატეგორიების დახასიათების, მათი მდგომარეობის ევოლუციის უფრო სრულყოფილი შესწავლისათვის. საგანგებო შესწავლას მოითხოვს თემის ისტორია, იდეოლოგია. უნდა გაღრმავდეს ფეოდალიზმის გენეზისის შესწავლა ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხში. თავისებურებანი და ისტორიული პროცესის საერთო კანონზომიერებანი შედარებით-ისტორიული მიდგომის გზით უნდა გაირკვეს, მთელი რეგიონის მასშტაბით, წინა აზიასთან, აღმოსავლეთ ევროპასთან მრავალმხრივ ურთიერთობათა ფონზე.

წერილობითი წყაროების სიმცირე აყენებს წყაროების ყველა ტიპის კომპლექსური გამოყენების საკითხს. კონფერენციამ დაადგინა მომზადდეს ჩრდილო კავკასიის ისტორიისათვის ძველი წერილობითი წყაროების, მათ შორის ქართულის, სრული კორპუსის გამოცემა. ასეთი კორპუსის გამოცემის საქმეს კისრულობს ჩრდილო კავკასიის სამეცნიერო ცენტრი.

დადგენილ იქნა მსგავსი კონფერენციების მოწვევა სამ წელიწადში ერთხელ.

**გიორგი თოგოშვილი**

# აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადების 90 წლისთავი

დაბადების 90 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის შემქმნელსა და დღემდე უცვლელ ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას. მას წილად ხვდა სათავეში ჩასდგომოდა ერთ-ერთ დიდ ეროვნულ დარგს — ხალხის კულტურის, ყოფისა და ტრადიციების შემსწავლელ მეცნიერებას მაშინ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა კვლევა-ძიება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში.

გ. ჩიტაია სამეცნიერო-მოღვაწეობას შეუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, რომელიც მაშინ ერთადერთი სამეცნიერო კერა იყო ქართულ ეთნოგრაფიაში. პარალელურად იგი პედაგოგიურ მუშაობაში ჩაება ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ინიციატივით შეიქმნა აქ ეთნოგრაფიის კათედრა, რომელიც საბჭოთა კავშირში რიგით მეორე იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის შემდეგ. 1936 წელს გ. ჩიტაია სათავეში ჩაუდგა ეთნოგრაფიის განყოფილებას ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ეთნოგრაფიის სექტორს და საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

გ. ჩიტაიამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო სამუზეუმო-საექსპოზიციო საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას. უშუალოდ მის სახელთანაა დაკავშირებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის შექმნა, რაც ეფექტურად გამოიყენება საველე მუშაობის პროცესში და სამუზეუმო საქმიანობაში. ამ მეთოდით მუშაობის შედეგები კარგად გამოჩნდა სამუზეუმო კოლექციების შევროვებასა და ექსპოზიციაში.

1954 წელს გაიხსნა გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მომზადებული საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, რამაც მაღალი შეფასება მიიღო პრესაში და სამეცნიერო წრეებში. გ. ჩიტაიას ინიციატივით თბილისში დაარსდა მუზეუმი ღია ცისქვეშ, რომლის შემდგომი ზრდა-განვითარება მისივე ხელმძღვანელობით წარიმართება.

აკად. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით არაერთი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია მუშაობდა ქართლში, კახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ექსპედიციებში მოპოვებული მასალების საფუძველზე მეცნიერი სწავლობდა სახვნელ იარაღებსა და მიწათმოქმედების სისტემებს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, დასახლების ტიპებს, ტანსაცმელსა და ორნამენტს, ეთნიკური ისტორიის საკითხებს, სოციალური და სულიერი კულტურის თავისებურებებს, სოციალისტური საზოგადოების კულტურისა და ყოფის ელემენტებს და ეთნოგრაფიის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს.

გ. ჩიტაია დიდი მონდომებითა და სიყვარულით ემსახურება კადრების მომზადების საქმეს. მისი ხელმძღვანელობით გამოზრდილი სპეციალისტები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

გ. ჩიტაია სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესიების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების მუშაობაში.

ხანდაზმული მეცნიერი დღესაც უწინდელი ენთუზიაზმით ეკიდება საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი არის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე ეთნოგრაფიის დარგში, ფაზისის სახალხო აკადემიის რექტორი, და სხვ.

ჟურნალ „მაცნეს“ რედაქცია გულმხურვალედ ულოცავს აკად. გიორგი ჩიტაიას დაბადების 90 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წლისთავს.

# პროფესორ გიორგი გოზალიშვილის დაბადების 80 წლისთავი

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, ძველი ქვეყნების, ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიის ნაყოფიერ მკვლევარს გიორგი გოზალიშვილს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

გ. გოზალიშვილი დაიბადა ყოფილი სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბისხევში, გლეხის ოჯახში.

გ. გოზალიშვილმა დიდ სამეცნიერო ცენტრში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, მიიღო განათლება, რომლის დამთავრების შემდეგ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ყაუხჩიშვილის ხელშეწყობით განაგრძო მუშაობა ბიზანტიის ისტორიის სპეციალობით. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ძველი მსოფლიოს და ბიზანტიის ისტორიის კათედრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე მიჰყავდა მსოფლიო ისტორიის კურსი თბილისისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. გარკვეულ პერიოდში ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტებს.

1937 წლიდან გ. გოზალიშვილი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1939 წლიდან პროფესორი.

მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობდა მსოფლიო ისტორიის ფარგლებში საქართველოს წარსულის კვლევას. მის ვრცელ გამოკვლევაში მითრიდატე ევპატორზე, აგრეთვე სხვა ნაშრომებში, შესწავლილია ქართველ ტომთა როლი ძველ სამყაროში.

არაერთი ნაშრომით გაამდიდრა გ. გოზალიშვილმა ბიზანტიის, კერძოდ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობათა ისტორიის შესწავლა. ამ თემას მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაცია „ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის იბერია-ლაზიკისათვის მეექვსე საუკუნეში“, რომელიც ჩვენში პირველ სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა ბიზანტიის ისტორიაში.

გ. გოზალიშვილის კალამს ეკუთვნის მთელი წყება გამოკვლევებისა, რომლებშიც განხილულია ბიზანტინოლოგიის ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის ურთიერთობებში იუსტინიანე დიდის ეპოქაში, ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტია, გრიგოლ ბაკურიანის-ძისა და პეტრიწონელი ძმების ეთნიკური ვინაობა და სხვ. მკვლევარმა 30-იანი წწ. დამდეგს აქტიური მონაწილეობა მიიღო ნოქალაქევის არქეოლოგიურ შესწავლაში, რომელსაც გერმანელი ალფონს შნაიდერი აწარმოებდა.

თვალსაჩინო ნაშრომები აქვს მკვლევარს საქართველოს ისტორიის უფრო მოგვიანო პერიოდებშიც, კერძოდ, ყურადღებას იქცევს მის მიერ 1832 წლის თავადაზნაურული შეთქმულების მასალათა სამტომიანი პუბლიკაცია, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის ოქროს ფონდს განეკუთვნება.

ქართველ ისტორიკოსთა თაობები გ. გოზალიშვილს იცნობენ როგორც შესანიშნავ ლექტორს, რომლის ლექციები მუდამ გამოირჩეოდნენ მეცნიერული სიღრმითა და პატრიოტული სულისკვეთებით.

დიდი სიყვარულითა და პედაგოგიური ტაქტით ეკიდებოდა იგი მუდამ ახალი სამეცნიერო კადრების მიზიდვისა და აღზრდის საქმეს. მრავალ მის მოწაფეს მიუღწევია მეცნიერების სხვადასხვა მაღალი საფეხურისათვის. არაერთხელ ყოფილა იგი ოფიციალური ოპონენტი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციებზე...

გ. გოზალიშვილისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის და მოქალაქისათვის დამახასიათებელია შემართება, გაბედაობა, ეროვნული პოზიციის მტკიცედ დაცვა ყველგან და ყველაფერში.

პროფ. გ. გოზალიშვილი ახლაც დიდი სიყვარულით განაგრძობს მისთვის საყვარელ საქმიანობას და ქართული ისტორიოგრაფიის ჭირვარამით სულდგმულობს. ქართველი კოლეგები გულთბილად მიესალმებიან ამაგდარ მეცნიერს მისი დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით და მომავალ წარმატებებს უსურვებენ მშობლიური ქართული ისტორიოგრაფიის არენაზე.

# საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

## აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია

### (დაბადების 80 წლისთავი)

ქართულ ისტორიოგრაფიას არაერთხელ ჰქონია გარდატეხის პერიოდები. მისი განვითარების ასეთ მიჯნებზე ყოველთვის დიდი ისტორიკოსები იდგნენ, ისინი აჯამებდნენ განვლილ ეტაპებს და საფუძველს უყრიდნენ ახალს. ლეონტი მროველი და ჟამთააღმწერელი, ვახუშტი და დიმიტრი ბაქრაძე, დიდი ივანე ჯავახიშვილი და მისი მოწაფეები — სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი...ამათ სახელებთანაა დაკავშირებული ქართული ისტორიოგრაფიის ზეაღმავალი ტეხილები.

ყველაზე დიდმნიშვნელოვანი გარდატეხა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში მოხდა ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში (უფრო ზუსტად, 20—30-იან წლებში), როცა ჩამოყალიბდა თანამედროვე მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია. ნიადაგი საამისოდ შეამზადა ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ, ხოლო მისმა მოწაფეებმა სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა ხორცი შეასხეს მას.

აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის ძე ჯანაშია (1900—1947 წწ) ერთ-ერთი პირველთაგანი იდგა მარქსისტული ქართული ისტორიოგრაფიის სათავეებთან, მისი დემიურგი იყო. პროფესიონალ ისტორიკოსთა შორის ის იყო პირველი, ვინც მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე გამართა ახალი თვალსაზრისი საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის კარდინალურ საკითხებზე.

მოწინავე ქართველი ინტელიგენტის ოჯახში აღზრდილმა ახალგაზრდამ სიჭაბუკეშივე ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა მარქსისტულ-ლენინური თეორია, გაეცნო მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს („კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „ანტიდიურინგი“, „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის“, „კაპიტალი“ და სხვ.), უცხოელი და ქართველი მარქსისტების ნაწარმოებებს (ა. ბებელი, გ. პლეხანოვი, ალ. წულუკიძე, ი. სტალინი...). მან იმთავითვე იწამა მუშათა კლასის დიდი ისტორიული მისია და დადგა ამ კლასის პოზიციებზე.

მსჯელობდა რა საზოგადოებრივი პროგრესის იდეალებზე 17 წლის სიმონ ჯანაშია წერდა: „თუ ამგვარი თვალთახედვით განვიხილავთ თანამედროვე საზოგადოებას, ჩვენ უსათუოდ შევჩერდებით მის ერთ ფენაზე, მის ერთ კლასზე. ეს კლასი პროლეტარიატია, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია განახორციელოს ეს იდეალი და რომელიც ატარებს ამ იდეალს თავის თავში“.

შემთხვევითი არ იყო, რომ ახალგაზრდობაში სიმონ ჯანაშიამ გადმოაქართულა ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი სახელმძღვანელო.

მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ნათელ, კომუნისტურ იდეალებს უძღვნა მან თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი, დიდი შრომისმოყვარეობა, ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობა და სამწუხაროდ მეტად ხანმოკლე სიცოცხლე.

წელს სიმონ ჯანაშიას 80 წელი შეუსრულდებოდა, „ქუდბედად დაყოლილმა

ავადმყოფობამ“ მისთვის მხოლოდ 47 წელი გაიმეტა. მაგრამ დიდმა მეცნიერულმა დამსახურებამ და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ იგი უკვდავებას აზიარა.

მეცხიერული წრთობა სიმონ ჯანაშიამ ივანე ჯავახიშვილის ხელში გაიარა. ივ. ჯავახიშვილი ასე ახასიათებდა თავის ნიჭიერ მოწაფეს: „სვიმონ ჯანაშია ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში თავისი ნიჭითა, მკვირცხლი გონებითა და შრომის მოყვარეობით ერჩეოდა. სტუდენტობის დროსვე რამდენიმე კარგი მოხსენება დასწერა. საუკეთესოდ სწავლობდა, როგორც ქართულსა და საქართველოს ისტორიას, არაბულს, სპარსულს და სომხურსაც. მისი სადიპლომო შრომაც კარგი გამოდგა. ამიტომ 1922 წ. ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებისთახავე დატოვებულ იქნა სპარსეთ-საქართველოს ისტორიის კათედრასთან“.

ივ. ჯავახიშვილის გარდა სიმონს ლექციებს უკითხავდნენ ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი და სხვები. მძლავრმა ქართველოლოგიურმა სკოლამ, რომელიც არსებობდა იმხანად თბილისის უნივერსიტეტში, თავისი კეთილი კვალი დაამჩნია სიმონ ჯანაშიას პროფესიულ მომზადებას.

უნივერსიტეტის პირველი თაობის კურსდამთავრებულთაგან (მან კურსი ერთდროულად ორი განხრით დაამთავრა — ისტორიული და საენათმეცნიერო) სიმონ ჯანაშია ერთ-ერთი პირველი იყო, საპროფესოროდ მოსამზადებლად რომ დატოვეს და ლექციების წაკითხვა მიანდეს (საისტორიო წყაროთმცოდნეობასა და აფხაზურ ენაში). სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ასპარეზად მან საქართველოს უძველესი და ადრეული შუა საუკუნეების ისტორია გაიხადა.

ჩვენი საუკუნის 20—30-იანი წლები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი კრიზისული ხანა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „...ქართული ისტორიოგრაფია ახლა, სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, მცირედაც არ შეესაბამებოდა მარქსისტული მეცხიერების მოთხოვნილებას და ერთობ ჩამორჩენილად გამოიყურებოდა. ქართული ისტორიოგრაფია ძირითად გადახალისებას მოითხოვდა“.

იმ ხანებში არაერთმა ისტორიკოსმა სცადა მარქსისტულად გაემართა ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორია, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. ამ დიდი ამოცანის ღირსეულად შესრულება სიმონ ჯანაშიამ შეძლო.

საერთოდ, იმ პერიოდში ქართული ისტორიოგრაფიის დარგში მრავალი ღირსშესანიშნავი ნაშრომი გამოქვეყნდა. მაშინ დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევები ქართული ნუმიზმატიკის, პალეოგრაფიის, დიპლომატიკის დარგში, გამოქვეყნდა მისი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომი (მესამე გამოცემა), „ქართული სამართლის ისტორია“ ორ ტომად და სამ წიგნად, „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ ორი ტომი და სხვ. ისტორიული მასალების პუბლიკაციას ეწეოდა და ცალკეულ ნარკვევებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე აქვეყნებდა ს. კაკაბაძე (საისტორიო კრებულის 4 წიგნი), საქართველოს ისტორიის ზოგადი სოციოლოგიური მიმოხილვა დაბეჭდა გრ. ნათაძემ, საქართველოს ისტორიისა და ქართული ფეოდალიზმის შესახებ გამოქვეყნდა ქრ. რაჭველიშვილის და გრ. გიორგაძის წიგნები ამავე ხანებში დაიბეჭდა ნ. ბერძენიშვილის რამდენიმე შესანიშნავი გამოკვლევა (დას. საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, მცხეთის საბუთი და სხვ.).

ხაყოფიერი მუშაობა წარმოებდა ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლის ხაზით, რასაც ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარებისათვის

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა (კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა, იუსტ. აბულაძე, თ. ბეგიაშვილი, ვუკ. ბერიძე და სხვები).

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ იყო იმ „ძირითადი გადახალისების“ მომასწავებელი, რომლის აუცილებლობა ასე იგრძნობა იმ დროს საქართველოს ისტორიის დარგში და რომელიც ამ დარგის მეთოდოლოგიურ გადახალისებას გულისხმობდა. საჭირო იყო საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის გამართვა მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. ვიმეორებთ, საამისო პირობები უკვე შემზადებული იყო. ახლა საჭირო იყო ისეთი მკვლევარი, რომელიც კარგად იქნებოდა დაუფლებული მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას და ამავე დროს იქნებოდა საქართველოს ისტორიის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე, აღჭურვილი იქნებოდა მეცნიერული კვლევა-ძიების უნარით და სათანადო მომზადებით„ საქართველოს ისტორიის უბანზე მომუშავეთა შორის წერს ნ. ბერძენიშვილი,—სიმონ ჯანაშია ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თანაბრად აკმაყოფილებდა ზემოღანიშნულ ორივე პირობას“.

1932—1933 წლებში სიმონ ჯანაშიამ გამოაქვეყნა საქართველოს ძველი ისტორიის მიმოხილვის სამი ნაკვეთი (დაუსწრებელი სწავლების მსმენელთათვის): „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში“, „ადრეული ფეოდალიზმი“). შემდეგში მან ამ ნაკვეთებში განხილულ პრობლემებს უძღვნა უფრო სრული საფუძვლიანი გამოკვლევები: „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ხარკეები ფეოდალიზმის წარმოშობის ისტორიიდან საქართველოში“ (თბ., 1935 წ., ავტორის სადოქტორო დისერტაცია) და „საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (თბ., 1937 წ).).

დასახელებულ ნაკვეთებში ავტორი მოკლედ გადმოსცემს მარქსისტული მეთოდოლოგიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითად პრინციპებს და შემდეგ მათ შუქზე აანალიზებს ქართველთა წინაპარ ტომებში გვაროვნული წყობილების არსებობის დამადასტურებელ მასალებს, არკვევს ამ წყობილების რღვევის და კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესებს.

გვაროვნული წყობილების წარმოსადგენად ავტორი იშველიებს ენობრივ მონაცემებს, საქართველოს მთიელების ეთნოგრაფიული ყოფის მასალებს, ძველი ქართული ისტორიული წყაროების ჩვენებებს და უცხოელ ავტორთა ცნობებს (სტრაბონი და სხვ.). მის მიერ წარმოდგენილი სურათი მეცნიერული სიზუსტით ასახავს გვაროვნული წყობილების არსს და ხასიათს ქართველთა წინაპარ ტომებში.

სრულიად ახალი იყო აღნიშნულ ნაკვეთებში სიმონ ჯანაშიას მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისი ძვ. წ. ა. I ს-ის ქართლის (იბერიის) სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მანამდე თვლიდნენ, რომ სტრაბონისეული ქართლი (ქართლი სტრაბონის აღწერილობის მიხედვით) წარმოადგენდა გვაროვნული საზოგადოების ქვეყანას, სადაც გვაროვნული წყობილების პირობებში არსებობდა სახელმწიფო (ასეთ თვალსაზრისზე იდგა ივ. ჯავახიშვილი).

სტრაბონის ცნობის ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე სიმონ ჯანაშიამ დაასაბუთა, რომ ძვ. წ. ა. I ს-ის ქართლში არსებობდა არა გვაროვნული, არამედ კლასობრივი საზოგადოება.

მართლაც, უჩვეულო იყო სტრაბონის ცნობის ისე გაგება, თითქოს საგვარეულოების მიხედვით საერთო ქონება ჰქონდა ქართლის მთელ ხალხს, მთელ საზოგადოებას, ამასთან ამ გვარებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქცია ჰქონდათ. სტრაბონის ცნობის ასეთი ინტერპრეტაცია სწორი არ იყო.

ყველაფერი თავის ადგილას დადგა, როცა ს. ჯანაშიამ მიუთითა, რომ სტრაბონის ცნობა კოლექტიური საკუთრების შესახებ (გვარების მიხედვით) ეხება მხოლოდ მეოთხე გვარს, რომლის დახასიათებასაც უშუალოდ მოსდევს ეს ცნობა. მეოთხე გვარი (კოლონები, გლეხები, პირადად არათავისუფალი მიწისმოქმედნი), როგორც ჩანს, ინარჩუნებდა კოლექტიურ საკუთრებას საგვარეულოთა მიხედვით (ეს იყო დაპყრობილი, დამორჩილებული, დაყმევებული თემები!).

სტრაბონისეული ქართლის საზოგადოების კლასობრივი ხასიათი ს. ჯანაშიას ეჭვმიუტანლად აქვს დასაბუთებული და ეს იყო იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

ახლა დასადგენი იყო თუ რომელ კლასობრივ საზოგადოებასთან გვქონდა საქმე, იყო ეს მონათმფლობელური საზოგადოება თუ ფეოდალური? ს. ჯანაშიამ ეს საკითხიც გაარკვია. სტრაბონისეულ გვართა მდგომარეობისა და ფუნქციების დაწვრილებითი ანალიზის შედეგად მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს იყო „გარდამავალი ტიპის საზოგადოება. აქ წარმოების სხვადასხვა წესები ებრძვიან ერთმანეთს. თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუმებისა, რომლებიც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან და რომელთა პოლიტიკური ბატონობის ფორმაც განსაზღვრული თეოკრატიის ხასიათს ატარებს. მაგრამ წარმოების მონათმფლობელურ წესს...არ მიუღია, როგორც ჩანს, საქართველოში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო, როგორც მოხდა, ვთქვათ, რომსა და საბერძნეთში. გვაროვნული საზოგადოების ერთმა ნაწილმა (მესამე გვარი, „ერი") დიდხანს, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გაბატონებამდე, შეინარჩუნა ერთგვარი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ნაწილი თავის ძველ პოლიტიკურ უფლებებისა... ყველაზე გვიან ამ საზოგადოებაში ისახება ფეოდალური წესი წარმოებისა, რომელიც თანდათან უპირისპირდება მონათმფლობელურს" (შრომები, I, გვ. 170).

ამრიგად, სტრაბონისეული ქართლი ხასიათდება მრავალწყობიანობით. აქ წარმოდგენილია გვაროვნული საზოგადოების მძლავრი გადმონაშთი მესამე გვარის, „ერის" სახით, არის მონათმფლობელთა კლასი (ძირითადად ქურუმების სახით) და ჩასახულია ფეოდალური საზოგადოების ელემენტები (მეოთხე გვარის, პირადად არათავისუფალ მწარმოებელთა სახით, რომლებიც სამეფო საგვარეულოს ყმობაში იმყოფებიან).

აღსანიშნავია, რომ ეს თვალსაზრისი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ძველი ქართლის (იბერიის) საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობის ხასიათის საკითხზე ქართული ისტორიული აზრის განვითარებაში.

სიმონ ჯანაშიას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული მონაპოვარი იყო ქართლის საზოგადოების ფეოდალიზაციის არსის დადგენა და ადრეული ფეოდალიზაციის პროცესის დახასიათება. იგი წერდა: „ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირითად ფენაში (!— შ. ხ.), სტრაბონის „მესამე გვარში", ქართულ „ერში". ამ „მესამე გვარის", „ერის" მთელი შემდეგდროინდელი ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ

იგი სულ უფრო და უფრო მკვეთრად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან კარგავს თავის ძველ ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენეში“, „გლეხობაში“ გადადის. უმცირესობა კი ჰქმნის იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით“ (შრომები, I, გვ. 171).

აქ ჩვენ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ მკვლევარი მესამე გენეს, თემური წყობილების წარმომადგენელს, მიიჩნევს ქართლის საზოგადოების „ძირითად ფენად“ და სწორედ მის დიფერენციაციაში ხედავს ადრინდელი ფეოდალიზაციის არსს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფეოდალური საზოგადოება იბერიაში გამოიზარდა გვაროვნული, თემური საზოგადოების წიაღიდან და ამაში იყო ფეოდალიზაციის პროცესის ერთგვარი თავისებურება ჩვენში. მესამე გენედან („ერიდან“) აღზევებული პრივილეგირებული ფენები (წარჩინებულები, აზნაურები და სხვ.) ფეოდალურ ურთიერთობათა მატარებელ ძირითად კლასად ყალიბდებიან, უპირისპირდებიან ქურუმთა მონათმფლობელურ კლასს.

ქართლის განვითარების მთელი მომდევნო პროცესი, მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენები სიმონ ჯანაშიას ახსნილი აქვს კლასობრივი ბრძოლების განვითარების ნიადაგზე. კლასობრივი ბრძოლების ჭრილშია განხილული და შეფასებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში (რა თქმა უნდა, არც საგარეო პოლიტიკური ფაქტორია დავიწყებული), მეფობის გაუქმება ქართლში VI -ის დასაწყისში, ერისმთავრობის აღმოცენება და სხვ. მესამე გენეს დაშლის პროცესში სიმონ ჯანაშია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოლაშქრეობას და მძიმე შეიარაღების გავრცელებას. ამ მოვლენებს სათანადო ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და, მაშასადამე, ფეოდალთა კლასის ეკონომიკური გაძლიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ს. ჯანაშიამ ეჭვმიუტანლად დაასაბუთა, რომ ფეოდალურმა ურთიერთობებმა საქართველოში გაბატონებული მდგომარეობა VI ს-ში მოიპოვეს. ამით მკვლევარმა საიმედო და მტკიცე საფუძველი დაუდო ფეოდალური ფორმაციის სწორ, მეცნიერულ პერიოდიზაციას ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

სახელმწიფოს აღმოცენებას ქართლში ს. ჯანაშია მონათმფლობელობის არსებობას უკავშირებდა. „ჩვენ ვფიქრობთ...—წერდა იგი, — რომ მეფის ხელისუფლება ქართველ ტომებში მონათმფლობელთა ინტერესებისა და საჭიროებათა ნიადაგზე აღმოცენდა უპირატესად“ (შრომები, II, გვ. 164—165). ცოტა გვიან, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში, იგი ქართლის სამეფოს მონათმფლობელურ სახელმწიფოდ წარმოგვიდგენს. ჩანს, მკვლევარი მონათმფლობელობას მიიჩნევდა ქვეყნის პოლიტიკური წყობილების განმსაზღვრელ ფაქტორად და, ამდენად, რამდენადმე გადაჭარბებით აფასებდა მის მნიშვნელობას.

სიმონ ჯანაშიას ეს ახალი თვალსაზრისი ერთბაშად და ადვილად როდი იქნა მიღებული და აღიარებული სამეცნიერო წრეებში. მისი დამკვიდრება ცხარე კამათისა და შეხლა-შემოხლის პირობებში მოხდა. და აქ გამომჟღავნდა ს. ჯანაშიას დიდი ერუდიცია, საკითხების ღრმა ცოდნა, ფართო ჰორიზონტი, სამაგალითო ტაქტი და თავდაჭერილობა, პოლემიკის გასაოცარი უნარი. ადვილი არ იყო ივ. ჯავახიშვილის უდიდესი ავტორიტეტის პირობებში მისი შეხედულე-

ბების წინააღმდეგ გამოსვლა, ახალი თვალსაზრისის დაცვა, იმის ჩვენება, რომ ეს ახალი თვალსაზრისი ლოგიკურად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მას შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია შემუშავდა და დამკვიდრდა. ამ სიძნელეებს ს. ჯანაშიამ ნამდვილი მეცნიერული გმირობით გაართვა თავი.

აღნიშნული პრობლემების ირგვლივ გამართულმა კამათმა ცხოველმყოფელი როლი ითამაშა ქართული ისტორიული აზრის განვითარებაში ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. მან გამოაცოცხლა ეს აზრი, აღძრა საყოველთაო ინტერესი განხილული პრობლემებისადმი, გარკვეულად წინ წასწია ჩვენი ისტორიის შესწავლის საქმე.

მრავალი საკითხი აქვს შესწავლილი და დამუშავებული ს. ჯანაშიას შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ეგრისის სამეფოს წარმოშობა, საქართველოში არაბთა ბატონობის ხასიათი და თავისებურებები, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური მონარქიის, ე. წ. „აფხაზთა სამეფოს“ აღმოცენების დრო და პირობები, ტაო-კლარჯეთის კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობა შუა საუკუნეებში, ფეოდალურ სამეფო-სამთავროთა წარმოქმნა და მათი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების სოციალური და ეკონომიკური საფუძვლები...ეს და სხვა მრავალი საკითხი ღრმა მეცნიერულ ასახვას პოულობს ს. ჯანაშიას მეცნიერულ მემკვიდრეობაში. სამაგალითო იყო მეცნიერის ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ფაქტების ურთიერთშეჯერებისა და შერჩევის უნარი, გონებამახვილური მიხვედრები და მიგნებები, განზოგადება და შეფასება.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ საკითხი ქართველთა წარმომავლობის, მათი ეთნოგენეზის შესახებ. ამ საკითხში ს. ჯანაშიამ არსებითი ხასიათის გამოკვლევები დაგვიტოვა და ზოგიერთი არსებული დებულება კარდინალურად შეცვალა. ასეთი იყო, მაგალითად, დებულება ქართველთა სამხრეთიდან გადმოსახლეობის შესახებ (ე. წ. მიგრაციის თეორია), რომელსაც მაშინ საყოველთაო აღიარება ჰქონდა. ამ თვალსაზრისს იცავდა ივ. ჯავახიშვილიც.

მრავალფეროვანი ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია მივიდა სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისამდე — ქართველთა ავტოქტონობის თვალსაზრისამდე, ქართველთა აბორიგენობის აღიარებამდე.

მისი კონცეფციით, საქართველოს ტერიტორია ნაწილი იყო იმ ვრცელი ისტორიული რეგიონისა, რომელიც მოიცავდა წინა და მცირე აზიას, გადიოდა ახლო აღმოსავლეთის საზღვრებს გარეთაც და დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ხალხებით და ტომებით. ამ მოდგმის ხალხებმა ყველაზე ადრე სახელმწიფო შექმნეს სამხრეთში, მესოპოტამიაში. მისი განადგურების შემდეგ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ცენტრმა ჩრდილოეთში გადმოინაცვლა და ხეთა-სუბარეთის სახელმწიფოებში პოვა გამოხატულება. ასეთ გადმონაცვლებას კიდევ ჰქონდა ადგილი, როცა ურარტუს ვრცელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. დაბოლოს, ურარტუს დაცემის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრებმა საქართველოს მიწა-წყალზე გადმოინაცვლეს. „მეექვსე საუკუნის დამდეგს ძვ. წ. — წერდა ს. ჯანაშია, — სუბარეთის ჩრდილოეთ რაიონების, კერძოდ, დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა და მისი მეურნეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ხიადაგი არსებობდა. ამიტომაა რომ, როცა ურარტუს სახელმწიფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, ამით ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოშლილა. სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა

ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლეს მხოლოდ“ (საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 53).

ამრიგად, არა ტომთა გადმოსახლება, არამედ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრის თანდათანობით გადმონაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ — აი, რა მოვლენას ჰქონდა ადგილი ქართველთა მონათესავე ხალხთა ცხოვრებაში უძველეს ხანაში. ეს რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ქართველური ტომების ლოკალურ გადაადგილებებს, მათი ტალღების მოძრაობას გარკვეულ რეგიონში.

რაც შეეხება ქართველთა მონათესაობას ძველი აღმოსავლეთის რიგ ხალხებთან, ეს ხანდაზმული და უაღრესად საინტერესო პრობლემა ს. ჯანაშიამ მრავალი საინტერესო დაკვირვებითა და დებულებით გაამდიდრა, მაგრამ წინა და მცირე აზიის ხალხთა უძველესი ისტორიისა და მათი ენების შესწავლამ, რაც ასე ინტენსიურად წავიდა წინ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, მრავალი რამ შეცვალა და დააზუსტა მის შეხედულებებში. ამდენად, ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ დეტალურად გადმოვცეთ და დავახასიათოთ ეს შეხედულებები.

ქართველთა ავტოქტონობის ახალ თვალსაზრისთან ორგანულად იყო დაკავშირებული ქართველთა უძველესი განსახლებისა და ძველი ქართლის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. წერილში „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში“ (შრომები, II, გვ. 249—259) ბერძნულ-ლათინური ცნობების ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშიამ დაადგინა ქართლის სამეფოს უძველესი საზღვრები. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ქართლის სამეფოს სამხრეთ საზღვრების საკითხი, ვინაიდან ამ საკითხში აზრთა დიდი სხვადასხვაობა სუფევდა. ს. ჯანაშიამ უჩვენა, რომ ძვ. წ. II ს-ის დამლევს ეს საზღვარი მდ. არაქსს გასდევდა (აპოლოდროს ცნობა), ხოლო შემდეგ, ტიგრან II-ის დროს სომხეთის საზღვრების გაფართოებამ გამოიწვია სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით გადაწევა, მაგრამ ამ პირობებშიც კი იგი მტკვრისა და არაქსის აუზთა წყალგამყოფ ქედზე გადიოდა.

მეორე წერილში—«პარიადრი, სკიდისი და მოსხური მთები» (შრომები, II, გვ. 161—170) მკვლევარი განსაზღვრავს ამ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ხაზების ადგილმდებარეობას. სხვა წერილში (შრომები, II, გვ. 282 და შმდ) ს. ჯანაშია ადგენს , რომ ძვ. წ. I საუკუნეში ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვარი ჭოროხის ქვემო წელამდე და მოსხურ მთებამდე ვრცელდებოდა.

ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების დამუშავება ს. ჯანაშიას ნაშრომებში ემსახურებოდა ძველი საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური ისტორიის პრობლემების კიდევ უფრო დეტალურად შესწავლას.

მეცნიერის რამდენიმე ნაშრომი გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური და კულტურული ისტორიის საკითხებს ეხება. მას შესწავლილი აქვს შეხედულებები სწავლა-აღზრდისა და განათლების შესახებ XVIIს-ის საქართველოში, დახასიათებული აქვს ვახუშტის ღვაწლი ქართული ფეოდალიზმის შესწავლაში, გარკვეული აქვს ზოგიერთი გვარსახელის ეტიმოლოგია (ინგოროყვა . . . ) ან საგვარეულოს ისტორია (ბარათაშვილები . . . ). XIX ს-ის ქართული კულტურის რიგი საკითხებისა გაშუქებულია მის ნაშრომში გიორგი შერვაშიძის შესახებ. მაღალ მეცნიერულ და თეორიულ დონეზეა შესრულებული ს. ჯანაშიას ნარკვევი ქართველი ერის ჩამოყალიბების საკითხზე მარქსისტული მოძღვრების შუქზე.

40-იანი წლების შემდეგ ს. ჯანაშიას მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაიკავა საქართველოს არქეოლოგიის საკითხებმა. 1940 წელს ის სათავეში უდგება მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას და წარმართავს მის საქმიანობას. ანტიკური საქართველოს არქეოლოგიურმა შესწავლამ ბრწყინვალედ დაადასტურა ს. ჯანაშიას მიერ ლიტერატურული წყაროების შესწავლის გზით მიღებული არაერთი დებულება და დასკვნა. ს. ჯანაშია პირველი იყო, ვინც მეცნიერულ ინტერპრეტაციას აძლევდა საქართველოს ძველ დედაქალაქში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს: სამარხებს, წარწერებს, ყოფით ინვენტარს...

დიდი დამსახურება მიუძღვის მკვლევარს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბრინჯაოს კულტურის მეცნიერულად შესწავლისა და გააზრების საქმეშიც. პროფ. ა. აფაქიძე ხაზგასმით აღნიშნავს იმ სიახლეს, რომელიც ს. ჯანაშიამ შეიტანა არქეოლოგიური ფაქტებისადმი ისტორიული ინტერესით მიდგომის საქმეში. ამ მომენტს ის მიიჩნევს ქართული საბჭოთა არქეოლოგიური სკოლის საწყისად და მის მამამთავრად სიმონ ჯანაშიას თვლის.

ისტორიული ინტერესი გასდევს ს. ჯანაშიას ენათმეცნიერულ ძიებებსაც, ამ დარგში მას მრავალი საყურადღებო ნაშრომი აქვს შექმნილი, განსაკუთრებით ქართულისა და ადიღეური ენების და აფხაზურთან ქართულის მიმართების ხაზით. ს. ჯანაშიას ენათმეცნიერული ნაშრომები ავლენენ მეცნიერის ღრმა და საფუძვლიან კვალიფიკაციას, მისი მეცნიერული ინტერესების მრავალმხრივობას. სიმონის ენათმეცნიერული ღვაწლის დახასიათებას ჩვენ თავს ვერ ვიდებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გარდა საკუთრივ ენათმეცნიერული ინტერესებისა და შედეგებისა მის ნარკვევებს ამ დარგში მნიშვნელობა ჰქონდა მონათესავე ენების მატარებელი ეთნოსების განსახლებისა და ისტორიული ურთიერთობების (კონტაქტების) დასადგენად.

დიდი საშვილიშვილო საქმე, რომლის შესრულება წილად ხვდა ს. ჯანაშიას მის მასწავლებელთან ივ. ჯავახიშვილთან და კოლეგასთან ნ. ბერძენიშვილთან ერთად, ეს იყო საქართველოს ისტორიის მარქსისტული სახელმძღვანელოს შექმნა. 1940 წ. მზად იყო სახელმძღვანელოს მაკეტი, 1943 წელს ომის მრისხანე დღეებში, ეს სახელმძღვანელო მიიღეს საშუალო სკოლის უფროსკლასელებმა. მასში შეჯამებული იყო ქართველ ისტორიკოსთა მრავალი წლის მუშაობის შედეგები, მოცემული იყო გაბმული მეცნიერული თხრობა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი თავგადასავლისა, მარქსისტული თვალსაზრისით იყო შეფასებული გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ნამოქმედარი. სახელმძღვანელოს შექმნისათვის საჭირო საორგანიზაციო და სარედაქციო სამუშაოებმა სიმონ ჯანაშიას მხრებზე გადაიარა. ეს წიგნი მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართველი ახალთაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. მან სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ეს იყო ქართველ ისტორიკოსთა უდავო გამარჯვება.

სიმონ ჯანაშია არასოდეს არ ყოფილა კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ისევე ფართო და მრავალმხრივი იყო, როგორც მისი მეცნიერული ინტერესები. ამ უბანზეც მან უდიდესი სამსახური გაუწია მშობლიურ ხალხს. 1935—1946 წლებში ის ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას თბილისის უნივერსიტეტში. 1936 წელს იგი დაინიშნა აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორად. 1939 წელს როცა საქართველოში დაარსდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი, ს. ჯანაშიამ იქ თავჯდომარის მოადგილის პოს-

ტი დაიკავა, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისას (1941 წელს) აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის დიდი ორგანიზატორული მუშაობა, რომელიც გასწია ს. ჯანაშიამ ინსტიტუტისა და აკადემიის ხელმძღვანელობის ხაზით. მთავრობის არაერთი ჯილდო (ორი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა და სხვ.) კარგად ახასიათებს ს. ჯანაშიას მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობას საბჭოთა მეცნიერებისათვის.

ნაყოფიერი იყო ს. ჯანაშიას პედაგოგიური მოღვაწეობაც. არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე აღუზარდა მან მშობლიურ ქვეყანას.

1943 წელს ღვაწლმოსილი მეცნიერი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

სიმონ ჯანაშიას ბევრი რამ დარჩა განუხორციელებელი (მაგ., ამზადებდა ნაშრომს: „სახელმწიფოებრიობის ისტორია კავკასიაში"), მაგრამ მის მიერ საფუძველჩაყრილი ახალი მიმართულება ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში წინ მიდის და ახალ ახალ წარმატებებს აღწევს სიმონის მრავალრიცხოვან მოწაფეთა მეცნიერულ საქმიანობაში. ეს კი მეცნიერის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

**შოთა ხანთაძე**



# ირინე ნოდია

1980 წლის 20 ოქტომბერს გარდაიცვალა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ირინე მიხეილის ასული ნოდია. ქართულმა ბიზანტინოლოგიურმა სკოლამ დაკარგა თავისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, შესანიშნავი მეცნიერი და უკეთილშობილესი პიროვნება, რომლის სათნოებით სავსე სიცოცხლე მხოლოდ 50 წელს თუ ითვლიდა.

ირინე ნოდია ბიზანტინოლოგიაში მოვიდა აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილის ხელდასხმით, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ბიზანტინოლოგიის განყოფილების დაარსების პირველი დღიდანვე, და ოცი წლის განმავლობაში განყოფილების მეცნიერულ ცხოვრებაში არ არსებობდა დიდი თუ მცირე საქმე, რომლის მნიშვნელოვანი წილის მტვირთველიც იგი არ ყოფილიყო.

ირინე ნოდია დაიბადა 1929 წელს თბილისში, გამოჩენილი ქართველი გეოფიზიკოსის და საზოგადო მოღვაწის პროფ. მ. ნოდიას ოჯახში. 1952 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის კურსის ლექტორად. 1955—1958 წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1960 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ბიზანტინოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი და პერიოდულად კვლავ მიჰყავდა საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიის კურსი უნივერსიტეტის უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

ირინე ნოდია ოცამდე სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი კვლევის ძირითადი საგანი იყო ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორია XI—XV სს., ბიზანტიური სამოხელეო ტიტულები, ბიზანტიური თემური ორგანიზაცია. მას უპირველეს ყოვლისა ქართული ისტორიული სინამდვილე აინტერესებდა. ამ მიზნით სწავლობდა და იკვლევდა ბიზანტიის ისტორიასაც.

საყურადღებოა მისი ნაშრომი „ქალდიის თემი“ („მაცნე“, № 5, 1970), რომელშიც არაბულ, ბერძნულ და ქართულ წყაროთა საფუძველზე დადგენილია ქალდიის თემის საზღვრები და დაარსების დრო. აქვე უნდა დაესახელოთ სტატია „იბერიის საკატეპანოს დაარსება“ (თსუ შრომები, ჰუმანიტარული მეცნიერებანი, B 8—9, 1974), რაც მკვლევრის აზრით, ბარდა სკლიაროსის აჯანყებას უკავშირდება და მოიცავს ტაოს იმდროინდელი მეფის დავით III კუროპალატის მიერ ბიზანტიისათვის აღთქმულ ტერიტორიებს: სამხრეთ ტაოს, ჩრდილო ბასიანს, ჯავახეთს, შავშეთს, ოლთისს, კოლასა და არტაანს.

ორი სპეციალური წერილი უძღვნა ი. ნოდიამ ბერძნულ წყაროებში არაერთგზის მოხსენიებული დედოფლის მართა-მარიამის შესახებ არსებული ქართულ-ბერძნული წყაროების განხილვას: Грузинские материалы о византийской императрице Марфе - Марии (ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, 1978) და „მარიამ დედოფალი XI ს-ის მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში“ (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, 1978). როგორც ეს ი. ნოდიამ აჩვენა, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასული მართა|| მარიამი, რომელიც ბერძნულ წყაროებში შეცდომით „ალანად“ იწოდება, ხშირად წარმართავდა მოვლენათა მსვლელობას ბიზანტიის საიმპერატორო კარზე.

დიდ ინტერესს იწვევს ი. ნოდიას ნაშრომი „დიდი დომესტიკოსის თანამდებობა XI ს-ის ბიზანტიური მასალების მიხედვით“, რომელშიც დადგენილია, რომ ეს დიდი და საპატიო თანამდებობა შემოღებულ იქნა ალექსი I კომნენოსის მიერ და პირველი, ვინც ოფიციალურად ატარებდა ტიტულს „დიდი დომესტიკოსისა“ იყო სახელგანთქმული ბიზანტიელი მხედართმთავარი, წარმოშობით ქართველი, გრიგოლ ბაკურიანის ძე

ი. ნოდიას მეცნიერული ინტერესები სცილდებოდა საკუთრივ ბიზანტინისტიკის სფეროსაც. მას ეკუთვნის სპეციალური ნარკვევი „საქართველოს გუთებთან ურთიერთობის ისტორიიდან“, „ოვიდიუს ნაზონის ცნობები საქართველოს შესახებ“, „იოანე პეტრიწის შესწავლის საკითხისათვის“ („მაცნე“, № 3, 1966), ვრცელი გამოკვლევა „გლეხთა ომი გერმანიაში“, საგაზეთო წერილები, რეცენზიები და სხვ.

ი. ნოდია წლების განმავლობაში მუშაობდა ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის მასალებზე. მანვე შეადგინა ქართულ-ლათინური შესატყვისობანი, რომელიც დამატებად ახლავს ს. ყაუხჩიშვილის ლათინურ-ქართულ ლექსიკონს.

ლათინური, ძველი ბერძნული, ინგლისური და გერმანული ენების საუკეთესო მცოდნის ი. ნოდიას მეცნიერული დანატოვარი გამოირჩევა პირველწყაროების გამოყენების დიდი სიზუსტით, კეთილსინდისიერებით, აზროვნებისა და წერის მაღალი კულტურით. ი. ნოდია რამდენიმე საერთაშორისო და საკავშირო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილეა. ის იყო ბიზანტიის ისტორიის აღიარებული სპეციალისტი.

განუზომლად მძიმეა და ტკივილით სავსე ეს დანაკლისი მათთვის, ვინც პირადად იცნობდა ირინე ნოდიას. ეს იყო განუმეორებელი ადამიანი, მომხიბვლელი სულითა და გარეგნობით. მისი უჩვეულოდ დიდი სიკეთე, სიცოცხლის ხალისიანი სიყვარული განსაკუთრებული, ნათელი იმედით ავსებდა ყველას, ვინც მის გვერდით იმყოფებოდა.

წარუშლელია ირინე ნოდიას ხსოვნა მათ გულში, ვისაც მისი ახლობლობა, მასთან თანამშრომლობა და მეგობრობა ხვდა წილად.

**საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი**



# ნოდარ ნაკაშიძის ხსოვნას

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1980 წლის 19 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 52 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი 1953 წლიდან ნოდარ თადეოზის ძე ნაკაშიძე.

ნ. ნაკაშიძე დაიბადა თბილისში 1928 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1950 წელს ასპირანტურაში ჩაირიცხა სსრკ ხალხთა ისტორიის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1953 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში“. ნ. ნაკაშიძის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ამის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუკავშირდა, სადაც იგი მოღვაწეობდა უნივერსიტეტის სწავლულ მდივნად, სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის დოცენტად, შემდეგ პროფესორად.

1959 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნ. ნაკაშიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ინსტიტუტში გადმოსვლის შემდეგ ნ. ნაკაშიძე ფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლას შეუდგა. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პრობლემამ. მართალია, ცოტა რამ არ იყო გაკეთებული მისი წინამორბედი თუ თანამედროვე ისტორიკოსების მიერ, მაგრამ ბევრი რამ კიდევ დასაზუსტებელი და შესასწავლი რჩებოდა. სწორედ ამ მიმართულებით ჩატარებული მრავალწლიანი კეთილსინდისიერი კვლევის შედეგი იყო მისი მონოგრაფია: „საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში“ (რუსულ ენაზე), რომელიც 1968 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

ნ. ნაკაშიძის ეს ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა, რომელიც მიეძღვნა XVII ს-ის საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს. ავტორმა უკვე არსებული სპეციალური ლიტერატურისა და დოკუმენტური მასალების ღრმად გაანალიზების საფუძველზე თანამიმდევრულად და დეტალურად განიხილა არა მარტო საქართველოდან რუსეთში, ან პირიქით, რუსეთიდან საქართველოში ელჩობათა წასვლა-წამოსვლის სურათი, არამედ შემოგვთავაზა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიის ახლებური პერიოდიზაცია. ნაშრომში კარგადაა ნაჩვენები XVI ს-ის მიწურულისა და XVII ს-ის პირველი ნახევრისათვის შექმნილი საერთაშორისო

ვითარება ევროპაში კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, წარმოჩენილია რუსეთისა და საქართველოს შინაგანი განვითარების შედეგად წამოჭრილი მოთხოვნილებები და ის სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც ამოძრავებდა ამ ქვეყნების პოლიტიკურ წრეებს. ნაშრომის დასასრულს, ცალკე თავად გამოყოფილია ავტორის მიერ მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მრავალმხრივ საინტერესო დასკვნები.

ამავე მონოგრაფიაში ავტორმა მკვეთრად დასვა საკითხი ქართლის მეფე როსტომისა და კახეთის მეფე თეიმურაზის, როგორც პოლიტიკური მოღვაწეების სწორი მეცნიერული პოზიციებიდან შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მითითებული ნაშრომი 1969 წელს წარდგენილ იქნა სადოქტორო დისერტაციად, რომელიც მან წარმატებით დაიცვა.

ნ. ნაკაშიძის თვალსაწიერი ფართო იყო. მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები ფეოდალური ხანის საქართველოს, რუსეთის და უკრაინის ისტორიის საკითხებზე. მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა შეუძლებელი იყო საქართველოსთან ახლოს თუ მოშორებით მცხოვრები ხალხების ისტორიული განვითარების შესწავლის გარეშე. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგად დაიწერა სწორედ მისი მეტად საინტერესო სტატიები: „საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება“ და „საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის პირველ ნახევარში“.

ნიჭიერ მკვლევარს კარგად უჭრიდა კალამი. ისტორიული მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციის თვალსაზრისით მან არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა. ამ მხრივ სანიმუშოა მისი ცნობილი გამოკვლევა „წიწამურიდან ბახტრიონამდე“, რომელიც 1977 წელს გამოაქვეყნა. სადაც, დახვეწილი ენით, სათანადო მეცნიერული სიღრმით ნ. ნაკაშიძემ კიდევ ერთხელ შესანიშნავად დაასაბუთა თავის მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თეიმურაზ I-ის თავდაუზოგავ, შეურიგებელ ბრძოლას ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

ნ. ნაკაშიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის საქმეს. აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი და გამოცემული **ვახუშტი ბაგრატიონის** და სეხნია ჩხეიძის თხზულებები, მანვე თარგმნა პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის საისტორიო ნაწარმოებები.

ნ. ნაკაშიძე მისთვის ჩვეული პატრიოტული სულისკვეთებით მონაწილეობდა ქართული ენციკლოპედიის მომზადებასა და გამოცემაში. 1972 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი ენციკლოპედიის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის რედაქციის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი იყო.

ნ. ნაკაშიძე წლების მანძილზე ნაყოფიერ პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების კონსულტანტი.

ჭეშმარიტი მამულიშვილი ნოდარ ნაკაშიძე ყოველთვის გამოირჩეოდა მოქალაქეობრივი შემართებით, პრინციპულობით, ადამიანებისადმი უანგარო და ფაქიზი დამოკიდებულებით, სამაგალითო იყო მისი გულითადი ურთიერთობა მეგობრებისა და კოლეგებისადმი.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეცნიერი-ისტორიკოსი, გულმხურვალე მამულიშვილი სანიმუშო მოქალაქე, რომელსაც ბევრი [illegible] ხორციელებელი ჩანაფიქრი დარჩა და [illegible] ლისგანაც ქართული საზოგადოებრიობა კიდევ ბევრ საინტერესო გამოკვლევას მოელოდა.

**გიორგი პაიჭაძე, ჯუმბერ ოდიშელი**